

F 207
F 1969
C XXIV

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՆՈՒՆԻՄԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

F-207
1962

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საზღვაო
სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი



აღ. წედუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

აღ. წედუკიძის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

უ რ ო გ ე ბ ი

ტ. XXIV

ქუთაისი

1962



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საზოგადოებრივი
სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აღ. წელუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

აღ. წელუკიძის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

უ რ ო ე ე ბ ი

ტ. XXIV



ქუთაისი

1962

საკრედიტო კოლეგია

- დოც. ი. გოშხეთელიანი (რედაქტორი)
დოც. კ. აფრიდონიძე
დოც. ე. ბურჯანაძე
ამხ. ა. ბარათაშვილი
დოც. დ. გეწაძე
დოც. ვ. ირემაძე
დოც. გ. კოკოჩიაშვილი
პროფ. კ. მეძველია
დოც. ი. სალინაძე
დოც. ვ. სულავა
პროფ. გ. ხაქალია
დოც. ქ. ძოწენიძე
დოც. ი. ჯღარკავა

ГОСУДАРСТВЕННЫЙ КОМИТЕТ ВЫСШЕГО И СРЕДНЕГО СПЕЦИАЛЬНОГО
ОБРАЗОВАНИЯ СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

Нутаисский Государственный Педагогический Институт
им. А. Цулукидзе



Т Р У Д Ы

НУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО
ИНСТИТУТА ИМЕНИ А. ЦУЛУКИДZE

Т. XXIV

КУТАИСИ

1962

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доц. И. С. Гошхетелиани (редактор)

Доц. К. Г. Апридонидзе

Доц. Е. А. Бурджанадзе

Тов. А. В. Бараташвили

Доц. Д. О. Гецадзе

Доц. К. С. Дзоценидзе

Доц. И. А. Джгаркава

Доц. В. А. Иремадзе

Доц. Г. В. Кокочашвили

Проф. К. Н. Медзвелия

Доц. И. А. Сагинадзе

Доц. В. А. Сулава

Проф. Г. Я. Хажалия



ს ა რ რ ე ვ ი

| | გვერდი |
|--|----------|
| 1. ე. ბურჯანაძე, სამი პროგრამა — სკკპ გმირული ბრძოლისა და შრომის სამი ისტორიული ეტაპი | 1— 20 |
| 2. ვ. ირემაძე, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა | 21— 41 |
| 3. ო. აბუთიძე, ქართველი ახალგაზრდები უკრაინის ფრონტებზე დადი სამამულო ომის წლებში | 43— 51 |
| 4. გ. გურეშიძე, კომუნისტური შრომისათვის მასების შეჯიბრების ზოგიერთი საკითხი | 53— 61 |
| 5. შ. გვენეტაძე, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის შესაებ | 63— 70 |
| 6. გ. ცხაკაია, შესაძლებლობისა და სინამდვილას კატეგორია | 71— 96 |
| 7. ვ. გულუა, ადამიანის მოვალეობის საკითხისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში | 97—106 |
| 8. ბ. ურიდია, უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიათა განსაზღვრების ხერხი | 107—112 |
| 9. ნ. კუხალაშვილი, რელიგიური გადმონაშთების არსი და მათი გამოვლინება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში | 113—130 |
| 10. გ. სანიკიანი, შრომისა და წარმოების სოციალისტური ორგანიზაცია — შრომის ნაყოფიერების ამაღლების მნიშვნელოვანი პირობა | 131—140 |
| 11. გ. მჭედლიძე, ქრონოლოგია ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში | 141—185 |
| 12. ი. კუბლაშვილი, გერმანიის იმპერიალიზმის აქტიურობა პირველი მსოფლიო ომის გაჩაღების საქმეში | 187— 202 |
| 13. კ. მეძველია, ვაჟა-ფშაველა და ილია ჭავჭავაძე | 203—214 |
| 14. გ. სამხარაძე, სევერიან ისიანის პოეზია | 215— 229 |

15. ქ. სანიკიძე, სულხან-საბა ორბელიანის ერთი არაკის „ძალა ერთობისა“ მონღოლური ვარიანტი 231—237
16. დ. მაჭავარიანი, ბგერათშესატყვისობისა და ლექსიკური ურთიერთობის ისტორიიდან ქართველურ ენებში 239—244
17. კ. კუბლაშვილი, დიფთონგიზაცია აჭარულში . 245—248
18. ო.თ. დეისაძე, გვარის სწავლება საშუალო სკოლის VI კლასში 249—268
19. ქ. კილასონია, ა. ი. პოლუეაევის ლიტერატურული მემკვიდრეობის რამდენიმე საკითხისათვის 269—278
20. მ. ალავიძე, ქართული დიალექტური ლექსიკიდან 279—291
21. რ. ბერიშვილი, კილოსა და მოდალობის კატეგორიათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხისათვის თანამედროვე გერმანულ ენაში . . 293—306
22. ი. ჯღარკავა, სათნოების აღზრდის საკითხები XVII-XVIII საუკუნეების ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში 307—319
23. გ. კოკოჩაშვილი, ტერმინოლოგიური ეტიუდები 321—326
24. ნ. მანგალაძე, მიკროელემენტების გავლენის ზოგიერთი მონაცემი ბოლოკსა და ქინძზე . . . 327—338
25. პ. კანტურიშვილი, მასალები ქათმის ბროლის თვალის უჯრედული სუბსტრატებიდან განვითარების შესახებ 339—341
26. ლ. ჭელიძე, ვ. ბრეგვაძე, ბენტონიტური თიხებით ღვინის გაწმენდის საკითხისათვის . . . 343—353
27. დ. გაბრიაძე, დიპროპილციკლოპენტილკარბინოლის სინთეზი 355—358



О Г Л А В Л Е Н И Е

| | стр. |
|--|---------|
| 1. Е. А. Бурджанадзе, Три программы — три этапа героической борьбы и труда КПСС | 1— 20 |
| 2. В. А. Иремадзе, Материально-техническая база коммунизма | 21— 41 |
| 3. О. Н. Абутидзе, Молодёжь Грузии на украинском фронте в годы Отечественной войны | 43— 51 |
| 4. Г. Н. Гурешидзе, О некоторых вопросах соревнования масс за коммунистический труд | 53— 61 |
| 5. Ш. Гвенетадзе, О преодолении существенных различий между физическим и умственным трудом | 63— 70 |
| 6. Г. Г. Цхакая, Категория возможности и действительности | 71— 96 |
| 7. В. А. Гулуа, К вопросу человеческого долга в творчестве И. Чавчавадзе | 97—106 |
| 8. Б. Ю. Уридия, Прием определения наиболее общих философских категорий | 107—112 |
| 9. Н. С. Кухалашвили, Сущность религиозных пережитков и их проявление в условиях развернутого строительства коммунизма | 113—130 |
| 10. Г. А. Саникиани, Социалистическая организация труда и производства — важное условие повышения производительности труда | 131—140 |
| 11. Г. А. Мчедлидзе, Хронология в древнегрузинской исторической письменности | 141—185 |
| 12. И. И. Кублашвили, Активность германского империализма в развязывании первой мировой войны | 187—202 |
| 13. К. Н. Медзвелия, Важа-Пшавела и Илья Чавчавадзе | 203—214 |



стр.

| | |
|--|---------|
| 14. Г. А. Самхарадзе, Поэзия Севериана Исиани | 215—229 |
| 15. К. Саникидзе, Монгольский вариант одной басни Сулхана Орбелиани — „Дзала ертобиса“ | 231—237 |
| 16. Д. П. Мачавариани, Из истории звукосочетаний и лексического взаимоотношения в картвельских языках | 239—244 |
| 17. К. М. Кублашвили, Дифтонгизация в аджарском диалекте | 245—248 |
| 18. О. Г. Деисадзе, Изучение залога в VI классе средней школы | 249—268 |
| 19. К. А. Киласония, О некотором вопросе литературного наследства А. И. Полежаева | 269—278 |
| 20. М. Н. Алавидзе, Материалы из лексики диалектов грузинского языка | 279—291 |
| 21. Р. М. Бершвили, О взаимоотношении категории склонения и модальности в современном немецком языке | 293—306 |
| 22. И. А. Джгаркава, Вопросы воспитания добродетелей в грузинском педагогическом мышлении XVII—XVIII веков | 307—319 |
| 23. Г. В. Кокочашвили, Терминологические этюды | 321—326 |
| 24. Н. Г. Мангаладзе, Некоторые данные о влиянии микроэлементов на редис и коряндра | 327—338 |
| 25. П. С. Чантуришвили, Материалы о развитии хрусталика глаза курицы из клеточного субстрата глаза | 339—341 |
| 26. А. Л. Челидзе, В. А. Брегвадзе, К вопросу осветления вина бентонитовыми глинами | 343—353 |
| 27. Д. М. Габриадзе, Синтез дипропилциклопентилкарбонла | 355—358 |

მ. ბურჯანაძე

სამი პროგრამა — სკკპ გმირული ბრძოლისა და შრომის სამი ისტორიული ეტაპი

1961 წლის ოქტომბრის დამლევეს მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ. ყრილობის დელეგატები და მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომგზავნილი სტუმრები გამოხატავდნენ წსოფლიო მუშათა კლასის ავანგარდის კომუნისტთა ორმოცმილიონიანი არმიის აზრსა და მისწრაფებებს — ამ აზრით ყრილობა წარმოადგენდა ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების ინტერნაციონალიზმის, სოლიდარობისა და ერთიანობის ნათელ დემონსტრაციას.

ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა ხალხის მიერ, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე მოპოებული გამარჯვებანი. საერთაშორისო ურთიერთობის ხაზით მოხერხდა ომების თავიდან აცილება, ორი სისტემის ვშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსის განხორციელების შედეგად კაპიტალიზმმა დიდი ზორალური დამარცხება განიცადა, ხოლო სსრ კავშირის ხვედრითი წონა და ავტორიტეტი, სოციალიზმის სხვა ქვეყნებთან ერთად არნახულად გაიზარდა და განმტკიცდა. ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად ახალი მძლავრი დარტყმები განიცადა იმპერიალიზმმა, რის შედეგადაც იშლება კოლონიალიზმის სამარცხენო სისტემა. იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა არნახული განწვევებისა და ეკონომიკის მკვეთრი დაცემის შედეგად კაპიტალიზმი თავისი საერთო კრიზისის ახალ, მესამე ეტაპში შევიდა.

წსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საპირისპიროდ სწრაფი ტემპით ვითარდება წსოფლიო სოციალისტური ეკონომიკა. 1937 წელთან შედარებით 1960 წლისათვის სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 6,8-ჯერ, ხოლო კაპიტალიზმის ქვეყნებში 2,5-ჯერ და უფრო ნაკლებად. სოციალიზმის ქვეყნების წილი წსოფლიო



სამრეწველო წარმოებაში 1935 წლის 27 პროცენტიდან — 1960 წლისათვის დაახლოებით 36 პროცენტამდე გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდის 6 წლის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის წარმოება სსრ კავშირში დაახლოებით 80 პროცენტით გაიზარდა, ფოლადის გამოდნობა ამავე პერიოდში გადიოდა 26 მილიონი ტონით, ნავთობის მოპოება 95 მილიონი ტონით, ელექტროენერჯის წარმოება 157 მილიარდი კ. ვ. საათით, ეროვნული შემოსავალი ერთნახევარჯერ. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. თუ 1917 წელს ჩვენი ქვეყნის წილი მსოფლიოს პროდუქციის წარმოებაში 3 პროცენტზე ნაკლებს შეადგენდა, ახლა იგი თითქმის 20 პროცენტამდე აღწევს, ხოლო ელექტროენერჯის წარმოება ამავე პერიოდში 2 მილიარდი კ. ვ. საათიდან 327 მილიარდ კ. ვ. საათამდე გაიზარდა. აი როგორ შეიცვალა სსრ კავშირის მდგომარეობა მსოფლიო მეურნეობაში?

საანგარიშო პერიოდში მრეწველობაში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე მოხდა სერიოზული თვისობრივი ცვლილებანი, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ნატერიალური წარმოების ყველა დარგის ხელახალი ტექნიკური შეიარაღება. 1956—1961 წლებში სახელმწიფო კაპიტალურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობაში შეადგინა 156 მილიარდი მანეთი, ე. ი. მეტი ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების ყველა წლებში 1956 წლამდე. სსრ კავშირის შემადგენლობაში დიდი წარმატებები მოიპოვეს მოკავშირე რესპუბლიკებმა. თუ ჩამორჩენილი მეფის რუსეთის კოლონიალურ მდგომარეობაში მყოფი განაპირა მხარეები იყო ჩამორჩენილი — ჩამორჩენილთა შორის, ახლა ისინი სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში არიან თანასწორნი მოწინავეთა შორის.

განხორციელდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება, განმტკიცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური ბაზა, მოხდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, ათვისებულია ყამირი და ნასვენნი მიწები, მომზადდა ხელმძღვანელი კადრები და სპეციალისტები სოფლის მეურნეობისათვის, განხორციელდა დაგეგმვის ახალი წესი, შედეგად განვლილ ხუთწლეულში წინა ხუთწლეულთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქცია 43 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ყამირი მიწები ახლა — ჩვენს ქვეყანაში პურის დამზადების 40 პროცენტზე მეტს იძლევიან.

საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიულად მოკლე დროში ისეთ წარმატებებს მიაღწია, ისეთი გარდაქმნები

განახორციელა, რომელმაც შესაძლებლობა მისცა ჩვენს ქვეყანას შევიდეს თავისი განვითარების ახალ უმნიშვნელოვანეს პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

* * *

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის მსხვრევისა და კომუნისმის დამკვიდრების ერას. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ძირითადმა იდეებმა გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში და და საბაზო დემოკრატიის ქვეყნებში. სოციალიზმი კაპიტალისტური სამყაროს ასეულ მილიონობით ადამიანთა პრაქტიკულ საქმედ იქცა — მსოფლიო მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის დროშად გადაიქცა. ყველა ქვეყნის პროლეტარების მამაცურმა და თავდადებულმა ბრძოლამ კაცობრიობა მიუახლოვა კომუნისმს. კომუნისმში თანამედროვეობის უდიდესი ძალა გახდა.

XX საუკუნის დამდეგს საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა, რუსეთი წარმოადგენდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკანძო პუნქტს, სადაც მშრომელთა ფართო მასებს სულს უხუთავდა და სტანჯავდა სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმი. ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა შეუძლებელი იყო რევოლუციის გარეშე. მოვლენათა მთელი მსვლელობა რუსეთს მიაქანებდა იმპერიალიზმის პირველი სახალხო რევოლუციისაკენ, რომლის მეტაური უნდა ყოფილიყო მუშათა კლასი, ხოლო მისი უახლოესი მოკავშირე მრავალმილიონიანი ჩაგრული გლეხობა.

ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა რა რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლას მიუთითებდა, რომ ამ ისტორიული მისიის განხორციელება შეუძლებელია მეორე ინტერნაციონალის პარტიებისაგან განსხვავებული ახალი ტიპის რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე.

ვ. ი. ლენინი რევოლუციის გარიგრაეზე, იმპერიალიზმის ეპოქის პირობებში ქმნიდა სწორედ ასეთ პარტიას რევოლუციური მარქსიზმის განიჭისებურ მტკიცე თეორიულ საფუძველზე, რომელმაც შემდეგ მალა აღმართა რევოლუციური მარქსიზმის დროშა და გაბედულად წაუძღვა წინ რუსეთის მშრომელებს დიადი მომავლისათვის ბრძოლაში.

თავისი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე პარტია ხელმძღვანელობდა რა მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრებით, წარმატებით წყვეტდა თავის პროგრამულ ამოცანებს.

მარქსისტულ-ლენინური პარტიის პროგრამა წარმოადგენს პარტიის ძირითად დოკუმენტს, მუშათა კლასის ბრძოლის მიზნებისა და ამოცანების მოკლე, მეცნიერულად ფორმულირებულ გადმოცემას, რომელიც განსაზღვრავს პარტიის მოქმედების მიმართულებასა და ხასიათს, მის საბოლოო და უახლოეს მიზნებს.

მარქსისტული პარტიის პროგრამის გამოსავალია თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა. პარტიას სამყაროს შეცნობა და საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნა იმისათვის ესაჭიროება, რომ გარდაქმნას ეს სამყარო. პროგრამა იძლევა სინამდვილის მთლიან სურათს, ობიექტურად მიმდინარე პროცესების ზუსტ ფორმულირებას. პროგრამა მეცნიერულად აყალიბებს კომუნისტური მოძრაობის ძირითად პრობლემებს, სახავეს ამ პრობლემების გადაჭრის გზებს, ქმნის მიზნებისა და საშუალებათა სიცხადეს, რომლის გარეშეც შეუძლებელია წინსვლა. პროგრამა პარტიის იდეური საფუძველია, მისი დროშაა, რომლის გარშემოც პარტია რაზმავს მშრომელთა ფართო მასებს და წინ მიუძღვის მას. პარტიის ტაქტიკა (ბრძოლის საშუალებები) და ორგანიზაციული პრინციპები (განხორციელების ფორმები) მიმართულია პროგრამის წარმატებით განხორციელებისაკენ, ამიტომ პროგრამასთან ერთად პარტიის ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს მისი წესდება, რომელშიც ჩამოყალიბებულია პარტიის აგების ფორმები, პრაქტიკული მოქმედების საშუალებანი და შინაგანი ცხოვრების წესები. წესდება პარტიის წევრისაგან უწინარეს ყოვლისა მოითხოვს პარტიის პროგრამის აღიარებას და აქტიურ ბრძოლას მისი განხორციელებისათვის. ამრიგად პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული შეხედულებათა ერთიანობა კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის წარმატების გადამწყვეტი პირობაა.

რსდმპ პირველი პროგრამა მუშავდებოდა მაშინ, როცა საფუძველი ეყრებოდა ახალი ტიპის მარქსისტულ პარტიას, ასეთ პარტიას შესაფერისი — ახალი ტიპის პროგრამაც უნდა ქონოდა, რომელიც ახალ პირობებში ღირსეული მემკვიდრე იქნებოდა მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“-სა.

ექვსი ათეული წლის წინათ ვ. ი. ლენინის ტიტანური ბრძოლისა და შრომის შედეგად საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის მებრძოლ რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას, რომელმაც თავის მეორე ყრილობაზე 1903 წელს მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად მიიღო რევოლუციური პროგრამა, რომელშიც ძირითად ამოცანად

წამოყენებული იყო პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა. ეს იყო იმპერიალიზმის საბრალმდებლო აქტი, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლის დროშა.

პარტიის მეორე ყრილობაზე გაიმარჯვა რევოლუციური ბრძოლის დიადმა იდეებმა. ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში ჩამოყალიბებული იყო პროლეტარიატის უახლოესი და საბოლოო ამოცანები. ეს პროგრამა ჩვენი პარტიის საბრძოლო სახელმძღვანელო დოკუმენტი იყო პარტიის VIII ყრილობამდე.

რსდმპ პირველმა პროგრამამ სამი რევოლუციის მკაცრ გამოცდას გაუძლო. 1905—1907 წლების პირველმა რევოლუციამ დაადასტურა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიისა და პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის ლენინური წინასწარკვრეტა. მეორე რევოლუციამ დაამხო საძულველი თვითმპყრობელობა და ხალხის მასებს გამარჯვება არგუნა, ამით განხორციელდა პროგრამა მინიმუმის ძირითადი მოთხოვნა. რუსეთის მესამე რევოლუციამ — დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო კაპიტალისტებისა და მემანულებების ხელისუფლება, დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა, რითაც მომზადდა ნიადაგი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

ლენინურმა დებულებამ პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ განსაიყრება ჰოვია საბჭოთა წყობილებაში, რომელიც საუკეთესო ფორმა აღმოჩნდა ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისა და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ისტორიაში პირველად იშვა სოციალიზმის ქვეყანა. დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. პარტიის პირველი პროგრამა შესრულებული იქნა — ამით დამთავრდა სკკპ გმირული ბრძოლისა და შრომის ერთი ისტორიული ეტაპი. პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლისა და გამარჯვების ეტაპი.

* * *

პარტიის პროგრამა არ შეიძლება უცვლელი იყოს, პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საერთაშორისო ასპარეზზე და თვით რუსეთში, ამ პერიოდში ძველი წინა შონოპოლისტური კაპიტალიზმი გადაიქცა ლპობად, მომაკვდავ კაპიტალიზმად. დადგა იმპერიალიზმის ეპოქა, კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია, უკიდურესობამდე გამწვავდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, პროლეტარული რევოლუცია პრაქტიკის საკითხი გახდა.

1914 წლის პირველი მსოფლიო ომი და მეორე ინტერნაციონალის კრაზი, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ბოლშევიკური ლოზუნგის განხორციელება და თვითმპყრობელობის დასასრული, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განარჯვება და ახალი ერის დასაწყისი. რევოლუციების განარჯვება ავსტრია-უნგრეთში და გერმანიაში, კომუნისტური პარტიების აღმოცენება მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში და ნიადაგის მომზადება III ინტერნაციონალის შექმნისათვის. ასეთი იყო 1903 წლიდან 1919 წლამდე მომხდარი უმნიშვნელოვანესი ცვლილებანი.

ამავე პერიოდში მარქსიზმის თეორია გამდიდრებული იქნა ვ. ი. ლენინის ახალი აღმოჩენებით, რითაც წინ წასწია და ახალ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმის რევოლუციური თეორია. 1916 წელს შრომაში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ მოგვცა იმპერიალიზმის ეპოქის ანალიზი, აღმოაჩინა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის არათანაბარი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონი, ამ კანონზე დაყრდნობით გააკეთა უმნიშვნელოვანესი თეორიული დასკვნა—თავდაპირველად სოციალიზმის ერთ ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში განარჯვების შესაძლებლობის და ყველა ქვეყანაში სოციალიზმის ერთდროულად განარჯვების შეუძლებლობის შესახებ და მით ბიძგი მისცა ცალკეული ქვეყნების პროლეტარების მოქმედებას სოციალისტური რევოლუციისაკენ ისე, რომ არ ეცადათ სხვებისათვის.

რუსეთის ორი რევოლუციის გამოცდილების საფუძველზე ვ. ი. ლენინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე მიზანშეწონილ პოლიტიკურ ფორმას წარმოადგენს არა პარლამენტარული რესპუბლიკა, არამედ საბჭოების რესპუბლიკა.

რსდმ პარტიის პროგრამა მიღებული 1903 წელს, არ იძლეოდა და არც შეიძლებოდა მოეცა იმპერიალიზმის ეპოქის ანალიზი და ის ახალი თეორიული დასკვნები, რომელიც ვ. ი. ლენინმა გააკეთა რუსეთის ორი რევოლუციის გამოცდილებისა და განზოგადოების საფუძველზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ, ბოლშევიკების პარტიის წინაშე დაისვა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განამტკიცების, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები, ეს გარემოება მოითხოვდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პროგრამის შემდგომ თეორიულ დამუშავებასა

და განვითარებას. მარქსისტულ-ლენინური თეორიის ასეთი განვითარების ნიმუშს წარმოადგენდა რკპ (ბ) ახალი პროგრამა მიღებული პარტიის VIII ყრილობაზე 1919 წლის 22 მარტს.

საკითხი პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ დაყენებული იქნა პირველად ვ. ი. ლენინის მიერ მის განთქმულ აპრილის თეზისებში.

პარტიის VII (აპრილის) კონფერენციამ მიიღო დადგენილება პროგრამის გადასინჯვის შესახებ და დაავალა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოეწადებია ახალი პროგრამის პროექტი. პარტიის VII ყრილობის წინ ვ. ი. ლენინმა დაწერა „პროგრამის პროექტის შავად ნონასახი“, რომელიც დაურიგდათ ყრილობის დღე-გატებს, პროგრამის საბოლოო პროექტის შედგენა დაეავალა კომისიას ვ. ი. ლენინის მეთაურობით. პროგრამის პროექტი, რომელიც ძირითადად დადგენილი იყო ლენინის მიერ, გამოქვეყნდა გაზეთ პრავედაში, რომელიც შემდგომ მიიღო პარტიის VIII ყრილობამ. პროგრამაში კაპიტალიზმისა და მისი უნაღესი საფეხურის იმპერიალიზმის ანალიზთან ერთად ასახული იყო ის ახალი, რაც საზოგადოების განვითარებაში ნიშნავდა გასულ წლებში. ეს იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების წმენბლობის პროგრამა, მასში განზოგადებულია პროლეტარიატის დიქტატურის გამოცდილება, დამუშავებულია საკითხი საბჭოთა სახელწიფოს კლასობრივი არსის შესახებ, მოცემულია საბჭოთა ხელისუფლების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელწიფოებრივი ფორმის, როგორც დემოკრატიის ახალი უნაღესი ტიპის რეცნიერული დახასიათება. ნათლადაა ნაჩვენები სახელწიფოს საბჭოთა სისტემის უპირატესობა ბურჟუაზიულ დემოკრატიული სისტემის წინაშე. პროგრამაში ჩანოყალიბებულია კონკრეტული ამოცანები სოციალიზმისათვის ბრძოლაში — სახელდობრ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის დამთავრება, ქვეყნის რეურნეობის ორგანიზაცია ერთიანი სოციალისტური გეგმის საფუძველზე, პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ სახალხო რეურნეობის ორგანიზაციაში, შრომის სოციალისტური დისციპლინის შესახებ, სახალხო რეურნეობის წმენბლობაში სპეციალისტების გამოყენების შესახებ საბჭოთა ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ, საშუალო გლეხობის თანდათანობით და გეგმაზომიერად ჩაბმა სოციალისტურ წმენბლობაში და სხვა.

VIII ყრილობაზე მიღებულ ახალ პროგრამას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ქონდა, მან შეაიარაღა პარტია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აწენების მიზნებისა და პერსპექტივების სიცადით, აფასებდა რა ახალ პროგრამას, ვ. ი. ლენინი წერდა:

„მან უნდა განუმარტოს მასებს, როგორ წარმოიშვა კომუნისტური რევოლუცია, რატომ არის იგი გარდუვალი, რაშია მისი მნიშვნელობა, მისი არსი, მისი ძალა, რა უნდა გადასწყვიტოს მან, ... ჩვენს პროგრამაში ყოველი პარაგრაფი წარმოადგენს იმას, რაც უნდა იცოდეს, შეითვისოს და ესმოდეს ყოველ მშრომელს“¹.

გმირული ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა განვლო სკკპ პარტიამ. საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელმა და ბელადმა, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა. წარმატებით აღადგინა ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობა, მოახდინა ექსპლოატატორული კლასების ექსპრობრაცია, შექმნა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო, წარმატებით გადაჭრა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ურთულესი ამოცანები, მოახდინა წარმოების რეკონსტრუქცია ახალი ტექნიკის საფუძველზე, განახორციელა კულტურული რევოლუცია, წინად ჩამორჩენილი ხალხები გამოიყვანა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების ფართო გზაზე. ფაშისტ დანაპრობთაგან იხსნა ჩვენი სამშობლო, შორს მოიტოვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ომამდელი დონე, სსრ კავშირში საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა. ამით დასრულდა სკკპ გმირული ბრძოლისა და შრომის კიდევ ერთი ისტორიული ეტაპი.

ბურჟუაზიული პარტიები, მეორე ინტერნაციონალის ბელადები, მენშევიკები და ზემარჯვენე ესერები, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ამ გმირულ, მაგრამ ზეცნიერულად დასაბუთებულ გეგმას შეზღვენენ სიძულვილითა და დაცინვით—ყველა ისინი ამ გეგმების ჩაფუშვას, სოციალიზმის აშენების შეუძლებლობას და კაპიტალიზმის რესტავრაციის აუცილებლობას წინასწარმეტყველებდნენ. ისტორიამ სამარცხინოდ დასცინა მათ.

საბჭოთა ხალხი მიდიოდა გაუკვალავი გზით, თავისი განვითარების გზაზე ძლევდა რა სიძნელეებსა და ვაჭირვებას, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა.

პარტიისა და საბჭოთა ხალხის საქმიანობის მთავარი შედეგია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, რომელსაც ნსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. კაცობრიობა

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 213—214.

შეიარაღდა განოცდილებით. შემოწმებული მეცნიერებით, სოციალისტური ალიზმის შექმნისა და განვითარების შესახებ. პარტიის მეორე პროგრამის განხორციელების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ დიდმნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა — პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ, იდეოლოგიურ და ეროვნულ ურთიერთობის დარგში. ამ კოლოსალურ გარდაქმნების შედეგად არსებითად შეიცვალა საბჭოთა ადამიანების სულიერი განწყობილება და ცხოვრების პირობები.

გაიზარდა და განმტკიცდა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, სახე იცვალა მსოფლიო რუქამ. 1919 წლისათვის სოციალისტური სამყაროს ფართობი 16 პროცენტს, ხოლო მოსახლეობა 7.8 პროცენტს შეადგენდა, 1961 წლისათვის კი ფართობი 25.9 პროცენტამდე, ხოლო მოსახლეობა 35.5 პროცენტამდე გაიზარდა; ანავე პერიოდში დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და ნათი კოლონიების ფართობი 44,5 პროცენტიდან 13,7 პროცენტამდე ხოლო მოსახლეობა 48,1 პროცენტიდან 17,9 პროცენტამდე შემცირდა. კოლონიების, ნახევრად კოლონიების და დომინიონების ფართობი 77,2 პროცენტიდან 10,5 პროცენტამდე და მოსახლეობა 69,2 პროცენტიდან 2,8 პროცენტამდე შემცირდა. აქედან აშკარად ჩანს თუ თანამედროვეობის რევოლუციურმა ძალებმა, როგორ უცვალეს საე მსოფლიოს, იმპერიალიზმმა სამუდამოდ დაკარგა თავისი ბატონობა.

ჩვენს ეპოქაში საზოგადოების წინსვლითი განვითარების ძირითადი შედეგია მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა, რომელიც სულ უფრო მეტად აბდენს თავის გავლენას კაპიტალიზმის განვითარების ბედზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრახი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად დაიწყო ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების ერა, კოლონიალიზმის ნაწიხურევეებზე აღმოცენდა 42 სუვერენული სახელმწიფო 1,5 მილიარდი მოსახლეობით. მსოფლიო განვითარების შედეგია კაპიტალიზმის ყოველმხრივი დასუსტება, მისი საერთო კრიზისის ახალი გამწვავება. ცხოვრებამ მთლიანად დადასტურა იმპერიალიზმის ლენინური ანალიზი. მკვეთრად გაიზარდა კაპიტალიზმის ეკონომიური მერყეობა და კაპიტალისტური სახელმწიფოების განვითარების უთანაბრობა, შენელდა ეკონომიური განვითარების ტემპები, გახზარდა ეკონომიური კრიზისები, სწარმოებს წარმოების მილიტარიზაცია, სამხედრო ბიუჯეტების განუწყვეტელი ზრდა, ადგილი აქვს საწარმოო აპარატის ქრონიკულ დაუტვირთაობასა და მა-

სობრივ უმუშევრობას, გაძლიერდა მსოფლიო კაპიტალიზმის პოლიტიკური მერყეობა.

ახლა, როცა კაპიტალიზმს საბოლოოდ გაუტყდა სახელი, მისი დამცველები ცდილობენ შეიმუშაონ ისეთი რეცეპტი, რომელიც „ნიმშიდგელს“ გახდიდა დრონოკნულ კაპიტალიზმს მშრომელთა თვალში. იგონებენ ათასგვარ მითს, რათა შეალამაზონ კაპიტალიზმის ფასადი და მით გაანაგრონ კაპიტალიზმის პოზიციები, საქმეს ისე სახავენ თითქოს კაპიტალიზმი იცვლის ბუნებას და ხდება მისი ევოლუცია სოციალიზმისაკენ. მაგრამ დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენს ეპოქაში კაპიტალიზმს სხვა პერსპექტივა არა აქვს გარდა დაღუპვისა — იმპერიალიზმი უძღურია შეაჩეროს ეს პროცესი, რომელიც თავის ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება.

* * *

სოციალიზმის სრულმა და საბოლოო განარჯვებამ სსრ კავშირში ისე, როგორც თავის დროზე სოციალისტური რევოლუციის განარჯვებამ, გამოიწვია პარტიის პროგრამის შეცვლის აუცილებლობა. ნოვლენათა მსვლელობამ წამოაყენა მთელი რაღი ახალი საკითხები, რომელთა ასახვა აუცილებელი იყო პროგრამაში. ჯერ კიდევ პარტიის VIII ყრილობაზე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა რა ჩვენი ეკონომიკის მრავალწყობიანობას ამბობდა:

„როცა თავს დავაღწევთ (ქვეყნის ეკონომიკის მრავალწყობიანობას — ე. ბ.), მაშინ ჩვენ სავა პროგრამას შევქმნით, მაგრამ მაშინ ჩვენ უკვე სოციალისტურ საზოგადოებაში ვიცხოვრებთ“¹.

ცხადია, რომ ჩვენი პარტიის არსებული პროგრამა აღარ შეეფერება იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა სსრ კავშირში 1919 წლის შემდგომ, პროგრამა კი პარტიის მოღვაწეობის წინ უნდა იდგეს, ის უნდა მოუწოდებდეს პარტიას წინსვლისაკენ იმის მოსაპოვებლად, რაც ჯერ კიდევ არაა მოპოებული.

საბჭოთა ხალხის რევოლუციურმა გმირობამ და ტიტანურმა შრომამ აღაფრთოვანა და აამოძრავა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხები, მსოფლიოს გადაუქროლა ნაციონალ-განათავისუფლებელი მოძრაობის ქარიშხალმა. სსრ კავშირის განარჯვებას მეორე მსოფლიო ომში მოყვა სოციალისტური რევოლუციების განარჯვება ევროპისა და აზიის რიგ სახელმწიფოებში. მსოფლიო

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 143.

კაპიტალისტური სისტემის გვერდით აღმოცენდა მსოფლიო ალისტური სისტემა. ახლა კაცობრიობის ერთი ნესამედი დარაზმულია ნეცნიერული კომუნისზმის დროშის ქვეშ და აშენებს ახალ ცხოვრებას.

სკკპ პარტია ყოველთვის თვალისჩინივით იცავდა, ანვითარებდა და წინ სწევდა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ჩვენი პარტიის ძალა სწორედ იმაშია, რომ დვი შეიარაღებულია რევოლუციური თეორიით — მეცნიერებით ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ. მარქსისტულ-ლენინური თეორია მუდამ ცოცხალი შემოქმედებითი მეცნიერებაა, რომელიც ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. მისთვის უტბოა დოგმატიზმი, იგი განუწყვეტლივ მდიდრდება ახალი გამოცდილებით, ახალი ცოდნით, ახალი დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც ახალ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას შეესაბამებიან. ამ აზრით სკკპ პარტიის XX ყრილობის უდიდესი დამსახურება იმაშიდაცაა, რომ მან ნიილო გადაწყვეტილება ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ, რომელშიც განზოგადოებული უნდა ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნისზმის მშენებლობისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოცდილება, ყრილობის ეს გადაწყვეტილება შესრულებული იქნა.

ახლა სკკპ პარტიამ მიილო თავისი მესამე პროგრამა, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა. სკკპ პარტია შევიდა თავისი გმირული ბრძოლისა და შრომის ახალ ეტაპში — კომუნისზმის მშენებლობის ეტაპში. ახალ პროგრამაში შემოქმედებითადაა განზოგადოებული სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოცდილება, პროგრამა წარმოადგენს პარტიის კოლექტიური აზრის ნაყოფს. იგი განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის მთავარ ამოცანებსა და ძირითად ეტაპებს. პარტიის პროგრამის თეორიულ ნაწილში ასახვა ჰპოვა სკკპ პარტიის XX და XXI ყრილობების, კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირების თეორიულმა დებულებებმა და დასკვნებმა; სოციალიზმიდან კომუნისზმში გადასვლის კანონზომიერებათა შესახებ, სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შესახებ, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ისტორიული გარდუვალობისა და ამ გადასვლის მშვიდობიანი და არამშვიდობიანი გზების შესახებ, მსოფლიო სოციალისტური ქვეყნების განვითარების საერთო კანონზომიერებათა შესახებ, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან მსოფლიო ომების გამორიცხვის

რეალური შესაძლებლობის შესახებ, სოციალიზმის ქვეყნების კომუნისტურ ნიშნებში მეტად თუ ნაკლებად ერთდროული გადასვლის შესახებ, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დაახლოებასა და შერწყმის შესახებ, კომუნისტური პირობებში სახელმწიფოს კვდომისა და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებაში გადასვლის შესახებ და სხვა.

საკვ პარტიის პროგრამაში, რომელშიც მეცნიერული სინთეზითაა ჩამოყალიბებული ჩვენი ეპოქის დახასიათება, ნათქვამია:

„თანამედროვე ეპოქა, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, არის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის მსხვერვის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე სულ ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნისტური განარჯვების ეპოქა. თანამედროვე ეპოქის ცენტრში დგანან საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი მთავარი ქმნილება—სოციალიზმის მსოფლიო სისტემა“¹.

ამგინად, როცა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის გვერდით მსოფლიო სოციალისტური სისტემაც არსებობს, როცა ისტორიამ დღის წესრიგში დააყენა კოლონიალიზმის სისტემის სრული ლიკვიდაციის საკითხი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური სახელმწიფოების მჭიდრო თანამშრომლობას, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობას. კომუნისტური პარტიები მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ავანგარდია, ისინი იწრობიან და მტკიცდებიან ოპორტუნისტულ მიმდინარეობებთან ბრძოლაში, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისაგან ოდნავ გადახვევასაც კი გარდუვლად მივყევართ რევოიონიზმის ქაობში.

კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თანამედროვე რევოიონიზმთან, რომელსაც განსაკუთრებით კონცენტრირებული სახე მისცა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელობამ.

* * *

საკვ პროგრამა ჩვენი ეპოქის დიდი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია, მასში, პირველად კაცობრიობის

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, სახელგამი, 1961, გვ. 5.

მთელი ისტორიის მანძილზე წამოყენებულია კომუნისტური საზოგადოების აზნების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმა. ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახულია წარმატაცი პერსპექტივები. პროგრამაში ჩამოყალიბებული დებულებანი და დასკვნები კანონზომიერი განგრძობაა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“-ს იდეებისა, ახალი პროგრამა ღირსეული მემკვიდრეა ორი წინა პროგრამისა. მასში ჩამოყალიბებულია კომუნიზმის ისტორიული მისია, ყველა ადამიანის განთავისუფლებისა სოციალური უთანასწორობისაგან, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმისაგან, ომის საშინელებათაგან და ამკვიდრებს დედამიწაზე მშვიდობას, შრომას, თავისუფლებასა და ბედნიერებას.

სკკპ პროგრამა მოასწავებს ახალ ეტაპს მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში, რამდენადაც იგი ნათელ პასუხს იძლევა კომუნიზმისათვის ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის ყველა ძირეულ საკითხზე — თანამედროვე მსოფლიოს განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. პროგრამა გამოხატავს მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის ერთიანობას და განუყოფლობას, მასში პირველად განსაზღვრულია ჩვენი სამშობლოს წინსვლითი განვითარების პერსპექტივები ისტორიულად ესოდენ მნიშვნელოვანი პერიოდისათვის. პარტიის ახალი პროგრამა მთელი საბჭოთა ხალხის მოქმედების პროგრამაა. სკკპ პროგრამა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის განსაზღვრება და წარმოადგენს კომუნისტური ჰუმანიზმის უდიდეს დოკუმენტს, რომელიც გამსჭვალულია მშვიდობისა და ხალხთა ძმობის იდეებით. იგი სრული განსაზღვრებაა პარტიის ლოზუნგისა „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

პროგრამაში პირველად მოცემულია კომუნიზმის მეცნიერული განსაზღვრა.

„კომუნიზმი არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდებიან მუდამ განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიდი პრინციპი „თვითულისაგან — უნარის მიხედვით, თვითუღს — მოთხოვნილების მიხედვით“. კომუნიზმი თავისუფალ და შევგებულ მშრომელთა მალალორგანი-

ზებული საზოგადოებაა, რომელშიც დამკვიდრდება საზოგადოებრივი თვითმართველობა, საზოგადოების საკეთილდღეო შრომა ყველასათვის გაზდება პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება და შეგნებული აუცილებლობა, თვითეულის უნარი გამოყენებული იქნება უდიდესი სარგებლობით ხალისათვის¹.

კომუნიზმი კაცობრიობის საუკუნოებრივი ოცნება იყო, მაგრამ მხოლოდ მარქსიზმის კლასიკოსებმა შესძლეს შეემუშაებიათ ზეცნიერული კომუნიზმის თეორია, მისი განხორციელების რეალური გზები და საშუალებანი, მათი თვალი ნამდვილად სწვდებოდა საუკუნეს. ახლა ჩვენს პროგრამაში კომუნიზმის პრინციპებს კონკრეტული-პრაქტიკული შინაარსი ეძლევა.

პროგრამაში მოცემულია კომუნისტური საზოგადოების დახასიათება, სოციალიზმისაგან განსხვავებით, კომუნისმი ვითარდება თავის საკუთარ ბაზაზე — წინასწარ განსაზღვრავს მისი შექმნის პროცესის თავისებურებებს, გამოირიცხავს კლასობრივ ბრძოლას, ღრმა სოციალურ რევოლუციას და პროლეტარიატის დიქტატურას, ამიტომ კომუნისმის მშენებლობა ხორციელდება უაღრესად დემოკრატიული მეთოდებით, საზოგადოებისათვის აღარ იქნება ის სიძნელებები, რომელსაც წარმოშობდა კლასობრივი ბრძოლა ქვეყნის შიგნით.

პროგრამის განხორციელების ისტორიული ჩარჩოები მოქცეულია 20 წელიწადში. ამ პერიოდში ჩვენ ძირითადად უნდა ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება. ეს ნიშნავს: **ეკონომიურ დარგში:** შეიქმნება კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სსრ კავშირი გაუსწრებს ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ დონეს და დაიკავებს პირველ ადგილს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. **სოციალურ დარგში:**

მოხდება კლასობრივი განსხვავების ნაშთების ლიკვიდაცია და მათი შერწყმა კომუნისმის მშრომელთა უკლასო საზოგადოებათ, ქალაქსა და სოფელს შორის, ხოლო შემდეგ ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაცია, გაიზრდება ერების ეკონომიური და იდეური ერთიანობა, განვითარდება კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ნიშნები, რომელშიც პარმონიულად იქნება შებამებული მაღალიდეურობა, ფართო განათლება, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, სახელგამი, 1961, გვ. 69—70.

პოლიტიკურ დარგში: ყველა მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმეების წართვაში, სოციალისტური დემოკრატიის ფართოდ გაშლისა და განვითარების შედეგად საზოგადოება მოემზადება კომუნისტური თვითმართველობის პრინციპებზე გადასასვლელად.

ამჟამად ჩვენი პარტია უშუალო პრაქტიკულ ამოცანად ისახავს კომუნისტური საზოგადოების აშენებას, ორი ათეული წლის მანძილზე უნდა შეიქმნეს კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს არის ჩვენი პარტიის მთავარი ეკონომიური ამოცანა. მისი გენერალური ხაზის საფუძველი. კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენება ძირითადი რგოლია ეკონომიური, სოციალური და კულტურული ამოცანების ჯაჭვში — ამ ამოცანის გადაჭრა საშუალებას მოგვცემს — შევქმნათ უმაგალითო სიმძლავრის საწარმოო ძალები, უდიდესი შრომის ნაყოფიერებითა და მატერიალური დოვლათის წარმოებით, მოვამზადოთ ნიადაგი მთხრონილების მიხედვით განაწილებაზე გადასვლისათვის, თანდათანობით გარდავექნათ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა კონუნისტურ ურთიერთობად. მხოლოდ კონუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების გზით შეიძლება მოვიგოთ ეკონომიური შეჯიბრება კაპიტალიზმთან.

ახალი პროგრამის პროექტში წარმოდგენილი ციურები ნათელ წარმოდგენას იძლევიან პარტიისა და ხალის წინაშე მდგომი ამოცანების სიდიადეზე.

მომავალი 20 წლისათვის კაპიტალური დაბანდებანი სსრ კავშირის საბალო მეურნეობაში გათვალისწინებულა დაახლოებათ ორი ტრილიონი მანეთის რაოდენობით. 20 წლის ბოლოსათვის სსრ კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქცია 1960 წელთან შედარებით გაიზრდება 6,2—6,4-ჯერ; აქედან წარმოების საშუალების წარმოება 6,8—7-ჯერ, მოხმარების საგნების წარმოება 5—5,2-ჯერ, ელექტროენერჯის წარმოება 9,2—10-ჯერ, ფოლადის გამოდნობა 3,8-ჯერ, ნავთობის წარმოება 4,7—4,8-ჯერ, ქვანახშირის ამოღება 2,3—2,34-ჯერ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია 9,8—11-ჯერ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება 9,8—10,1-ჯერ, მოხმარების საგნების პროდუქცია დაახლოებით 5-ჯერ, 1980 წლისათვის სსრ კავშირი შორს მოიტოვებს აშშ ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მოცულობის მხრივ. ამ დროისათვის ჩვენს ქვეყანას ექნება ყველაზე განვითარებული მძიმე ინდუსტრია, დიდათ განვითარებული მწარმოებლური ძალები და მატერიალური სიმდიდრე.

პროგრამაში წინოყენებულია კომუნისმისაკენ სოფლის წინსვლასთან დაკავშირებული პერსპექტივები. სოფლის მეურნეობის ხაზით პარტია აყენებს ამოცანას მიღწეული იქნას საზოგადოების უზვად დაკმაყოფილება მაღალხარისხისაგან პროდუქტებით, ხოლო წარმოებისა ნედლეულით. საწარმოო ძალების აღმავლობის ბაზაზე მიღწეული იქნება საბჭოთა სოფლის თანდათანობითი გადასვლა კომუნისტურ შრომითობაზე — ძირითადად მოვხდენით ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების ლიკვიდაციას, ადამიანთა მზარდი მატერიალური და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოითხოვს მატერიალური წარმოების უაღრესად მაღალ დონეს — პარტიის პროგრამა ითვალისწინებს, რომ 20 წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა გადიდდეს დაახლოებით 3,5-ჯერ, მარცვლეულის საერთო წარმოება ერთი-ორად და მეტად, ხორცისა თითქმის 4-ჯერ, რძისა თითქმის 3-ჯერ, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანის გადაჭრაში კიდევ უფრო გაიზრდება საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების როლი. შესაბამისად მნიშვნელოვნად იზრდება კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში.

ოცი წლის ბოლოსათვის სსრ კავშირში იქნება ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე კაპიტალიზმის ყველა ქვეყანასთან შედარებით. პირველად ისტორიაში მთლიანად და სავსებით მოისპობა ადამიანთა ხელმოკლეობა. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 20 წლის ბოლოსათვის გაიზრდება 3,5-ჯერ და მეტად, სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი ამავე პერიოდში გაიზრდება 5-ჯერ და 1980 წლისათვის მისი ყოველწლიური მოცულობა მიაღწევს 720—750 მილიარდ მანეთს, ე. ი. 1980 წელს მოსახლეობის ყველა ფენისათვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური დოვლადის სიუხვე. ყოველი ღონისძიებით განვითარდება საზოგადოებრივი კვება. 20 წლის ბოლოსათვის ყოველი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება უფასო კეთილმოწყობილი ბინებითა და ძირითადი კომუნალური მომსახურებით, მნიშვნელოვნად შემოკლებულია სამუშაო დღე, — სსრ კავშირი იქნება მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა, გაქრება მცირეხელფასიანი მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიები, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გაფართოების ხარჯზე მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება ყველა შრომის უუნაროთა შენახვა საზოგადოების ხარჯზე.

„საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გრან-

დიოზული პროგრამის შესრულებას, — ნათქვამია პროგრამაში, — მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ექნება. პარტია მოუწოდებს საბჭოთა ხალხს იზრუნოს ბეჯითად, შთაგონებით, თვითუღმა მშრომელმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შესრულებითავე ბრძოლაში¹.

* * *

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ადამიანთა აღზრდა კომუნიზმის სულისკვეთებით — ახალი ადამიანის ფორმირება. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი რსფსრ მასწავლებელთა ყრილობაზე თავის სიტყვაში ამბობდა:

„ახლა ჩვენ ვანხორციელებთ ორ ისტორიულ ამოცანას — ვქმნით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ვზრდით ახალ ადამიანს. „არსებითად ეს ერთიანი პროცესია“².

კომუნისტური ეკონომიკის ჩამოყალიბება, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება და ახალი ადამიანის ფორმირება ერთნაწილიან ორგანულად დაკავშირებული პროცესებია.

კომუნიზმზე გადასვლის პროცესში სულ უფრო იზრდება ზნეობრივი საწყისების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ფართოდდება მორალური ფაქტორების მოქმედების სფერო და შესაბამისად მცირდება ადამიანთა ურთიერთობის ადმინისტრაციული რეგულირების მნიშვნელობა.

კომუნიზმი კაცობრიობისა და პიროვნების უმაღლესი აყვავებაა. კომუნისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრება, შრომითი აღზრდა, კომუნისტური მორალის განმტკიცება, კულტურული განვითარება — ახალი ადამიანის თვისებებია. ახალი ადამიანების ფორმირება უნდა მოხდეს, როგორც სახელმწიფო-პარტიულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმზრდელითი ზეგავლენით, ისე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ზეგავლენითაც.

ახალი ადამიანების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება — საბჭოთა საზოგადოების შეიარაღებას მოწინავე მეცნიერული მსოფლმხედველობით.

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრეტრამა სახელგამი, 1961, № 110 — 111.

² ნ. ს. ხრუშჩოვი, სიტყვა მასწავლებელთა სრულად რუსეთის ყრილობაზე 1960 წ. 9 ივლისს. გაზ. „კომუნისტი“, 1960, 10 ივლისი.

2. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XXIV, 1962.



F29223

„მილიონობით ადამიანის მსოფლმხედველობა ისტორიაში პირველად ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერულ საფუძველს, მარქსიზმ-ლენინიზმისა, რომელიც ვახდა ძალბთა მასების იდეური იარაღი უკეთესი ცხოვრებისათვის, კომუნისმის განარჯვებისათვის ბრძოლაში. მარქსიზმ-ლენინიზმმა კაცობრიობა გაიყვანა სწორ, ზუსტად გამოანგარიშებულ ისტორიულ ორბიტაზე, რომელსაც ნათელ კომუნისტურ საზოგადოებაში მივყავართ“¹.

პიროვნების კომუნისტური აღზრდის, ყოველმხრივი განვითარების საფუძველი შემოქმედებითი შრომაა, შრომა არის ადამიანთა არსებობისა და განვითარების წყარო.

ამ ამოცანების შესაბამისად პროგრამის პროექტში წამოყენებულია ღონისძიებათა ფართო სისტემა — იდეოლოგიის, აღზრდის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდი თაობის აღზრდას. პროგრამის პროექტში ჩამოყალიბებულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლის აღზრდის, ზალალი ზნეობრივი თვისებების გამომუშავების გზები და საშუალებანი, კომუნისმის მშენებელი ადამიანის მორალური კანონები.

* * *

დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების გამაღებული შეიარაღებისა და ომით მუქარის პირობებში სკკ პარტიის პროგრამა საქვეყნოდ აცხადებს ხალბთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ნათელ პრინციპებს. საბჭოთა ქვეყანა მტკიცედ აბორციელებს რა მშვიდობის პოლიტიკას, ამასთან ავალებს პარტიის ფხიზლად ადევნოს თვალყური მტრების აგრესიულ ხრიკებს, განამტკიცოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და შეინარჩუნოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა იმ დონეზე, რაც უზრუნველყოფს მტრის სრულ განადგურებას, რომელიც გაბედავს ბელყოს ჩვენი სამშობლო.

სკკ პარტიის პროგრამამ, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ხალბის ნათელ მომავალს, მათ სასიცოცხლო ინტერესებს, მისწრაფებებსა და იმედებს, ცხოველი გამომხაურება ჰპოვა და მთელი საბჭოთა ხალბის საყოველთაო მოწონება დაიძსახებრა.

¹ ნ. ს. ბრუნიტოვი, მოახუნება სკკ პროგრამის შესახებ 1961 წ. 13 ოქტომბერს, გაზ. „კომუნისტი“, 1961 წ., 21 ოქტომბერი, გვ. 8.

სკკპ პროგრამის ყოველი დებულება გამსჭვალულია ჩვენი სამშობლოს შემდგომი ძლიერების ზრდის, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის ზრუნვით. საბჭოთა ადამიანებს დიდათ ახარებს — პარტიის ახალი პროგრამა, რომელშიც ისინი თავის საკუთარ ბედნიერ მომავალს ხედავენ.

რევოლუციონერთა მთელი თაობები შეეწირა კაცობრიობის ამ სანუკვარ მიზანთა განხორციელებისათვის ბრძოლას, მხოლოდ სკკპ, რომელიც ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით გაუკაფა გზა საბჭოთა ადამიანებს — მთელ კაცობრიობას კომუნიზმის წვევრვალებისაკენ. დღეს თვითეული საბჭოთა მოქალაქე რწმენით შესცქერის თავის სამშობლოს, მის მომავალს, რომელიც ზედღზედ იპყრობს სიმაღლეებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე და სიამაყის გრძობით წარმოსთქვამს პროგრამის დიდებულ სიტყვებს:

„საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს“.

ჩვენი პარტიის იდეები და მიზნები, რომელიც მეცნიერული სიზუსტით ჩამოყალიბებულია ყრილობის დოკუმენტებში, შორს გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიოს ყველა კონტინენტის ათეულ მილიონობით კეთილი ნების ადამიანების გულსა და გონებას დაეუფლა.

სკკპ პროგრამა მოიწონა ყველა ქვეყნის კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, რომელთა წარმომადგენლობადაც სკკპ XXII ყრილობის ტრიბუნლიდან მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს პროგრამას — უწოდეს რა მას ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტი და თავიანთი ზოქმედების პროგრამა.

სკკპ პროგრამა პასუხს იძლევა თანამედროვეობის ყველა აქტუალურ პრობლემებზე და შეესაბამება მთელი კაცობრიობის ინტერესებს იგი უდიდეს გამარევიოლუციონერებელ და გარდამქმნელ გავლენას ახდენს კაცობრიობის ბედზე — სკკპ პროგრამას მთლიანად და სავსებით შეესაბამება პარტიის მეორე პროგრამის ლენინური შეფასება,

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომ მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც ჩვენ ვაცილებით ზეტი გვეყავს მოკავშირეები და მეგობრები, ვიდრე ჩვენ ვიცით, ჩვენი პროგრამის უბრალო თარგმანი საუკეთესო პასუხი იქნება კითხვაზე, თუ რა გააკეთა რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატის ერთ-ერთი რაზ-

მია. ჩვენი პროგრამა უძლიერესი მასალა იქნება პროპაგანდისა და აგიტაციისათვის, ის დოკუმენტი იქნება, რომლის საფუძველზედაც მუშები იტყვიან: „აქ არიან ჩვენი ამხანაგები, ჩვენი ძმები, აქ კეთდება ჩვენი საერთო საქმე“¹.

სკკპ გამოხატავს რა საბჭოთა ხალხის სისხლხორცეულ ინტერესებს ღირსეულად ასრულებს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის ხელმძღვანელ როლის საპატიო მისიას.

სკკპ პარტია, რომელიც წარმოიშვა, როგორც მუშათა კლასის პარტია, ახლა მთელი საბჭოთა ხალხის პარტია გახდა, პარტია და ხალხი შეკავშირებულია ინტერესებისა და მსოფლმხედველობის ერთიანობით.

კომუნისზმი აღარ არის არც „აჩრდილი“ და არც „ოცნება“, იგი საბჭოთა ხალხის უშუალო პრაქტიკული ამოცანაა — ამიტომ სავსებით გასაგებია ის დიდი აურზაური და გაბოროტება, რომელიც სკკპ პროგრამის გამოქვეყნებამ გამოიწვია ბურჟუაზიულ წრეებში. ნათ ჩვენი პარტიის ამ გაბედულ, მაგრამ რეალურ გეგმას, ისე როგორც ყოველთვის, ბოლშევიკური პროპაგანდა უწოდებს, ძველი არსენალიდან გადმოალაგეს ცნობილი სიტყვები: „პროგრამის შესრულება შეუძლებელია“, „უტოპიაა“, „ილუზიაა“, ზოგმაც კიდევ „პაერის კოშკები“ უწოდა. ეჭვი არაა, ისე როგორც ყოველთვის ბურჟუაზიის იდეოლოგები აპუჯერადაც იმედგაცრუებული დარჩებიან. გმირი საბჭოთა ხალხი, შეიარაღებული ჩვენი ეპოქის ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტით, მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირნათლად შეასრულებს კომუნისზმის მშენებელი თაობის ისტორიულ ამოცანას.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 252.



3. ი რ ე მ ა ქ ე

კომუნისმის მატერიალურ-ბაზისური ბაზა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საბჭოთა ხალხისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა, ჩვენი პარტიისა და მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ცხოვრებაში.

ყრილობის მიერ მიღებული სკკპ ახალი პროგრამა და წესდება მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური და თეორიული დოკუმენტებია. პარტიის ახალ პროგრამაში მეცნიერული სიზუსტით აქვს გაკეთებული ანალიზი თანამედროვე ცხოვრების ყველა მხარეს და, საზოგადოების განვითარების ობიექტური ეკონომიური კანონების შესანიშნავი გამოყენების საფუძველზე, ნაჩვენებია ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ — კომუნისმისაკენ კაცობრიობის წინსვლის გზები. პროგრამაში შეჯამებული და განზოგადებულია მუშათა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის უდიდესი მიღწევები და გამოცდილებანი, ნაჩვენებია მსოფლიო სოციალისტური სისტემის მზარდი როლი და უპირატესობანი კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის წინაშე. მასში შემოქმედებითად არის განვითარებული და განხილული კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ისტორიული გარდუვალობის, ოქტომბრის რევოლუციისა და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის, მუშათა კლასის საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ბურჟუაზიული და რეფორმისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხები. ამ საკითხების მეცნიერული განხილვის საფუძველზე გამოტანილია ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის დასკვნა, რომ **კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გადასვლა კაცობრიობის განვითარების გზაა.**

პარტიის პროგრამაში შეჯამებულია კომუნისტური პარტიის ბელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ გაწეული გმირული შრო-

მისა და ბრძოლის ბრწყინვალე შედეგები, მოცემულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მთავარი ამოცანები და ეტაპები — მასში განსაზღვრულია სკკპ და საბჭოთა ხალხის ამოცანები კომუნისზმის მშენებლობის პერიოდში ეკონომიკის, პოლიტიკისა და იდეოლოგიის დარგში.

ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ცხადია, რომ ჩვენი პარტიის პროგრამის მნიშვნელობა სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს, იგი მსოფლიოს ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიისა და ყველა მშრომელის სამოქმედო პროგრამაა. სკკპ ახალ პროგრამას სრულიად სამართლიანად ეწოდება ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტი.

საბჭოთა ხალხისათვის კომუნისზმის აშენება უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა. პარტიის პროგრამა მოიცავს კომუნისზმის მშენებლობის ყველა მხარეს: ეკონომიურს, პოლიტიკურს და იდეოლოგიურს. კომუნისზმის აშენების ამოცანა მოითხოვს ეკონომიურ დარგში — კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას; პოლიტიკურ დარგში — კომუნისზმის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმირებას, ხოლო იდეოლოგიურ დარგში — ახალი ადამიანის, კომუნისზმის მშენებელი ადამიანის აღზრდას. კომუნისზმის მშენებლობის ეს ამოცანები ერთმანეთისაგან იზოლირებულად კი არ ხორციელდება, არამედ ერთდროულად და ურთიერთკავშირსა და გაპირობებულობაში.

ახალი პროგრამის კონკრეტულობა თავის ნათელ გამოხატულებას პოულობს ეკონომიურ განყოფილებაში, რომელიც მიძღვნილია კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანათა ჩამოყალიბებისადმი.

პარტია ყოველთვის იცავდა და იცავს ლენინის გენიალურ მითითებას იმის შესახებ, რომ „კომუნისზმს ჩვენ მხოლოდ მაშინ ვაფასებთ, როცა ის ეკონომიურად არის დასაბუთებული“¹.

პარტიის პროგრამის ძირითადი დებულებანი გამომდინარეობენ საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების ობიექტური კანონზომიერების ანალიზიდან, რაც შესაძლებელი ხდება საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონების შეცნობისა და გამოყენების შედეგად. ეკონომიური კანონების ცოდნა პარტიას საშუალებას აძლევს თავისი პროგრამა ააგოს მეცნიერულ გაანგარიშებათა საფუძველზე.

¹ ვ. ი ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 214.

ვ. ი. ლენინი სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობაზე ამბობდა: „ჩვენი პარტიის პროგრამა არ შეიძლება მარტო პარტიის პროგრამად დარჩეს. ის უნდა გადაიქცეს ჩვენი სამეურნეო მშენებლობის პროგრამად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უვარგისია აგრეთვე როგორც პარტიის პროგრამა“¹.

სკკპ ახალი პროგრამა სავსებით გამოდის ლენინის ამ მითითებებიდან. პროგრამაში მოცემულია კომუნისმის აშენების ეკონომიურად დასაბუთებული ამოცანები და ამ ამოცანების განხორციელების კონკრეტული გზები და ვადები.

პარტიის პროგრამაში წამოყენებულია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — ოცი წლის განმავლობაში ძირითადად ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება.

პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულია მთავარი ეკონომიური ამოცანა — ორ ათეულ წელიწადში შექმნან კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოთ მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვე, რაც აუცილებელია ადამიანთა მზარდი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. 1950 წლისათვის სსრ კავშირს ექნება თავის განკარგულებაში სიმძლავრის მიხედვით უმაღალითო საწარმოო ძალები, ტექნიკური დონით და ერთსულ მცხოვრებზე პროდუქციის წარმოების მხრივ ჩვენი ქვეყანა დაიკავებს მსოფლიოში პირველ ადგილს. ეხებოდა რა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საკითხს, ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ამბობდა: „...ჩვენი პარტია სავსებით სწორად, ლენინურად, მეცნიერულად მოიქცა, თავის პროგრამაში რომ შეიტანა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დეტალურად დამუშავებული პერსპექტიული გეგმა. მარქსიზმ-ლენინისმის ფუძემდებლები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მას შემდეგ, რაც სოციალიზმი მეცნიერება გახდა, მას სწორედ ისე უნდა მოვექცეთ, როგორც მეცნიერებას. ჩვენი პროგრამა, როგორც პარტიის მეცნიერული პროგრამა, არაფრად არ ივარგებდა, თუ მასში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას საფუძვლად არ დაედებოდა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა“².

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 633.

² კომუნისტური მშენებლობის თანანდობიერე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუზოგბეების დარგში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1962 წლის 5 მარტს, გახეთი „კომუნისტი“, 6 მარტი 1962 წ., № 54 (12263).

რა არის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა? როგორია ამ ბაზის შექმნის ძირითადი მიმართულებანი და როდის შეიძლება ჩავთვალოთ გადაჭრილად მისი შექმნის ამოცანა?

პარტიის პროგრამაში მოცემულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფილი განმარტება. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა „ნიშნავს: ჩვენი ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას და ამ საფუძველზე ტექნიკის, ტექნოლოგიისა და სასო.გადობრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში; საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას, მათს სულ უფრო სრულ ავტომატიზაციას; ქიმიის ფართოდ გამოყენებას სახალხო მეურნეობაში; წარმოების ახალი, ეკონომიურად ეფექტური დარგების, ახალ სახეობათა ენერჯისა და მასალების ყოველმხრივ განვითარებას; ბუნებრივი, მატერიალური და შრომათა რესურსების ყოველმხრივ და რაციონალურ გამოყენებას; წარმოებასთან მეცნიერების ორგანულად შეერთებას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფ ტემპებს; მშრომელთა მაღალ კულტურულ-ტექნიკურ დონეს; მნიშვნელოვან უპირატესობას ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებთან შედარებით შრომის ნაყოფიერების მხრივ, რაც კომუნისტური წყობილების გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობაა“¹.

კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების გადაჭრა, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, როგორც ეს მოცემულია პარტიის პროგრამაში, ხორციელდება თანმიმდევრული ეტაპებით, ორი ათეული წლის მანძილზე. „უახლოეს ათწლეულში (1961—1970 წლებში) საბჭოთა კავშირი, რომელიც ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრავ გაუსწრებს კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ და მდიდარ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს; მნიშვნელოვნად ამაღლებს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურულ-ტექნიკური დონე, ყველასათვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური შეძლება; ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაიქცევა მაღალნაყოფიერ და მაღალშემოსავლიან მეურნეობად; ძირითადად დაკმაყოფილდება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი კეთაღმოწყობილ ბანებზე; ვაჭრება მძამე ფიზიკური შრომა; სსრ კავშირი ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა გახდება.

¹ სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1962, გვ. 456—457.

მეორე ათწლეულის შედეგად (1971—1980 წლებში) შეიქმნა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვეს მთელი მოსახლეობისათვის; საბჭოთა საზოგადოება უშუალოდ მივა მოთხოვნილებათა მისედევით განაწილების პრინციპის განხორციელებასთან, მოხდება თანდათანობით გადასვლა ერთიან საერთო-სახალხო საკუთრებაზე. ამრიგად, სსრ კავშირში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება¹.

მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრა — კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა საშუალებას მოგვცემს შევქმნათ უმაგალითო სამძლავრის საწარმოო ძალები, უზრუნველვყოთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით შრომის უდიდესი ნაყოფიერება და ამით საფუძველზე დავიკაოთ პირველი ადგილი მსოფლიოში ერთ სულ მცხოვრებზე წარმოების მხრივ, უზრუნველვყოთ მთელი მოსახლეობის ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე. მომზადდება პირობები შემდგომში მოთხოვნილების მიხედვით განაწილებაზე გადასვლისათვის. ტექნიკური პროგრესის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე შეიცვლება შრომის ხასიათი, იგი გადაიქცევა სიხარულის, შთაგონებისა და შემოქმედების წყაროდ. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა თანდათანობით გარდაიქმნება კომუნისტურ ურთიერთობად, მოისპობა არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებით მოვიგებთ ეკონომიურ შეჯიბრებას კაპიტალიზმთან და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ვიქონიებით ისეთ მტკიცე დონეზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავანადგუროთ ყოველი აგრესორი, რომელიც გაბედავს ხელი აღმართოს სსრ კავშირზე, მთელ სოციალისტურ სამყაროზე.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, უპირველესყოვლისა, მოითხოვს, მძიმე ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ტექნიკურად ხელახლა აღჭურვოთ სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგი.

მიმე მრეწველობის წინაშე დგას მთავარი ამოცანა, რომ მთლიანად უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებანი, სახალხო მეურნეობის იმ დარგების განვითარება, რომლებიც აწარმოებენ მოხმარების საგნებს ხალხის მოთხოვნილებათა, საბჭოთა ადამიანების საარსებო საჭიროებათა უკეთ და სრულად დაკმაყოფი-

¹ სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ 455—456.

ლების მიზნით, უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებში განვითარება.

პარტიის პროგრამაში მოცემულია ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის გეგმა. პარტია გამოდის ვ. ი. ლენინის მითითებებიდან იმის შესახებ, რომ „კომუნისმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“.

„...მხოლოდ მაშინ, — ამბობდა ლენინი, — როცა ჩვენი ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ტრანსპორტს შევუქმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ“¹.

როგორც პარტიის პროგრამაშია ნათქვამი, ელექტროფიკაცია კომუნისტური საზოგადოების ეკონომიკის მშენებლობის ღერძს წარმოადგენს. იგი წამყვან როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, მთელი თანამედროვე ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში. შრომის ელექტროაღჭურვილობა მრეწველობაში უახლოეს ათწლეულს მანძილზე თითქმის სამჯერ უნდა გაიზარდოს. მეორე ათწლეულში მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია ძირითადად დამთავრდება.

ელექტროსადგურების სიმძლავრე 1970 წლისათვის უნდა გაიზარდოს 190—220 მილიონ კილოვატამდე, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება — 900—1000 მილიარდ კილოვატსაათამდე. 1980 წლისათვის ელექტროსადგურების სიმძლავრე უნდა გაიზარდოს 540—600 მილიონ კილოვატამდე, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება — 2.700—3.000 მილიარდ კილოვატსაათამდე. შეიქმნება სსრ კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება სხვა სოციალისტური ქვეყნების ენერგოსისტემებთან.

ელექტროფიკაციის დარგში მოპოვებულ მიღწევათა შესახებ რომ არსებითი წარმოდგენა გვქონდეს, უნდა გავიხსენოთ, რომ მეფის რუსეთი ელექტროფიკაციის მხრივ ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო.

1913 წელს რუსეთის ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე მხოლოდ ერთიმილიონ ოთხმოცდათორმეტი ათას კილოვატს უდრიდა, ხოლო ამ სადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა 1,9 მილიარდ კილოვატსაათს არ აღემატებოდა.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 634—635.

ელექტროენერჯის წარმოების მხრივ რუსეთს ეკავა მერვე ადგილი მსოფლიოში და მეექვსე ევროპაში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ იმთავითვე დიდი ყურადღება მიაქცია ელექტროფიკაციის საქმეს.

ვ. ი. ლენინის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის პირველი პერსპექტიული გეგმა, გოელრო. გოელროს გეგმით 10—15 წლის მანძილზე უნდა აშენებულიყო 30 მსხვილი რაიონული ელექტროსადგური. ყველა ამ ელექტროსადგურების სიმძლავრე უნდა ყოფილიყო 1 მილიონ 750 ათასი კილოვატი, ხოლო ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება გაზრდილიყო 8,8 მილიარდ კილოვატსაათამდე.

გოელროს გეგმას ლენინი იმდენად დიდ შეფასებას აძლევდა, რომ მას პარტიის მეორე პროგრამა უწოდა. გოელროს გეგმა ვადაზე ადრე შესრულდა, 1931 წელში აშენებული იყო რაიონული ელექტროსადგურები 2 მილიონ 105 ათასი კილოვატის სიმძლავრის, ხოლო ელექტროენერჯის გამომუშავებამ ამ წელს 10,7 მილიარდი კილოვატსაათი შეადგინა.

1940 წლისათვის ელექტროსადგურების სიმძლავრე გაიზარდა თერთმეტი მილიონ ასოთხმოცდაცამეტი ათას კილოვატამდე, ხოლო ელექტროენერჯის წლიურმა გამომუშავებამ შეადგინა 48 მილიარდ 309 მილიონი კილოვატსაათი.

1950 წლისათვის ელექტროსადგურების სიმძლავრემ მიაღწია 19 მილიონ 614 ათას კილოვატს, ხოლო წლიურმა გამომუშავებამ — 91 მილიარდ 226 მილიონ კილოვატსაათს¹.

ელექტროფიკაციის განვითარება განსაკუთრებით დაჩქარდა უკანასკნელ წლებში. ამის ნათელსაყოფად საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ 6 წელიწადში ელექტროენერჯის წარმოება გაიზარდა 157 მილიარდი კილოვატსაათით. ეს იგივეს უდრის, რომ აგებულიყო 52 ისეთი მსხვილი ჰიდროელექტროსადგური, როგორიც არის დნებრის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც წელიწადში 3 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერჯის იძლევა.

1961 წელს ჩვენი ქვეყნის ელექტროსადგურების სიმძლავრე უდრიდა 73,7 მილიონ კილოვატს. გამომუშავებულ იქნა 327 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერჯია. ეს 160-ჯერ მეტია,

¹ ცნობები ამოღებულია წიგნიდან „Народное хозяйство СССР в 1959 году“, статистический ежегодник, Москва, 1960, стр. 193.

ვიდრე გამომუშავებული იყო რუსეთში 1913 წელს და 650-ჯერ მეტი ვიდრე — 1919 წელს.

ამჟამად ჩვენში ყოველ ოთხ თვეში მეტი ელექტროენერგია იწარმოება, ვიდრე მთელ 1952 წელს, და ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

ამასთან ერთად, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში ჩვენში შენდება ისეთი დიდი ელექტროსადგურები, რომელთა სიმძლავრე 2—3—4 და მეტ მილიონ კილოვატს უდრის.

1958 წლამდე მსოფლიოში ყველაზე უდიდესი ჰიდროელექტროსადგური იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელექტროსადგური გრენდ-კული, რომლის სიმძლავრე ერთიმილიონ 970 ათასი კილოვატია. 1958 წლის შემდეგ უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების მხრივ სსრ კავშირმა დაიკავა მსოფლიოში პირველი ადგილი.

ამჟამად ჩვენ გვაქვს 150—200—300 ათასი კილოვატის სიმძლავრის აგრევატები. მომავალში დამზადდება 500—800 ათასი კილოვატის სიმძლავრის აგრევატები. 1964 წელს ლენინგრადის ქარხანამ 500 ათასი კილოვატის სიმძლავრის გენერატორი უნდა მისცეს ენისეის ჰიდროელექტროსადგურს. 500-ათასიანი კილოვატის ერთი გენერატორის სიმძლავრე 10-ჯერ მეტი იქნება რიონჰესის სიმძლავრეზე და დაახლოებით 2,2-ჯერ გადააჭარბებს რიონჰესის, ლაჯანურჰესის, გუმათაჰესის I და გუმათჰესის II სიმძლავრეს ერთად აღებული.

ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის გეგმის შესაბამისად მომავალ ოცი წლის განმავლობაში უნდა აშენდეს: 180 მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, დაახლოებით 200 რაიონული თბოელექტროსადგური, თითოეული 3 მილიონი კილოვატის საერთო სიმძლავრისა, აგრეთვე 260 დიდი თბოელექტროცენტრალი.

აღმოსავლეთ ციმბირში განზრახულია აშენდეს რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური, რომელთა სიმძლავრე 4 მილიონ კილოვატს გადააჭარბებს თითოეული. დიდი ელექტროსადგურები აშენდება შუაზიბაში, ამიერკავკასიაში და ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებში.

ყველაზე დიდი იქნება ქვემო ობის ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 6 მილიონამდე კილოვატსაათს მიაღწევს.

უპირატესი მნიშვნელობა ექცევა თბოელექტროსადგურების მშენებლობას. მომავალში მათზე მოვა მთელი ელექტროენერგიის გამომუშავების 80 პროცენტი.

1954 წლის ივნისში, მსოფლიოში პირველად, საბჭოთა კავშირში

გაზვებული იქნა ატომური ელექტროსადგური. 1957 წელს წყალსადგურში იქნა ჩაშვებული 16 ათასი ტონა წყალწყვიის ატომური გემი „ლენინი“. 1958 წლის სექტემბერში დამთავრდა 600 ათას კილოვატი სიმძლავრის ატომური ელექტროსადგურების პირველი რიგის (100 ათასი კილოვატის სიმძლავრის) მშენებლობა.

როგორც პარტიის პროგრამა ითვალისწინებს, მომავალში ატომური ენერჯის გაიფების კვალობაზე გაჩაღდება ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ენერჯის სხვა წყაროები ნაკლებად არის.

1960 წელს მსოფლიოს ყველა ელექტროსადგურმა გამოიმუშავა 2 ტრილიონ 351 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერჯია.

3 ტრილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია, რომელსაც ჩვენი ქვეყანა 1980 წელს გამოიმუშავებს 1,5-ჯერ მეტი იქნება იმასთან შედარებით, რასაც ამჟამად აწარმოებენ მსოფლიოს ყველა დანარჩენ ქვეყანაში წელიწადში ერთად აღებული.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების ელექტროენერჯის წლიური წარმოება გაიზარდა 660 მილიარდი კილოვატსაათით, ჩვენს ქვეყანაში მომავალ 20 წელიწადში ელექტროენერჯის წლიური წარმოება გაიზარდება 2.400—2700 მილიარდ კილოვატ-საათამდე.

სკკპ XXII ყრილობის წინ დამთავრდა მსოფლიოში ყველაზე უდიდესი ვოლგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და მოხდა მისი ექსპლოატაციაში გაშვება. აღნიშნულ ელექტროსადგურს მიენიჭა პარტიის XXII ყრილობის საპატიო სახელი. ამ ელსადგურის სიმძლავრე 2,5 მილიონი კილოვატია, მის სამანქანო დარბაზში დგას 22 აგრეგატი, რომელთაგან თვითეული 115 ათასი კილოვატის სიმძლავრისაა. აღნიშნული ჰესის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა: „ვოლგის ოდესლაც უდაბურ ნაპირზე საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი ხელით აღმართეს მძლავრი კლდე — მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. აქედან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით მოსკოვის, ცენტრალური შავნიადაგეიანი ოლქების, დონბასის, ვოლგისპირეთის რაიონებში ყოველწლიურად წავა თერთმეტი მილიარდი კილოვატ-საათი იაფი ელექტროენერჯია. თქვენ რომ უკეთ წარმოიდგინოთ ამ ციფრის — თერთმეტი მილიარდი კილოვატ-საათის გრანდიოზულობა, გეტყვი, რომ ეს ხუთნახევარჯერ მეტია, ვიდრე გამოიმუშავებული იყო ელექტროენერჯია 1913 წელს რევოლუციამდელ რუსეთში, და დაახლოებით იმდენია, რამდენიც 1950 წელს გამოიმუშავა ყველა ჩვენმა ჰიდროელექტროსადგურმა“.

ვოლგის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 52-ჯერ მეტია რიონჰესის სიმძლავრეზე. ეს ელექტროსადგური იყო ვოლგის კასკადის მეექვსე ჰიდროკვანძი. ვოლგის კასკადის ჰიდროელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე შეადგენს 5 მილიონ 705 ათას კილოვატს. ხოლო ელექტროენერჯის გამომუშავება აღწევს 23 მილიარდ კილოვატსაათს წელიწადში.

ამჟამად ელექტროსადგურების მთელი სიმძლავრის 80 პროცენტი გაერთიანებულია რაიონულ ელექტროსისტემებად. მათ შორის ყველაზე მსხვილია სსრ კავშირის ევროპული ნაწალის ენერგოსისტემა. იგი აერთიანებს ელექტროსადგურებს, რომელთა საერთო სიმძლავრე 30 მილიონზე მეტი კილოვატია, და მომსახურეობას უწევს 43 ადმინისტრაციულ-ეკონომიურ რაიონს. ამასთან ერთად შექმნილია ამიერკავკასიის, ჩრდილო-დასავლეთის, შუა აზიისა და დასავლეთ ციმბირის ენერგოსისტემები. მთავრდება ცენტრალური ციმბირის ელექტროსისტემის შექმნა. მომავალში შეიქმნება სსრ კავშირის ერთიანი ენერგოსისტემა, რომელიც გაერთიანდება სხვა ქვეყნების ენერგოსისტემებთან.

ამჟამად ელექტროენერჯიას ეაწოდებთ პოლონეთსა და ფინეთს. მიმდინარე წელს ჩვენი ენერგოსისტემა შეუერთდება უნგრეთის ენერგოსისტემას, ხოლო მომავალში ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ბულგარეთის ელექტროსისტემებს.

საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე მონაცემი მოვიტანოთ ჩვენი რესპუბლიკის ელექტროფიკაციის შესახებ. 1913 წელს საქართველოში 70 ელექტროსადგური იყო, მათ შორის 11 ჰიდროელექტროსადგური. ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრე 8 ათას კილოვატს არ აღემატებოდა. ამ სიმძლავრეზე ნამდვილი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისია ითქვას, რომ მარტო რიონჰესის სიმძლავრე ექვსჯერ მეტია, ხოლო ლაჯანურჰესის თითქმის 15-ჯერ მეტი, ვიდრე საქართველოს ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე იყო 1913 წელს.

1913 წელს საქართველოს ყველა ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული იქნა 19,8 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია, რაც ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 7,9 კილოვატსაათს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო საქართველოს ენერგეტიკის სწრაფი განვითარება.

1940 წლისათვის საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრე გაიზარდა 181,3 ათას კილოვატამდე, ე. ი. თითქმის 23-ჯერ 1913 წელთან შედარებით, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობამ შეადგინა 741,7 მილიონი კილოვატსაათი.

1960 წელს საქართველოს რესპუბლიკაში გამოიმუშაებული 3.702 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ე. ი. 187-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს და 5-ჯერ მეტი ვიდრე 1940 წელს.

ამჟამად საქართველოს ელექტროსადგურები ყოველ ორ დღეში მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავენ, ვიდრე ყველა ელსადგურმა გამოიმუშავა 1913 წელს.

1960 წელს ჩვენს რესპუბლიკაში ერთ სულ მცხოვრებზე მოდიოდა 866 კილოვატსაათი ელექტროენერგია, ე. ი. დაახლოებით 108-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს და 4,3-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. გარდა ამისა, რომ რესპუბლიკის ყველა სიბერე და თბოელექტროსადგური გაერთიანებულია ელექტროგადამცემი ხაზებით, საქართველოს ენერგოსისტემა შეერთებულია აზერბაიჯანის, სომხეთის და კრასნოდარის ელექტროსისტემებთან, რაც ელექტროენერგიის მიწოდების დიდი მანევრირებისა და დეფიციტის დაფარვის საშუალებას იძლევა.

ოცწლიანი პერსპექტიული გეგმის მიზნდევით ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში 1980 წლისათვის თითქმის 40 მილიარდ კილოვატსაათამდე გაიზრდება. ამჟამად მშენებლობის პროცესშია ისეთი დიდი სადგურები, როგორც არის თბილისის თბოელექტროსადგური, რომელიც გაზზე იმუშავებს და ენგურის ჰიდროელექტროსადგური. გარდა ამისა, აშენდება მთელი რიგი ჰიდროელექტროსადგურები მდინარე რიონზე, მტკვარზე, ხრამზე და სხვ.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე ერთი მილიონ ექვსას ოცდაათი კილოვატი იქნება, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე საქართველოს ენერგოსისტემაში ამჟამად გაერთიანებული ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეა. :-

თბილისის თბოელექტროსადგური, რომლის 4 აგრეგატიდან თვითთვის სიმძლავრე 4-ჯერ მეტია ზაპისის სიმძლავრეზე, გამოუშვებს მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ამჟამად უშვებს საქართველოს ყველა ჰიდროელექტროსადგური ერთად აღებულია.

ლითონი და სათბობი თანამედროვე მრეწველობის საფუძველია, ამიტომ მისი წარმოების გადიდება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად რჩება. 20 წლის მანძილზე შავი მეტალურგიის განვითარება მიაღწევს ისეთ დონეს, რომ საშუალება გვექნება წელიწადში გამოვადნოთ დაახლოებით 250 მილიონი ტონა ფოლადი.

შვიდწლედის დავალებანი შავი მეტალურგიის დარგში წარმატებით სრულდება. 1961 წელს წარმოებული იყო ფოლადი — 70,7



მილიონი ტონა, თუჯი — 50,9 მილიონი ტონა, ნაგლინი — 55,6 მილიონი ტონა.

შეიდწლედის პირველ სამ წელიწადში ფოლადის გამოდნობა გაიზარდა 15,6 მილიონი ტონით, თუჯის — 11,3 მილიონი ტონით.

1961 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდნობილი იყო 90 მილიონი ტონა ფოლადი. 1970 წლისათვის ჩვენში გამოდნობილი იქნება 145 მილიონი ტონა ფოლადი, ე. ი. 55 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები ადნობს ამჟამად.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ფოლადის წლიური წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში გადიდდა 30 მილიონი ტონით, საბჭოთა კავშირში მომავალ 20 წელიწადში ფოლადის წლიური გამოდნობა გადიდდება 185 მილიონი ტონით.

ოცწლეულის ბოლოსათვის ჩვენი მეტალურგია გამოადნობს დაახლოებით იმდენ ფოლადს, რამდენსაც ადნობს ამჟამად ყველა სხვა ქვეყანა ერთად აღებული.

განსაკუთრებით დაჩქარდება მსუბუქი, ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება.

ყველა სახეობის სათბობის წარმოება გაიზრდება დაახლოებით 4-ჯერ. ნავთობი ჩვენში 1960 წელს ამოღებული იყო 148 მილიონი ტონა, 1961 წელს — 166 მილიონი ტონა. 1970 წელს ამოღებული იქნება 390 მილიონი ტონა, ე. ი. 42 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე ამოღებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960 წელს. 1980 წელს სსრ კავშირში ამოღებული იქნება 690—710 მილიონი ტონა ნავთობი, ე. ი. 1960 წელთან შედარებით ნავთობის ამოღება გაიზრდება 4,7—4,8-ჯერ.

1960 წელს ჩვენში ამოღებული იყო 513 მილიონი ტონა ქვანახშირი. 1970 წლისათვის ამოღებული უნდა იქნეს 686—700 მილიონი ტონა, ხოლო 1980 წელს ერთი მილიარდ ას ოთხმოცი — ერთი მილიარდ ორასი მილიონ ტონამდე, ე. ი. ქვანახშირის ამოღება ოცი წლის განმავლობაში გაიზრდება 2,3-ჯერ.

გაზის წარმოება 1960 წელს 47 მილიარდი კუბური მეტრიდან 1980 წლისათვის მიაღწევს 680—720 მილიარდ კუბურ მეტრამდე, ანუ გაიზრდება 14,4—15,2-ჯერ.

პროგრამაში ხაზგასმულია ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების აუცილებლობა, ქიმიის მიღწევების სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დანერგვის, წარმოების ახალი, უფრო სრულყოფილი და იაფი საშუალებების, მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოების გადიდების



ამოცანები. სინთეზური ფისების და პლასტმასების წარმოება 1980 წლის 332 ათასი ტონიდან 1980 წელს მიღწევს 19 000—21 000 ათას ტონას, ე. ი. გაიზრდება 56—63-ჯერ. ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოება 211 ათასი ტონიდან გაიზრდება 3 100—3 300 ათას ტონამდე, ანუ 14,7—15,6-ჯერ. მინერალური სასუქების წარმოება 13,9 მილიონი ტონიდან გაიზრდება 125—135 მილიონ ტონამდე, ე. ი. 9—9,7-ჯერ.

დიდი ყურადღება ექცევა მანქანათმშენებლობის განვითარებას და მის საფუძველზე პირველ ათწლეულში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ასევე კომუნალურ მეურნეობაში, კომპლექსურ მექანიზაციას, ამის შესაბამისად მოხდება ხელით შრომის ლიკვიდაცია როგორც ძირითად, ისე დამხმარე ოპერაციებში.

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი წარმოების პროდუქცია 34 მილიარდი მანეთიდან გაიზრდება 1970 წლისათვის 115 მილიარდ მანეთამდე, ხოლო 1980 წელს ეს საწარმოები გამოუშვებენ 334—375 მილიარდი მანეთის პროდუქციას, ე. ი. ოცი წლის განმავლობაში გაიზრდება 9,8—11-ჯერ.

ოც წელიწადში აშენდება 2 800 ახალი მანქანათმშენებლო და ლითონდამმუშავებელი საწარმო, უმთავრესად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში, 1900 ძველი საწარმო რეკონსტრუირებული იქნება.

ოცწლეულის მანძილზე მასობრივი მასშტაბით განხორციელდება წარმოების კომპლექსური ავტომატიზაცია და სულ უფრო მეტად გადავალთ ავტომატ საამქროებსა და საწარმოებზე.

წარმოების ავტომატიზაცია შრომის შემსუბუქებისა და მისი ნაყოფიერების გადიდების მძლავრი საშუალებაა. უკვე თავისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური მანქანებით შეიარაღება საშუალებას გვაძლევს 10—15 პროცენტით გაავადილოთ პროდუქციის წარმოება და 15—20 პროცენტით შევამციროთ მისი თვითღირებულება. შევამციროთ მომსახურე პერსონალის რიცხვი ელექტროსადგურებში 15—20 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში 20 პროცენტამდე, ხოლო შავ მეტალურგიაში 25 პროცენტამდე.

კაპიტალური მშენებლობის უდიდესი მასშტაბების შესაბამისად დასახულია სამშენებლო ინდუსტრიის სწრაფი განვითარება და ტექნიკური სრულყოფა. 1980 წელს წარმოებული იქნება დაახლოებით 235 მილიონი ტონა ცემენტი, ე. ი. 20 წელიწადში ცემენტის წარმოება 5-ჯერ და მეტად გადიდდება.

პარტიის პროგრამა ითვალისწინებს სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სწრაფ ზრდას, მრეწველობის ყველა იმ დარგის პროდუქცია, რომლებიც მოხმარების საგნებს უშვებენ, ოცი წლის განმავლობაში უნდა გაიზარდოს დაახლოებით ხუთჯერ. ყველა სახეობის ქსოვილების წარმოება მიაღწევს 20—22 მილიარდ კვადრატულ მეტრს, ე. ი. გაიზრდება 3—3,3-ჯერ. ტყავის ფეხსაცმელის წარმოება გაიზრდება ერთ მილიარდ წყვილამდე, კულტ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო საქონლის წარმოება გაიზრდება დაახლოებით ათჯერ.

პროგრამაში მითითებულია ყველა სახეობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ყველა საშუალებათა სწრაფი ტემპებით განვითარების აუცილებლობის შესახებ.

კომუნისების გაწლილი მშენებლობა მოითხოვს მრეწველობის სულ უფრო რაციონალურ განლაგებას, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას, რაიონების კომპლექსურ განვითარებას და მათი მეურნეობის სპეციალიზაციას; იგი დაგვეხმარება ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევის საქმეში.

უმნიშვნელოვანეს საერთო-სახალხო ამოცანადაა გამოცხადებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაქსიმალური დაჩქარება. „პარტია, ნათქვამია პროგრამაში, ყოველნაირად შეუწყობს ხელს მეცნიერების როლის შემდგომ გაძლიერებას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ...მეცნიერება საესებით გასდება უშუალო საწარმოო ძალა“¹.

მრეწველობის განვითარების მოცემული პროგრამის შესრულების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ყველა დარგისა და სახეობის ტექნოლოგიის განუწყვეტელ სრულყოფას, საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომ განვითარებას, მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სავა დარგების მუშაკთა კვალიფიკაციის სასტემატურ ამაღლებას, ახალი ტექნიკისა და შემოკლებული სამუშაო დღის შესაბამის შრომის ორგანიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას და სხვა ძირითედ საკითხებს.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა უახლოესა 10 წლის განმავლობაში დაახლოებით ორნახევარჯერ გაიზრდება და ამით გადავაჭარბებთ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ახლანდელ დონეს; ოცი წლის განმავლობაში სამრეწველო

¹ სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ. 464.

პროდუქციის მოცულობა გაიზრდება სულ ცოტა ექვსჯერ და დიდად გაუსწრებთ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ახლანდელ საერთო მოცულობას.

თუ როგორი იქნება ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპები და როდის შეიძლება გაეუსწროთ ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის მოცულობას, ამ კითხვებზე პასუხი მოცემულია ამხანაგ ნ. ს. სრუშჩოვის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოშვებაზე.

1960 წელს სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა შეადგენდა ამერიკას მრეწველობის პროდუქციის 60 პროცენტს. სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური მატება უკანასკნელი 16 წლის მანხილზე ჩვენში შეადგენს 10,6 პროცენტს, ამერიკას შეერთებულ შტატებში კი — მხოლოდ 2 პროცენტს. თუ საბჭოთა მრეწველობის პროდუქცია ყოველწლიურად გაიზრდება 10 პროცენტით, მაშინ 1966 წელს სსრ კავშირი აწარმოებს ამერიკული წარმოების თანამედროვე დონის 106, ხოლო 1970 წელს — 156 პროცენტს. თუ ამერიკის შეერთებული შტატები შეინარჩუნებენ სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური ზრდის ტემპს (2 პროცენტს), მაშინ სსრ კავშირი გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს 1967 წელს. ამერიკის შეერთებული შტატები თუ შეძლებს უზრუნველყოს სამრეწველო წარმოების ყოველწლიური მატება 4,5 პროცენტით, მაშინაც კი საბჭოთა კავშირი გაუტოლდება შეერთებულ შტატებს 1970 წელს. ბურჟუაზიული მიმომხილველებიც კი იძულებული არიან ცნონ და აღიარონ ამ ფაქტების რეალობა. ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ წერდა: „თუ საბჭოთა ეკონომიკა ასეთივე სწრაფი ტემპებით განაგრძობს წინსვლას და ჩვენ შეეურიგდებით ჩვენი ეკონომიკის შედარებით უძრაობას, მაშინ ორი ქვეყნის ეკონომიკას შორის უკვე ისედაც მცირე განსხვავება ნულამდე დავა“.

სოციალისტური მრეწველობის მიღწეული დონე, სახალხო მეურნეობის გეგმიანა მართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს განვითარების ტემპების არა მარტო შენარჩუნებას, არამედ მათ კიდევ უფრო ზრდას. ამის ნათელსაყოფად საკმარისია ითქვას, რომ შეიძლება პირველ სამ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27 პროცენტისა, გაიზარდა 33 პროცენტით. საერთო პროდუქციის მთელმა მოცულობამ 19 მილიარდი მანეთით გადააჭარბა საგეგმო დავალებებს.



კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანას მოითხოვს მძლავრ მრეწველობასთან ერთად, აყვავებული ყოველი-მხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნას. პარტია სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე აყენებს ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ძირითად ამოცანას:

ა) მიკალწიოთ კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტების სიუხვეს მოსახლეობისათვის და ნედლეულის სიუხვეს მრეწველობისათვის;
ბ) უზრუნველყვით საბჭოთა სოფლის თანდათანობით გადასვლა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე და ძირითადად აღმოფხვრად განსხვავება სოფელსა და ქალაქს შორის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი მექანიზაცია და თანმიმდევრული ინტენსიფიკაცია, კულტურათა ჯიშების გაუმჯობესება, მოსავლიანობის გადიდება, ბუნების სტიქიაზე სოფლის მეურნეობის დამოკიდებულების მნიშვნელოვნად შემცირება, შემდეგ კი მინიმუმამდე დაყვანა, სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გადაქცევა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა შემდგომი განმტკიცება, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ფონდების სისტემატური გადიდება — ასეთია ზოგიერთი ღონისძიება, რომლებიც უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის დარგში ახლო მომავალში.

ხოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა გადიდება ათ წელიწადში დაახლოებით 2,5-ჯერ, ხოლო 20 წელიწადში — 3,5-ჯერ. სსრ კავშირი პირველ ათწლეულში გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების მხრივ.

მარცვლეულის კულტურების საერთო წარმოება ოცი წლის მანძილზე ერთი-ორად და მეტად გადიდება, ხოლო მათი მოსავლიანობა გაორკეცდება.

სწრაფი ტემპებით განვითარდება **მეცხოველეობა**; ხორცის წარმოება პირველ ათწლეულში გადიდება დაახლოებით 3-ჯერ, ხოლო ოც წელიწადში — თითქმის ოთხჯერ. რძის წარმოება გაიზრდება პირველ ათწლეულში ერთიორად და მეტად, ხოლო ოც წელიწადში — თითქმის 3-ჯერ.

ამ გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით შესრულების საქმეში დიდ როლს ითამაშებს სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაცია, სრული ელექტროფიკაცია, ქიმიზაცია, სპეციალიზაცია, საირიგაციო ნშენებლობათა შემდგომი გაშლა, მიწადნობედებისა და

მეცხოველეობის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების დანერგვა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა შემდგომი განვითარება და სპეციალისტთა კადრების მასობრივად მომზადება.

ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის შესახებ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ახალი პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესი კონკრეტული ღონისძიებანი დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტის პლენუმმა.

პლენუმმა ზოისმინა და განიხილა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“, რომელშიაც მოცემულია სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ანალიზი და ხაზგასმულია იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა გატარებით უნდა უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღზავლობა.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ წლებში გატარებულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შედეგად დიდათ გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

მთელი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1953 წლიდან 1961 წლამდე 1,6-ჯერ გადიდდა. სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება ამ წლებში გაიზარდა: მარცვლეულისა — 5 მილიარდ 36 მილიონი ფუთიდან 8 მილიარდ 380 მილიონ ფუთამდე, ხორცისა (დაკლული წონა) — 5 მილიონ 800 ათასი ტონიდან 8 მილიონ 800 ათას ტონამდე, რძისა — 36 მილიონ 500 ათასი ტონიდან 62 მილიონ 500 ათას ტონამდე, კვერცხისა — 16 მილიარდი ცალიდან 29 მილიარდ ცალამდე. მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაც. 1961 წელს შაქრის ჰარხლისაგან შაქრის გამოშვებებამ შეადგინა 6 მილიონ 85 ათასი ტონა, ნაცვლად 1953 წლის 3 მილიონ 434 ათასი ტონისა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ მიუხედავად არსებული მიღწევებისა მარცვლეულის, ხორცის, რძისა და მიწაღმოქმედების და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დონე ჯერ კიდევ აშკარად არ არის საკმარისი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა მიიღო დადგენილება სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის.

რებისა და სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუქმების შესახებ.

პლენუმის დადგენილების შესაბამისად მთელს ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სოფლის მეურნეობის მართვის ახალი ორგანოები: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სარაიონთაშორისო ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები და სოფლის მეურნეობის კომიტეტები. სოფლის მეურნეობის კომიტეტები შეიქმნა ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში. ამ ორგანოების ხელმძღვანელობისათვის შექმნილია სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტი.

პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოები „...განახორციელებენ დავგვმვას, კონტროლს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მდგომარეობისადმი, საქმით აქტიურ ზეგავლენას მოახდენენ წარმოების ორგანიზაციაზე თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და პასუხს აგებენ ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით“¹.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა.

კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და სხვ. დარგების განვითარების უდიდეს ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომ განუზრგელ ამაღლებას. „შრომის ნაყოფიერების გადიდება, — წერდა ლენინი, — შეადგენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რადგან უამისოდ კომუნისტურ საბოლოო გადასვლა შეუძლებელია“².

პარტიის პროგრამაში გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების გადიდება მრეწველობაში 10 წლის განმავლობაში ერთიორად და უფრო მეტად, 20 წლის განმავლობაში — კი ოთხჯერ — ოთხნახევარჯერ.

შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში ათი წლის მანძილზე გაიზრდება სულ ცოტა ორნახევარჯერ, ხოლო ოცი წლის მანძილზე — ხუთჯერ-ექვსჯერ.

1913 წელს შრომის ნაყოფიერება რუსეთის მრეწველობაში აშე-

¹ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტის პლენუმის დადგენილება, გაზ. „კომუნისტი“ 11. III, 1962, № 64 (12268).

² გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 119.

რიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით 9-ჯერ დაბალი იყო. სსრ კავშირმა დიდი ხანია გაუსწრო კაპიტალისტურ ქვეყნებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებით. 1959 წელს შრომის ნაყოფიერება 1913 წელთან შედარებით ჩვენს მრეწველობაში გაიზარდა 10,9-ჯერ. ა შ შტატების მრეწველობაში მხოლოდ 2,9-ჯერ.

1959 წელს საბჭოთა კავშირის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონე ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით დაახლოებით 2—2,5-ჯერ დაბალი იყო, ხოლო სოფლის მეურნეობაში დაახლოებით 3-ჯერ.

20 წლის შემდეგ შრომის ნაყოფიერება საბჭოთა მრეწველობაში გადააჭარბებს ამერიკის შეერთებულ შტატებს შრომის ნაყოფიერების თანამედროვე დონეს დაახლოებით ერთიორად, ხოლო საათობრივი გამომუშავების მიხედვით — სსრ კავშირში სამუშაო დღის შემცირებასთან დაკავშირებით — მნიშვნელოვნად უფრო მეტად. შრომის ნაყოფიერების ამაღლება წარმოადგენს წარმოების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხელფასის გადიდების მთავარ წყაროს.

1961—1980 წლებში ეროვნული შემოსავლის მთელი მატების ცხრა მეათედზე მეტი უზრუნველყოფილ უნდა იქნას შრომის ნაყოფიერების გადიდებით. თუ შრომის ნაყოფიერება უცვლელი დარჩებოდა, მაშინ მთელი საზოგადოებრივი წარმოების იმ მოცულობის მისაღწევად, რაც გათვალისწინებულია 1961—1980 წლების პერსპექტიული გეგმით, საჭირო გახდებოდა დაახლოებით 400 მილიონი მუშაკი, მომსახურების კადრების ჩათვლელად. ამ მავალითიდან ნათლად ჩანს შრომის ნაყოფიერებას ამაღლების მნიშვნელობა საზოგადოებრივი წარმოების ზრდის საქმეში.

სოციალისტური ეკონომიკის ახალი მძლავრი განვითარება საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე კაპიტალიზმის ყოველ ქვეყანასთან შედარებით. ეს განხორციელდება შემდეგი გზით. ა) გადიდდება მშრომელთა ინდივიდუალური ანაზღაურება მათი შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. საცალო ფასების შემცირებასთან და მოსახლეობის გადასახადების გაუქმებასთან შეხამებით;

ბ) გაფართოვდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომელთაც საზოგადოების წევრები ლეზულობენ შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიუხედავად. ე. ი. უფასოდ.

სსრ კავშირის ეროვნული შემოსავლის მოცულობა უახლოეს

10 წელაწადში გადიდდება თითქმის ორნახევარჯერ, ხოლო 20 წელიწადში დაახლოებით — ხუთჯერ. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ოცი წლის განმავლობაში გადიდდება სამნახევარჯერ და მეტად.

განვიხილავთ რა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საკითხებს, ერთი წუთითაც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყველაფერა ეს თითქოს თავისთავად გაკეთდება, სიძნელების, შეუზოგარი შრომისა და ბრძოლის გარეშე. საჭიროა მიღწევების ჩვენებასთან ერთად ყოველთვის, საქმიანობის ყველა უბანზე გამოვავლინოთ და ვამხილოთ წინსვლას დამაბრკოლებელი მიზეზები, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი სიძნელეთა დასაძლევად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ორი ათეული წელია, რომელშიაც კომუნისმი უნდა აყვანოთ. შედგება თვეებისაგან, დღეებისაგან, საათებისა და წუთებისაგან. ყოველი წუთის და საათის თავდადებული, ენერგიული, პატიოსანი შრომით ყოველმა საბჭოთა ადამიანმა, რომელ უბანზედაც არ უნდა მუშაობდეს იგი, თავისი გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს კომუნისმის მშენებლობის საქმეში.

ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა პარტიის ამოცანებს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმის პროპაგანდისა და განხორციელების საქმეში, ამბობდა: „ამოცანა ისაა, რომ ყოველი მხრიდან, თვითეულ პარტიულ უჯრედში, თვითეულ საბჭოთა დაწესებულებაში ამ ერთიანი, მრავალა წლასთვის გათვალისწინებულა გეგმის მიხედვით სისტემატურად წარმოებდეს მუშაობა, რომ ახლო მომავალში შეგვეძლოს კონკრეტულად წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად და როგორ მივდივართ წინ, ისე რომ არ ვიტყუებდეთ თავს და არ ვმაღავდეთ იმ სიძნელეებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. ...კომუნისტურმა პარტიამ ამ ამოცანასთან დაკავშირებით უნდა დააყენოს მთელი აგიტაცია, მთელი პროპაგანდა და პარტიული მუშაობა“¹.

ვ. ი. ლენინის ეს სატყუები, თქმული 1920 წლის ნოემბერში, საესებით და მთლიანად განსაზღვრავს ჩვენს ამოცანებს თანამედროვე პერიოდში კომუნისმის მშენებლობის დიად სამუშაოთა გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში.

ამაანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1962 წლის 10 მაისს წარმოთქმულ სატყუაში აღნიშნავდა: „არ შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ კომუნისმის მშენებლობა: მიხვედი ნაპირთან, ჩაჯექი რალაც გემში, გა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 315.

დაცურე მეორე ნაპარზე, და აი უკვე კომუნისმში ხარ. არა, ასე ერთბაშად ვერ გადაცურავ.

კომუნისმის მშენებლობის საკითხებში არ შეიძლება საწყისი ეტაპიდან გადახტომა საბოლოო, პარტიის პროგრამით დასახულ ეტაპზე. ეს გზა უნდა გავიაროთ მიწაზე, დამაბული შრომითა და ბრძოლით.

კომუნისმის აშენებისათვის ოცი წლის ბრძოლის მთელ გზაზე შეუპოვრად უნდა ვიმუშაოთ, ყოველ დღეს და ყოველ საათს უნდა ვიშრომოთ. შრომით და მხოლოდ შრომით შეიძლება შევქმნათ კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უზრუნველყოთ ხალხის მატერიალურ მოთხოვნალებათა და მის სულიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილების ყველა საშუალების შექმნა¹.

საბჭოთა ხალხმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პირველმა დაამხო კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება, ააშენა სოციალიზმი და დაიწყო სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლა.

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით განახორციელებს სკკპ ახალ პროგრამას, ააშენებს კომუნისტურ საზოგადოებას და ამით საუკეთესო მაგალითს უჩვენებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელებს.

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 12 მაისი, 1962 წ., № 110 (12313).

მ. აბუთიძე

ქართული საზღვარღები უკრაინის ფრონტღზე ღიღი სამაღმლო ოღის წღებღი

1943 წღის ზღფხუღის კაღმღანია ღღიწყო 5 იღღისს ორიოღ-კურსკისა ღღ ბღღგოროღ-კურსკის მიღმართუღღებით. მოწინააღმღღეღე ამოცანაღ ისაღხაღღა, გარშემორტყმოღღა ღღ მოღსპო კურსკის შვერიღღზე განღღაღღებული საბტოთა ჯარღები, ზურგღში მოკტეოღღა წითელ არმიას ღღ თაღვის სასარგებლოღ გაღღაღწყღღიტა ოღის ზღღი.

გერმანელთა ეს გეგმა სანარტხენიროღ ჩაიზღღა. წითელღა არმიამ შეაჩერა თაღვისტა ჯარღები ღღ 12 იღღისს კონტრშეტეღღებზე გაღღაღღიღღ. ზღღე მან გარღღღია მტრის ძღღიერ განაგარღღებული თაღღაღღაღღ.

ბრიანსკის ფრონტის ჯარღებღა 1943 წღის 5 აღღვისტოს ღღიკაღღვეს ქაღღაქი ორიოღღი, ხოლო აზაღვე ღღღეს ვორონღეღის ფრონტის ჯარღებღა ქაღღაქი ზღღგოროღღი აიღღეს.

ანრიგაღღ, ღღიკვიღღირღღებულ იქნა ყვეღღაზე ზღღღავრი ღღ ჩეღენი ქვეყნისათვის საღღიში განაგარღღებული სტრატეღღიული პღღაღღღარღი ორიოღღისა, რომღღის ტრავპღღინაღღ განოყენებღს ვარაუღღობღღა ჰიტღღღერული სარღღღობა მოსკოვზე შეტეღღვისათვის.

აღღნიშნულ პერიოღღში დასავღღეთისა ღღ სანზრეთ დასავღღეთის ფრონტის ჯარღები გაღღამწყღღეტ ბრძოღღებს აწარმოებღენ უკრაინის ნიწა-წყღღის გათაღვისუღღღებისათვის.

ხელღში ჩაიგღღეს რა უკრაინის ოღღქეღები ღღ რაიონღები, გერმანეღღებღა ცეცხღითა ღღ ზახეიღღით იწყღს მონობისა ღღ ბატონყმოღის დაღღერღღვა. 1941 წღის ნოემბერღში უკრაინელი ხაღღის წარმოღღაღღღენელთა ზიტინღღმა მოწოღღებით მიზართა უკრაინელ ხაღღას „ღღაღღაღღიღღუბოს მტერი. ღღაღ მან იცოღღეს, რომ უკრაინა მის წინაშე არ ღღაღიჩოქღღეს. თაღვისუღღღებისმოყვარღ უკრაინეღღები არასოღღეს არ იქნებღიან გერზანელთა მონეღი. საბტოთა ხაღღხებღის თაღვისუღღღალ ოჯახღში იზრღღებოღღა ღღ ჰყვოღღა უკრაინა... ძმებთან ერთაღ ვიბრძოღღებთ

ჩვენი ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის... ელიტეთ გერმანელ კოფაკები¹.

მტრის არმიის მეორე მნიშვნელოვანი პლაცდარმი იყო ბელგოროდისა და ხარკოვის რაიონი. გერმანელებმა ამ რაიონში თავი მოუყარეს თავიანთ ძირითად სატანკო დაჯგუფებას, ზათ შორის „სს“-ელთა რჩეულ სატანკო დივიზიებს, შექმნეს საჭურველისა და საომარი მასალების დიდი საწყობები და ააგეს თავდაცვის მძლავრი ხაზები.

23 აგვისტოს გორონეჟსა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა ძლიერ მტერი და იერიშით აიღეს ქალაქი ხარკოვი, ლიკვიდირებული იქნა ამით გერმანელთა ბელგოროდ-ხარკოვის პლაცდარმი.

მოწინააღმდეგის ორიოლისა და ბელგოროდ-ხარკოვის პლაცდარმების ლიკვიდაცია წარმოადგენდა ჩვენი ჯარების უდიდეს ოპერაციას, რის შედეგადაც განთავისუფლებულ იქნა დონბასი და ქალაქი სნოლენსკი. ამის შემდეგ ალებული იქნა ქალაქები: სუმი, ზაპოროჟიე, პოლტავა, ჩერნიგოვი და სხვა.

ამრიგად, გერმანელ დამპყრობთაგან გათავისუფლებულ იქნა დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინა. აქედან განდევნილ-გერმანელებს იწვედი სქონდათ, შეინარჩუნებდნენ დნეპრის მარჯვენა ნაპირს, ოდესას და ლვოვს.

გერმანელთა ეს ვარაუდიც ჩაიშალა. წითელმა არმიამ გადალახა წყლის უდიდესი დაბრკოლება — დნეპრი, დაანგრია მოწინააღმდეგის თავდაცვითი ნაგებობანი და დნეპრის მარჯვენა ნაპირზე შექმნა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი პლაცდარმებისა.

ავითარებდა რა შეტევას, წითელმა არმიამ მძიმე დამარცხება არგუნა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს დნეპრის მოსაზვევში და გაათავისუფლა დნეპროპეტროვსკი და დნეპრომერჯინსკი.

1943 წლის 6 ნოემბერს უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა იერიშით აიღეს კიევი — უდიდესი სამრეწველო ცენტრი და გერმანელთა თავდაცვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული კვანძი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ მტკიცედ შეინარჩუნებდნენ უკრაინას, და გამოიყენებდნენ უკრაინის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს თავიანთი არმიისა და მოსახლეობისათვის, ხოლო დონეცის ქვანახშირს — ქარხნებისა და რკინიგზის

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1943 წელი, 18 თებერვალი.



ტრანსპორტისათვის. მაგრამ ანგარიშში მოტყუებდნენ; წითელი ზღვის წარმატებით შეტევის შედეგად გერმანელებმა დაკარგეს არა მარტო დონეცის ქვანახშირი, არამედ უკრაინის პურით ყველაზე უფრო მდიდარი ოლქებიც.

საბჭოთა ჯარების მიერ შემდეგში აღებული იქნა ყიტომირი, ლვოვი და სხვა ქალაქები, აგრეთვე მრავალი სოფელი და დასახლებული პუნქტი. 1944 წლისათვის საბჭოთა უკრაინა სრულიად გათავისუფლდა გერმანელებისაგან. ჩვენი ჯარები უკვე მტერს ერეკებოდნენ შორეული დასავლეთისაკენ.

უკრაინის ნიწა-წყლის გათავისუფლების საქმეში ზომზე ერების შეილებთან ერთად მტერს გააფთრებით ებრძოდნენ ქართველი ხალხის შეილები. ისინი გვიჩვენებდნენ გმირობის, მამაცობისა და მონებრებულობის ნიმუშებს. მათ რიგებში ბევრი კომკავშირელი და ახალგაზრდა წეომარი და მეთაური პირადი მაგალითებით იმსახურებდა მთავრობის მაღალ ჯილდოს.

გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ზოლის გარღვევისა და ქალაქ მელიტოპოლის გათავისუფლების საქმეში სარდლობის საბრძოლო დეპარტამენტის სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 1-ლი ნოემბრის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა კომკავშირელ სერგანტ-ლავრენტი ივანეს ძე ავალიანს. ქართველი ხალხის სახელოვანი შეილი ავალიანი ფრონტზეა 1942 წლის მარტიდან. მან ბრძოლებში ჩაბმის პირველსავე დღეებში დაიმსახურა წითელი დროშის ორი ორდენი. ავალიანი გაბედულად მიდიოდა ფიცხელ იერიშზე და თავის ავტომატის მარჯვე სროლით მაგალითს აძლევდა თავის მეგობრებს. იგი პირველი შეიჭრებოდა მტრის სანგრებში და უღმობლად სპობდა ფაშისტ ყაჩაღებს. ომის განმავლობაში ლავრენტი ავალიანი სამჯერ დაიჭრა. მაგრამ განკურნების შემდეგ ჩქარობდა, დაბრუნებულიყო მწყობრში.

...თენშარა ვაჭვილი იყო ქვეითების, ავტომანქანების, სახიდ-რების კოლონებით, დრო და დრო შორიდან მოისმოდა შორს-ნსროლელი ქვეციხების გრიალი.

— კიდევ ორი გადასვლა და მივწვდებით გერმანელებს, დნებრში გადავყრით მათ, — ეუბნებოდნენ ერთმანეთს მეგობრები. სწორედ ამ დროს დაეწია თავის ნაწილს უკანასკნელი ჭრილობის განკურნების შემდეგ ლავრენტი ავალიანი. მალე საბჭოთა ჯარებმა იერიში მიიტანეს გერმანელთა გამაგრებულ თავდაცვაზე. გააფთრებულ



ხელჩართულ შეტაკებაში მან ანჯერად მარტო ერთი დღას განმარტობაში მოსპო ოცამდე ჰიტლერელი, მათ შორის ორი ოფიცერი, მაგრამ უფრო მძაფრი ბრძოლები გაჩაღდა მეორე დღეს. გერმანელთა რამდენიმე ტანკი და თვითმავალი ქვეშეხი ჩვენი პოზიციების გასატარნადად მოდიოდნენ. აქ ავალიანი იბრძოდა ხელის ტყვიამფრქვევით და სასტიკად უმასპინძლებოდა ტანკისტებს, მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. გერმანელთა ტანკები წინ მიძვრებოდნენ. წყობრიდან გამოვიდა ოცეულის მეთაური — ოცეულს ვმეთურობ ზე, ვავუმკლავდეთ უკანასკნელ ვაზნამდე. შევინარჩუნოთ ზღუდე, ვიდრე ცოცხალი ვართ. — გასცა ბრძანება ავალიანმა. წყობრიდან გამოვიდა ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო თოფის გუნდი. აქეთ, ორი ჩვენი ასეულის შესაყარისაკენ, გამოეწარა გერმანელთა ერთ-ერთი ტანკი. ავალიანი ეცა ტანკსაწინააღმდეგო თოფს და რამდენიმე სროლით დააზიანა მომჭროლავი მანქანა. მის შემდეგ ცეცხლი მოედო ორ მძიმე ტანკს. ერთ-ერთი მათგანის მუხლუხების ქვეშ დაიღუპა უშიშარი მეომარი. საბჭოთა ქვეითებმა მოიგერიეს გერმანელთა კონტრიერიში, თვითონ გადავიდნენ შეტევაზე, გატეხეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და მძლავრი დარტყმით უკუაგდეს მტერი დასავლეთისაკენ¹.

უტკნობი სახელი მოიხვეჭა ახალგაზდა მეთაურმა შოთა გოგორიშვილმა, მას ბრძოლის მფლობელს უწოდებდნენ, სრულიად ახალგაზრდამ, 22 წლის მეთაურმა, თავისი მხედრული ცხოვრება მრავალი შესანიშნავი საბრძოლო ეპიზოდით ალაგსო. იგი 19 წლის იყო, როდესაც ლეიტენანტის წოდებით ჩაება სამანულო ომში. სარდლობის დავალებათა სანიშნოდ შესრულებისათვის შოთა გოგორიშვილი ორჯერ იქნა დაჯილდოებული წითელი დროშის ორდენით. გერმანელ დანპყრობათაგან ხარკოვისა და ბელგოროდის განათავისუფლად ბრძოლებში მონაწილეობისათვის მას ორჯერ გამოეცხადა უმაღლესი მთავარსარდლობის ნადლობა.

ერთხელ გოგორიშვილის ქვეგანაყოფს მტრის 15 ტანკი დაესხა თავს. მდგომარეობა მძიმე შეიქმნა, გოგორიშვილმა გადაწყვიტა, შეჭრილიყო სოფელში და იქ თავი შეეფარებინა შენობებისა და სარდაფებისათვის. მან ქვეგანაყოფი წინ წაიყვანა. მეომრები ბრძოლით გაუსხლტნენ ტანკებს, შეიჭრნენ სოფელში და დაიკავეს განაპირა შენობები, ხუთ საათს გასტანა საბჭოთა მეომრების უთანასწორო ბრძოლამ გერმანელთა ტანკების წინააღმდეგ. ჩვენმა მებრძო-

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1943 წელი, 24 დეკემბერი.



ლებმა თავიანთი ცეცხლით 40 ჰიტლერელი გაქლიტეს და მტრის იერიში წაიგერიეს.

„ინიციატივის მქონე, გაბედული საბჭოთა ოფიცერი, ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მეთაური შოთა გოგორიშვილი რისაგად ევლინება გერმანელ ოკუპანტებს, — სწერდა ერთი საფრონტო გაზეთი მოწინავე წერილში —

ათობით იერიში, რომლებიც გოგორიშვილის მეთაურობით მი-
აქვს მის ქვეგანაყოფს მტრის წინააღმდეგ, ყოველთვის ჩვენი მეომ-
რების განარჯვებით შთაგრდება.

ოფიცერმა გოგორიშვილმა აღზარდა თავდადებული, გაბედული,
და დისციპლინიანი მეომრები, ოფიცერი გოგორიშვილი განუხრე-
ლად იუმჯობესებს მხედრულ ოსტატობას“.

ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ბოლომდე პირნათლად შე-
ასრულა მიედრული ფიცი. სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლე-
ბისათვის ბრძოლაში შოთა გოგორიშვილი დაეცა გმირის სიკ-
ვდილით.

მებრძოლებმა და ოფიცრებმა ბრესტის ქალაქის პარკში მიწას
მიაბარეს სამშობლოსათვის თავდადებული მამაცი ოფიცრის შოთა
გოგორიშვილის ნეშტი. ნაწილის სარდლობის ბრძანებით შოთა
ნიკოლოზის ძე გოგორიშვილის საფლავზე დადგეს ძეგლი — ტანკი¹.

მდინარე დნებრის გადალახვისას გმირობისა და მამაცობის
გამოჩენისათვის, დნებრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის განმტკი-
ცებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა კომკავ-
შირში აღზრდილს გვარდიის მაიორ გიორგი გიორგის ძე გოცი-
რიძეს.

იგი საინჟინრო ბატალიონს მეთაურობდა, 1943 წლის თებერ-
ვალში წითელი არმიის ნაწილები დონის ჩრდილოეთსა და სამ-
სრეთ ნაპირებზე მოქმედებდნენ, მათ შორის კავშირი არ იყო,
სარდლობამ უბრძანა გოცირიძის ბატალიონს, გაეკეთებინა გადა-
სასვლელი. მესანგრეები შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ გერმანელებმა
გააფთრებული სროლა ასტეხეს. გოცირიძემ განკარგულება ვასცა,
ორი გადასასვლელი აეგოთ სხვა ადგილას. გერმანელებმა მთელი
ცეცხლი იქეთ გადაიტანეს. გერმანელები, რომ ჩვენ მიერ დიდი
ჯაფით აგებულ გადასასვლელს დაანგრევდნენ, ჩვენი დაუღალავი
მესანგრეები კვლავ აღადგენდნენ მათ. ასე გრძელდებოდა მთელ
დღეს და ბოლოს ფაშისტები პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ.

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1944 წელი, 16 სექტემბერი.



სხვა ადგილას აგებული გადასასვლელები მტრის მოსატყუებლად კეთდებოდა, ნამდვილი გადასასვლელი კი ლუშაობდა. ამ გადასასვლელით გადადიოდნენ ჩვენი ნაწილები, რომელთაც გერმანელები ვერ ამჩნევდნენ, გადადიოდა არტილერია, ტანკები, ამრიგად, გოცირიძის გამჭვირახობის მეოხებით ჩვენმა ჯარებმა მოულოდნელად მძლავრად დაარტყეს ჰიტლერელებს ფლანგებიდან და უკუაქციეს ისინი. დიდი მამაცობა გამოიჩინა გოცირიძის ბატალიონმა დნებარის გადალაგვისათვის. ჩვენი შემტევი ნაწილების წინააღმდეგ იდგა გერმანელთა ორი დივიზია: „დას რაიხ“ და „მკვდარი თავი“. მათ 130-ზე მეტი ქვემეხი ეხმარებოდა, გოცირიძის ბატალიონმა შეასრულა სარდლობის დავალება—გადასასვლელი ააგო იქ, სადაც გერმანელები არ მოელოდნენ, ნაპირი ციკაბო იყო, მაგრამ მამაცმა საბჭოთა მესანგრეებმა დაძლიეს ბუნება, უზრუნველყვეს არა მარტო ტანკების, არამედ მძიმე თვითმავალი არტილერიის გადასვლაც. ჩვენმა ნაწილებმა სწრაფად წაიწიეს წინ და სასტიკად დაამარცხეს ჰიტლერელები.

უკრაინის მიწაწყალზე ბრძოლისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელი დაიმსახურა კომკავშირში აღზრდილმა კონსტანტინე ესტატეს ძე ტყაბლაძემ. ბრძოლებით განვლო გზა მან რეზინიციდან ტულამდე და შემდეგ უკანვე იმავე სამხედრო გზით—ტულიდან რეჩიცამდე, წითელ არმიასთან მან განიცადა გამარჯვებათა სიხარული. კურსკთან წარმოებულ ბრძოლებში კ. ტყაბლაძე მონაწილეობდა უკვე როგორც უმცროსი ლეიტენანტი და მეთაურობდა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ოცეულს. თავისი ზარბაზნებიანად მან შემტევი ქვეითი ჯარის საბრძოლო უწყებებში ხუთასამდე კილომეტრი გაიარა. 1943 წლის ზაფხულ-შემოდგომის შეტევის განმავლობაში მისი ოცეულის ქვემეხთა გუნდებმა დააზიანეს მტრის 13 ტანკი, ჰაერში ასტყორცნეს 20-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, მოსპეს ასობით ჰიტლერელი, კ. ტყაბლაძე ხუთჯერ იყო დაჭრილი, უკანასკნელ ოპერაციაში დნებართან ტყვიამ მარჯვენა მხარი დაუზიანა. არასოდეს არ დაავიწყდება კ. ტყაბლაძეს დნებრზე გატარებული ღამე.

ცანეტი მევატომატე ჩასხდა მეთევზის ნავში შუალამისას. მათგან პირობით რაკეტს მოელოდნენ, მაგრამ მათ რაკეტი არ უსროლიათ, ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა სტრონკინმა გამოუძახა ლეიტენანტ ტყაბლაძეს და უბრძანა მდინარეზე გადასვლა, ღამე მიწურული იყო, როდესაც ტყაბლაძის რაზმი 10 არტილერისტისა და 15 მევატომატის შემადგენლობით მეთევზის ორ ნავში ჩასხდა. ორივე ნავს ფიცარნავი ჰქონდა გაკეთებული. ფიცარნავებზე დადგეს თითო

ზარბაზანი, ხოლო მეორე ნაწილი გარდა ამისა მოათავსეს დასავლეთით ტყვიამფრქვევი, კ. ტყაბლაძემ, რომელიც მოწინააღმდეგის მხრივ არტილერიისა და ნაღმსატყორცი ცეცხლის დაშენას მოელოდა, მეორე ნაწილს მეთაურს სერჟანტს გრიგორიანს უბრძანა, ევლო პარალელური კუთხით 40—50 მეტრის მანძილზე პირველი ნაწილიდან. ეს სიფხიზლე ზედმეტი არ იყო. როგორც კი ნაწილი მიადგინა მდინარის შუაგულს, მოწინააღმდეგე ნაპირზე აგრიალდნენ ქვემეხები და აკანკალებდნენ ტყვიამფრქვევები. ცეცხლის ზონაში მოუხდათ ჩვენს მებრძოლებს გასვლა და გავიდნენ მეორე ნაპირას, იქ, სადაც პატარა ხევი იწყებოდა, აქედან შემოვლით მოულოდნელად თავს დაესხნენ გერმანელებს და მტერს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს ზურგიდან უეცარი დარტყმით. მტერი განდევნილ იქნა პოზიციიდან და იწყო უკანდახევა. გათენებისას კი ტივებითა და ნაწილით ნაპირზე გადმოსვლის საშუალება მიეცა ჩვენს მებრძოლებს¹.

ასევე ღირსეულად იბრძოდა უკრაინის გათავისუფლებისათვის 22 წლის ქაბუკი ვლადიმერ იასონის ძე გუბელაძე.

გუბელაძე სამამულო ომის პირველი დღეებიდან იარაღით ხელში იბრძვის გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გუბელაძე რამდენჯერღე დაიჭრა, მაგრამ განკურნებისთანავე ისევ ფრონტზე ბრუნდებოდა, დედისადმი გაგზავნილ წერილში იგი წერდა:

„ჩემი საყვარელი ქვემეხით ვანადგურებ გერმანელ ფაშისტებს დნებრის მიდამოებში. ამას წინათ ერთ ბრძოლაში ჩვენი ქვემეხით გერმანელთა ხუთი ტანკი გამოვიყვანე წყობილებიდან“

მდინარე დნებრის გადალახვისა და მამაცობის გამოჩენისათვის ვ. გუბელაძეს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება².

ჯარის იმ ნაწილში, რომელიც ორიოლიდან დნებრის მარჯვენა ნაპირამდე სდევნიდა გერმანელთა ჯარის ნაწილებს, იბრძოლა კომკავშირელი აკაკი ლუკას ძე ტერელაძე, რომელიც ტყვიამ გაგმირა დნებრის მარჯვენა ნაპირზე. იქ დასაფლავეს სოფელში, სადაც გაუკეთეს წარწერა:

„სამარადისო ხსოვნა ქართველ აკაკი ტერელაძეს, უკრაინის

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1944 წელი, 23 თებერვალი.

² იქვე, 12 მარტი.

მიწა წყალზე სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპულს“. სიკვდილის შემდეგ ტერელაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

აკაკი ტერელაძემ სახელოვანი ბრძოლის გზა განვლო ღონიდან დნებრის მარჯვენა ნაპირამდე. პირველად მდინარე დონზე ისახელათავი. აქ მან თავისი ქვეგანაყოფით მტრის დაცვა გაარღვია და პირადად 18 ჰიტლერელი მოსპო.

1943 წლის ივლისში ჰიტლერელებმა განიზრახეს ორიოლიდან და ბელგოროდიდან ჩვენი თავდაცვის გარღვევა და კურსკის შეერილზე საბჭოთა ჯარების მოსპობა. ტერელაძემ ბრძანება მიიღო, მთავარ უბანზე გასულიყო თავისი ასეულით. მან მოიგერია მტრის სასტიკი იერიში, შემდეგ თვითონ გადავიდა შეტევაზე და შეიჭრა მტრის განლაგებაში.

1943 წლის 9 სექტემბერს საფრონტო გაზეთი „ვო სლავუ როდინი“ ა. ტერელაძის საბრძოლო ცხოვრებიდან აღწერს ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს:

„ერთ უბანზე წინასწარ გამზადებულ ზღუდეებზე გამაგრებული გერმანელები ძლიერ აფერხებდნენ ჩვენი ქვეგანაყოფის წინსვლას. ტერელაძემ წაიყვანა მ. ნებრძოლი და ისარგებლა რა სიბნელით, პირდაპირ შუბლში დაარტყა მტრის დაჯგუფებას. ეს იყო მოულოდნელი დარტყმა, 40 ჰიტლერელი იქვე იქნა მოსპობილი“.

იგივე გაზეთი სხვა ბრძოლის შესახებ წერდა:

„ტერელაძე თხრილში იჯდა და ბრძოლას ხელმძღვანელობდა. უეცრად მას გარს შემოერტყა ექვსი ჰიტლერელი, ზათ ტერელაძემ ხელგრანატი ტყორცნა და ავტომატის ჯერი დააყოლა, სამი ფრიცი იქვე მოკლა, დანარჩენები გაიქცნენ, სიმამაცისა და ოფიცრული ოსტატობისათვის ტერელაძე ორჯერ იქნა დაჯილდოებული წითელი ვარსკვლავისა და წითელი დროშის ორდენებით¹.

ომის პირველი დღეებიდანვე წითელი არმიის რიგებშია კომკავშირელი ინჟინერ-მშენებელი ირაკლი ციციშვილი.

როდესაც ჩვენი ჯარები მდინარე დნებრს მიაღწა, ი. ციციშვილმა უკვე ბრძოლებში ნაცადი ოფიცერი იყო. 1943 წლის 27 სექტემბერს დედისადმი გაგზავნილ წერილში ციციშვილი წერდა:

„გწერ და, ჩართალი ვითხრა, სიხარულისაგან არ მესმის რას გწერ, საკმე იმაშია, რომ სწრაფი შეტევის შედეგად ჩვენ უკვე დნებრის პირას ვართ. იმ ქალაქის მახლობლად, რომელშიც შენ

¹ გახ. „კომუნისტი“, 1944 წელი, 7 იანვარი.

ოდესდაც ცხოვრობდი. ახლა დავბრუნდი საბრძოლო დავალებიდან, სადაც 2 დღე და ღამე დავყავი... ეს საუცხოო მუშაობა იყო. მე ვხელმძღვანელობდი მშენებლობას, ახლა ამოცანა შესრულებულია. მოვედი დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი“.

იდეალისტ-ფილოსოფოსები შესაძლებლობისა და სინამდვილეს განიილაგდნენ, როგორც აბსტრაქტულ კატეგორიებს, რომლებიც აზარტით არ არიან დაკავშირებული ობიექტურ შინაარსთან; ასე ნაგ., კანტი შესაძლებლობას იხილავდა მოძალობის, როგორც განსჯის, აპრიორულ კატეგორიათა წყებაში. ნარქსამდელი ნატურილისტები შესაძლებლობის ფატალისტური გაგების თვალსაზრისზე იდგნენ. XVII—XVIII საუკ. მეტაფიზიკური მატერიალიზმი, როგორც ცნობილია, მხოლოდ აუცილებლობის არსებობას აღიარებდა. თავისი დროისათვის ამ თვალსაზრისს პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იგი მიმართული იყო უსასაუკუნოებრივ რეაქციულ, რელიგიურ შეხედულებათა წინააღმდეგ. ამ მნიშვნელობის მიუხედავად, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აუცილებლობისა და შემთხვევითობის საკითხი ნარქსამდელი ნატურილისტების მიერ მეცნიერულად არ იყო გადაჭრილი. ასე ნაგ., ჰობსი „ფილოსოფიის საფუძვლებში“ წერდა: „...всякое событие, которое вообще наступает, наступает в силу необходимости“¹. ამასვე ამტკიცებს ჰობსი „ბუნების სისტემაში“, სადაც წერს: „...в природе все необходимо и... ничто из того, что в ней находится, не может действовать иначе, чем оно действует“². ცნობდნენ რა მხოლოდ აუცილებლობას, მეტაფიზიკური ნატურიალიზმის

¹ Г о б с, Избранные сочинения, Госиздат, 1926, стр. 91.

² Г о л ь б а х, Система природы, 1940, стр. 36.

წარმომადგენლები უარყოფდნენ ბუნებაში „შემთხვევითობის ობიექტურად არსებობას. ჰოლბახი „ბუნების სისტემაში“ პირდაპირ წერს: „Ничто в нас, как и в природе, не происходит случайно“¹. შემთხვევითობა, მისი გაგებით, აზრს მოკლებული სიტყვაა, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ იმისათვის, „чтобы прикрыть наше незнание естественной причины явления“². აუცილებლობის აბსოლუტურად ქცევას შედეგად მოსდევს შესაძლებლობის ობიექტურობის უარყოფაც. „ფილოსოფიის საფუძვლებში“ ჰობსი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ესა თუ ის მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი თავიდანვე განსაზღვრული არის აუცილებლობით. თუკი მოქმედებისათვის ასეთი წინასწარგანსაზღვრული აუცილებლობა არ არსებობს, მაშინ ის საერთოდ შეუძლებელია. ყველაფერი, რაც არსებობს ან იარსებებს, არსებობს ან იარსებებს აუცილებლობის მიხედვით. „Поэтому всякое возможное событие рано или поздно наступит“³.

შემთხვევითობის ობიექტურობის უარყოფის საფუძველზე შესაძლებლობის ობიექტურობას არ ცნობს სპინოზაც. „ეთიკაში“ ის წერს: „Случайной... какая нибудь вещь называется единственно по несовершенству нашего знания“⁴.

შესაძლებლობის საკითხის მეცნიერულ გადაჭრას იძლევა მხოლოდ ზატერიალისტური დიალექტიკა, რომელიც აღიარებს შემთხვევითობისა და აუცილებლობის ობიექტურ არსებობას და მათს დიალექტიკურ ერთიანობას. შესაძლებლობა იქმნება, ერთი მხრით, აუცილებელ კავშირთა საფუძველზე (რის გამოც გარკვეული პირობები შეიცავენ გარკვეულ შესაძლებლობებს), მეორე მხრით, შესაძლებლობა, როგორც მხოლოდ შესაძლებლობა, რჩება ასეთად იმიტომ, რომ არსებობენ კავშირები, რომელნიც მეტად თუ ნაკლებად შემთხვევითნი არიან (რის გამოც პირობები, რომლებიც თავის თავში გარკვეულ შესაძლებლობას შეიცავენ, მის რეალიზაციას აუცილებელს არ ხდიან). შესაძლებლობა იქმნება განვითარების კანონზომიერების რეალურად განხორციელებისას, რომელიც თავის თავში წაიკავს როგორც აუცილებელ, შინაგან, ასევე გარეგან. მეტად თუ ნაკლებად შემთხვევითს კავშირებს. სინამდვილის კატეგორიას აქვს ორგვარი ნნიშვნელობა. ერთი მხრით, იგი გამოხატავს

¹ Гольбах, Система природы, 1946, стр. 131.

² Там же, стр. 44.

³ Гоббс, Избранные соч., стр. 91.

⁴ Спиноза, Этика, Соцгиз, 1932, стр. 27.

გარეგანი ქვეყნიერების უსასრულოდ მრავალფეროვანი მოვლენების ერთიანობას, მთლიანობას, ერთობლიობას. ამ გაგებით, აღნიშნულ კატეგორიას აქვს თავისთავადი (დამოუკიდებელი) მნიშვნელობა (მოცემულ შემთხვევაში არაა სავალდებულო, იგი განვიხილოთ შესაძლებლობის კატეგორიასთან კავშირში). მეორე შემთხვევაში იგი იხმარება შედარებით უფრო ვიწრო გაგებით, როდესაც იგი გამოყენებულია მატერიალური სამყაროს ცალკეული მხარეების, ბუნებისა და საზოგადოების კონკრეტული პროცესების გამოსახატავად. სინამდვილის კატეგორია ამ შემთხვევაში გამოხატავს იმას, რაც უკვე აღმოცენებულია, განხორციელებულია, იმყოფება კავშირში მატერიალური სამყაროს სხვა პროცესებთან და განიცდის განვითარებას. სინამდვილე გამოხატავს კონკრეტულ საგნებს არსისა და მოვლენის ერთიანობაში. სწორედ ამიტომ სინამდვილის ცნება უფრო ღრმია, ვიდრე ყოფიერებისა და არსებობის ცნება.

„ფილოსოფიურ რვეულებში“ ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს:

„Действительность выше, чем бытие и существование“¹. შესაძლებლობა ის, რაც არსებობს მოცემულ სინამდვილეში როგორც მისი (ამ სინამდვილის) ცვლილებისა და განვითარების წინამძღვარი. შესაძლებლობის კატეგორია გამოხატავს მოცემული სინამდვილიდან ახალი სინამდვილის აღმოცენების წინამძღვრებს. იმდენად, რამდენადაც ეს წინამძღვარები რეალურად, ობიექტურად არსებობენ, ამდენად შესაძლებლობის კატეგორია ობიექტური შინაარსის მქონეა. განსხვავება შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის მდგომარეობს არა იმაში, თითქოს მხოლოდ სინამდვილის კატეგორია გამოხატავს ყოფიერებას, ხოლო შესაძლებლობისა — არა, არამედ შესაძლებლობა, ისე როგორც სინამდვილე, გამოხატავს სამყაროში არსებულ ობიექტურ კავშირებს და მიმართებებს. ამ გარემოებას ჯერ კიდევ არისტოტელემ მიაქცია ყურადღება: „Так, по каждому роду различается с одной стороны, бытие в возможности, с другой, бытие в реальном существовании“². მაგრამ ამავე დროს, აღნიშნული ერთიანობა მოიცავს არსებითს განსხვავებასაც შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის. განსაზღვრულ მოვლენათა აღმოცენების ტენდენცია არნიშნავს ამ მოვლენების უკვე არსებობას. სინამდვილე და მისი სპეციფიკური ფორმები, ე. ი. კონკრეტული საგნები და მოვლენები,

¹ В. И. Ленин, Философские тетради, 1947, стр. 131.

² Аристотель, Метафизика, 1932, стр. 194.

არსებობენ უშუალოდ, ხოლო შესაძლებლობა არის სინამდვილის საგნების შინაგანი მდგომარეობა და ამიტომ ზისი არსებობა უშუალოდითია. სხვანაირად რომ ვთქვათ, სინამდვილე—ისეთი შინაგანი მდგომარეობაა, რომელმაც უკვე ჰპოვა თავისი გარეგანი გამოხატულება, ისაა შინაგანის და გარეგანის ერთიანობა, ხოლო შესაძლებლობა კი, საგნის ისეთი შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი გარეგანში. მართალია, შესაძლებლობა დროთა განმავლობაში დაიკავებს გაბატონებულ მდგომარეობას საგნის შიგნით და ჰპოვებს თავის გარეგან გამოხატულებას, მაგრამ ამჯერად იგი იქნება უკვე განხორციელებული შესაძლებლობა—სინამდვილე. ჰეგელი სწორად მიუთითებს, რომ „Действительность есть ставшее непосредственным единство сущности и существования, или внутреннего и внешнего“¹.

შესაძლებლობისა და სინამდვილის შეეცნების გზები განსხვავებულია, მაგრამ ამავე დროს დიალექტიკურად ურთიერთდაკავშირებული. ასე მაგ., არ შეიძლება ღრმად შევიცნოთ სინამდვილის ესა თუ ის ფორმა, თუ არ გამოვარკვეთ მისი აღმოცენების შესაძლებლობანი, მაგრამ მეორეს მხრივ, ამ შესაძლებლობათა გარკვევაც შეუძლებელი იქნებოდა სინამდვილის იმ ფორმების შეცნობის გარეშე, რომელთა შესაძლებლობებსაც ისინი წარმოადგენენ. ეს ადვილი ვასაგებია, ვინაიდან შესაძლებლობებს არავითარი აზრი არა აქვთ იმ საგნებისა და მოვლენების გარეშე, რომელთა ცვლილებებსაც ისინი გამოხატავენ. სინამდვილე შეიშეცნება უშუალოდ, მაშინ როდესაც ამა თუ იმ შესაძლებლობის არსებობაზე კეთდება დასკვნა, სინამდვილის გარკვეული საგნებისა და მოვლენების შეცნობის ბაზაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებლობა არ შეიცნობა ისევე შესაძლებლობის მეშვეობით. იმისათვის, რომ ამოცხნათ შესაძლებლობა, საჭიროა სინამდვილის სიღრმეში შეჭრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი უფრო ღრმად იშეცნებს სინამდვილის მოცემულ ფორმას; სინამდვილისა და შესაძლებლობის სპეციფიკა, გარდა ამისა, მდგომარეობს იმაში, რომ სინამდვილის ესა თუ ის ფორმა, მიუხედავად მისი წინააღმდეგობრივი ხასიათისა, განსაზღვრულია, გარკვეულია; შესაძლებლობა კი ასეთ გარკვეულობას მოკლებულია, ვინაიდან იგი დამოკიდებულია პირობებისაგან, რომელთა არსებობა მთელი რიგი მიზეზებით აიხსნება. უნდა შევნიშნოთ, რომ შესაძლებლობის გაურკვეველობა არ ატარებს აბსოლუ-

¹ Гегель, Соч., т. I, М. Л., 1929, стр. 233.

ტურ ხასიათს, პირიქით, იგი შედარებითია. ყოველი კონკრეტული შესაძლებლობა არის განსაზღვრული სინამდვილის შესაძლებლობა, და თუ კი იგი გადაიტყვევს სინამდვილედ, აუცილებლად — თავის სინამდვილედ. ასე მაგ., კაპიტალისტური საზოგადოება, როგორც სინამდვილის ფორმა, ახალი, უფრო ჩალალი საზოგადოებრივი წყობილების აღმოცენების შესაძლებლობის მატარებელია, მაგრამ ეს შესაძლებლობა მხოლოდ საზოგადოებრივი მოვლენების სფეროს შეეხება და, ამდენად, გარკვეულია. მართალია, სოციალიზმი თვისობრივად განსხვავდება კაპიტალიზმისაგან, მაგრამ ორივე ეს ფორმაცია საზოგადოების, და არა სხვა რაიმე მოვლენის, განვითარების საფეხურებია. შესაძლებლობა და სინამდვილე არ შეიძლება აბსოლუტურად დავუპირისპიროთ ერთმანეთს. ერთი და იგივე საგანი ერთი მიმართებით წარმოადგენს სინამდვილის ფორმას, ხოლო სხვა მიმართებით — შესაძლებლობის ფორმას. თუ არსებობს გარკვეული სინამდვილე ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს მისი ცვლილებისა და განვითარების შესაძლებლობაც და პირიქით, შესაძლებლობის არსებობა მიუთითებს შესატყვისი საგნის არსებობაზე. სინამდვილის წინარე და მომდევნო ფორმები განუყრელად არიან დაკავშირებული ერთიანობითან. ძველთან ახალის ამ კავშირის ერთ-ერთი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ მომდევნო აღმოცენდება წინარეში შესაძლებლობის სახით. შესაძლებლობის განხორციელება ნიშნავს ახალის აღმოცენებას ძველის ბაზაზე. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებლობა გამოხატავს სინამდვილის ძველ და ახალ ფორმათა შორის კავშირს. ასე მაგ., სინამდვილის ესა თუ ის ფორმა არის გარკვეული შესაძლებლობის განხორციელების რეზულტატი და ამავე დროს საფუძველი ახალი შესაძლებლობის წარმოშობისათვის. ამრიგად, სინამდვილის ფორმა აკავშირებს ერთმანეთთან ორ განსხვავებულ შესაძლებლობას. ეს გარემოება ადასტურებს სინამდვილისა და შესაძლებლობის, როგორც ქნადობის, ერთი მთლიანი პროცესის ორი მხარის განუყრელობას.

სინამდვილე და შესაძლებლობა — დაპირისპირებულია დიალექტიკური ერთიანობაა. არ არსებობს სინამდვილე შემდგომი განვითარების გარკვეულ წინამძღვართა, ე. ი. შესაძლებლობათა, არსებობის გარეშე, მაგრამ ასევე, არ არსებობს შესაძლებლობა თავისი მატერიალური საფუძვლის, ე. ი. სინამდვილის გარეშე. ამ ერთიანობაში შესაძლებლობა გამოდის, როგორც დაქვემდებარებული მომენტი, რომელიც არსებობს გარკვეული სინამდვილის ბაზაზე.

შესაძლებლობისა და სინამდვილის ურთიერთნიშარტების ამოხსნა აუცილებელია იმის გასაგებად, თუ როგორ აღმოცენდება და მტკიცდება ნოცემული სინამდვილიდან ახალი სინამდვილე. შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის არსებული განსხვავების გაგება ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების შემეცნების აუცილებელი პირობაა. ამ განსხვავების გაგების უაღრესად დიდ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ვ. ი. ლენინი. „სწორედ „მეთოდოლოგიაში“... — გვასწავლის ლენინი, — უნდა განვასხვაოთ შესაძლებელი სინამდვილისაგან“¹. სინამდვილისა და შესაძლებლობის გაიგივებას მიყვევართ სტიქიურობისა და თვითდინების წინაშე ქედის მოხრამდე, ხოლო მათი ერთიმეორისაგან მოწყვეტას — ავანტიურისმამდე.

ცნობილია, რომ 1917 წლის აპრილში, პეტროგრადში მასიურ-პოლიტიკური დემონსტრაციების პერიოდში, რსდმს(ბ) პეტერბურგის კომიტეტის მცირე ჯგუფმა ბოგდატიევის მეთაურობით წამოაყენა ლოზუნგი დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივი დამხობის შესახებ. ეს ლოზუნგი იყო არასწორი, ავანტიურისტული. ამის თაობაზე ვ. ი. ლენინი წერდა: „ლოზუნგი: „ძირს დროებითი მთავრობა“ ამჟამად იმიტომ არ არის სწორი, რომ თუ რევოლუციური პროლეტარიატის მხარეზე ხალხის მტკიცე (ე. ი. შეგნებული და დარაზმული) უმრავლესობა არ იქნა, ასეთი ლოზუნგი ან ფრაზაა, ანდა ობიექტურად ავანტიურისტული ხასიათის ცდაა“². კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში სინამდვილედ გადაიქცევიან მხოლოდ ის შესაძლებლობანი, რომელთა გახორციელება საბოლოო ჯამში აუცილებელია.

„Возможно ли что либо или невозможно, это зависит от содержания, т. е. от совокупности моментов действительности, которая в своем развитии показывает себя как необходимость“³.

იმისდა მიხედვით, თუ რა ხარისხით განაპირობებს სინამდვილე შესაძლებლობას, მარქსისტული დიალექტიკა განასხვავებს ერთიმეორისაგან აბსტრაქტულ და რეალურ შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობათა ურთიერთისაგან გარჩევას აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ ამასთანავე უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ასე მაგ., რამდენიმე წლით ადრე, სანამ მანქანა-ტრაქტორთა

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 249.

² იქვე, ტ. 24, გვ. 240.

³ В. И. Ленин, Философские тетради, стр. 153.

სადგურების რეორგანიზაცია მოხდებოდა, ეკონომისტთა ერთი ნაწილი იძლეოდა წინადადებას კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვისა და არსებითად, მტს-ების ლიკვიდაციის შესახებ. ამ დროისათვის აღნიშნული იდეა გამოხატავდა ანსტრაქტულ შესაძლებლობას და მისი რეალიზაციისათვის ბრძოლა ვერ მოუტანდა დადებით შედეგს სოფლის მეურნეობას. პირიქით, აღნიშნული ნაბიჯი, უდაოდ, დიდ ზიანს მიაყენებდა მას. ასე მოხდებოდა იმიტომ, რომ „კოლმეურნეობები, რადგან ეკონომიურად სუსტი იყვნენ, ვერ შეიძენდნენ და სწორად ვერ გამოიყენებდნენ ტექნიკას. ჩვენ ძირს გამოვუთხრიდით ჩვენს სოფლის მეურნეობას. აი ამიტომ უარყო პარტიამ ასეთი წინადადებანი, როგორც მკდარი წინადადებანი“¹. მაგრამ შემდეგში მდგომარეობა შეიცვალა, შეიცვალა პირობები და შესაძლებლობის ხასიათიც. კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის ზევეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლით, რაც გაჩაღდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, მეტი წილი კოლმეურნეობები გახდნენ მსხვილი და ეკონომიურად ძლიერი მეურნეობანი, რომლებიც წარმოებაში უფროდ იყენებენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებებს. გაიზარდა სოფლის მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტთა და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორთა მრავალრიცხოვანი კადრები. ასეთ პირობებში მტს-ების რეორგანიზაციის საკითხი ცხოვრების მიერ უკვე მოწინავედ საკითხს წარმოადგენდა. ამიტომ ამბობდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი: „ახლა, როცა კოლმეურნეობებს შეუძლიათ განახორციელონ დიდი კაპიტალდაბანდებანი თავიანთ წარმოებაში, შეიძინონ რთული ტექნიკა, უზარუნველჰყონ მისი სწორი გამოყენება, მომწიფდა კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურეობის ფორმებში ძირეულ ცვლილებათა შეტანის საკითხი. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უკვე შეასრულეს ის როლი, რომელიც მათ წინათ ეკისრებოდათ, და საჭიროა მათი ძირეული რეორგანიზაცია“².

ამრიგად, როცა შესაძლებლობა რეალურია, მაშინ აუცილებელია აღამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობა მისი განხორციელებისათვის.

¹ ნ. ს. ხრუშჩოვი, მოხსენება სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლეს საბჭოს I სესიაზე 1958 წლის 27 მარტს.

² ნ. ს. ხრუშჩოვი, მოხსენება საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ 1958 წლის 27 მარტს.



თეორიულად მცდარია და პრაქტიკულად ზაენე ორიენტაციის აღება აბსტრაქტულ შესაძლებლობაზე, ასევე მიუღებელია რეალური შესაძლებლობათა იგნორირება. რეალური შესაძლებლობა — ესაა შესაძლებლობა, რომლის რეალიზაციის პირობები ან უკვე აღმოცენდნენ, ან იმყოფებიან აღმოცენების პროცესში. რეალური შესაძლებლობა ეფუძნება გარკვეული პირობების ერთობლიობათა კანონზომიერებას. რეალური შესაძლებლობა ყოველთვის კონკრეტულია, ე. ი. ეფუძნება გარკვეულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს.

აბსტრაქტული შესაძლებლობის ნიშანდობლივი თავისებურება მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებისგან ერთგვარ მოწყვეტილობაში მდგომარეობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აბსტრაქტული და რეალური შესაძლებლობანი აბსოლუტურად უპირისპირდებიან ერთმანეთს. მოვლენის განვითარებისას არაარსებითი მნიშვნელობის პირობები შეიძლება გადაიქნენ არსებითად და, ამის შესატყვისად, აბსტრაქტული შესაძლებლობა — რეალურ შესაძლებლობად. იგივე შეიძლება მოხდეს პირიქით. ასე მაგ., ომების თავიდან აცილების შესაძლებლობა ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში იყო აბსტრაქტული, ვინაიდან, როგორც სკკ პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, ის საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც დაინტერესებული არ არიან ომით და მის წინააღმდეგ გამოდიან, სუსტად იყვნენ ორგანიზებულნი, არ ჰქონდათ იმის საშუალებანი, რომ ომის გამჩაღებელთა ზრახვებისათვის თავიანთი ნება დაეპირისპირებინათ. ასე იყო საქმე პირველი მსოფლიო ომის წინ, როცა ძირითადი ძალა, საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელიც ომის საფრთხის წინააღმდეგ იბრძოდა, დეზორგანიზებული იყო II ინტერნაციონალის ლიდერთა გამცემლობით.

მაგრამ ამჟამად, როცა იმპერიალიზმში აღარ ასრულებს მთავარ როლს საერთაშორისო ურთიერთობაში და წამყვანი ადგილი უჭირავს სოციალისტურ ბანაკს, როცა მსოფლიო პოლიტიკაში ძლიერ გაიზარდა გავლენა კაპიტალისტური ქვეყნების ხალხის მასებისა და იმ სახელმწიფოებისა, რომლებმაც ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს, იქმნება იმის რეალური შესაძლებლობა, რომ სოციალიზმის მიერ წამოყენებულმა ახალმა პრინციპებმა ვაიმარჯვონ აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკის პრინციპებზე.

„ახალ ისტორიულ ეპოქაში განუზომლად გაიზარდა ხალხის მასების შესაძლებლობა აქტიურად ჩაერიონ საერთაშორისო საკითხების გადაჭრაში. ხალხები სულ უფრო აქტიურად იღებენ საკუთარ ხელში მშვიდობისა და ომის საკითხის გადაჭრას. მასების



ომისსაწინააღმდეგო მოძრაობა, რომელიც სხვადასხვა ფორმებში იღებს, უდიდესი ფაქტორია მშვიდობისათვის ბრძოლაში. ამ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის დიდ მაორგანიზებელ ძალად გამოდის საერთაშორისო მუშათა კლასი, იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ ყველაზე შეურიგებელი, ყველაზე თანმიმდევარი მებრძოლი. მძლავრი სოციალისტური ბანაკის, მშვიდობისმოყვარე არასოციალისტური სახელმწიფოების, საერთაშორისო მუშათა კლასისა და მთელი იმ ძალების გაერთიანებული ღონისძიებებით, რომლებიც მშვიდობის საქმეს იცავენ, **შეიძლება თავიდან ავიცილოთ მსოფლიო ომი**. იმპერიალიზმის ძალებთან შედარებით სოციალიზმის ძალების, ომის ძალებთან შედარებით მშვიდობის ძალების მზარდი უპირატესობა იმას იწვევს, რომ დედამიწაზე სოციალიზმის ჯერ კიდევ სრულ გამარჯვებამდე, როცა მსოფლიოს ერთ ნაწილში კაპიტალიზმი ჯერ კიდევ არსებობს, წარმოიშობა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ მსოფლიო ომი გამოირიცხოს საზოგადოების ცხოვრებიდან¹.

ერთი და იგივე შესაძლებლობა სხვადასხვა პირობებში, ობიექტური სინამდვილის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ხორციელდება სხვადასხვა ფორმით. მაშასადამე, საგნის შესაძლებლობა და მისი განაორციელების შესაძლებელი ფორმები არაა ერთი და იგივე. თუ კი შესაძლებლობა გამოხატავს ახლის სტრუქტურის წინამძღვრებს, იგი ზოგადი შესაძლებლობაა, ხოლო თუ კი იგი გამოხატავს იმ უკანასკნელის განხორციელების ფორმებსა და გზებს — ცალკეული (ერთეული) შესაძლებლობა. ზოგადი შესაძლებლობანი არსებობენ ცალკეულ შესაძლებლობათა სახით.

იმის გარკვევას, თუ ცალკეული შესაძლებლობანი რა პირობებში გამოხატავენ მოცემული ზოგადი შესაძლებლობის გადაქცევას სინამდვილედ, აქვს პირველბარისზოვანი მნიშვნელობა ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში. 1917 წლის აპრილში, რუსეთში შექმნილი ისტორიულ-კონკრეტულ პირობათა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვანს რევოლუციის მშვიდობიანი გზით განვითარების შესაძლებლობას, მაგრამ შემდეგში, ქვეყნის ვითარებისა და ძალთა თანაფარდობის შეცვლასთან ერთად, უნდა შეცვლილიყო პარტიის ტაქტიკაცა და ლოზუნგებიც. ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა 4 ივლისის

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1961 წ., გვ. 61-62.



შემდეგ ძირეულად განსხვავდება 27 თებერვალ—4 ივლისს, როდის მდგომარეობისაგან. ახლა, როდესაც მთელი ძალაუფლება კონტრევოლუციის ხელში გადავიდა, მუშათა კლასს ძალაუფლების ხელში ალება შეეძლო მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების გზით. სკკ პარტიის პროგრამაში, რომელიც მიიღო XXII ყრილობამ, მოცემულია რა თანამედროვე პირობების ღრმა მეცნიერული ანალიზი, ნათქვამია: „თანამედროვე პირობებში მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასს თავისი მოწინავე რაზმის მეთაურობით შესაძლებლობა აქვს მუშათა და სახალხო ფრონტის საფუძველზე და სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეთანხმებისა და პოლიტიკური თანამშრომლობის სხვა შესაძლო ფორმების საფუძველზე გააერთიანოს ხალხის უმრავლესობა. მოიპოვოს სახელმწიფო ძალაუფლება სამოქალაქო ომის მოუხდენლად და უზრუნველყოს წარმოების ძირითად საშუალებათა გადასვლა ხალხის ხელში. ხალხის უმრავლესობაზე დაყრდნობით და მტკიცე წინააღმდეგობის გაწევით ოპორტუნისტული ელემენტებისადმი, რომლებსაც არ ძალუძთ უარი თქვან კაპიტალისტებთან და მემამულეებთან შემთანხმებლობის პოლიტიკაზე, მუშათა კლასს შესაძლებლობა აქვს დაამარცხოს რეაქციული, ანტიხალხური ძალები, მოიპოვოს მტკიცე უმრავლესობა პარლამენტში; გადააქციოს იგი იარაღიდან, რომელიც ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს ენსახურება, იარაღად, რომელიც ხალხს ემსახურება. გააჩაღოს პარლამენტის გარედ ფართო მასობრივი ბრძოლა, გატეხოს რეაქციული ძალების წინააღმდეგობა და შექმნას სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი განხორციელებისათვის საჭირო პირობები“¹.

თანამედროვე პირობებში სოციალისტური რევოლუციის განხორციელების ფორმები არ შეიძლება არ იყოს სხვადასხვანაირი. არ არის შემთხვევითი, რომ სოციალისტური რევოლუციის შესაძლებლობა სსრ კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში განხორციელდა სხვადასხვა ფორმით, ე. ი. ცალკეულ შესაძლებლობათა რეალიზაციის გზით. ამ ცალკეულ შესაძლებლობათა თავისებურება გაპირობებული იყო როგორც საერთაშორისო მდგომარეობით, ისე ამ ქვეყნების სოციალ-ეკონომიური განვითარების სპეციფიკური მხარეებით.

სხვადასხვა ქვეყნების სოციალიზმზე გადასვლის თავისებური

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 43—44.

ფორმების არსებობა ეწინააღმდეგება სქემატიზმს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თითქოს იცვლებოდეს პროლეტარიატის დიქტატურის არსი. სკკ პარტიის პროგრამაში ვკითხულობთ: „მაგრამ რა ფორმითა უნდა ხდებოდეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა. იგი შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის გზით. რა მრავალფეროვანიც უნდა იყოს სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში ახალი, სახალხო სახელმწიფო ხელისუფლების ფორმები. მათი არსი ერთია — პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ დემოკრატias. დემოკრატias მშრომელთათვის“¹.

ცალკეული შესაძლებლობანი აიხსნებიან საერთო (ზოგადი) შესაძლებლობით, ამიტომ არ შეიძლება შეჩერება ცალკეულ შესაძლებლობაზე, თუ არ ჩავსწვდით ზოგად (საერთო) შესაძლებლობას. ასე მაგ., განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებობს ორი საერთო ურთიერთდაპირისპირებული შესაძლებლობა: პირველი, შესაძლებლობა ომისა, რადგანაც არსებობს კაპიტალიზმი, ომის ეკონომიური საფუძველი და მეორე, ომების თავიდან აცილების შესაძლებლობა, რაც გაპირობებულია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნით, სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების არსებობით, მშრომელთა მასების ფართო მოძრაობით მშვიდობის უზრუნველსაყოფად და სხვა. ამ საერთო შესაძლებლობათა მეცნიერული ანალიზის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი ვითარების გარჩევა. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში სკკ პარტიის XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“, იძლევა რა ამ შესაძლებლობათა ღრმა მეცნიერულ ანალიზს, ხაზს უსვამს იმას, რომ შეიდწლიანი გეგმის განხორციელება უდიდეს როლს შეასრულებს თანამედროვეობის ძირეული პრობლემის გადაჭრაში — საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებაში. გეგმის შესრულება იმდენად გაადიდებს სსრ კავშირის ეკონომიურ პოტენციალს, რომ ყველა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის ზრდასთან ერთად. უზრუნველყოფს გადამწყვეტ უპირატესობას ძალთა თანაფარდობაში საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის სასარგებლოდ. ამ ნიადაგზე კი წარმოიშობა ახალი, კიდევ უფრო ხელშემწყობი პირობები მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

სსრ კავშირის, ევროპისა და აზიის ყველა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიური გეგმების განხორციელების შედეგად „შეიქმნება

¹ საბჭოთა კავშირის კოქუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 43.



რეალური შესაძლებლობანი იმის, როგორც საერთაშორისო საქმიანობების გადაჭრის საშუალებების, თავიდან აცილებისათვის¹.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალური შესაძლებლობანი, თავიანთი მომწიფების ხარისხის თვალსაზრისით, შეიძლება დაეყვოდნენ ორ ჯგუფად: უშუალო პრაქტიკული და პერსპექტიული შესაძლებლობანი. უშუალო პრაქტიკული შესაძლებლობა ისეთია, რომელსაც სინამდვილედ გადაქცევისათვის გააჩნია აუცილებელი პირობები და ნატურალური საშუალებანი. საბჭოთა ადამიანების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობაში ასეთ შესაძლებლობებს ჩვენ ვაწყდებით ფაბრიკების, ქარხნების, კოლმეურნეობების შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და წარმოების ინტერესებისათვის გამოყენებისას. იმაზე, თუ სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში როგორ მოდის მოძრაობაში საწარმოო რეზერვები და გამოიყენება ადგილობრივი შესაძლებლობანი, ბევრად არის დამოკიდებული ამ საწარმოო საქმიანობის რეზულტატი. აღნიშნული შესაძლებლობის თავისებურება ისაა, რომ იგი მნიშვნელოვანია დღევანდელი დღის ამოცანების თვალსაზრისით, რომელთა ცხოვრებაში გატარება მთელი აუცილებლობითაა დასმული დღის წესრიგში. ასე მაგ. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში რეალიზირებულ იქნა ისეთი უშუალო პრაქტიკული შესაძლებლობანი, როგორიცაა სამუშაო დღის შემცირება, პენსიების გადიდება და ა. შ. ადამიანთა მოქმედება, რომელიც მიზართულია დღევანდელი დღის შესაძლებლობათა რეალიზაციისაკენ, მუდამ დაკავშირებულია უფრო შორეული მიზნების განხორციელებასთან, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელია რეალურ პერსპექტიულ შესაძლებლობათა გამოვლენისა და გათვალისწინების საფუძველზე.

პერსპექტიული შესაძლებლობა ხასიათდება იმით, რომ მისი განხორციელება შედარებით უფრო ხანგრძლივ პროცესთან არის დაკავშირებული, კერძოდ კი, იმ ეტაპებთან, რომელთა ფარგლებში ხდება უშუალო-პრაქტიკული შესაძლებლობათა რეალიზაცია. პერსპექტიული და უშუალო-პრაქტიკული შესაძლებლობანი მჭიდროდ უკავშირდებიან და ავსებენ ერთიმეორეს. ამ ერთიანობის, არსი იმაში მდგომარეობს, რომ პერსპექტიულ შესაძლებლობათა ცხოვრებაში გატარება შეიძლება მხოლოდ დღევანდელი დღის შესაძლებლობათა რეალიზაციის საფუძველზე. პერსპექტიულ შესაძლებლობათა მეცნიერული გამოვლენა უშუალო-პრაქტიკულ შესაძლებ-

¹ სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მასალები, თბილისი, 1959, გვ. 78.

ლობათა მაქსიმალური გამოყენების საფუძველია. სოციალიზმის პრობებში ამ შესაძლებლობათა დიალექტიკური ურთიერთდამოკიდებულება მკაფიოდ შელანდება სახელმწიფო საგვემო ორგანოების მუშაობაში, რომლებიც იმუშავენენ სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს.

აღნიშნულ შესაძლებლობათა გათვალისწინება იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვენს პრაქტიკულ მოღვაწეობაში არ იქნეს დაშვებული შეცდომები, განსაკუთრებით კი ისეთი ხასიათისა, რაც მოვლენათა მსვლელობისაგან ან ჩამორჩენაში, ან მოვლენათა მსვლელობისათვის წინ გასწრების ცდაში მდგომარეობს.

საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, გავარჩიოთ ერთმანეთისაგან პროგრესული და კონსერვატული შესაძლებლობანი. სინამდვილე წინააღმდეგობრივია. ბრძოლა ახალსა და ძველს შორის წარმოადგენს განვითარების არსებით მხარეს. ზოგჯერ საზოგადოების განვითარებაში შეინიშნება უკუსვლითი მოძრაობაც. „მსოფლიო ისტორიის წარმოდგენა ისე, — წერს ვ. ი. ლენინი, — რომ იგი მიიზარტება წინ მშვიდად და წესიერად, არ აკეთებს ზოგჯერ უზარმაზარ ნახტომებს უკან, არაღიალექტიკურია, არაენციერული და თეორიულად უმართებულო“¹.

ამრიგად, რეალური შესაძლებლობა გამოდის ან როგორც ძველის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ან როგორც ახლის აღმოცენებისა და განვითარების შესაძლებლობა. პროგრესული შესაძლებლობანი მუდამ გამოხატავენ ისტორიულ აუცილებლობას; მათი გადაქცევა სინამდვილედ, ადრე თუ გვიან, აუცილებელია. კონსერვატულ შესაძლებლობათა რეალიზაცია კი მთლიანად გაპირობებულია დროებითი, გარდაწვალის პირობებით. კონსერვატული შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევისას პროგრესული შესაძლებლობა ძალაში რჩება და იზრდება მაშინ, როდესაც პროგრესული შესაძლებლობის რეალიზაციისას კონსერვატული შესაძლებლობა ისპობა. ასე მაგ., სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში არსებობდა, ერთი მხრე, კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობა (კონსერვატული) და, წეორე მხრივ, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შესაძლებლობა (პროგრესული). ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შედეგად კაპიტალიზმის რესტავრაცია გამორიცხულია, ვ. ი. მოიხსნა კონსერვატული შესაძლებლობა.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 392.



რასაკვირველია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში პროგრესული შესაძლებლობის გამარჯვება არ ხდება თვითდინების წესით და სტიქიურად. არამედ ეს გამარჯვება დაკავშირებულია დაპირისპირებულ სოციალურ ძალებთან მძაფრ ბრძოლასთან.

ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში აგრეთვე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთავარი (ძირითადი) შესაძლებლობის გამოვლენას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში. ამ შესაძლებლობის გამოვლენა ნიშნავს ისტორიულ ვითარებათა ჯაგვში მოვლახოთ ძირითადი რგოლი და ამისდამყვანდით გავარკვიოთ საზოგადოების წინაშე მდგარი მიზნები და ამოცანები. „ჩვენი პარტიის ძალა ის არის, — ამბობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ, ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, განვითარების ყოველ ახალ ისტორიულ ეტაპზე უნარი აქვს მონახოს ის მთავარი რგოლი, რომლის ხელის ჩაჭიდებით შეიძლება წარმატებით გადაჭრას კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის წინსვლის უმნიშვნელოვანესი ამოცანები“¹.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მიუთითებს სინამდვილისა და შესაძლებლობის კატეგორიის ბუნების ვარკვევის უაღრესად დიდ პრინციპულ მნიშვნელობაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ზოგიერთი ავტორი იძლევა ცალკეული საკითხების არა ზუსტ ფორმულირებას და აყენებს დებულებას, რომლის სისწორე ეჭვს იწვევს. ასე მაგ., გ. კაზაკევიჩი სტატიაში „О возможности и действительности, как категориях материалистической диалектики“ (Ученые записки ЛГУ им. А. А. Жданова, Издательство ЛГУ; 1956, вып. 7). იმ აზრს იცავს, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასაევოთ ფორმალური, აბსტრაქტული და რეალური შესაძლებლობა. შესაძლებლობათა ასეთი კლასიფიკაცია არ არის ზართებული. ფორმალური და აბსტრაქტული შესაძლებლობის შინაარსი ერთი და იგივეა და ზათი ურთიერთისაგან განსხვავება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მატერიალისტურ დიალექტიკაში განასხვავებენ ერთმანეთისგან ფორმალურ (აბსტრაქტულ) და რეალურ (კონკრეტულ) შესაძლებლობებს.

კაზაკევიჩის ცდას, რათა აბსტრაქტულისაგან განსხვავებით „ცალკე ადგილი გამოეყოს ფორმალური შესაძლებლობისათვის“, ის

¹ ნ. ს. ხრუშჩოვი, მოხუცება სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს I სესიანზე, გვ. 10.

შედგენი მოჰყვა, რომ დამახინჯებულია თვითონ ფორმალური შესაძლებლობის გაგება. კაზაკევიჩი ფიქრობს, რომ ფორმალური შესაძლებლობა — ესაა „по сути дела, не возможность, она не имеет корней в объективной действительности, не связана с объективными материальными процессами“¹.

ხოლო აბსტრაქტული შესაძლებლობა კი „в отличие от формальной опирается на объективные процессы, хотя не выражает основной тенденции развития данного процесса“².

როგორც იტყვიან, საგანს თავისი სახელი უნდა დაერქვას. თუ ფორმალური შესაძლებლობა ფაქტიურად შეუძლებლობაა, მაშინ რა უფლების ძალით ვუწოდებთ მას საერთოდ შესაძლებლობას. სადაა საზღვარი შესაძლებლობასა და შეუძლებლობას შორის. ვფიქრობთ, რომ კაზაკევიჩი არღვევს ლოგიკის მოთხოვნას, კიდევ მეტი: როგორც ცნობილია, კატეგორიები, ცნებები ასახავენ ობიექტურ სინამდვილეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არავითარი მნიშვნელობა არ ექნებათ. ეს დებულება დავას არ იწვევს, სწორედ ამიტომ, მეტად უცნაურია ვამტკიცოთ, რომ ფორმალური შესაძლებლობა ისეთი რამ არის, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ფესვები ობიექტურ სინამდვილეში. როგორც ვხედავთ, შესაძლებლობათა კლასიფიკაციაში ორიგინალობის შეტანის სურვილმა ავტორი ქეშმარიტებას დააშორა.

როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიები გამოხატავენ ცვლილებისა და განვითარების პროცესის მნიშვნელოვან მხარეებს, რომლებიც, თავის მხრივ, გაპირობებული არიან სინამდვილის სხვა ისეთი მხარეებით, რომელთა ასაქვასაც წარმოადგენს ისეთი კატეგორიები, როგორცაა: ფორმა, შინაარსი, კანონი, აუცილებლობა და ა. შ.

ბუნებრივად ისმის საკითხი ამ კატეგორიათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაშიაც მთელ რიგ გაუგებრობებთან გვაქვს საქმე. ავილოთ თუნდაც აუცილებლობისა და შესაძლებლობის ურთიერთმომართების საკითხი. საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამჟამადაც საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ის აზრი, რომ შესაძლებლობა ჯერ გადადის აუცილებლობაში და შემდეგ სინამდვილეში. ეს თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართალი.

¹ იხ. Ученые записки ЛГУ, 1956, вып. 7, стр. 24.

² Там же, стр. 26.

შესაძლებლობა და სინამდვილე ისე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რომ არ შეიძლება დაუშვებით რაიმე შუალედური რგოლის არსებობა მათ შორის. სქემა: შესაძლებლობა — აუცილებლობა — სინამდვილე ყალბია. თუ ზემოდაღნიშნულ სქემას ნივთიერებით, აღმოჩნდება, რომ აუცილებლობა რაღაც თვითკმარ და შუალედ რგოლს წარმოადგენს შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის, ეს მაშინ, როდესაც; ფაქტიურად, მთელი პროცესი, შესაძლებლობის აღმოცენებიდან მის სინამდვილედ გადაქცევამდე, აუცილებლობის შემცველია. ზედმიჯვარი განვითარების პროცესში შესაძლებლობა გვევლინება, როგორც აუცილებლობის გამოხატულება, ვინაიდან მისი აღმოცენება ხდება მოვლენათა და სათანო განვითარების შინაგანი აუცილებლობის ბაზაზე. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყოველი მოცემული შესაძლებლობა ადრე თუ გვიან აუცილებლად განხორციელდება. შესაძლებლობა, როგორც აუცილებლობის მომენტი, წინააღმდეგობრივი ბუნების მატარებელია: ან იგი შეიძლება გადაიქცეს სინამდვილედ, ან არა. ახლის აღმოცენება ერთდროულად როს აუცილებელიცაა და შემთხვევითიც, ვინაიდან შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლენის ფორმა და მისი დამატებაა. „აუცილებლობა, — წერს ენგელსი, — წმინდა შემთხვევითობათაგან შედგება და ეს მოჩვენებითი შემთხვევითობა ფორმაა, რომლის უკან აუცილებლობა იმალება“¹.

შესაძლებლობის დამოკიდებულება თავის პირობებისაგან, ამ პირობების მიერ მისი შექმნა წარმოებს ობიექტური კანონების საფუძველზე. თუ კი არ იარსებებდა ობიექტური კანონზომიერება, მაშინ ყველაფერი თანაბარი ხარისხით იქნებოდა როგორც შესაძლებელი, ისე შეუძლებელი. ვცნობთ რა ობიექტურ კანონზომიერებას, ამით ჩვენ ვცნობთ შესაძლებლობის ობიექტიურობას, მაგრამ ესა თუ ის შესაძლებლობა დამოკიდებულია არა მარტო ამა თუ იმ რიგის მოვლენათა კანონზომიერ, აუცილებელ მოძრაობაზე, არამედ აგრეთვე გარემოებათა შემთხვევით შერწყმაზედაც. სწორედ ამიტომ, შესაძლებლობის გარკვევისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც აუცილებელი, ისე შემთხვევითი ფაქტორებიც. ამ თვალსაზრისით შესაძლებლობის კავშირს შემთხვევითობასთან გამოხატავს ალბათობის კატეგორია. შესაძლებლობა შეიძლება გამოთვლილ იქნას. ალბათობა ესაა შესაძლებლობის რაოდენობრივი დახასიათება,

¹ ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, 1954, გვ. 47.

ზომა შესაძლებლობისა. რასაკვირველია, ანა თუ იმ გარემოების შესაძლებლობის გამოთვლა ყოველთვის როდია ზუსტად შესაძლებელი. შესაძლებლობის ხარისხის რაოდენობრივი დახასიათება მიეყენება მასობრივ გარემოებებს, რომლებიც გარკვეულ პირობებში შეიძლება განმეორდნენ განუსაზღვრელი ოდენობით. აღზათობა გამოიხატება წილადით $\frac{III}{II}$, სადაც II შესაძლებლობათა საერთო რიცხვია, ხოლო III — სასურველ შემთხვევათა რიცხვი. მაგ., თუ 100 ლატარიის ბილეთიდან 8 იგებს, მაშინ მოგების აღზათობა =

$$= \frac{8}{100} = 0,08.$$

შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიის ბუნების გარკვევისათვის საჭიროა დიალექტიკის კანონებთან მისი მიზართების ცხადყოფა.

როგორც ცნობილია, კითხვაზე, თუ როგორ ხდება განვითარება, პასუხობს რაოდენობის თვისობრიობაში და პირუტყვ გადასვლის კანონი. თვისობრიობა საგნის შინაგანი, ძირეული განსაზღვრულობა: მისი შეცვლით საგანიც იცვლება, ხოლო რაოდენობა არის საგნის არსებობისათვის აუცილებელი გარეგანი და არაძირეული განსაზღვრულობა. თვისობრივად ახალის წარმოშობა შედეგია რაოდენობრივი ცვლებადობისა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საგნის ძირეული შეცვლა გამოწვეულია საგნის არაძირეული — რაოდენობრივი მხარის ცვლილებებისაგან. რაოდენობის გადასვლა თვისობრიობაში, რასაკვირველია, რაოდენობრივი ცვლებადობის გარკვეულ საფეხურზე ხდება. რაოდენობრივი ცვლილება ამზადებს საფუძველს ერთი თვისობრიობიდან მეორეზე ნახტონისებური გადასვლისათვის. კავშირი რაოდენობასა და თვისობრიობას შორის ცალმხრივი არაა. რაოდენობრივ ცვლილებათა თვისობრივში გადასვლის ყოველი პროცესი იმავე დროს ნიშნავს თვისობრივ ცვლილებათა გადასვლას ახალ რაოდენობრივ ცვლილებებში. მთელი ეს პროცესი კანონზომიერი ხასიათის მატარებელია. ყოველივე ამით განისაზღვრება შესაძლებლობისა და სინამდვილის აღმოცენების ფორმების ხასიათი. შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიები გამოხატავენ ქმნადობის პროცესის მნიშვნელოვან მხარეებს როგორც რიცხობრივი, ისე თვისობრივი ცვლილებების თვალსაზრისით. ცხადია, რომ რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონი უფრო ნათელს ხდის აღნიშნულ კატეგორიათა ბუნებას.

ნაგრამ ზემოაღნიშნული კანონი სრულქმნილად ჯერ კიდევ არ



მიუთითებს იმაზე, თუ როგორია ძველსა და ახალ თვისობრიობებში შორის არსებული მიმართება, როგორია წინსვლითი პროცესი. აღნიშნულ კითხვებზე უარყოფის უარყოფის კანონი პასუხობს. ცნობილია, რომ განვითარება თავისთავში შეიცავს უარყოფას, როგორც აუცილებელ და კანონზომიერ მომენტს, მაგრამ ჯერ კიდევ არაა საკმარისი განვითარებაში უარყოფის მომენტის აღიარება. საჭიროა, სწორად იქნას გაგებულნი უარყოფის ბუნება, მისი დიალექტიკური ხასიათი. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ უარყოფაზე, მხედველობაში გვაქვს არა ყოველგვარი უარყოფა, არამედ ისეთი, რომელიც განვითარების პირობაა. არის რა განვითარების პირობა, უარყოფა ამავე დროს გამოხატავს განვითარების უწყვეტობას, მემკვიდრეობითობას, კავშირს განვითარების განსხვავებულ სტადიებსა და მომენტებს შორის. დიალექტიკური უარყოფა არის მოხსნაც და, ამავე დროს, შენახვაც. უარყოფის უარყოფის კანონი მიუთითებს იმაზე, რომ თითოეული საგანი თავისთავში მოიცავს საკუთარ თავის უარყოფის მომენტს. ვითარდება რა, საგანი შესაძლებლობის სახით თვითონ ამზადებს საფუძველს მისი ფორმის უარსაყოფად. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ უარყოფის მომენტი აღმოცენდება საგნის შიგნით და გარკვეულ პერიოდში წარმოადგენს საგნის იმმანენტურ თვისებას, საგანი გადადის „გარკვეულ სხვაში“. შინაგანი უარყოფის საფუძველზე ახალზე გადასვლის ამ სპეციფიკას კარგად გამოხატავს ჰეგელისეული ცნება „თავის სხვადყოფის“ შესაბამისად. უარყოფის უარყოფის კანონი მიუთითებს რა განვითარების პროცესში უარყოფის აუცილებლობაზე, ამით გვაძლევს პროგრესულ შესაძლებლობათა კანონზომიერი აღმოცენების დასაბუთებას, ნათელს ხდის იმას, რომ თითოეულ საგანში აღმოცენდება გარკვეული შესაძლებლობა, შესაძლებლობა „თავისი სხვისა“, რის გარეშე განვითარებას არ ექნებოდა კანონზომიერი ხასიათი.

აღნიშნული კანონის სწორად მომარჯვებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. იგი მიგვიბრუნებს იმ უდიდეს შესაძლებლობათა გამოყენების აუცილებლობაზე, რაც საუკეთესოს სახით შემონახულია ძველში. არადიალექტიკურ, შიშველ უარყოფას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს საქმეს. ასე მაგ., საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ე. წ. „პროლეტარულთის“ ხელმძღვანელებმა მთელი ძველი კულტურა ექსპლოატატორთა კულტურად გამოაცხადეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარული კულტურა უნდა აშენებულ იქნას წარსულის კულტურის განვითარებისაგან სრულიად იზოლირებულად. ამით ისინი მუშათა კლასს

წარსულის კულტურის დიად მემკვიდრეობას აშორებდნენ. პარტიამ უკუაგდო პროლეტკულტელთა იდეები. ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ სოციალისტული კულტურა გადაჭრით უარყოფს წარსულ კულტურაში ყოველივე იმას, რაც გამოხატავდა ექსპლოატატორულ, გარდამავალ შინაარსს, მაგრამ ამავე დროს სოციალისტური კულტურა კრიტიკულად გადაათასებს და გადაამუშავებს წარსულის კულტურას, ინახავს რა მასში არსებულ ყოველივე პროგრესულს.

უარყოფის უარყოფის კანონი გვიხსნის იმას, რომ შესაძლებლობის გადაქცევა სინამდვილედ ხდება ძველი ფორმების უარყოფის, ძველის დადებითი მხარეების შემონახვის გზით. მთელ ამ პროცესში შესაძლებლობა გვევლინება, როგორც ძველი სინამდვილის უარყოფა, მაგრამ პოულობს რა განხორციელებას, თვითონ ხდება უარყოფილი ახალი სინამდვილის მიერ. სწორედ ამიტომ სინამდვილის თითოეული ახალი ფორმა არის უარყოფის უარყოფა.

შესაძლებლობა და სინამდვილე შედარებით დაპირისპირებულნი არიან ერთიმეორისადმი როგორც განვითარების ორი მხარე: როგორც განვითარების **გამოსავალი მომენტი** და **რეზულტატი**. იმდენად, რამდენადაც განვითარება წარმოგვიდგება, როგორც მოვლენათა ჯაჭვი, მისი თითოეული რგოლი წარმოადგენს ერთი მიმართებით **გამოსავალ მომენტს**, ხოლო მეორე მიმართებით — **რეზულტატს**: როგორც შესაძლებლობას, ისე სინამდვილეს. მონათმფლობელური წყობილება თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე მოიცავს ფეოდალურის, ხოლო ფეოდალური — კაპიტალისტური წყობილების შესაძლებლობას. ე. ი. ფეოდალური წყობილება, ერთი მხრივ, შესაძლებლობიდან სინამდვილედ იქცა, როგორც განვითარების რეზულტატი, ხოლო, მეორე მხრივ, ამ განვითარების პროცესში იგი იქცევა მეორე სინამდვილის შესაძლებლობად. სუბიექტივისტები ყველაფერს შესაძლებლად მიიჩნევენ. მათი აზრით, რაჟი არსებობს შემთხვევითობა, ამიტომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგრამ პრაქტიკულად ობიექტური კანონზომიერების არსებობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ამა თუ იმ რეალური შესაძლებლობის აღმოცენებისათვის, თუ არაა მოცემული საჭირო პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ კანონზომიერების გამოვლინებას მოცემულ ფორმაში.

პირობები, რომლებიც ქმნიან შესაძლებლობას, არ არიან რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულნი. ეს პირობები და მასთან ერთად მათი შესაბამისი შესაძლებლობანი თავიანთი ჩამოყალიბების და განვითარების გარკვეულ ეტაპებს გაივლიან. ამ პროცესის და-



ხასიათებისათვის ჩვენ უნდა შევიჩრდეთ იმ განსხვავებაზე, რაც სების ფორმალურ და რეალურ შესაძლებლობათა შორის.

უნდა შევნიშნოთ, რომ აბსტრაქტული (ფორმალური) შესაძლებლობა არ ნიშნავს **შეუძლებლობას**. ზართალია, აბსტრაქტული შესაძლებლობა უშუალოდ არ შეიძლება სინამდვილედ იქცეს, ვინაიდან ამისათვის იგი ჯერ რეალურ შესაძლებლობად უნდა გააღდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს **შეუძლებლობას** საერთოდ.

შეუძლებლობის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ რაღაცა (რაიმე) შეუძლებელია განხორციელდეს ყოველგვარი პირობების მიუხედავად, თუ მისი წარმოშობა და განვითარება ეწინააღმდეგება ობიექტური საწყაროს კანონზომიერებას. მაგ., შეუძლებელია მარადიული ძრავის შექმნა, რადგან მისი განხორციელება ეწინააღმდეგება ენერჯის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონს. აბსტრაქტული შესაძლებლობა გულისხმობს ანა თუ იმ მოვლენის აღმოცენების ყველაზე უფრო საერთო — ზოგად პირობებს. გარკვეული კანონზომიერების არსებობა განსაზღვრავს ნხოლოდ აბსტრაქტულ (ფორმალურ) შესაძლებლობას, რომელიც მოცემულ კონკრეტულ — ისტორიულ პირობებში ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაიქცეს სინამდვილედ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ არსებობენ წინამძღვრები მისი რეალიზაციისათვის. წინააღმდეგ აბსტრაქტულისა, რეალური შესაძლებლობა არის შესაძლებლობა რომელიმე მოვლენის აღმოცენებისა მოცემულ დროში მოცემულ კონკრეტულ პირობათა არსებობისას. კონუნისტური პარტია გვასწავლის, რომ ნაყოფიერი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ეყრდნობა არა აბსტრაქტულ, არამედ რეალურ შესაძლებლობას. ვანსხვავებთ რა აბსტრაქტულ და რეალურ შესაძლებლობას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამ განსხვავების შედარებითი ხასიათი. ეს იმიტომ, რომ როგორც რეალური, ისე აბსტრაქტული შესაძლებლობა ემყარება რეალურ, თუმცა განსხვავებული რიგის პირობებს. ამავე დროს აბსტრაქტული შესაძლებლობა შეიძლება განვითარდეს, გადაიზარდოს რეალურში შესაფერის კონკრეტულ პირობათა შექმნის ვითარებაში. ასეთი გადაქცევის ისტორიული მაგალითი ნაჩვენები აქვს ზარქსს. მარქსი მიუთითებს, რომ მარტივი საქონლური მიმოქცევა შეიცავს კრიზისების შესაძლებლობას, მაგრამ ესაა აბსტრაქტული შესაძლებლობა. როგორც ცნობილია, საქონლის გაორება საქონლად და ფულად მოასწავებს საქონლური წარმოების წინააღმდეგობათა განვითარებას. ერთი საქონლის მეორეზე უშუალოდ გაცვლის დროს თითოეული გარიგება განცალკევებულ ხასიათს ატარებს, ყიდვა

ხასიათებისათვის ჩვენ უნდა შევჩერდეთ იმ განსხვავებაზე, რაც არსებითს ფორმალურ და რეალურ შესაძლებლობათა შორის.

უნდა შევნიშნოთ, რომ აბსტრაქტული (ფორმალური) შესაძლებლობა არ ნიშნავს **შეუძლებლობას**. ნართალია, აბსტრაქტული შესაძლებლობა უშუალოდ არ შეიძლება სინამდვილედ იქცეს, ვინაიდან ამისათვის იგი ჯერ რეალურ შესაძლებლობად უნდა გააღდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს **შეუძლებლობას** საერთოდ.

შეუძლებლობის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ **რალაცა** (რაიმე) შეუძლებელია განხორციელდეს ყოველგვარი პირობების მიუხედავად, თუ მისი წარმოშობა და განვითარება ეწინააღმდეგება ობიექტური სამყაროს კანონზომიერებას. მაგ., შეუძლებელია მარადიული ძრავის შექმნა, რადგან მისი განხორციელება ეწინააღმდეგება ენერჯის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონს. აბსტრაქტული შესაძლებლობა გულისხმობს ამა თუ იმ მოვლენის აღმოცენების ყველაზე უფრო საერთო — ზოგად პირობებს. გარკვეული კანონზომიერების არსებობა განსაზღვრავს ნხოლოდ აბსტრაქტულ (ფორმალურ) შესაძლებლობას, რომელიც მოცემულ კონკრეტულ — ისტორიულ პირობებში ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაიქცეს სინამდვილედ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ არსებობენ წინამძღვრები მისი რეალიზაციისათვის. წინააღმდეგ აბსტრაქტულისა, რეალური შესაძლებლობა არის შესაძლებლობა რომელიმე მოვლენის აღმოცენებისა მოცემულ დროში მოცემულ კონკრეტულ პირობათა არსებობისას. კონუნისტური პარტია გვასწავლის, რომ ნაყოფიერი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ეყრდნობა არა აბსტრაქტულ, არამედ რეალურ შესაძლებლობას. განსხვავებით რა აბსტრაქტულ და რეალურ შესაძლებლობას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამ განსხვავების შედარებითი ხასიათი. ეს იმიტომ, რომ როგორც რეალური, ისე აბსტრაქტული შესაძლებლობა ემყარება რეალურ, თუმცა განსხვავებული რიგის პირობებს. ამავე დროს აბსტრაქტული შესაძლებლობა შეიძლება განვითარდეს, გადაიზარდოს რეალურში შესაფერის კონკრეტულ პირობათა შექმნის ვითარებაში. ასეთი გადაქცევის ისტორიული მაგალითი ნაჩვენებია აქვს ზარქსს. მარქსი მიუთითებს, რომ მარტივი საქონლური მიმოქცევა შეიცავს კრიზისების შესაძლებლობას, მაგრამ ესაა აბსტრაქტული შესაძლებლობა. როგორც ცნობილია, საქონლის გაორება საქონლად და ფულად მოასწავებს საქონლური წარმოების წინააღმდეგობათა განვითარებას. ერთი საქონლის მეორეზე უშუალოდ გაცვლის დროს თითოეული გარიგება განცალკევებულ ხასიათს ატარებს, ყიდვა



განუყოფელია გაყიდვისაგან. სხვა საქმეა ფულის მეშვეობით გაცელა ე. ი. საქონლური მიმოქცევა. აქ გაცელა გულისხმობს საქონელმწარმოებელთა ყოველმხრივ კავშირს და წათი გარიგებების განუწყვეტლივ გადაღაბვას. იგი შესაძლებელს ხდის, რომ გაყიდვა გამოეყოს ყიდვას. საქონელმწარმოებელს შეუძლია თავისი საქონელი გაყიდოს და ამ საქონლით ამოგებული ფული ერთ ხანს შეინახოს. როცა ბევრი საქონელმწარმოებელი ყიდის, მაგრამ არ ყიდულობს, შეიძლება საქონლის გასაღებაში შეფერაება წარმოიშვას. ამრიგად, უკვე მარტივი საქონლური მიმოქცევა შეიცავს კრიზისების ფორმალურ შესაძლებლობას. მაგრამ იმისათვის, რომ კრიზისების ეს ფორმალური შესაძლებლობა გარდუვალონად იქცეს, აუცილებელია რიგი პირობები, რომლებიც წარმოიშებიან მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების გარკვეულ საუბურზე.

როგორც მარქსი აჩვენებს, ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია საქონლური წარმოების წინააღმდეგობათა შემდგომ განვითარებას ასახავს. ცალკეულ საქონელმწარმოებელთა შორის კავშირი ფართოვდება, ერთიმეორისაგან წათი დამოკიდებულება იზრდება. ახლა წყიდველი ხდება მოვალე, გამყიდველი იქცევა კრედიტორად. როცა ბევრი საქონელმფლობელი საქონელს კრედიტით ყიდულობს, ერთი ან რამდენიმე მოვალის მიერ თანასუქის მიხედვით ფულის ვადაზე გადაუხდელობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საგადასახდელო ვალდებულებათა მიერ ჯაჭვზე და გამოიწვიოს ერთიმეორესთან საკრედიტო ურთიერთობით დაკავშირებულ რიგ საქონელმფლობელთა გაკოტრება.

ამრიგად, კრიზისების შესაძლებლობა, რასაც უკვე შეიცავს ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების ფუნქცია, ძლიერდება. კარბი წარმოების კრიზისი შესაძლებლობიდან რეალური ხდება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც წარმოებს ფულის გადაქცევა კაპიტალად, ხოლო შრომა კი დაქირავებული ხდება. აქ წარმოება ატარებს საზოგადოებრივ, ხოლო მითვისება — კერძო კაპიტალისტურ ფორმას. მარქსი გვიჩვენებს, რომ კრიზისების შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის მიზეზს წარმოადგენს სწორედ ის წინააღმდეგობა, რაც არსებობს წარმოების საზოგადოებრივ და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა ბუნებაში სრულდება ბრმა, სტიქიური ძალების მოქმედების შედეგად, ხოლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი უაღრესად დიდ როლს თამაშობს სუბიექტური ფაქტორი. როდესაც ძველიდან ახალზე გადასასვლელად მომწიფებულია ობიექ-



ტური პირობები, მაშინ გადაწყვეტ როლს სუბიექტური ფაქტორთა თამაშობს. თუ აუცილებელი პირობები გამოყენებული არ იქნება, მაშინ თვით ყველაზე უფრო რეალური შესაძლებლობა შეიძლება არ გადაიქცეს სინამდვილედ.

მეცნიერების ამოცანაა, აღმოაჩინოს ბუნებასა და საზოგადოებაში არსებული შესაძლებლობანი, რომლებიც უშუალოდ აშკარა ფორმით არ გვეძლევიან და, ასე ვთქვათ, დაფარულნი არიან ჩვენგან. მეცნიერება სწავლობს პირობებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებიან შესაძლებლობანი, და ამით მიუთითებს მათი ეფექტური გამოყენების გზებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა, მის მიერ გატარებული პოლიტიკა ჩვენი წყობილების შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა წარმოადგენენ გადაწყვეტ პირობებს კაცობრიობის ყველაზე უკეთესობილესი მიზნის — კომუნისმის განხორციელებისათვის.

3. გ უ ლ უ ა

ადამიანის მოვალეობის საკითხისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში*

ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავემეტეთ.

ილია

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულების შესწავლისათვის ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ ეთიკის ერთ-ერთ კატეგორიაზე-მოვალეობის საკითხზე, და ილიას შემოქმედებაში ამის განხილვის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის მოვალეობის საკითხი ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობაში ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. ილია თავის მატერულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებში დეტალურად ებება ადამიანობის საკითხს, იგი როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მებრძოლე, დიდად არის დაინტერესებული ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდის საკითხით. ილიასათვის არაა ძირითადი ზოგადი დებულებები, აბსტრაქტული საკითხები, ის უშუალოდ ემუხრება ცხოვრების მიერ წამოჭრილ პრობლემებს და მათი გაანალიზება—განზოგადოების შედეგად იმუშავებს საზოგადოებისათვის საჭირო თვალსაზრისს.

მისი დაბეჩავებული სამშობლო მოწინავე ადამიანებისაგან შევლას ითხოვდა, ერის მდგომარეობა აიძულებდა ილია ჭავჭავაძეს ურთულესი ფილოსოფიური პრობლემებიც კი შეეფარდებინა ქართველი ხალხის მტკივნეულ საკითხებთან. მისი მთელი შემოქმედება ეროვნული ტკივილებითაა აღსავსე და მხოლოდ ეროვნულ ქურაში გატარებით არის აყვანილი ზოგად საკაცობრიო სინალეზე.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების სათაური—„კაცია-ადამიანი?!“ ფილოლოგებს შორის დღესაც არის დავის საგანი. ამ საკითხზე სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული; ზოგი

* იბეჭდება პირველი ნაწილი შემოკლებით.

ამტკიცებს: „კაცია-ადამიანში“ ილია კაცობას მალა აყენებს ადამიანობაზე, ის გვიჩვენებს, რომ ყველა ადამიანი არ არის კაცი, გვაძლევს ამ ცნებებს შორის გვარისა და სახის დამოკიდებულებას: „ადამიანში“ გვაროვნული შინაარსია გააზრებული, „კაცი“ კი მისი სახეა. მეორე შებეღულები მიხედვით, ამ ცნებების (ადამიანის, კაცის) შინაარსი შებრუნებულად არის წარმოდგენილი: კაცობის ნიშანი ამ სათაურის მიხედვით ვიპოვებდით ყველა ადამიანს მიეწერება, ადამიანობისა კი—მის ზოწინავე ნაწილს.

მესამე თვალსაზრისი აიგივებს ამ ორ ცნებას, მათში სდებს იგივეობრივ შინაარსს და ამტკიცებს: „კაცია-ადამიანის“ შინაბრსში ილია კითხულობს: განა კაცებია, განა ადამიანებია, აქ დახატული პირებიო!

როგორც ვხედავთ, აქ სადავოა ტერმინოლოგიური საკითხი, დასადგენია, თუ რა სიტყვით გამოიხატა ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანებისაგან ზედმეტი და უსარგებლო პირები. ეს ტერმინოლოგიის საკითხია და ჩვენს თემას არ ეხება. მაგრამ ამ შებეღულებიდან გარკვეულია, რომ ილიამ „კაცია-ადამიანში“, საზოგადოებისადმი სარგებლიანობის თვალსაზრისით, ადამიანთა სახეები ერთნაუნეთისაგან მკვეთრად განიხნა და ამ ნაწარმოებში ძირითადად დავიხატა უსარგებლო, პარაზიტი ტიპები.

ილია ჭავჭავაძის მიერ აქ დასმულია ეთიკური პრობლემა, რომლის გარკვევა ნეტად საჭირო და სასარგებლო საქმეა.

ილია თავის შემოქმედებაში გვიხატავს ორი განსხვავებული თვისების მქონე ადამიანების-კაცისა და კაცური კაცის ტიპებს. მისი თვალსაზრისით, საზოგადოებაში უმთავრესად ამ ორი სახის ადამიანებს ვხვდებით: პირველი: არ დგანან ადამიანის-კაცური კაცის მოვალეობის სინაღლებზე, ფიქრობენ და მსჯელობენ მხოლოდ სწავლაზე და მხარეთმცოდნე წარწოლილნი, გონება დაჩლუნგებულნი ბუზებს ითვლიან (ლუარსაბი), მხეცურ ენის აყოლილნი, არავის ინდობენ და ბოროტებისა და ყოველგვარი უბედურების საფუძველი არიან (დათიკო).

მეორე კი კაცური კაცები, ნამდვილი ადამიანები, საზოგადოებისათვის თავდადებულნი არიან, ქვეყნისათვის, წმინდებისათვის სანსახური (შრომის ნოყვარეობა), გნობა და თავდადება არის მათი ცხოვრების აზრი, მათი მოქმედების საფუძველი.

უარყოფითი თვისებების მატარებელი, ადამიანობას მოკლებუ-

ლთა ტაპიური სახეები ილიამ მოგვცა მთელ რაგ ნაწარმოებებში, როგორცაა: „კაცია ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ.

ილიას აზრით, ადამიანში არის ცხოველური და ადამიანური, ამიტომ კონკრეტულ შემთხვევაში, გარკვეული ისტორიული პირობებისა და სხვადასხვა გარემოებისა გამო ადამიანში ჩაკვდება ადამიანური, ის თვისებები, რომლებითაც ის გამოიყოფა ცხოველებისაგან და რჩება ორუხეა ცხოველი-აგებულებით ადამიანი, თვისებებით კი ცხოველი. ასეთი არსებანი განა ადამიანები არიან, განა კაცები არიან?—კითხულობს ილია და თვითონვე იძლევა, თავისი მხატვრული ტიპებითა და სახეებით ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს. ლუარსაპ თათქარიძე, კენინა დარეჯანი და სხვები ადამიანურ-თვისებებს მოკლებული ორუხეა არსებანი არიან.

ილიას ზიერ ამ პრობლემაზე გაცემული პასუხი ჩვენის აზრით, მატერიალისტურია. ის ძირითადადში ეთანამება ადამიანის ზარქსისტულ განსაზღვრებას: „ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი“. ამ განსაზღვრებით ადამიანი ცხოველია, ზაგრამ მისგან განსხვავდება შრომის პროცესით. ე. ი. ადამიანში ცხოველურიცაა და თავისი სპეციფიკური ნიშანიც, რომელსაც მოკლებული ადამიანი ცხოველია.

ცალკეულ პირობებში შეიძლება ადამიანში დომინანტობდეს ცხოველური ან ადამიანურს თვისებები. ილიამ თავის შემოქმედებაში მოგვცა, როგორც კაცის (ნახევრად ცხოველის), ისე კაცური კაცის ტიპები, პირველს წწერალი სატირულ სახეებში გვიხატავს, რათა მთელ საზოგადოებას შეაძლოს ისინი და გზა გაუხსნას, ავტორიტეტი შეუქმნას ნანდვილ ადამიანებს, ხოლო კაცურ კაცებს კი ილია ყოველმხრივ ამკობს, ადიდებს კიდევ, რათა მის მიერ დახატულმა მხატვრულმა სახეებმა (დიმიტრი თავდადებული, ოთარანთ ქკრივი და სხვ.) შექმნას ნამდვილი გმირობის აღზრდის ატმოსფერო.

ილიას შემოქმედებაში წინაპლანზე არას წამოწეული ადამიანის მოვალეობის საკითხი. მისი პუბლიცისტური წერილები და მხატვრული სახეები ენსახურებოდა საზოგადოებისათვის სასარგებლო პირების, ე. ი. ადამიანური მოვალეობის მქონე კაცების აღზრდას.

3. აზრთა სავაობაა ლეონტის ვინაობისა და მოღვაწეობის ეპოქის გარკვევაშიც. 1922 წ. აკად. ნ. მარზა გამოთქვა აზრი, რომ ლეონტი მროველი მერვე საუკუნეში ცხოვრობდა⁸. ეს შეხედულება ერთხანს ნიღბულად ითვლებოდა, მაგრამ 1911 წ. საექვოვოდ გასადა პროფ. ს. კაკაბაძემ, რომელიც მაშინ ლეონტი მროველს თვლიდა დავით აღმაშენებლის უფროს თანამედროვედ⁹, შემდეგში კი იგი გამოაცხადა მეათე საუკუნის პირველი მეოთხედის (უფრო ზუსტად 900—920 წ.წ.) მოღვაწედ¹⁰. აკად. ივ. ჯავახიშვილს ლეონტი მროველის მოღვაწეობა მეათე-მეათე საუკუნის პირველ ნახევარში ესაუბოდა¹¹. პ. ინგოროყვას, ნ. მარის აზრი სწორად ნიაჩნია და მტკიცედ იცავს მას¹². აკად. ქ. კეკელიძე ადგენს არა მარტო მროველის მოღვაწეობის დროს (მეთერთმეტე საუკუნის 60—70-იანი წლები), არამედ მისი ნაწარმოებების დაწერის თარიღებსაც კი. იგი ფიქრობს, რომ ლეონტის უძველესი თხზულებებია „ნინოს ცხოვრება“, შემდეგ 1072 წლამდე მას დაუწერია „მეფეთა ცხოვრება“, ხოლო ამ წლის წერმე „მარტილობა არჩილ ნევისა“. პატ. აკადემიკოსი 1957 წლის ზაფაულში თრეხვის გამოქვებულში აღმოჩენილ ქვაგვარზე გაკეთებულ წარწერაში



ნოხსენებულ ლეონტი ზრ. ველს ისტორიკოს ლ. მროველად იჩნევს.

ლეონტი მროველი რომ XI საუკუნის მოღვაწე იყო, სამეცნიერო ლიტერატურაში ამის დასადასტურებლად გამოთქმული არგუმენტების გვერდით ჩვენ გვინდა მოვიყვანოთ ერთი საბუთიც, რომელსაც თვით ლეონტის თაშულებათა ტექსტი იძლევა. საქმე შეეხება ქარლის მროველისეულ განმარტებას, რომელიც მას ორჯერ და თითქმის ერთნაირად აქვს მოცემული: I. „წჳოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, სუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ (ქ. ცა. 8); II. „და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთითგან და ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“ (ქ. ცხ. 19).

ორივე ამ განმარტებით ქართლის აღმოსავლეთი საზღვარი გადის ერთსა და ისავე საზღვ, ხოლო დასავლეთ საზღვრად იჩნეულია შავი ზღვა. ე. ი. „ქართლი“ აქ გაგებულია ერთიანი საქართველოს ნიშნელობით. როდის შეიძლება იყოს ასეთი გაგებაზე მსჯელობა?

ლეონტი რომ ზერვე საუკუნის მოღვაწე იყო, ქართლს ასე ვრცელ ქვეყნად ვერ წარმოიდგენდა. ზერვე საუკუნეში სახელწოდება „ქართლი“ დასავლეთ საქართველოზე არ ვრცელდებოდა. ამ საუკუნის დასასრულს დაწერილ „ჰაბოს წარტვილობაში“ იოანე საბანის ძე მკვეთრად ასხვავებს ქართლსა და დასავლეთ საქართველოს („აფააზეთის ქვეყანას“) ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება ძირითადად პოლიტიკური თანხაისაა. აფააზეთის მთავარი ბიზანტიის იმპერატორის ქვეშევრდობა, ხოლო ქართლის ერისმთავარი — არაბთა ხალიფისა. ეს პოლიტიკური სხვაობა სარწმუნოებრივზეც ახდენს გავლენას. აფააზეთი ჰაბომ იაილა „სავსეც ქრისტეს სარწმუნოებითა და არავენ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოების საზღვართა მათთა“. ქართლში კი სარკინოვები მძლავრობენ, ქრისტიანობის მომარენი „ირყევიან ვითარცა ლერწმანი ქართაგან ძლიერთა“. ასეთ პირობებში ზერვე საუკუნეში ლეონტი მროველი ვერ დაწერდა ზემოთ მოყვანილ განმარტებებს, სადაც ქართლად წარმოდგენილია ვრცელი ქვეყანა „ხუნანიითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“. ეს შესაძლებელი იყო მაილოდ ზეთერთნეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ქართლი ნართლაც ასეთ საზღვრებში ედებარებოდა.

ქართულ საისტორიო მწერლობაში ქართლის, როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მომცველ ტერმინად განმარტება, პირველად მოგვცა გიორგი მერჩულემ.

შეინიშნება, რომ მროველთან ეს გაგება კიდევ უფრო დაზუსტებულია. ეს დაზუსტება უნდა გაკეთებულიყო იმ ერთი საუკუნის განცხადებაში, როცა იმ ორ მოღვაწეს ერთმანეთისაგან ამოიარებეს, ვინაიდან მეთერთმეტე საუკუნე იყო საქართველოს გაერთიანებისათვის შეუჭრებელი ბრძოლის საუკუნე, ეპოქა, როცა ქართველმა სალაჩა ბაგრატ III (975—1014), გიორგი I (1014—1027) და ბაგრატ IV (1027—1072) წეთაურობით მოაყარა თავისი დიდი ხნის სანუკვარი მიზნის „ორივე საქართველოს“ (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) ერთი საბელწიფიფობრობის ქვეშ გაერთიანების ნიღწევა.

4. ლეონტი მროველის თაზულებას, როგორც საისტორიო წყაროს, ზოგჯერ სკეპტიკურად უყურებენ და იას ამ მირივ არასარწმუნოდ თვლიან, ზაკრამ რაც დრო გადის, მკვლევარები უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ ლეონტის მიერ გადმოცემული ფაქტების უმრავლესობა სინამდვილეს შეესაბამება, სავა წერილობით წყაროებთან და არქეოლოგიურ ზასალასთან შედარებისას განართლებას პოულობს. მროველის თაზულებებში ბევრი რამ ლეგენდარულიც არის. მაგრამ ამის გამო ისინი, როგორც ზოგი ფიქრობს, აელაღებით არ შეიძლება ჩაითვალოს სავმირო რონანად, რაცა ნამდვილი საისტორიო თზულებებია.

ლეონტი მროველის პირველი თზულება „მეფეთა ცხოვრება“ ორი ნაწილად უნდა გაიყოს: 1. წინაისტორიულად და 2. ისტორიულად ანუ პერიოდად, როცელიც ქრონოლოგიას ემორჩილება. თუმცა ამ ნაწილშიც, ისევე როგორც მთელს თაზულებაში, არც ერთი თარიღი არ არის დასახელებული, ზაკრამ ამბების დათარიღება მოსახერხებელი ხდება მსოფლიო ისტორიის პარალელური მოვლენების მოშველიებით.

ასეთებად მიჩნეულ უნდა იქნას: ა) ლეონტის მიერ აღწერილი „ხაზართა განოსკლა“. ამჟამად დადასტურებულია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორი გულისხმობს ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში კიმერელებისა და სკვითების შემოჭრას ანიერკავკასიის ტერიტორიაზე. პირველნი კავკასიაში შემოიჭრნენ 711 წ., ხოლო მეორენი—677 წ.¹⁴ ლეონტი მროველი რომ მათ „ხაზარებად“ იხსენიებს, ეს გასაკვირი სრულებითაც არ არის, ვინაიდან სკვითებისა და კიმერელების ეთნიკური განსხვავებულების საკითხი სათანადოდ გადაწყვეტილი დღესაც არაა და მით უნეტეს მეთერთმეტე საუკუნეში მათ ისტორიკოსი. რა თქმა უნდა, ვერ განასხვავებდა, ასე იყვნენ ისინი მოხსენიებული,



აღზათ, იმ შედარებით ძველ წყაროებშიც, რომელიც ლეონტიმ სარგებლობდა.

ბ) მიახლოებით შეიძლება დათარიღდეს ლეონტის ნიერ მოთხრობლი ანზავი სპარსთა გაძლიერებისა და ქართლსა და სომხეთში წათი ლაშქრობის შესახებ. ამ თხზულების ლიტერატურული წყაროები გამოკვლეული აქვთ აკადემიკოსებს კ. კეკელიძესა და გ. მელიქიშვილს¹⁵. ისინი ამტკიცებენ, რომ ამ შემთხვევაში ლეონტის მიერ გამოყენებულია „შაჰნამე“ პროზაული წინაპარი „ხოლანდინამე“. იგი იქმნებოდა აქემენიდების ეპოქაში, სპარსეთმა კი აქემენადა შეფუების კიროს მეორისა (558—529) და დარიოს ჰისტასპის (522—486) დროს განსაკუთრებულ ძლიერებას მიღწია. დარიოსის მეთვრამეტე და მეცხრამეტე სატრაპიები (ჰეროდოტეს ცნობების ნიხედვით) აღმოასავლეთ სომხეთი და შავიზღვისპირეთის ტომები იყვნენ¹⁶. ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნაც, რომ დარიოსს სპარსულად დარიავამ ვიშტასპის შვილს ესაუბრნენ¹⁷, „ქართლის ცხოვრებაში“ სპარსთა მეფეს, რომელიც ქართლსა და სომხეთში ლაშქრობს, ვაშტაშაბი ჰქვია (ქ. ცხ. 16), ასეთი მსგავსებების გამო შენცდარი არ ვიქნებით, თუ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში პროვული აგვიწერს ძვ. წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეთა მოვლენებს.

გ) ამ ფაქტს მოსდევს ქართლში ალექსანდრე ნაველიონელის ლაშქრობის აღწერა. მართალია, ალექსანდრე ნაველიონელს ანიერაკაკისიაში არასოდეს არ ულაშქრია, მაგრამ მისი მოხსენიება მკვლევარებს უფლებას აძლევს, დაინახონ ალექსანდრეს უზარმაზარი იმპერიის დაშლის შედეგად წარმოშობილი სელევკიდების სამეფოს დამოკიდებულება ქართლთან¹⁸.

დ) ლეონტი პროველს ეკუთვნის ქართლის საეფოს შექმნისა და წარბართული ეპოქის მეფეთა ჩამოთვლა, წათი საქმიანობის მოკლე აღწერით. ამ ნასალების ვარგისიანობა დადასტურებული აქვთ პ. ინგოროყვასა¹⁹ და აკად. გ. მელიქიშვილს²⁰.

5. ლეონტი პროველს ეკუთვნის „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი მეორე თხზულებაც „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანაყოფლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“. მკვლევარმა პ. ინგოროყვამ 1941 წ. სცადა ამ ნაწარმოების ავტორად გამოეცხადებინა ვინმე იოანე დეკანოზი²¹, მაგრამ მომდევნო წლებში ეს აზრი მტკიცედ იქნა უარყოფილი და ლეონტი პროველის დასაბუთებული თხზულება ამჟამად წინაშეა „მოქცევა ქართლისაჲში“ მოთავსებული „ნინოს ცხოვრების“ მე-



ტაურაზად; ამიტომ ლეონტის მიერ ამ თხზულების ტექსტში მოტანილი ერთადერთი თარიღიც იქიდანვეა გადმოწერილი, როგორც წლის აღწნიშვნელი რიცხვები აქ სიტყვებითაა გადმოცემული. თარიღი შეეხება ნინოს გარდაცვალებას: „და შევედრა სული თვისი მეუფესა ცათასა, ქართლად მოსვლითგან მისით მეათოთმეტესა წელსა (ასევეა ჰელიწურ ვარიანტში, იხ. Опись., გვ. 718.—გ. მ.) ქრისტეს ანაღლებითგან სანას ოცდათრუამეტსა წელსა, დასაბამითგანთა წელთა სუთიათას რვაას ოცდათრუამეტსა“ (ქ. ცხ. 127). ამ თარიღს შესახებ ჩვენ ზევით (გვ. 149) უკვე გვქონდა საუბარი.

ლეონტი მროველის წესამე თხზულება „არჩილის ცხოვრება“ მცირე მოცულობისაა. ქრონოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა, როდის ცხოვრობდა ეს არჩილი? ვაჟუშტის (მას ეთანამებოდნენ ე. ბროსე, დ. ზაქარაძე, მ. ჯანაშვილი) ასეთად დასააღებელი აქვს 668—718 წლები²². აკად. ივ. ჯავახიშვილი ასეთ მეფეს არ იხსენიებს. აკად. კ. კეკელიძეს არჩილის წამების დროდ დასახელებული აქვს 787 წლის შემდგომი პერიოდი²³. ეს თარიღი უფრო სწორადაა საგულგებელი, ვინაიდან აღ-რაშიდი, რომლის დროსაც არჩილი აწამეს, იყო აბასიდების დინასტიის მეათე ხალიფა და 786—809 წლებში ზეობდა²⁴. ანასთან დაკავშირებით საჭიროა ერთი შენიშვნა, ამ დროს (მე-8 საუკუნის დასასრულს) ქართლში ზეუბა არ არსებობდა და არჩილი მაოლოდ ერისმთავარი შეიძლება ყოფილიყო. თუ ლეონტი მროველი ზას მაინც ნეჟედ იხსენიებს, ალბათ, იმიტომ, რომ არჩილი ძველი სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იყო.

6. „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელი გამოცემის 139—244 გვერდებზე მოთავსებული ნაწარმოების „ცხოვრება ვაატანგ გორგასლისა“ ავტორად მიჩნეულია ჯუანშერი. ჯერ კიდევ საბოლოოდ დადგენილი არ არის, თუ როდის მოღვაწეობდა იგი. თედო ჟორდანიას მას მერვე საუკუნის ნწერლად თვლიდა²⁵. პ.ოფ. ს. კაკაბაძეს 1911 წ. ჯუანშერი მიაჩნდა მეთერთმეტე საუკუნის მეცატიანედ²⁶. 1924 წელს კი მერვე საუკუნის მეორე ნაევეარში მცხოვრებად გამოაცხადა²⁷. სავა მკვლევარები (ს. ჯანაშია, კ. კეკელიძე, ს. ყაუხიშვილი, მ. ნელიქიშვილი, კ. გრიგოლია)²⁸ ეთანამებთან აკად. ივ. ჯავახიშვილს, რომელსაც ჯუანშერი მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსად მიაჩნდა²⁹.

დასააღებელი მეცნიერების მიერ ამის დასადასტურებლად მოყვანილ საბუთებს ჩვენ გვინდა დაუშვამოთ ერთი დაკვირვება:



ჯუანშერის თხზულება ისტორიული ფაქტების გადმოცემის ხაზით უფრო უკეთ გამოიყურება, ვიდრე ლეონტი მროველისა. ეს კი უნდა მიუთითებდეს, რომ იგი დაწერილია იმ დროს, როცა ისტორიულ თხზულებათა წერის ტრადიცია უკვე შექმნილი იყო. ამდენად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯუანშერის თხზულება უფრო გვიანდელი თუ არა, ლეონტი მროველის ეპოქის მაინც არის. ჩვენს ამ რწმენას აძლიერებს „ქართლის ცხოვრების“ პირველი რედაქტორის შენიშვნაც: „წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვაბტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად, ხოლო ვაბტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ-ჯუანშერიანანა“. აქედან შეიძლება მხოლოდ ისე გავიგოთ, რომ ჯუანშერის თხზულების დაწერისას „ქართლის ცხოვრების“ წინა ნაწილი უკვე დაწერილი ყოფილა, მაშასადამე, მისი ავტორი უფრო გვიან ცხოვრობდა, „ვიდრე ვაბტანგისამდე“ ისტორიისა, რადგან ჩვენ ლეონტი მროველს ვთვლით მეოთხმეტე საუკუნის მესამე ნეოთიხედის მწერლად, ჯუანშერი არ შეიძლება ამაზე ადრე მცხოვრებად მივიჩნიოთ.

7. ჩვენს ლიტერატურაში გამოთქმულია შეედეგულება, რომ ჯუანშერის თხზულება, როგორც ისტორიული წყარო, „ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვიდრე უტყუარს და სანდო საბუთს“³⁰. ამ აზრს სხვა მეტად ავტორიტეტული მკვლევარებიც უკერძო მხარს და ზოგ შემთხვევაში უფრო შორსაც კი მიდიან ჯუანშერის თხზულების სკეპტიკურად შეფასებაში³¹.

არ ვიდავებთ, რომ ჯუანშერის თხზულებაში (განსაკუთრებით მის პირველ ნაწილში) თხრობა მართლაც ლეგენდარულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ეს საერთო სენია ადრეული შუა საუკუნეების საისტორიო მწერლობისათვის. ქრისტიანული სამყარო მოითხოვდა ლეგენდებსა და სასწაულებს. იდეოლოგიის (და ასევე საისტორიო მწერლობის) წარმომადგენლები აკმაყოფილებდნენ ეპოქის ამ მოთხოვნას. ასე, რომ—ჯუანშერს ვერ მოეთხოვთ გამოხაკლისი გაეკეთებინა,

ჩვენ შევეცდებით მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი, თუ რა სისწორით აქვს გადმოცემული მას ისტორიული მოვლენები (ჯუანშერის ეპოქის შეუსწავლელობისა და ადგილის უქონლობის გამო, სამწუხაროდ, ყველას მოყვანა არ ხერხდება):

ა) დადგენილად ითვლება, ქართლის მეფე არჩილ პირველი მეფობდა მეათე საუკუნის მეორე მეოთხედში³². ჯუანშერის ცნობით (ქ. ცხ. 140), იგი ყოფილა ბიზანტიის იმპერატორ ივზინია-

მოსის ნათესავის ქვარი. ასეთი ინჰერატორი ზაროლაც ჰყავდათ ბიზანტიელებს იულიანე განდგომილის შემდეგ (ასე წერს ჯუანშერიც). მისი სრული საბელი იყო ფლავიუს იოვიანე და ზეობდა 363—364 წლებში³³. არჩილის მეფობაში გარდაცვლილა სამი მთავარეპისკოპოსი: იონა, გრიგოლ და ბასილი, რომლებიც 425—436 წლებში მთავარეპისკოპოსობდნენ³⁴, ე. ი. ჯუანშერი ამ შემთხვევაში სასვებით რეალურ ამბავს გადმოგვცემს.

ბ) ჯუანშერის ცნობების მიახლოებით, შეიძლება დადგინდეს ვაი-ტანგ გორგასალის ზამის მირდატ არჩილის ძის ზეობის წლები. მას, როგორც ჩანს, უმეფია 12 წელი (რამდენადაც გამეფების დღის მას ჰყოლებია ასული, მისი დაბადებიდან 4 წლის შემდეგ — ვაი-ვახტანგი, ეს უკანასკნელი კი 7 წლისა იყო, როცა ზამამისი გარდაიცვალა). ივ. ჯავახიშვილს გამოკვლეული აქვს, რომ არჩილ I მეფობდა 429—437 წლებში³⁵, ე. ი. მის შვილს მირდატს უნეფია 437—449 წლებში. შეიძლება თუ არა უკანასკნელი რიცხვის შემოწმება? შეიძლება იმავე ჯუანშერის ცნობით: ვახტანგ გორგასალა გარდაცვლილა 60 წლისა. გარდაცვალების თარიღად დადგენილია 502 წელი, მაშასადამე, იგი დაბადებულა 442 წელს, 7 წლისას, 449 წელს. გარდაცვლია ზამა.

გ) ბიზანტიისა და სპარსეთის ისტორიის ფაქტების შედარება იძლევა საშუალებას დაეასკვნათ, რომ ჯუანშერს სწორად აქვს გადმოცემული ზაერკი კეისრისა (582—602) და ჰორმიზდ IV (579—590) ეპოქის რამდენიმე მოვლენა. ჩვენი შეფასებებები რომ ნათელი იყოს, ჯერ გადმოვცემთ. როგორაა გაშუქებული ბიზანტია-სპარსეთის ურთიერთობა ამ ორი მონარქის დროს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, შემდეგ კი — ჯუანშერის მიერ:

„588 წელს სპარსეთის ჯარებმა სამარეთ აზერბაიჯანის მეფის-ნაცვლის ბაჰრამ ჩუბინის სარდლობით ზოიგერიეს თურქი მომთაბარეების დიდი შემოტევა ირანზე, შუა აზიიდან. მეფე ჰორმიზდ მე-4-ის დროს (579—590) სამხედრო და ქურუმ წარჩინებულთა მსხვილი წარმომადგენლები, რომლებმაც ზოასწრეს ზაზდაკიდების აჯანყებისაგან მიყენებული ჭრალობების მოშუშება, კვლავ შეეცადნენ მორჩილების კქეშ ჰყოლოდათ მეფე. ეს კონფლიქტი დამთავრდა სასაალის გადატრიალებითა და ჰორნიზდ მე-4-ის მოკვლით. მისი შვილი და შემკვიდრე ხოსროვ II ფარევი (590—628) ფაქტიურად აელისუფლების მიმტაცებელ წარჩინებულთა ხელში აღმოჩნდა, სოლო წარჩინებულთა ნაწილის მარადეჭრით ბაჰრამ ჩუბინმა თავი „მეფეთა-მეფედ“ გამოაცადა. ხოსროვ მეორემ ბელი-



სულელების დაბრუნება მოახერხა მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორ მაგრიკის დახმარებით, ამისთვის 591 წელს მას დაუთმო სომეხთის დიდი ნაწილი ვანის ტბამდე“³⁶.

ახლა ნოკუსმინოთ ჯუანშერს: „მაშინ გამაჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, რომელსაც ერქვა ბარამ ჩუბინი, ესე ეწყო თურქთა, სპარსეთს შემოსულთა... და აოტა ბანაკი მათი... და კულადცა წყალობა ყო ლმერთმა ქრისტიანთა ზედა, და საუა შუღლი დავარდა სპარსეთს: რამეთუ იგივე ბარამ ჩუბინი გააღვა სპარსთა ზეფესა, დასწუეს თვალნი ურჩიზდ მეფესა ცოლს ძინათა მისთა, და იწყეს ბრძოლად ჩუბინიან და ქასრე. იოტა ქასრე ჩუბინისაგან, და წარვიდა საბერძნეთს და კვისარმა მავრიკ მოსცა ასული თვისი ცოლად ქასრეს და მოსცა სპა ზისა და წარმოგზავნა ჩუბინსა ზედა. იოტა ჩუბინი სპარსეთით და ქასრენან დაიპყრა სპარსეთი“ (ქ. ცხ. 220—221).

როგორც ვხედავთ, კომენტარები ზედმეტია! ჩვენ მხოლოდ სამი მაგალითი ვაჩვენეთ, ნათი გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, საჭირო არ არის. ისინიც საკმარისია, გავაყვითოთ დასკვნა, რომ ჯუანშერის თხზულება, მიუხედავად თბრობის ლეგენდარული მანერისა, საკმაოდ ძვირფას ცნებებს შეიცავს და კრიტიკული მიდგომით ნათი გამოყენება სავესებით გამართლებულია.

8. ჯუანშერი დროის აღრიცხვას აწარმოებს ოთავარად: ერთი — იღებს რომელიმე ნოვლენას და შემდეგ თაროზის განგრძობისას უჩვენებს ამ ნოვლენიდან გასულ წელს, მაგალითად, მირდატის გამეფებიდან „შემდგომად ოთხი წლისა იუღდა საგდუატ და შუა ძე და უწოდა სააელი... ვაატანგ“ (ქ. ცა. 143), „შემდგომად ანისა, მეექუსესა წელსა, შუა საგდუატ ასული საუა“ (იქვე), „შემდგომად ანისა წელსა მეორესა მოკუდა მეფე ნირდატ“ (იქვე), „ვითარ იქნა ვაატანგ წლისა ათისა გარდანოვიდეს ოგსნი“ (ქ. ცა. 145) „ვითარ იქმნა ვაატანგ წლისა თხუთენეტისა“ (ქ. ცხ. 147) „ნას ვამსა იყო ვაატანგ წლისა ოცდაორისა“ (ქ. ცა. 159), და ასე შემდეგ: **ნეორე** — ორ შემთავებასა ნოვლენების დათარიღებისათვის ნახმარია მირიანის ზეუობა; **ნესამე** — ერთგან ნამაზია „ალექსანდრეს წელნი“ (ქ. ცხ. 230), რაც აკად. კ. კეკელიძის განზარტებით „არის ერა სელევიდებისა, რომელსაც ეწოდება „წელნი ალექსანდრე მეუისანი“, იონთა წელნი, ის იწყება ალექსანდრე IV გარდაცვალებიდან, ე. ი. — 301 წ. და იაზრება უურო ამირად აღმოსავლური წარმოშობის წყაროებში“³⁷; **ნეოთხე** — ჯუანშერი ვერ გაქცევია ქართულ წყაროებში ტრადიციად გადაქცეულ



მოვლენას, როცა ფაქტის დასათარიღებლად ხმარობენ სპარსულ რომელიმე მეფის ზეობას, და მეოცდათვრამეტე მეფის ბაკურ ფარსმანის ძის ეპოქას ასე ათარიღებს: „ამასვე ეძნა მეფობდა სპარსეთს, რომელსა ერქუა ურმიზდ“ (ქ. ცხ. 215; ივულისხმება სპარსეთის მეფე ჰორმიზდ IV).

9. თხზულებას, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელი გამოცემის 249—318 გვერდები უკავია, პირობითად „მატიანე ქართლისაჲ“ ჰქვიათ. ვინაიდან მისი ავტორისეული სახელწოდება ცნობილი არ არის, ეს სახელი მას შეარქვა აკად. ივ. ჯავახიშვილმა³⁵. იყო ცდები, ნაწარმოები დაეყოთ ორ (თ. ჯორდანიას)³⁶ და სამ ნაწილადაც კი (პ. ინგოროყვა)³⁷. მაგრამ ახლა დამკვიდრებულად ითვლება აკად. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი, რომ „მატიანე ქართლისაჲ“ ერთი მთლიანი ნაწარმოებია.

ნაწარმოების ავტორი უცნობია. მისი ვინაობის დადგენა შეუძლებელი ხდება. საამისო მითითება არცა სხვა წყაროში და არც თვით თხზულებაში დატული არ არის, ამიტომ მისი სახელიც ისევე დაკარგულია, როგორც შუა საუკუნეების ეპოქის ქართული მწერლობისა და ხელოვნების სხვა დიდებული ნიმუშების შემქმნელებისა. არსებობს მოსაზრება, რომ ნაწარმოები დაწერილი უნდა იყოს XI საუკუნის 70-იან წლებში.

ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ ნაწარმოებს შეხებია, ერთხმად აღიარებს მის, როგორც საისტორიო წყაროს, დიდ ღირსებას.

„მატიანე ქართლისაჲ“ მოვლენების დროში დალაგებას ახდენს სამი მეთოდი: პირველი და უფრო მიღებული მეთოდი მისთვის არის საწყისი მოვლენის თარიღიდან თხრობის გაგრძელება წლების თანდათანობით მომატების გზით. ასეთ ფაქტად მას მიღებული აქვს არჩილის წამება. აქედან იგი აგრძელებს „შემდგომად სამისა წლისა“ (ქ. ცხ. 249) ქართლს შემოესიენენ ხაზარებიო, არჩილის ძემ ჯუანშერმა ხაზარეთს დაჰყო შვიდი წელი (ქ. ცხ. 250), ზაგრატ მესამის ქართლში გამეფებიდან „გარდაკდა ამას შინა წელიწადი სამი“ (ქ. ცხ. 275); ქართლის მპყრობელობიდან „ვითარ დაყო სამი წელიწადი“ (ქ. ცხ. 267); კონსტანტინე აფხაზთა მეფის გიორგის ძე განუდგა მანას: „მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისა (გიორგი I-ის.— გ. მ.) გამოვიდა ბასილი მეფე ბერძენთა“ (ქ. ცხ. 284)... და ასე შემდეგ.

მეორე მეთოდი წელთაღრიცხვისა, რაც „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის ისტორიული აზროვნების მომწიფებულობას ამჟღავნებს, არის თარიღების დასახელება ქორონიკონით. ამ სისტემას იგი „ქართლის ცხოვრების“ ავტორთაგან პირველი ხმარობს. საგულისხმოა.



რომ ქორონიკონით თარიღის დასახელებისას ავტორი მიუთითებს არა მარტო წელს, არამედ თვესა და დღესაც კი. სულ ქორონიკონით თარიღი მოყვანილია ხუთჯერ. ყველა ისინი ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში მიღებულია როგორც უტყუარი, ამიტომ მათს განხილვაზე აღარ შეჩერდებით. გავაკეთებთ მხოლოდ ერთ შენიშვნას: ბაგრატ მეოთხის წლოვანება ავტორს გამოანგარიშებული აქვს შეცდომით: „ესე მეფე ბაგრატ წელიწადისა ცხრისა მეფე იქმნა და აღესრულა წლისა ორმოცდათექუსმეტისა“ (ქ. ცხ. 315). მისივე ცნობით, ბაგრატი გამეფდა 1027 წელს (ქ. ცხ. 291) და მიიცივალა 1072 წელს (ქ. ცხ. 314). გამოდის, რომ თუ ცხრა წლის გამეფდა, გარდაცვალებისას 54 წლისაყოფილა (1072—1027+9=54) და არა 56-ისა. შეიძლება ეს გადამწერთა შეცდომა იყოს და არა ავტორისა.

მესამე მეთოდი, რომელიც „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორს მხოლოდ ერთხელ აქვს გამოყენებული, არის წელთაღრიცხვა ჰიჯრით. თბილისის ამირის საჰაკის წინააღმდეგ ბაგრატ აშოტის ძის და მოჰამედ ხალილის ძის ბრძოლა დათარიღებულია: „გარდასულ იყვნეს წელიწადნი მოჰამედის გამოჩინებითგან, რომელმან სარკინოზთა რჯული დაუდვა, ორასცხრაშეტი“ (ქ. ცხ. 255.—853 წელს ახალი წელთაღრიცხვით).

ჩვენმა ისტორიკოსმა კარგად იცის არა მარტო საქართველოს, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ის ამბებაც კი, რაც მისგან ორი საუკუნითაა დაცილებული. მაგალითად, მას აშოტ კუროპალატის დაწინაურებისა და გაძლიერების ერთ-ერთ პირობად მიაჩნია „სარკინოზთა მოუძღვრება და გაწბილება“. ხალიფატში ამ დროს შექმნილი მდგომარეობის შესახებ ჩვენ გვაქვს არაბი ისტორიკოსის იაკუბის ცნობები⁴¹. 786—809 წლებში ხალიფა იყო აბასიდი რაშიდი. მის დროს კავკასიაში გამოიცივალა 17 მმართველი. თვით ეს ფაქტიც მიუთითებს ერთგვარ პოლიტიკურ კრიზისზე, მაგრამ მოხდა უფრო მეტიც, რაშიდის გარდაცვალების შემდეგ ხალიფის ტახტისთვის ატყდა ოთხწლიანი ბრძოლა, როცა სრული ანარქია სუფევდა. იმავე იაკუბის ცნობით, საქართველოში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა დაწყებულია ჯერ კიდევ რაშიდის სიცოცხლეში, მაგრამ არაბებს რამდენიმე დამსჯელი ექსპედიციის გამოგზავნით მოუხერხებიათ ცენტრალურ ქართლში ხელისუფლების შენარჩუნება და ქართველთა შევიწროება⁴².

სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო აშოტის გადანაცვლება ტაოკლარჯეთში. მას შესანიშნავად გამოუყენებია ხალიფატში შე-



ქმნილი ანარქია, დაკავშირებია ბიზანტიას და მოძლიერებულს უტყვია, როგორც „მატიანე ქართლისაჲ“ მიუთითებს, კახეთის მთავრის გრიგოლისა და მისი მოკავშირე თბილისის აზირასათვის და „დაუპყრია“ ქართლი „ქლარჯეთითგან ვიდრე ქსანამდე“ (ქ. ცხ. 253).

ეს მაგალითი ერთხელ კიდევ ზედმეტად ადასტურებს „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობათა სანდოობას.

10. „ცხოვრება მეფეთა მეფისა დავითისით“ იწყება „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ იმ თხზულებათა რიგი, რომლებიც მოგვითხრობენ ფეოდალური საქართველოს ისტორიას მისი აღზევების ეპოქაში. როგორც საერთოდ შეეფერება, ძლიერების ხანას, იქმნება ისეთი ნაწარმოებები, სადაც ერთ მონარქს ერთი ან ზოგჯერ ორი საკუთარი ისტორიკოსიც კი ჰყავს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღწერილ ამბავთა თანადამხდურია. აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ შემატიანე არა თუ დავითის თანამედროვედ, მის ანალოგულ პირადაც კი ჩანსო. მკვლევართა ერთხმად დამოწმებით, დავით აღმაშენებლის ცხოვრება დაწერილი უნდა იყოს მისი გარდაცვალების უახლოეს დროში. ივ. ჯავახიშვილს თხზულება მიაჩნდა 1123—1126 წ. წ. დაწერილად⁴³. ს. კაკაბაძე ნაწარმოების დაწერის თარიღად 1122—1130 წლებს მიიჩნევს⁴⁴. აკად. კ. კეკელიძე კი—1222—1126 წლებს ასახელებს⁴⁵.

მიუხედავად იმისა, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი გადაჭრით მიუთითებდა, შესაფერი მასალების უქონლობის გამო დავითის ისტორიკოსის ვინაობის დადგენა შეუძლებელია⁴⁶, ჩვენს ისტორიოგრაფიაში მაინც არის რამდენიმე ცდა მისი დადგენისა. თედო ჟორდანიას დავითის ცხოვრების ავტორად მიაჩნდა არსენ იყალთოელი⁴⁷, ს. კაკაბაძეს—დავით აღმაშენებლის მოძღვარი „მონაზონი არსენი“⁴⁸, აკად. კ. კეკელიძეს—არსენ საღირის ძე⁴⁹. შეინიშნება, რომ, მიუხედავად ყველა ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ გამოყენებული ზოგიერთი არგუმენტის ასე თუ ისე დამაჯერებლობისა, ჯერჯერობით საკითხი ღიად უნდა დარჩეს, ვინაიდან არც ერთი ამჟამად ცნობილი საისტორიო საბუთი არსენ ბერს (ან საღირის ძეს, ან იყალთოელს) ამ ნაწარმოების ავტორად არ იხსენიებს.

დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „ცხოვრების“ ავტორი ქართლელია, ქართლში ცხოვრობს. ეს განსაკუთრებით ჩანს თხზულების შემდგომი ორი ადგილიდან:

ა) „ხოლო აქუნდის ჩვეულებად ესე ზეფესა, რამეთუ განზრახვით



გარდავიდის ანუხაზეთით და ჩამოიტყუვნის თურქმანნი ადგილთა მტკურის პირისათა, რამეთუ ზათნიცა მსტოკაჲნი ზედა ადგიან მეფესა და ეძებდიან გზათა მისთა. გარდავიდა მეფე გეგუთს და მიერ ხუფათს, და ამით გულპურობილ ყვნა იგინი. ქრონიკონი იყო სამას ორმოცი. ხოლო მათ ცნეს რა სიშორე მისი, ჩამოდგეს ბოტორას, დიდნი ფრიად, და დაიზამთრეს. და არა ჰრულოდა მეფესა, არამედ გარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და ძლით ვინმე შეესწრა ცხენსა და გარდაიხუფა. აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხვ და მოვიდა ლანუქს“ (ქ. ცხ. 338).

ბ) „წარმოვიდა ქართლად. ხოლო სთუელთა გადავიდა გეგუთს, ინადირა. განისუენა, განაგო მანდაური ყოველი და მარტსა გარდამოვიდა ქართლად“ (ქ. ცხ. 344).

11. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს „უალრესი ნდობის ღირსად“ თვლიდა აკაკ. ივ. ჯავახიშვილი⁵⁹. ეს სახეებით სამართლიანი შეფასება მას არა ერთხელ აქვს დამტკიცებული დოკუმენტალურად „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომში (გვ. 193—221). ამიტომ ჩვენ მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ იმ მომენტზე, რომ დავითის მემკვიდრე არა მარტო მშობლიური ქვეყნის მდგომარეობაშია გარკვეული, არამედ კარგად იცნობს თავისი ეპოქის წინა აზიის პოლიტიკურ ვითარებასაც. ამას ჩვენ დავამტკიცებთ ოთხი ნაგალითით:

ა) დარცხისის ბრძოლის (1073) შემდგომი ვითარების აღწერისას ჩვენი ისტორიკოსი შენიშნავს, რომ თურქები გაძლიერდნენ და „დაუტევეს ბერძენთა ქუეყანანი მათნიო“ (ქ. ცხ. 318). ეს სახეებით სწორი ფაქტია: სელჯუქთა გაძლიერება იწყება მეფერთმეტე საუკუნის ორმოციანი წლებიდან. მათ 1040—1055 წლებს შორის დაიკავეს ზოგი ირანი. იმავე დროს ისინი მიიწვევენ წინ დასავლეთისაკენ და იბერენ ირანს, აზერბაიჯანსა და სომხეთს. 1055 წელს მათ ააღეს ბაღდადი და აიძულეს აბასიდი ხალიფა ქაიმი (1031—1075) თოღრულ-ბეგისათვის (1038—1063) მიეცა სულთანის ტიტული. ამის შემდეგ სელჯუქების სასულთნო გადაიქცა უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად წინა აზიაში. 1071 წ. მანასკერტთან ბრძოლაში სელჯუქებმა სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები, დაატყვევეს იმპერატორი რომან დიოგენი (1068—1072) და წაართვეს მას თითქმის მთელი წინა აზია⁵¹. იმპერატორ მიხეილ მე-7 დუკას დროს (1072—1078) მკირე აზიაში სელჯუქთა მძლავრობა კიდევ უფრო იზრდება. ამ ტერიტორიაზე 1077 წ. იქმნება რუმის სასულთნო. რაც შეეხება სახმელეთო გზას სირიასა და

მესობოტამიისაკენ, იგი თურქებმა გადაჭრეს ჯერ კიდევ 1075 წელს⁵². ქართველ პოლიტიკოსებსაც ანგარიში გაუწევიათ შექმნილი მდგომარეობისათვის, „რამეთუ არა-სადათ იყო ღონე კსნისა და შეწევნისა“, ხოლო „ძალი ბერძენთაჲცა შემციირებულ იყო“ (ქ. ცხ. 321) და იძულებული გამხდარან სელჯუკების ხარკი ეკისრათ, მას შემდეგ რაც გიორგი II 1082 წ. ეახლა სულთან ჯელ-ად-დინ აბულ-ფახტ მელიქ-შაჰს (1072—1092).

ბ) სწორად მიუთითებს დავითის ისტორიკოსი ამ სულთანის (მისი ტრანსკრიპციით—„მელიქ-შა“) გარდაცვალების თარიღსაც. იგი წერს: „ამ ვითარებასა შინა (დავითის გამეფების დროიდან,— გ. მ.) გარდაკდა წელიწადი ოთხი, მოკუდა სულტანი მალიქ-შა“ (ქ. ცხ. 325).

გ) შორეული, მაგრამ სავსებით სწორი, გამოხმაურება ჰპოვა დავით აღმაშენებლის მემატიანესთან პირველმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ. იგი გადმოგვცემს: „ამას ჟამთა განოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია“ (იქვე). დასავლეთ ევროპელმა ჯვაროსნებმა ანტიოქია აიღეს 1098 წ. 2 ივნისს, ხოლო იერუსალიმი—1099 წლის 15 ივლისს. თუ დეჟუკვირდებით დავით IV-ის ისტორიკოსის თხრობას, მართალია, იგი თარიღს არ ასახელებს, მაგრამ სულთან მელიქ-შაჰის გარდაცვალებიდან (1092) ამ ქალაქების აღებამდე სწორედ 6-7 წელი გამოდის გასული. ამ ორ მოვლენას შორის იგი მოგვითხრობს ლიპარიტ ამირასთან დავით აღმაშენებლის უთანხმოების ამბავს. დავითმა, მისი სიტყვით, ორჯერ დაიჭირა ლიპარიტი. პირველად „პურობილყო იგი ჟამი რაოდენიმე, რომელ კმა იყო განსწავლელად გონიერისა ვისმე“ (იქვე); ე. ი. დაახლოებით ორი-სამი წელი, შემდეგ გაუშვა. „მეორესა წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პურობილ ყო და საბერძნეთს გაგზავნა“ (იქვე). თუ მეორედ ბიზანტიაში გაგზავნის წინ დავითს ლიპარიტი ორ წელს ჰყავდა დაპატიმრებული, რასაკვირველია, ამაზე მცირე ხანს არც პირველად ეყოლებოდა. მაშასადამე, გამოდის, რომ 6-7 წელი გავიდა მელიქ-შაჰის გარდაცვალებიდან ჯვაროსანთა მიერ ანტიოქია-იერუსალიმის აღებამდე. ეს კი, როგორც ვხედავთ, სავსებით შეეფერება სინაზდვილეს [1092 + 6 (7) = 1098 (1099)].

დ) არაჩვეულებრივი სიზუსტითაა აღწერილი ანტიქართველური კოალიციის ხელმძღვანელთა შემადგენლობა დიდგორის ომის წინ: „სულტანზან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არღუხისი, კაცი დაჰმანი და მრავალღონე.



(ქ. ცხ. 340). აქ ჩამოთვლილი პირები, ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანური სამყაროს ხელმძღვანელები იყვნენ დასახელებულ ეპოქაში. მოვიყვანოთ მოკლე ცნობები მათ შესახებ. სეიფ-ად-დაულია სადაცა I (1086—1108) იყო არაბეთის ისტორიის ერთ-ერთი გამოჩენილი გმირი, დიდად ქებაშესხმული და სახელგანთქმული პოეტებისა და მემატიაწეების მიერ. იგი ეკუთვნოდა მაზაიდების დინასტიას. მისი შვილი ნურ-ად-დაულია დუბეის II, რომელიც ჩვენი ისტორიკოსის ცნობით, ხელმძღვანელობდა კოალიციას, არაბებზე ზეობდა 1108—1135 წლებში. სულთანი, რომლის სახელიც მოხსენიებული არ არის, იყო ირაციის სელჯუკთა დინასტიის დამწყები მულის-ად-დინ მამუდი (1118—1131), მას ჰყავდა შვილი მუინ-ად-დინ მელიქ-შაჰი, რომელსაც ცოტა გვიან ორი წლით ეკავა ირაციისა და ქურდისტანის სულთანთა ტახტი 1152—1153 წლებში. სპასალარი ყოფილა ნეჯიმ-ად-დინ ილ-ლაზი (1108—1122). იგი იყო დამასკოს სულთნის ტუტუმის სარდლის ორთუკის შვილი. ილ-ლაზი იჯდა მარდინში (ჩრ. შუამდინარეთი), იგი იყო ერთ-ერთი თავგამოდებული მებრძოლი ჯვაროსანთა წინააღმდეგ, ხოლო საქართველოზე გამოლაშქრების წინ სულთან მაჰმუდის მისთვის მიუცია დიარ-ბექრის (მაიაფორიკინის) მოადგილეობაც⁵³.

თ. ჟორდანია და ს. კაკაბაძე დავითის მემატიაწეს უსაყვედურებენ, რომ ქრონოლოგიური ცნობები იშვიათად ან თითქმის არ მოჰყავსო⁵⁴. ეს საყვედური მას არ ეკუთვნის. ჩვენ მიერ აქამდე განხილულ არც ერთ ნაწარმოებში ისეთი რაოდენობით არ არის მოცემული თარიღები, როგორთაც დავითის ცხოვრებაში. ისტორიკოსის ფრიად განსწავლულობასა და თანამიმდევრობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მას ყველა ეს თარიღი ერთი სისტემით, ქრონიკონით, აქვს მოცემული. ასეთი იგი გვხვდება თორმეტჯერ. ყველა ეს თარიღი დადასტურებული და მიღებულია, როგორც ზუსტი. ამასთან იგი გზადაგზა აკეთებს შენიშვნებს „მეორესა წელსა“, „შემდგომად ორი წლისა“ და სავ. ამიტომ მას თარიღების სიმციროს ვერ ვუსაყვედურებთ.

12. „ქართლის ცხოვრებაში“ შესულია თხზულება, რომელიც სულ შვიდ გვერდზე გრძელდება და ოთხი მეფობის (დემეტრე I, გიორგი III, თამარისა და ლაშა გიორგის) ასწლოვან ისტორიას მოიცავს. ამ თხზულების ავტორს „ლაშა გიორგის-დროინდელ ნემატიანეს“ უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ მისი თხრობა ძლიერ მოკლეა, ზოგიერთ საკითხზე იგი მაინც ერთადერთ წყაროს წარმოადგენს (მაგ., დემეტრე I-ის მეფობის შესახებ). აკად. ივ. ჯავახი-



შვილი აღნიშნავდა, რომ თხზულება დაწერილი უნდა იყოს რუსულ დანის გამეფების პირველ ინდიქტიონს, ე. ი. 1222—1223 წელს⁵⁵. სწორედ ამიტომ უწოდა ზან მის ავტორს ლაშა გიორგის-დროინდელი ზენატიანე. ნაწარმოებში კი გვხვდება ადგილები, საიდანაც კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ იგი რუსუდანის მეფობის მაინცდამაინც პირველ წელს არ უნდა იყოს დაწერილი. ასეთად მიგვაჩნია ორი ადგილი:

ა) ავტორი თბრობას ასე ამათვრებს: „ხოლო ღმერთმა ყოვლისა საიერებისამან, რომელი არა განსწირავს მოშიშთა მისთა, დაცვენ სამეფო ესე და მეფე ჩვენი ღვთივ-გვრგვანოსანი რუსუდან, და ყავნ ნაყოფი მისი ჩუენდა საღბინებლად თესლითი-თესლადმდე, და მეციონ სინრავლე წელიწადთა, შემდგომად უწინარესი და სასუფეველი ცათა“ (ქ. ცხ. 371), აქედან გამოდის, რომ რუსუდანი მისი შემკვიდრებით მიჩნეულია საქართველოს სამეფო ტახტის ერთადერთ მფლობელად. საქართველოში მეფობის გაგრძელების უფლება მხოლოდ რუსუდანის შვილებს აქვთ. როდის შეიძლებოდა ასეთი აზრი წარმოშობილიყო? — მხოლოდ მაშინ, როცა რუსუდანს შვილი ჰყავდა, ვინაიდან რუსუდანი მისმა ძმამ ქვეყნის გამგებლად დატოვა, ვიდრე მისი (ლაშას) შვილი დავითი გაიზრდებოდა. მართალია, რუსუდანი სასწრაფოდ ეკურთხა მეფედ, მაგრამ მას ერთბაშად, ყოველ შემთხვევაში საკუთარი შვილის გაჩენამდე, არ შეეძლო ტახტის შემკვიდრების უფლება წაერთმია დავით ლაშა გიორგის ძისათვის. რუსუდანს, როგორც ჩანს, შვილი მხოლოდ მეორე ქმართან შეეძინა 1224—1225 წლებში. ნაწარმოებში ნასენები არ არის ჯელალედინის შემოჭრის შესახებ, რაც 1225 წელს მოხდა, ე. ი. თხზულება დაწერილია აქ დრომდე.

ბ) ზენატიანე მიუთითებს, რომ ლაშა გიორგის „არა დარჩა ცოლსა თანა გვირგვინისა შვილი“. ამ მითითების გაკეთება მას სჭირდება დავით ლაშა გიორგის ძისათვის ტახტის შემკვიდრების უფლებობის დასამტკიცებლად. ისტორიკოსის მთელ თხზულებას გასდევს ლაშასადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა. ასეთი თხზულების ავტორი ლაშას შვილის უფლებობას ტახტზე ხაზს არ გაუსვამდა, თუ უკვე ახალი შემკვედრე გაჩენილი არ იყო.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ: განსახილველი თხზულება დაწერილი არ არის „რუსუდანის მეფობის პირველ ინდიქტიონს“, არამედ მისი დაწერა შეიძლება ვივარაუდოთ 1225 წლის დასასრულამდე, ე. ი. ხვარაზმელთა შემოჭრამდე საქართველოში.

ლაშა გიორგის დროინდელი ზენატიანის ერთ-ერთ ღირსებად



აკად. ივ. ჯავახიშვილი თარიღების სიუბევს თვლიდა⁵⁶. მართლაც ისეთ პატარა ნაწარმოებში, როგორც ჩვენ მიერ განსახილველი ოხულებია, თორმეტი თარიღის დასაბუთება არც თუ ისე მცირეა, მაგრამ ზოგიერთი ნათვანი რომ შეცდომითაა დასაბუთებული, ეს კი სამწუთარაა. რადგან ზუსტი თარიღები უკვე არაერთხელაა დამოწმებული საისტორიო ლიტერატურაში. ჩვენ მაოლოდ შეცდომით დასაბუთებულებს მოვიყვანთ. ანას შეიძლება მარტოდენ ერთი დანიშნულება ჰქონდეს: მკითხველმა ტექსტის მთლიანად გადაუკითხავად და სხვა წყაროებთან შეუდარებლად შეიძლება იცოდეს, რა ქრონოლოგიური შეცდომები არის დაშვებული ჩვენს წყაროში:

ა) დემეტრე პირველის მიერ 1117 წელს შარვანს ლაშქრობის თარიღად დასახელებულია „ქრონიკონი იყო სანასორმოცდაათი“ (ქ. ცხ. 336). ეს ქორონიკონი უდრის 1130 წელს. რაც აშკარა შეცდომაა, მით უფრო, რომ გემათიანის თხრობით, ამ დროს დავით აღმაშენებელი ცოცხალი ჩანს. იგი კი 1130 წელს უკვე ხუთი წლის გარდაცვლილი იყო.

ბ) დემეტრე პირველის გარდაცვალების თარიღად ჩვენი ავტორი ასახელებს სანას სამოცდაათოთხნეტ ქორონიკონს (ქ. ცხ. 367. = 1154 წელს), ცოტა ზევით კი უჩვენებს, გიორგი III-ის განეუების წელს გარდაიცვალაო. აქ საქმე გვაქვს ერთწლიან განსხვავებასთან, ვინაიდან აკად. ივ. ჯავახიშვილს გამოანგარიშებით, გიორგი მესამე ვამეფდა 1155 ან 1156 წელს⁵⁷.

გ) გიორგი III-ის მიერ ანისის დაბრუნების თარიღად დასახელებულია სანას ოთხმოცი ქორონიკონი (ქ. ცხ. 367. = 1160 წელს), მაშინ როცა სხვა წყაროები (იხ. ალასირი, ნათე ურაგელი, ვარდანი, სტ. ორბელიანი) ერთხელ დასახელებენ 1161 წელს.

დ) ქორონიკონი 433 (= 1213 წ.) ნაჩვენებია თანარის ნეფობის მეცხრე ინდიქტიონად, რაც დიდი შეცდომაა, მაგრამ იქვე (ეორე შეცდომაცაა დაშვებული (ქ. ცხ. 368). თითქოს ამ წელს (1213) ქართველებმა აიღეს დვინი, მაშინ როცა ეს ქალაქი განთავისუფლებული იქნა 1202—1203 წლებში⁵⁸.

ე) ასევე შეცდომითაა დათარიღებული რუჟან-ად-დინ სულეიმან მეორის დანარცხება ქართველთა მიერ. ეს ფაქტი მოხდა 1206 წელს. ჩვენი ნეიტაციანის ოხულებში კი ვკითხულობთ: „ქორონიკონი იყო ოთხას ოცდა თხუთმეტი“ (ქ. ცხ. 368. = 1115 წ.)⁵⁹.

ვ) თანარის გარდაცვალების წლად ნაჩვენებია მისი მეფობის ოცდამესამე ინდიქტიონი „ქორონიკონი ოთხას ოცდაშვიდი“ (ქ. ცხ. 369. = 1207 წ.).



თუ გავითვალისწინებთ, რომ ლაშა გიორგის-დროინდელ მემკვიდრე ტიანეს, ქრონოლოგიურის გარდა, ზოგჯერ სხვა შეცდომებიც აქვს, დავასკვნით, რომ მისი თხზულების გამოყენება სხვა წყაროებთან შეუჯერებლად თითქმის შეუძლებელია.

13. „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში შემონახულია ნაწარმოები, რომელსაც „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ ჰქვია და ისტორიკოს სუმბატ დავითის ძეს ეკუთვნის.

მისი დაწერის თარიღის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვაგვარი შეხედულებანი. დ. ბაქრაძის აზრით, იგი დაწერილია მეათე საუკუნეში⁶⁰. აკად. ივ. ჯავაიშვილი თხზულების დაწერის დროდ მეთერთმეტე საუკუნის I ნახევარს თვლიდა⁶¹. აკად. კეკელიძეს კი დასახელებული აქვს ამავე საუკუნის შუა წლები⁶². პ. ინგოროყვა წერს: „თხზულება დაწერილია 1031 წლის ახლო, რა თარიღზედაც წყდება მოთხრობა“⁶³. პროფ. კ. გრიგოლია დაეჭვებულია, შეიძლება დ. ბაქრაძის აზრი ნართალი გამოდგეს და სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ნართლაც მეათე საუკუნის ძეგლი აღმოჩნდესო⁶⁴.

ამ საკითხს შეეხო ნ. გელაშვილიც თბილისის უნივერსიტეტის „შრონების“ 87-ე ტომში გამოქვეყნებულ თავის წერილში „სუმბატ დავითის ძე და მათიანე ქართლისა“. მას მიაჩნია, რომ სუმბატ დავითის ძე იყო ბაგრატ III, გიორგი I და ბაგრატ IV თანამედროვე და გარდაიცვალა 1032 წ.⁶⁵ ამავე წერილით ავტორი ეკამათება პროფ. კ. გრიგოლიას და ს. ყაუხჩიშვილს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „მატიანე ქართლისა“ წარმოადგენს სუმბატის „ქრონიკის“ წყაროს. გ. გელაშვილი კი სავსებით საწინააღმდეგო აზრს ავითარებს. „საბოლოოდ, დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მატიანე ქართლისა, — წერს იგი, — არ წარმოადგენს სუმბატის „ქრონიკის“ წყაროს; პირიქით, „მატიანეს“ ავტორი იყენებს სუმბატის თხზულებას“ (იქვე, გვ. 255). ამ დასკვნის სამართლიანობის ყოველმხრივ განხილვას ჩვენ აქ არ გამოვუდგებით. შევჩერდებით ერთ საბუთზე, რომელიც გ. გელაშვილს თავისი აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს.

„ქართლის ცხოვრების“ 1955 წლის გამოცემის 386 გვერდზე ვკითხულობთ: „იოლო მოავლინა მუნ პარკინანოსნან იოვანე ხართულარი, საეღით ვალანგ, ლაშქრითა დიდძალითა, და თანა მოსცა მას ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე“. გ. გელაშვილი ფიქრობს, რომ პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა სუმბატის ტექსტის დადგენისას ამ წინადადების აზრი არასწორად განსაზღვრა, იგი გააზრებულ



უნდა იქნეს ასე: „ხოლო მოავლინა მუნ პარკინანოსმან იოვანგ ხარტულარი სახელით, ვალანგ ლაშქრითა დიდძალითა“... ე. ი. გამოდის, რომ ხარტულარი—სახელით იოვანე—შემოსძლოლია ვალანგ ლაშქარს დემეტრესთან ერთად. შემდეგ ავტორი აგრძელებს ძიებას, ვინ არის ეს „ვალანგ“. აიგივეს მას ვარიანებთან და სუმბატ დავითის ძეს აბრალეებს, რომ მას მოხსენიებული ჰყავს რუსები არა მარტო ტერზინით „რუსნი“, არამედ აგრეთვე როგორც „ვალანგი“; მაგრამ რატომ ვალანგი დაწერა სუმბატმა და არა „ვარანგი“, როგორც ამას „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი აკეთებს? საქმე ისაა, რომ გ. გელაშვილის აზრით, „რ“-ს გადასვლა „ლ“-ში, როგორც ნარნარა თანხმოვნისა, თურნე ქართულში კანონზომიერი მოვლენაა.

ჯერ აქ „კანონზომიერების“ შესახებ:

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსად არაა მიჩნეული კანონზომიერ ფონეტიკურ მოვლენად რ ბგერის ქცევა ლ-დ, გარდა იმ შენიშვნებისა, როდესაც სიტყვის ფუძეში თავს იჩენს მეორე რ. შორს რომ არ წავიდეთ. აი რა წერია ამის შესახებ მე-5 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში: „ქართული ენა ერთ სიტყვაში ვერ ითმენს ორ რ-ს და ერთ მათგანს ლ-დ გადააქცევს ხოლმე“ (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა. ნაწ. 1, 1951, გვ. 51). სხვა პირობებში რომ კანონზომიერი მოვლენა იყოს რ-ს გადასვლა ლ-ში, როგორც ამას გ. გელაშვილი ვარაუდობს, მაშინ ნაცვლად სიტყვებისა კარი, ლაშქარი, ისტორია, ცხოვრება... უნდა გვქონოდა: კალი, ლაშქალი, ისტოლია, ცხოვრება..., რაც, ცხადია, არსად არ დასტურდება.

გარდა ამისა, სიტყვა „ვალანგ“ რომ აქ პიროვნების საკუთარი სახელია და არა ტომისა, როგორც ეს პროფ. ს. ყაუხჩიშვილს სამართლიანად აქვს დადგენილი, ამაზე მიუთითებს მისი მორფოლოგიური სტრუქტურაც: „ვალანგ“ წარმოდგენილია მხოლ. რიცხვის წრფელობითი ბრუნვის ფორმით, რომ იგი ტომის სახელი იყოს; დასმული იქნებოდა ნარ-თანთან მრავლობითის ნათესაობით ბრუნვაში (ვალანგთა ლაშქრითა დიდითა). ჩვენთვის საინტერესო ადგილის ენობრივი ანალიზი იმასაც გვიჩვენებს, რომ ყოველად შეუძლებელია მძიმე დასივას სიტყვის შემდეგ „სახელით“, რადგან იგი განეკუთვნება ვალანგს, როგორც დანართს, და მასთანაა აზრობლივად დაკავშირებული.

ამიტომ სიტყვა „ვალანგზე“ დაყრდნობით, როგორც ამას გ. გელაშვილი აკეთებს, შეუძლებელია დამტკიცდეს, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორმა თითქოს ისარგებლა სუმბატის „ქრონიკით“. ეს აღ-



გილი სწორად ვერ გაიგო და ვალანჯი პიროვნების სახელი ეგონა. ასეთი დასკვნის გამოტანა გ. გელაშვილის მხრივ ნიუ უფრო უცნაურია. რომ მან იცის „მატიანის“ ავტორისათვის უცნობი არაა ტერმინი „ვარანჯი“ და იგი ორჯერ ხმარობს მას ბავრატ IV-ისა და კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის ურთიერთობის აღწერისას. მაშ, რა გაუგებრობაზე შეიძლება იყოს საუბარი? ნუთუ ისტორიკოსი, რომელიც ორჯერ სწორად ხმარობს ერთსა და იმავე ტერმინს, შესაძედ ვეღარ გაიგებდა მას?

გ. გელაშვილი, იმის გამო რომ „ქრონიკის“ თხრობა 1131 წლის ამბების აღწერაზე წყდება, სუმბატის გარდაცვალების წლად ზომდევნო 1132-ს ასახელებს, სჯავ საბუთი მას ამ თარიღის დასადგენად არა აქვს. მიუხედავად ამისა, მაინც ამტკიცებს: „ქრონიკის“ ავტორი „მატიანეთი“ ვერ ისარგებლებდა, რადგან იგი ამ უკანასკნელის დაწერამდე 40 წლით ადრე გარდაიცვალაო. ეს დასკვნა სწორი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ სუმბატი მართლაც 1132 წ. გარდაიცვალა. თარობის შეწყვეტით ავტორის გარდაცვალების წლის დადგენა ყოველთვის არ ხერხდება. ხომ შესაძლებელია ნაწარმოებს ბოლო ნაწილი აკლდეს? ანდა თხრობის შეწყვეტის მიზეზი მართლაც ავტორის სიკვდილი იყოს, მაგრამ მას გაცილებით გვიან ეწერა და თავისი თხზულება თანამედროვე ეპოქამდე ვერ მიეყვანა?

ჩვენ უფრო სამართლიანად მიგვაჩნია პროფ. კ. გრიგოლიასა და პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მტკიცება, რომ „მატიანე ქართლისაჲ“ არის სუმბატის თხზულების წყარო: ამიტომ უკანასკნელი პირველზე გვიან, ე. ი. 1176 წლის შემდეგ დაწერილად უნდა ვივარაუდოთ.

სუმბატ დავითის ძის თხზულების „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ ყველაზე დიდ ღლიწებას, როგორც ამაზე აკად. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებდა, თარიღების სიუხვე შეადგენს. ეს თარიღები ზედმიწევნით ზუსტია.

სუმბატ დავითის ძის ნაწარმოების ქრონოლოგიას სამი თავისებურება ახასიათებს:

ა) მასში წლები დასაბელებულია ასოებით, უფრო სწორად, რიცხვების გაროსაბატავად ასოებია ნახმარი.

ბ) ერთგან თარიღი მოყვანილია ორი სისტემით—„დასაბამითგან წელთა“ და ქრონიკონით.

გ) „ქრონიკონის“ დასახელებასა მითითებულია რომელი მოკცევისაა იგი.

ყველა ეს თავისებურება თავს იჩენს პირველსავე თარიღში,

რომელსაც სუმლატი ასახელებს: „მოიკლა ესე აზოტ კურაპალა დასაბამითან წელთა ხვლ, ქრონიკონსა მეთათამეტედ ნოქეულსა შინა მე, თუესა იანგარსა ოცდაცხრასა“ (ქ. ცხ. 377). დასაბამითანი უდრის 6430-ს, ქრონიკონი—46-ს. ჩვენი წელთაღრიცხვით ორივე იძლევა ერთსა და იმავე თარიღს—826 წელს (6430+5604=826, 780+46=826).

14. თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი დი აზნანი შარავენდეთანი“ დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებიდან ზას შეიცავს მხოლოდ ჩარიამ დედოფლისეული, აქაც იგი ძლიერ დაზიანებულია და, მკვლევართა გულმოდგინე ცდის მიუხედავად, მისი ტექსტი მთლიანად აღდგენილად მაინც ვერ ჩაითვლება. ჯერჯერობით მკვლევარები იმაშიაც კი არ არიან შეთანხმებული — ერთ მთლიან ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს თუ იგი არა.

თ. ჟორდანიას ზას ორ სხვადასხვა დროს დაწერილ ნაწილად ჰყოფდა. პირველი ნაწილი, მისი აზრით, დაწერილია იყო შამქორის ომის დასრულებისთანავე, მეორე კი — თანარის გარდაცვალების შემდეგ⁶⁶. ასევე ფიქრობდა აკად. ივ. ჯავახიშვილიც. ამ დასკვნაზე დასახელებული მკვლევარები მიიყვანა ერთნა ფრაზამ, რომელიც ასე იკითხება: „აწ ჩანს დაწერასა შინა ამისსა ათერთმეტთა მოქცევთა ჟამთა თამარ სამგზის სანატრელისათა“ (ქ. ცხ. II, 34), ე. ი. ასკვნიდნენ ისინი, თამარის გეფობის მეთერთმეტე წელს (1184+11—1195) დაწერილია თხზულების ერთი ნაწილი; ხოლო მეორე — გარდაცვალებისთანავეო. მათივე აზრით, ნაწარმოებს ერთი ავტორი ჰყავდა, თუმცა მისი ნაწილები დაწერილია დიდი შუალედით (დაახლ. 20 წელი).

ორი ავტორის ორ თხზულებად მიაჩნიათ „ისტორიანი და აზნანი“ ცნობილ მკვლევარებს პ. ინგოროყვასა და ს. კაკაბაძეს. პირველი პირველ ნაწილს თვლის 1196 წელს დაწერილად⁶⁷; მეორე კი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე შემდეგს წერს: „პირველი მემატინე, რომელსაც ეკუთვნის თხრობა შამქორის ომამდის თანმივლით. სწერდა 1199 წლის ახლოს; მეორე მენატინე, რომელსაც ეკუთვნის თხრობა შამქორის ომის შემდეგ ვიდრე ბოლომდის. სწერდა 1270—1296 წლების ახლოს“⁶⁸.

აკად. კ. კეკელიძე მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე მიდის დასკვნაზე, რომ „ისტორიანი და აზნანი“ 1122 წ. დაწერილია ერთი ავტორის მიერ⁶⁹. ეს დასკვნა დასაბუთებულია ასე: ა) თხზულება წთავრდება თამარის გარდაცვალებისა და დასაფლავების



აღწერით; მაშასადამე, იგი დაწერილია 1215 წლის შემდეგ (აქედან კი კეკელიძე თამარს ამ წელს გარდაცვლილად თვლის); ბ) თხზულების დაწერისას ლაშა გიორგი ცოცხალი ყოფილა; ამიტომ მის შესახებ ისტორიკოსი არაფერს წერსო, ლაშა 1222 წ. გარდაიცვალა, ი. ი. თხზულება ამ დრომდეა დაწერილი; გ) უარსაყოფია შეხედულება, რომ თანარის პირველი ისტორია დაწერილია მისი მეფობის მეტერთმეტე წელს, ვინაიდან ფრაზაში, სადაც ეს წელი დასახელებული, თამარი მოხსენებულია „სამგზის სანატრელად“. ასე კი მხოლოდ გარდაცვლილი ადამიანი შეიძლება მოეხსენებინათ. ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენდა პატრიარქი, რომელსაც საეკლესიო კანონიკური ტერმინოლოგიით სიცოცხლეშიც უწოდებდნენ სანატრელს⁷¹.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი მხარს უჭერს მკვლევართა უმრავლესობას ნაწარმოების ორ ნაწილად გაყოფის საკითხში⁷².

უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს, გამოვთქვათ საკუთარი შეხედულება თანარის პირველი ისტორიის შემადგენლობისა და დაწერის თარიღის თაობაზე.

გარდა თხზულების ტექსტისა, ამ საკითხის გასარკვევად რაიმე მასალა არ მოიპოვება. ასეთი დაკვირვება კი მკითხველს ზიიყვანს დასკვნამდე, რომ მას ერთ მთლიან ნაწარმოებთან აქვს საქმე. ჩვეულებრივ, ნაწარმოები, როგორ შეკრულიც არ უნდა იყოს იგი სიუჟეტურად, შეიძლება გაიყოს არა მარტო ორ, არამედ რამდენიმე ნაწილად (განსახილველი თხზულების მაგალითზე ეს ნათლად დაამტკიცა აკად. კ. კეკელიძემ, როცა რუსულ თარგმნაში იგი 53 თავად დაჰყო), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ერთდროულად დაწერილი ერთი თხზულება არ არის. „ისტორიანი და აზმანი“ იმდენად ერთგვაროვანი ნაწარმოებია ენობრივ-სტილისტიკური და ავტორის მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, რომ მისი ორად გაყოფის მომხრენიც კი ავტორად ხშირად ერთ კაცს თვლიან. რა აძლევთ მკვლევარებს საბაბს ნაწარმოების ორად გაყოფისათვის? რაიმე მტკიცე არგუმენტი ამისათვის ჯერ მონათული არ არის, გარდა ერთი ფრაზისა, მაგრამ, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი და აკად. კ. კეკელიძე მიუთითებენ, თითქმის არც ერთი საისტორიო თხზულება ჩვენამდე ისე დამახინჯებულად არ არის ზოლწეული, როგორც „ისტორიანი და აზმანი“. თავისუფლად შეიძლება ეს ფრაზაც დამახინჯებული იყოს. ხოლო თუ იგი დამახინჯებული არ არის, მისგან მხოლოდ იმ ერთადერთი დასკვნის გამოტანა, რომ თხზულება დაიწერა თამარის მეფობის მეტერთმეტე წელს. სრულე-



ბითაც არ არის შესაძლებელი, პირიქით. ჩვენ გვგონია ეს განორცხულიცაა. რომ დაკვირვების უკეთესი საშუალება გვექონდეს, ამოწერთ ამ ფრაზას მთლიანად:

„ამას შინა აღავსნა ებისკოპოზნი და საყდარნი შესაწირავითა, თავისუფალ ყენა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან; გააზნაურდეს ქუეყნისა მოქმედნი, და გადიდებულდეს აზნაურნი, და გაკელწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა, რომელი აჲ ჩანს დაწერასა შინა ამისსა ათერთმეტა მოქცევთა უამთა თამარ სამგზის სანატრელისათა“ (ქ. ცხ. II, 34).

აკად. კ. კეკელიძემ ხაზგასმული ადგილის თავისებური წაკითხვა მოგვცა: „ათერთმეტა“ წინ დასვა წერტილი, ხოლო ამ სიტყვაში გამოტოვებულად ჩათვალა ასო კ, რომელიც ასოებით რიცხვების გამოხატვისას ოცს აღნიშნავდა და ერთად წაკითხა „კათერთმეტი“ ანუ „ოცდათერთმეტი“⁷³. ასეთი ოპერაციის შენდევ ტექსტმა სულ სხვა სახე მიიღო და მკვლევარმა დაასკვნა: ისტორიკოსს აქ ნათქვამი აქვს, თამარის მეფობა 31 წელს გაგრძელდაო⁷⁴.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ ნეორე ტომის გამოცემაში ეს ადგილი სავსებით სამართლიანად სწორედ ისე შეიტანა, როგორც ჩვენ ამოვწერთ. რა შეიძლება გაიგოს ამ ადგილიდან მკითხველმა? (ტექსტის გაგრძელებას ხაზგასმული ადგილის გაგებაში ცვლილების შეტანა არ შეუძლია). ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მოვიგონოთ აკად. კ. კეკელიძის ზემოთ მოყვანილი შენიშვნა „სამგზის სანატრელის“ გაგების შესახებ, რომ იგი ცოცხალ თამარს არ შეიძლება წოდებოდა, იგი მისთვის შეიძლებოდა ეწოდებინათ მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ. ამ შენიშვნის გათვალისწინებით მივიღებთ ამოწერილი ადგილის შემდეგ გაგებას: ეკლესიების განთავისუფლება გადასახადებისაგან, გლეხთა გააზნაურება, აზნაურთა გადიდებულება, დიდებულთა გახელწიფება ახლაც ჩანს ამ თხზულების წერისას თამარის სამგზის სანატრელად გახდომიდან (ე. ი. გარდაცვალებიდან) თერთმეტი წლის გასვლის შემდეგ.

ე. ი. თუ თამარი 1213 წელს გარდაიცვალა, თხზულება მისი მეფობის შესახებ იწერებოდა 1224 წ. ამ თარიღის სასარგებლოდ შეიძლება დაკუმატოთ, რომ როცა ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ დედანი დგებოდა, ე. ი. 1224—1225 წლებში⁷⁵, გიორგი ლესამისა და თამარის შესახებ საისტორიო თხზულება არ ყოფილა და შემდგენელი, როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, იმულებული გამხდარა მეტად მარტივი მატთან შეეთ-

ხზა (იგულისხმება ლაშა გიორგის-დროინდელი ნეიტრალის თხზულებები) და ეს თავისი ნაცოდვილარი შეეტანა ანა დედოფლისეული კრებულის დედანში⁷⁶. თქმა არ უნდა, ეს ასე არ მოხდებოდა, რომ „ისტორიანი და აზნანი“ თანარის გარდაცვალებისთანავე ან გიორგი ლაშას სიცოცხლეშივე დაწერილიყო, ვინაიდან „ქართლის ცხოვრებაში“ შექჳნდათ საწეუო კარის ოფიციალურ ისტორიკოსთა თხზულებანი, რომელთა ნაწილი შეიძლება სპეციალური დაკვეთითაც კი იწერებოდა იმ მიზნით, რომ საელწიფო პოლიტიკისათვის განართლება მიეცათ და ქება შეესაათ. ასეთ ვითარებაში „ისტორიანი და აზნანი“, როგორც პანეგირიკის საუკეთესო ნიმუში, შეუძლებელია მხედველობიდან გამორჩენოდათ „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელ-რედაქტორებს, როცა ისინი ანა დედოფლისეული ნუსხის დედანს ადგენდნენ.

თუ „ისტორიანი და აზნანი“ 1224 წელს იწერებოდა, მაშინ ბუნებრივად ისმება კითხვა: რატომ არ არის ჩასში აღწერილი ლაშა გიორგის ნეტობის ამბები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამი გარემოება: ა) ქართველი ისტორიკოსები ყოველთვის იმ ეპოქას არ აღწერდნენ და ზოგ შემთხვევაში არც ეხებოდნენ, როცა თავიანთ თხზულებებს წერდნენ (მაგ., ლ. მროველი, ჯუანშერი). მათ ჰქონდათ აღებული გარკვეული ეპოქა და თავიანთ თხზულებას მიუძღვნდნენ აოლნე ამ ეპოქის მოვლენათა გადმოცემას; ბ) თხზულების მიზანი ჩანს მის სათაურში, ავტორს სურს დაწეროს ისტორია და ქება გვირგინოსანთა, მაგრამ იგი ამავე დროს სიზარტლესა და ობიექტურობას არ ლატობს. ამიტომ, საფიქრებელია, ლაშა გიორგის ეპოქაში, თვით ნეტის მრავალი უარყოფითი მხარისა და მონღოლთა შემოკრისაგან განცდილი მძიმე მარცხის გამო, საქებარი ბევრი ვერაფერი დაინახა და „აზნათა“ გარეშე წერას მოერიდა, რომ მისი სათაყვანებელი თამარისათვის ცუდი მემკვიდრეების აღზრდის გამო ჩრდილი არ მიეყენებინა; გ) მოსალოდნელია ისიც, რომ თხზულებას დასასრული აკლდეს, „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელ-რედაქტორებს იგი ამოელოთ, რადგან ხელთ ჟამთააღმწერლის საუკეთესო თაზულება ჰქონდათ.

ჩვენი დასკვნა ასეთია: „ისტორიანი და აზნანი“ შარავანდედთანი“ ერთდროულად დაწერილი ერთი მთლიანი ნაწარმოებია. იგი იწერებოდა 1224 წელს. ავტორი ამ საქაოდ ვრცელ თაზულებათ უცბათ ვერ დაწერდა და სავარაუდებელია, იგი დაასრულა მაშინ,

როცა 1225 წელს ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ დედანი უკვე შედგენილი იყო.

16. მკვლევარებმა დღემდე ვერ მიაგნეს „ისტორიათა და აზნათა“ ავტორს. ითუხდავად იჩინა, რომ დასაბუთებულ იქნა მრავალი სავარაუდო სხვადასხვა პროფესიის პირი, ჯერჯერობით სათანადო საბუთიანობით არც ერთი წათვანის ავტორობა დამტკიცებული არ არის¹⁷. ერთი რამ ცხადია, იგი მის მიერ აღწერილი ამბების თანამედროვეა და ისეთი თხზულებაც დაგვიტოვა, რომ „დიდი ნდობის ღირსიც არის და ამის განო ისტორიისათვის ძვირფას წყაროდ უნდა ჩაითვალოს“ (ივ. ჯავახიშვილი).

თუმცა ამ ციტატის ავტორი იმასაც მიუთითებდა, რომ „ისტორიანი და აზნანი“ ზიზნისა და ნეოოდების მარცხ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაზე ცოტათი დაბლა დგასო.

კიდევ უფრო დაბლა დგას იგი სხვა ქართულ საისტორიო თხზულებებთან შედარებით ქრონოლოგიის თვალსაზრისით. ამ საკმარის ვრცელ თხზულებაში (უკანასკნელ გამოცემაში იგი შენიშვნებითურთ 114 გვერდზეა განვრცობილი) პირდაპირ არც ერთი თარიღი არ არის დასახელებული. ამბებისა და მოვლენების დათარიღება ხერხდება მხოლოდ სხვა წყაროების ზემოქმედებით. ძლიერ ღარიბია თხზულება მოვლენებს შორის გასული დროის შესაბამისი მითითებებითაც. ერთ ასეთ მითითებაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, როცა თხზულების დაწერის დროს ვარკვევდით, ნეორე შენიშვნა მიემართება გიორგი მესამის მიერ თამარის თანამეფედ კურთხევას, ისტორიკოსი მიუთითებს, რომ ის მომხდარა დენა უშულისწულისა და ორბელთა განდგომის მეორე წელს (ქ. ცხ. II, 20). თხზულებაში არის მესამე შენიშვნაც, სადაც ნათქვამია, რომ თანარს თავისი მეფობის 12 წლის განმავლობაში ტაჯვანავის ვინმესთვის დაკვრაც კი არ უბრძანებიაო (ქ. ცხ. II, 34).

სხვა ანალოგიური მასიის შენიშვნები თხზულებაში არ არის, მაგრამ როცა სხვა წყაროების საშუალებით მასში ვადმოცენული მოვლენების დათარიღებას ვახდენთ, ვრწმუნდებით, რომ ავტორი ამ მოვლენებს ალაგებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. იგი, როგორც წესი, წინასწარ არ ეუბნება მკითხველს, თუ რა ნიშნად ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, არამედ მიყვება მოვლენების თანამიმდევრობას, გადმოგვცემს მას ისეთივე რიგის მიხედვით, რა რიგითაც ისინი ხდებოდა. ასეთი ფაქტების ჩანოთვლა იქნებოდა გიორგი მესამისა და თამარის ეპოქის ისტორიის ისეთივე გადმოცემა, როგორც ეს აკად. ივ. ჯავახიშვილს აქვს ვაკეთებული „ქარ-



თველი ერის ისტორიის“ ნეორე წიგნის 228—295 გვერდებზე (1948 წ. გამოცემა). ანიტომ ჩვენ თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ მოთხრობილი ამბების დათარიღებას აღარ გამოუდგებოთ, მკითხველს იგი შეუძლია ნახოს ზემოთ მითითებულ ადგილზე.

17. როგორც ქვემოთ ვნახავთ, სრულიად უბრალო შემთხვევამ უკვდავყო ბასილ ეზოს-მოძღვრის სახელი. მას მიეწერება აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილ ქალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ნაწარმოების ავტორობა „ცხოვრება სეფეთ-მეთისა თამარისი“. ეს თხზულება წარმოადგენს თამარის მეორე ისტორიას. მას მეორეს უწოდებენ, ვინაიდან პირველად მიჩნეულია „ისტორიანი და აზნანი“.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია რამდენიმე ჰიპოთეზა ავტორის ვინაობის თაობაზე. რადგან ძველი ივ. ჯავახიშვილის აღმოჩენილია, პირველი ჰიპოთეზაც მას ეკუთვნის. იგი ასეთია: „უნებლიედ იპყრობს მკვლევარის ყურადღებას ის გარემოება, რომ რუკანადინის წინააღმდეგ გასასტუმრებელი ჯარის თამარ მეფისაგან დალოცვის აღწერილობაში ჩვენს ისტორიკოსს ასეთი წვრილმანი ცნობა აქვს მოხსენიებული, თუ ვის ეჭირა სახელდობრ ჯვარის მეორე მხარე იმ დროს, როდესაც მეომრები ჯვარისა და თამარის ხელზე სამთხვევად მიდიოდნენ. დაიწყეს „თაყუნის ცემად პატიოსნისა ჯვარისა და ამბორის ყოფად და აგრეთვე შემთხვევად კელსა თამარისასა... რამეთუ ერთითა კელითა თუით მის ეპყრა ძელი ჯვარისა, ხოლო ერთითა ეზოს-მოძღვარსა ბასილს და ჯუარის მტვირთველსაო“ რაკი აქ ასეთი უმნიშვნელო რამის გამო ეზოს-მოძღვარი ბასილი არის დასახელებული, ჰიპოთეზის მსგავსად, ან საკითხად შეიძლება წამოყენებულ იყოს, ეს გარემოება ბასილი ეზოს-მოძღვრის ავტორობის მომასწავებელი ხომ არ არის?“⁷⁹.

აკად. კ. კეკელიძე არ ეთანხმება ამ ჰიპოთეზას. ზემოთ მოყვანილი ცნობა, მისი აზრით, ვერ გამოდგება ბასილის ავტორობის საბუთად, ვინაიდან მის მიხედვით ავტორად შეიძლება თამარიც ჩაითვალოს, როგორც ჯვარის ძელის მეორე მხარის დამჭერი⁸⁰.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილს აკად. ივ. ჯავახიშვილის დებულება მისაღებად მიაჩნია, როგორც საზოგადოდ გაზიარებული და სამუშაო ჰიპოთეზი⁸¹.

ჟურნ. „საჭოთა ხელოვნების“ 1961 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა პროფ. ს. კაკაბაძის წერილი „შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან“. სადაც ვკითხულობთ: „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შოთას ეკუთვნის თამარის ე. წ. მეორე მატინე, დაწერილი

როგორც ცნობილია, ვაჟა-ფშაველა 1883 წელს უმაღლესი გაყვანილობის მისაღებად პეტერბურგში გაემგზავრა და უნივერსიტეტში თავისუფალ მსწენელად ჩაირიცხა, მაგრამ უსახსრობის გამო მალე ისევ უკან დაბრუნდა. იოსებ იმედაშვილის ცნობით, ვაჟას ამხანაგები ბერლინის უნივერსიტეტში გაგზავნას უპირებდნენ. ილია ჭავჭავაძე ამ მოსაზრების წინააღმდეგ წასულა. მას უთქვანს „ბატონებო, ვაჟა პეტერბურგიდან იქნებ ბედმაც დააბრუნა, ახლა გერმანიაში აპირებთ გაგზავნას? ძლიერ კარგი, მაგრამ იცით კი რა გამოვა? თავი გაანებეთ, — გერმანიაში იქნებ არაფერი გამოვიდეს, უკეთეს შემთხვევაში ფილოსოფიას დაეწაფება, მაშინ ფანდურს მალა კერში შედებს. ვაი თუ, ვერც ფილოსოფოსად ივარგოს, ფანდურიც სამუდამოდ დაემსხვრას. მაგას ჰონორარი დაუნიშნეთ, ისევ მთაში წავიდეს და წეროს — თავისებური ფანდურის ქლირით დაგვატკბოსო“¹.

ილიას წინასწარმეტყველება მართალი გამოდგა. ვაჟა-ფშაველა მართლაც მთაში დარჩა და იქ, ბუნების ამ უცნაურ სამყაროში, შექმნა უკვდავი პოეტური მარგალიტები.

ილია ჭავჭავაძემ ვაჟა-ფშაველას — პოეზიის მინდიას — ფართოდ გაუღო „ივერიის“ კარები და მის ყოველ ახალ ნაწარმოებს დიდი სიხარულით აქვეყნებდა გაზეთების ფურცლებზე.

იაკობ მანსვეტაშვილი თავის საინტერესო მოგონებაში ამის შესახებ წერს: „ვაჟამ თავისი „მოხუცის ნათქვამი“ მოგვიტანა „ივერიაში“ დასაბეჭდად. რედაქციაში შევიკრიბებით თანამშრომლები. ხელნაწერი წავიკითხეთ. მკითხველის მოვალეობა კისრად ედვა გიგა ყიფშიძეს, რომელსაც რედაქციის მედავითნეს ვეძახდით. გიგამ თავისებურად, გრძნობით გადააბულბულა.

— გიგა, აბა ერთი კიდევ გადაიკითხე, — ეუბნება ილია. გიგამ გადაიკითხა... მერე თითქოს ძილისაგან გამოერკვაო, ილიამ ალტაცებით წამოიძახა შემდეგი სიტყვები, რომელიც ბელინსკისებურად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა:

— არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი უნდა ძირს დავდვათ, გზა ვაჟას უნდა დავუთმოთო!“².

მართლაც, ვაჟას „მოხუცის ნათქვამი“ პირველად დაიბეჭდა ილიას „ივერიის“ 1886 წლის 89 ნომერში. და ვაჟას „მოხუცის ნათქვამმა“ თუ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ილიაზე, რა სიბა-

¹ ს. ყუბანეიშვილი, გვ. 309

² ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, გვ. 107.



რულს განიციდდა იგი, როდესაც ვაჟას „გველის მუამელს“, „სტუმარ-მასპინძელს“ და „ალულა ქეთელაურს წაიკითხავდა?

ილია ჭავჭავაძეზე დიდი შთაბეჭდილება ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობს“ მოუხდენია. ვაჟას ეს ნაწარმოები პირველად „ნობათის“ რედაქციაში მოუტანია დასაბეჭდად, მაგრამ რედაქტორს ანდრია ლულაძეს ყურადღება არ მიუქცევია და სამი წლის განმავლობაში „შვლის ნუკრის ნაამბობი“ რედაქციის უჯრაში ჰქონია ჩაკეტილი.

აი რას წერს ვაჟა ამის თაობაზე: „1883 წლის დასაწყისში დავწერე „შვლის ნუკრის ნაამბობი“, დამღევს იმავე წლისა „მოხუცის ნათქვამი“. ორივე ეს წიგნი ერთად იმავე 1883 წელს წარუდგინე ნობათის რედაქტორს ბ-ნს ანდ. ლულაძეს. მაგრამ ერთ მათგანს, ისიც ნახევარს, „შვლის ნუკრის ნაამბობს“, მესამე წელს ეღირსა დაბეჭდვა, ხოლო მეორეს „მოხუცის ნათქვამს“ არა“.

როდესაც ილიას გაუკვია, რომ ვაჟას პროზაული ნაწარმოებიც ქონდა დაწერილი, მას უთხოვნია ვაჟასთვის ამ ნაწარმოების „ივერიის“ რედაქციაში წარმოადგენა. ვაჟას შეუსრულებია ილიას დავალება. ხელნაწერი ილიას ჩამოურთმევია და ავტორი ორი-სამი დღის შემდეგ დაუბარებია ამბავის გასაგებად. შემთხვევით ვაჟას უფრო ადრე შეუვლია „ივერიის“ რედაქციაში. ილიას დაუნახავს „შვლის ნუკრის ნაამბობის“ ავტორი და აღფრთოვანებულს უთქვამს მისთვის: „იცი შენ რა დაგიწერია? ეს ისეთი ნაწარმოებია, რომ ერთი წუთითაც არ უნდა დარჩეს დაუბეჭდავიო“. და ვაჟას თანდასწრებით ილიას ეს ნაწარმოები სტამბაში გაუგზავნია.

როგორც იაკობ მანსვეტაშვილი გადმოგვცემს, როდესაც „შვლის ნუკრის ნაამბობი“ — „ივერიის რედაქციაში წაუკითხავთ, ილიას აღტაცებას საზღვარი არ ჰქონია.

„კითხვის დროს, — წერს ი. მანსვეტაშვილი, — ილიას სიამოვნების შუქი გადაჰკრავდა სახეზე. კითხვა რომ გავათავებთ, ილიას აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. წამაკალმა დიდმა ნიჭმა გულით იგრძნო მომავალი დიდი ნიჭი. ილიას აღტაცებულს წარმოუთქვამს: კოკებზედაც ეტყობა. რა ვაჟიც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟასაგან; შორს წავა, შორს! გაიძახოდა ილია თავისი ჩვეულებრივი შორს-მკვრეტელობით“¹.

რადგან ილია ვაჟას ნიჭიერებაში დარწმუნდა, ამის შემდეგ მან ფართოდ გაუღო პოეტს „ივერიის“ რედაქციის კარები. „ივერიის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ვაჟას ნაწარმოებთა უმრავლესობა. სახელ-

¹ ნოგონებანი, გვ. 106.



დობრ პოემები: „მოხუცის ნათქვამი“, „გივლია“, „მონადირე“ „გოგოთურ და აფშინა“, „სულა და კურდღელა“, „ალუდა ქეთელაური“, „კოპალა“, „ეთერი“, „დაპრილა ვეფხა“, „ილო“, „ბახტრიონა“, თეარო გიორვი, შვილა რა მაყავე“, „სტუმარ-მასპინძელა“, „ნანგრევთა შორის“, „ბრძენი ვირი“, „მამადს დანაბარები“, „უილბლო ილბლიანი“, „ძალლიკა ხიმიკაური“, „სიტყვა“ და ნახევარ წიწილა“. პოემებს გარდა „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას 112 ლექსი. ჩანს რომ ვაჟას პოეტური ხმა უმთავრესად ილიას გაზეთის ფურცლებზე ამტყველდა და აქედან ემცნო მისი შემოქმედების ძალა და სიტკბოება ქართველ მკითხველს საზოგადოებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძემ არა მარტო შეიცნო ვაჟა-ფშაველას გენიალობა, არამედ ამ დიდმა პატრიოტმა მოღვაწემ ხელი შეუწყო პოეტის ნიჭის გამოვლინებას და მისი გონების ნაყოფის ერის საკუთრებად გადაქცევას.

ამავე დროს, იმასაც თუ გავიხსენებთ, რა მკაცრი იყო ილია პოეტების მიმართ, მაშინ ნათელი გახდება ჩვენთვის, რა დიდ მწაფენელობას ანიჭებდა ილია ვაჟას შემოქმედებას.

ი. მანსვეტაშვილის გადმოცემით, ილია იშვიათად ბეჭდავდა „ივერიის“ ფურცლებზე ლექსებს, და თანამშრომლებსაც ყოველთვის იმას უყაჩინებდა, რომ ლექსების მიმართ ყველაზე მეტად მკაცრა და უღმობელი ყოფილიყვნენ.

„ვასაც ძველი „ივერიისათვის“ თვალი უღევნებია, — წერს მანსვეტაშვილი, — ესომება, რომ ლექსები ძალაან იშვიათად იბეჭდებოდა მაშინ. მიზეზი ის იყო, რომ ილია ძალაან მკაცრად და სასტიკად ეკიდებოდა ლექსებს და ბევრს მოსთხოვდა მოლექსეებს. ...თუ ლექსში შეგხვდათ სიტყვები: საგანი, ფიგურა, ვარდი, ბულბული, მთვარე და სხვა ამისთანები, — აფრთხილებდა ილია თანამშრომლებს. — ბოლომდე ნულარ ჩაიკათხავთ, გვერდზე გადაადგეთ, დროს ნუ კარგავთ. ეს ლექსი კი არ იქნება, არამედ უსაქმო კაცის ნაცოდვილარი ლექსად ნაჯღაბნი“ — და ბოლოს დასძენს მანსვეტაშვილი — „ხალხურ და ვაჟა-ფშაველას ლექსებს ყოველთვის დიდა ადგილი ეთმობოდა გაზეთშიო“¹.

და მართლაც, არასოდეს, არც ერთ ქართველ მწერარს არ ღირსებია ილიას ორგანოში იმდენი ნაწარმოების გამოქვეყნება, რამდენიც ვაჟამ შესძლო. თავიდანვე ასე აღტაცებით შეხვდა ილია ჭავჭავაძე ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას და საკვდილამდე მისი ნაწას თაყვანისმცემელი დარჩა.

¹ მოგონებანი, გვ. 101.

კიდევ მეტი, ილიამ ვაჟა-ფშაველა „ივერიის“ რედაქციის წამყვანი წევრად მიიწვია, მაგრამ შტაბის უბეში გაზრდილი არწივი როგორ შესძლებდა რედაქციის მტკრიან კედლებში ჩაკეტილიყო და მისთვის უანტერესი კორესპონდენციები ესწორებინა. ორი სამი დღის შემდეგ ვაჟამ რედაქცია დატოვა და თავის საყვარელ სოფელს, ჩარგალს მიაშურა. აქ აქლერებდა იგი თავის ჯადიან ფანდურს და აქ იქმნებოდა ვაჟა-ფშაველას პოეტური მარგალიტები.

„დრო გამოწეებით ჩამოდიოდა ვაჟა ტფილისში ხურჯინაკიდებული ცხენით, ხურჯინში ელავა საგზალი... და ლექსები. მოთხრობები, პოემები და კიდევ სხვა... დაუტოვებდა ყველა ამას რედაქციას და ისევ გაემგზავრებოდა თავის საყვარელ მთებისაკენ“.

ასე ქმნადა მსოფლიო პოეზიის შედევრებს ფიჩხის შუქზე, მკვარტიან ბუხართან, დღისით მიწის მუშაობით დაღლილ დაქანცული მგოსანი — ვაჟა-ფშაველა.

ვაჟას „მოხუცის ნათქვამი“ და ილიას

„მეფე დიმიტრი თავდადებული“

როგორც აღვნიშნეთ, „მოხუცის ნათქვამი“ პირველად ილიამ გამოაქვეყნა „ივერიაში“ და მისი პირველი შემუშავებელიც ილია იყო. ამის გამო ვაჟა წერს: „იმ ხანებში გამოვიდა „ივერია“ გაზეთად და იქ წარვადგინე „ნობათის“ რედაქტორის დაწუნებული პოემა. „ივერიის“ რედაქტორმა აღფრთოვანებით მიიღო. ასე, ეს პოემა სამი თუ ოთხი წელი უქმად იდგა „ნობათის“ რედაქციაში და მე კი სოფლიდან გულისფანცქალით თვალყურს ვადევნებდი, როდის ენახებოდა იმას დაბეჭდილს“. მაგრამ ვაჟამ, იგი „ნობათის“ ნაცვლად „ივერიის“ ფურცლებზე იხილა დაბეჭდილი.

ამჟამად, ჩვენთვის საინტერესოა ვაჟას „მოხუცის ნათქვამის“ და ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ ურთიერთობის საკითხი. ვაჟა თვითონ მიუთითებს „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ გავლენაზე.

„უნდა ვატყვილი მოვახსენოთ, რომ თუმცა არადერი მსჯავსება არ არსებობს, და იქნება ეგრეთ ვის შეენიშნოს, „მოხუცის ნათქვამის“ და თ. ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულს“ შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს „დიმიტრი თავდადებულს“ შორის, ჩემზე გავლენა, ვიდრე სხვა რომელიმე მშობელ ლიტერატურის ნაწარმოებს, უფრო კი მის ფორმას“.

მართლაც საინტერესოა, რა გავლენა უნდა მოეხდინა „მეფე დიმიტრი თავდადებულს“ ვაჟაზე ამ პოემის წერის დროს? თითქმის

მათ შორის არაერთარი კონკრეტული მსგავსება არ არსებობს, გარდა იმ საერთო, ზოგადი ნიშნებისა, რომელიც ყველა ისტორიულ სიუჟეტზე აგებულ ნაწარმოებში შეიძლება მოინახოს.

ეს ზოგადი თვისება ასეთია: ორივე პოემა აგებულია ისტორიულ სიუჟეტზე. ილიას გამოყვანილი ყავს მე-13 საუკუნის პატრიოტი მეფე დიმიტრი, რომელმაც ერის კეთილდღეობისათვის თავი შესწირა სამშობლოს, მას 1289 წელს მონღოლთა ყვინძა თავი მოკვეთა. ვაჟას კი „მოხუცის ნათქვამში“ თემად აღებული აქვს საქართველოს მე-18 საუკუნის ისტორიული ფაქტი, ერეკლე მეფის ბრძოლა კრწანისის ველზე ალა-მამაღ-ხანის წინააღმდეგ.

პოემების შესავალში ორივე ავტორი ქება-დიდებას ასხამს მამულისათვის თავდადებულ სახელოვან წინაპრებს, რომელთა მსგავს ისინი ვერ პოულობენ მათდროინდელ საქართველოში.

„მეფე დიმიტრი თავდადებულის“ შესავალში ილია ჭკვევადე წერს:

შვილო თქვენი წააპარნი
 აგრე გულქვად როდი იყვნენ...
 ძმა ძმასა და მამა შვილსა
 მამულს ხოლმე შესწირავდნენ!..

უწინ ქართველს უხაროდა
 მამულისთვის მტერთან ომი,
 ან მოჰკლავდა, ან თავის-თავს
 შეაკლავდა როგორც ლომი...

ეგრე შვილო აქ ცხოვრობდა
 უწინდელი ქართველის შვილი,
 მისი მუდამ ნატვრა იყო
 ან სახელი ან სიკვდილი.

ვაჟა-ფშაველას „მოხუცის ნათქვამში“ იგივე წუხილია გამოხატული. პოეტს გულს უკლავს მისდროინდელ საქართველოში მამულისათვის თავდადებულ გმირთა უყოლობა. დროებაც გამოცვლილა და ხალხიც გარდაქმნილა. გმირული სულის ნაცვლად, სილაჩრე და ფუქსავატობა დაბუდებულია საზოგადოებაში.

ეს რა დროებას მოვესწარ!
 გამოიცვალა ქვეყანა,
 მამალიც უცვის სხვა გვარად,
 კაცსა სძულს მისვლა კაცთანა.

ქალი და კაცი გაფუჭდა,
 აღარ სძევ ძველი ფერია,
 მათ გულში ქაჯი დაბუდდა
 კაცის ნამუსის მტერია.



აფსუსო ძველო დროებავ!
 არ დაბრუნდები ნეტარა?
 რომ ამაჟობდეს დიაცი
 ქმრის სიმამაცით მკვებარა.

ასეთი საერთო მოტივების არსებობა არ მიუთითებს ნიშანდობ-
 ლივ მსგავსებაზე. ეგ ყველა ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარ-
 მოებებში იგრძნობა. მათ შორის მსგავსება, როგორც თვით ვაჟაც
 აღნიშნავს „ურო კი მის ფორმას“ ეხება. და ამ მხრივ, ამ ორ ნა-
 წარმოებს მართლაც აქვთ საერთო ნიშნები. სახელდობრ, ორივე
 შემთხვევაში ნაწარმოებების სიუჟეტი მთქმელის სახით არის გად-
 მოცემული „მეფე დიმიტრი თავდადებულში“ ამბავს მეფანდურე
 ჰყვება, ვაჟას პოემაში კი მოხუცი. ორივე ნაწარმოები ავებულია
 ხალხურ კილოზე და დაწერილია 8 მარცვლოვანი სტრიქონით.
 შიოლოდ ასეთი სახის გავლენას გულისხმობდა ალბად ვაჟა-ფშაველა.

„გველის მჭამელი“ და „განდევილი“

ჩვენ გვგონია, რომ უფრო მეტი იდეური ნათესაობა ვაჟას „გვე-
 ლის მჭამელსა“ და ილიას „განდევილს“ შორის არსებობს, ვიდრე
 „მოხუცის ნათქვამსა“ და „დიმიტრი თავდადებულს“ შორის.

ილიას „განდევილი“ 1883 წელს გამოქვეყნდა „ივერიაში“; ვა-
 ჟას „გველის მჭამელი“ კი 1901 წელს „შოამბის“ პირველსა და
 მეორე ნომრებში დაიბეჭდა. ორივე ნაწარმოები ღრმა ფილოსოფი-
 ური შინაარსისაა და ორივე პოემაში ერთნაირად დგას საკითხი
 მისტიკურ და რეალურ სამყაროს იდეათა შეჯახებისა და ორივე
 შემთხვევაში რეალური — ამქვეყნიური იმარჯვებს მისტიკურ — ირე-
 ალურზე.

„განდევილის“ მწიორს თავის სურვილით დაუტოვებია რეალური
 ქვეყანა, „ცოდვილთ სადგური“ და ყინულეთში, ცხოვრებისაგან
 შორს გატყორცნილს, ბეთლემის გამოქვაბულში შეუფარებია თავი,
 რათა ლოცვითა და მარხვით საიქიოს სულიერი ნეტარება მოეპო-
 ვებინა.

ოდესღაც ტაძარს იმ გამოქვაბულს
 მეუდაბნოე შეჭკედლებია;
 ხაიქიოხთვის ეს სააკაო
 დაუთმია და განშორებია.

მაგრამ მწიორის პიროვნებაში, რომელსაც სულისათვის ხორცი-
 ელი ნეტარება შეუწირავს, ხორციელი მიძინებულის სახით მაინც
 ცოცხალი დარჩენილა და საკმარისი აღმოჩნდა გამოქვაბულში ცეც-



ხლის პირას ლამაზი ქალის სახე ეხილა მწირს, რომ ეს მიმქრავლა და მიძინებული ხორციელება კვლავ გაცოცხლებულიყო, მაშასადამე, ავტორმა განდევილის პიროვნებაში ორი სამყარო დაუპირისპირა ერთმანეთს — მისტიკურ-რელიგიური და რეალურ-ადამიანური და ამ წინააღმდეგობათა საფუძველზე გამოჰკვეთა გმირთა ხასიათებიც.

იგივე პრობლემა დვას „გველის მჭამელშიც“. „გველის მჭამელის“ გმირი მინდია გველის ხორცის ჭამისაგან გრძნეული გახდა, „გამეცნიერდა გლეხია“. გრძნეულებამ მინდიას გზა მისტიკურობისაკენ გაუხსნა. მართალია, მას, მწირის მსგავსად, ადამიანთა გარემო ხორციელად არ დაუტოვებია, მაგრამ გრძნეულობით სხვა სამყაროში გადახვეწილმა ცოდვად დასახა ის ჩვეულებრივი წესები, რაც ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებისათვის აუცილებელი იყო. მინდიამ ხელი აიღო მცენარის მოჭრაზე, ცხოველის მოკვლაზე და სხვებსაც ეს სავალდებულოდ გაუხდა, რითაც იგი ფაქტიურად დაუპირისპირდა რეალურ ქვეყანას. ტყიდან მინდია ხელცარიელი ბრუნდება. აბა როგორ შეეძლო მას შეშის მოტანა, როდესაც მოსაჭრელად გამოიზნული ხე მინდიას ეხვეწებოდა:

ნუ მომკლავ ჩემო მინდია,
 ნუ დამიბნელებ მზესაო
 უიარალო რომა ვარ,
 მიტომ მიბრძვივებ ხეხაო.

მაგრამ ორივე შემთხვევაში, განდევილისა“ და „გველის მჭამელის“ გმირები მარცხდებიან როგორც მისტიკოსები და გამარჯვებული გამოდის რეალური — ადამიანური ცხოვრება. განდევილი ქალის ცდუნებამ დაამარცხა როგორც სულის ნეტარების მაძიებელი, ხოლო მინდიამ დაჰკარგა გრძნეულება ოჯახის მოთხოვნილებების გამო. ორივე გმირი დაამარცხა ცხოვრების ჭეშმარიტებამ და ორივე ნაწარმოებში რეალური ცხოვრების სიმბოლოდ ქალია გამოყვანილი. „განდევილში“ მწყემსი ქალი, „გველის მჭამელში“ მინდიას ცოლი — მზია.

მწყემსი ქალის მშვენიერებამ აცდუნა განდევილი. ცეცხლის შუქზე განათებულმა მისმა უმანკო სახემ გამოაცოცხლა განდევილის პიროვნებაში მიძინებული ხორციელება და საკოცნელად მიიზიდა მწირი, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

საოცარ იყო მიძინებული
 იგი სიტურფე, იგი მშვენება.
 თითქოს მის შექმნას ერთად ცდილანო
 თვით სიყვარული და ნეტარება.

თითქოს თვით მაღლსა მშვენიებისასა
თვისი საუნჯე აქ დაბნევიდა
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ
სული მის დაწვზე დაუღვევია..

და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა.. ემა წაწყმედავ
ეს რა ხურვილი გულს გაიტარა.

ასეთი ცოდვის ჩადენაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მწირი დამარცხებულიყო როგორც სულის ნეტარების მაძიებელი. დილით, როდესაც მზის სხივებმა ლოცვანის წიგნი არ დაიპირა და განდევილი დარწმუნდა ღეთის შერისხვაში, იქვე ხატის წინ განუტევა სული.

დაესხა რეტი, თვალი დაუბნელდა
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შებღავლი ღმერთსა
და იქვე სხივ-კვეშ უტევა სული.

მოწინავე იდეებით შეიარაღებულმა ილია ჭავჭავაძემ, მწირი არა მარტო იდეურად დაამარცხა, არამედ ფიზიკურადაც გაანადგურა და ამით დაამტკიცა მისი უარყოფითი დამოკიდებულება მისტიციზმისა და რელიგიისადმი. ლამაზი მწყენსი ქალი, რომელმაც მწირი აცდუნა ხომ რეალური ცხოვრების გამოხატულება?

იგივე სურათი გვაქვს „გველის მკამელშიც“. გრძნეული მინდიას რეალური ცხოვრებას სახით საკუთარი ცოლი მზია დაუპირისპირდა. მზიას არ აინტერესებს მინდიას მისტიკური გალუცინაციები.

„სიცივე ბაღლებს მიღვესო“...
„ყმაწვილნ უხორცილ დაზრდილნი
რა ვაჟაკობას იზამენო“

აი რა აწუხებს მზიას. მას ცხოვრების კანონი აღაპარაკებს და ამოშია მისი უპირატესობა და ძლიერებაც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თვით გრძნეული მინდაც კი უძლური ხდება ამ უბრალო დედაკაცის წინაშე. ცხადაა, აქ მზიას პირით ცხოვრების ჭეშმარიტება ღალადებს, და ვერ გაევიზიარებთ კიტა აბაშაძის მოსაზრებას, რომ მზია თითქოს „წყრიმალია“, რომ იგი „ღედამიწის წუმპეს ვერ ასცილებია“.

„მაგრამ... მინდიას ცოლი ჰყავს, რომლის უბადრუკი გონება და ფიქრი ღედამიწის წუმპეს ვერ აცილებია. მისთვის მინდიას ბრწყინვალე გონება მეტი ბარგია. ის არშინითა და სასწოროთ ზომავს ყოველიფერს...“¹.

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. II, გვ. 223.



და კიტა აბაშიძეს ყურადღების გარეშე რჩება ის, რომ „არშენი“ და „სასწორი“ რეალური ცხოვრების სიმბოლოა და სწორედ ცხოვრების მკაცრი კანონით დაამარცხა მზიამ გრძნეული მინდია. ამიტომაა გულმოკლული მინდია აღშფოთებული რომ ედავება ცოლს:

ის დღე გაშავდეს, რა დღესაც
მე შენ დაგიხვი ცოლადა,
მინამდღე კაცი არ მაჩნდა
მიწაზე თავის ტოლადა.
სულ შენგან გავხდი. წყეულო,
უგერგილოდ და ყოლადა...
რა ვარ? განაღა კაცი ვარ?
ღირსი ცის ქვეშე ვიჯობდე!..
თქვენგან მკირს ჭირი უწამლო
უფალს თქვენგანა ვცოლია.
შვილებიც ჭირად გამიხდა
შამაცვლევინეს ფიქრია,
დაკარგულს სულს და ხორცზედა
ეხლა დღე და ღამ ვსტირია.

აქაც ცხოვრება ქალის — მზიას სახით წარმოუდგა მინდიას და მინდიას ფილოსოფია მცენარისა და ცხოველის ხელშეუხებლობის შესახებ, ცხოვრების ძალამ დაამსხვრია. მაგრამ ვაჟა-ფშაველამ, ილიას მწირის მსგავსად, იდეური დამარცხება არ აკმარა მინდიას და თვითმკვლელობით დაასრულებინა სიცოცხლე; ფიზიკურადაც გაანადგურა სიბრძნისაგან დაცლილი მინდია.

ქუდს იხდის... ხიტყვა ველარ სოქვა,
ხმლის ტარს შეეხო ცერიოთა,
ამოიწვავდა ქარქაშით
გულს მიიბჯინა წვერითა
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო
გაღმოუვიდა ჩქერითა.

მინდიას სიბრძნე არ იყო ცხოვრების სიბრძნე და ამიტომ იგი სასტიკად გათელა თვით ცხოვრებამ. მწირის მსგავსად ტრაგიკულად დასრულდა მინდიას ფიზიკური არსებობაც.

აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ორივე ეს ნაწარმოები არა მარტო ილიასა და ვაჟას შემოქმედების მწვერვალია, არამედ დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ამ მხრივადაც ემსგავსებიან ისინი ერთმანეთს.

ვაჟა-ფშაველას ლექსები ილია ჭავჭავაძისადმი

ვაჟა-ფშაველა ყოველთვის ილია ჭავჭავაძის ნიჭის თაყვანისმცემელი იყო. განსაკუთრებით ვაჟას ილიას რაინდული ბუნება მოსწონდა. ზოგ უემთხვევაში ვაჟა, თავისი გმირების ორეულს ილია ჭავჭავაძის პიროვნებაში წარმოადგენდა. ილიას დიდ პატრიოტულ მოქმედებაში ვაჟა საქართველოს სახელოვან წინაპართა გმირების ხორცშესხმულ სახეებს ხედავდა.

როდესაც წიწამურთან დიდი ეროვნული მუხა წაიქცა ილიას სახით, ვაჟამ ეს ეროვნული ტრაგედია ღრმა გულისტკივილით გამოხატა. მან არა მარტო გულწრფელი ცრემლებით დაიტირა დიდი ილია, არამედ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ბრწყინვალე შეფასებაც მოგვცა. ვაჟა კარგად ხედავდა, რომ ილია უდიდეს მოაზროვნესთან ერთად, გრძნობისა და განცდების გამოხატვის უდიდესი ოსტატიც იყო. ვაჟა ილიას მიმართავს:

საძირკვლად აზრი ჩააგდე,
 ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
 მან გააბრწყინვა სხივებით
 ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.

ვაჟა-ფშაველა კარგად ხედავდა, რომ ილია ერის საფარი და წინამძღოლი იყო, რომ მისი უკვდავი სხეული სამშობლოსათვის იფერფლებოდა და ყველაზე მეტად სამწუხაროდ ვაჟას ის მიაჩნდა, რომ ერის ასეთი მოჭირნახულის მოწამებრივი სისხლი, თვით ქართველის ხელით დაიღვარა. მაგრამ მგოსანს მხოლოდ ის ამხნევებს, რომ ილიას სისხლი სამშობლოსათვის წამებულთა სისხლს შეუერთდა.

და შენი სისხლი იქ ბრწყინავს,
 ხად წინაპართა ნთხეულა.

ვაჟა კარგად ხედავს, რომ ილიას სიკვდილმა დააობლა მთელი საქართველო და განსაკუთრებით მისი მშრომელი ნაწილი:

შვილის დაკარგვას გლოვობენ
 ტურფა არაგვის პირები,
 კაკო უაჩაღთან ერთადა
 მოსთქვამენ გლეხის შვილები.

ვაჟა-ფშაველას სამართლიანად აწუხებს დაობლებული საქართველოს ბედი. ვინ ამოიტანს აკვანს ბაზალეთის ტბიდან, „ან იმ ბაღს ვინ უპატრონებს უსუსურს, მტირალს ბედისა“.

ან იმ ცრემლის ტბას დიადა,
 ერისგან დანადინარსა,
 ვინ დაშრეტს, ვინ ამოიყვანს
 იმ უსუსურსა მტირალსა.



აი ის კითხვები, რომელიც სამართლიანად აწუხებდა და გულს უკლავდა ვაჟა-ფშაველას, რომელიც მთელი ერის გულისტკივნეულად წუხილი იყო.

ასევე დიდი გრძნობა და სიყვარული გამოხატა ვაჟა-ფშაველამ ილიასადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც მან 1910 წელს ქუთაისის თეატრში, ილიას საღამოზე წაიკითხა.

ვაჟა-ფშაველა ქუთაისში ორჯერ იყო. პირველად 1910 წელს ზემოდ ნახსენებ ილიას საღამოზე და მეორედ 1913 წელს ქუთაისელი ინტელიგენციის მიწვევით.

ვაჟა-ფშაველა დიდი სიყვარულით ზიილო აკაკის ქალაქმა. ვაჟას სცენაზე გამოჩენის დროს მყურებელთა ალტაცებას საზღვარი არ ქონდა. ამან ერთგვარად შეაცვლევინა მგოსანს იმერეთზე შეხედულება და იმერეთს „ტურფა მხარე“ უწოდა. ლექსი რომლის სათაურიც „ილიას საღამო“ ასე იწყება

ფშავის ხევიდან ვესტუმრე
დღეს იმერეთის მხარესა.
ამ ტურფა არე-მარეში
ფიქრებს განვიცდი მწარესა

და ვაჟას ეს მწარე ფიქრები გამოწვეულია იმით რომ მეფის ოხრანკის მიერ მოსყიდულმა გარეწარმა ქართველმა მოკლა ილია.

ბოლოს-ღა ვიხრით მის წინ ქედს...
ბოლოს-ღა ვსტირით და ვნანობთ,
რიდ მოვეპყარით ავადა
დიდს მოამაგეს მამასა...
ვინაც თავისი სამშობლო
თვით ღმერთზე მეტად იწამა...

და ბოლოს მომავლის რწმენითა და იმედით აღფრთოვანებული ვაჟა ასე მიმართავს ილიას აჩრდილს:

მტკიცდება ქართველთ კავშირი
ძმობა — ერთობის ფიცითა...
შენს ანდერძს ვიჭვევთ გულში ღრმად
ვატარებთ გულის ფიცრითა.

ასეთი იყო ამ ორი ბუმბერაზი მწერლისა და პატრიოტის პირადული და ლიტერატურული ურთიერთობა. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ვაჟა და ილია თავიდანვე შეუსისხორცდნენ ერთმანეთს და ეს მათი ურთიერთობა სიკვდილამდე ურყევი იყო. ნათქვამია — „გულს გული იცნობს და ღონეს ღონეო“.

გ. სამხარაძე

სევერიან ისიანის პოეზია

I

ოცი წლის წინათ სრულიად ახალგაზრდა პოეტმა სევერიან ისიანმა გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული. სამაჟულო ომის პერიოდის ლექსების დამატებით, 1945 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გიორგი ჯიბლაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოუშვა პოეტის ლექსების მეორე წიგნი.

ეს ორი პატარა, მაგრამ მრავალდეროვანი წინაარსით აღსავსე კრებული მკითხველის თვალწინ აცოცხლებს ახალგაზრდა საბჭოთა პოეტისა და ჩინებული ადამიანის სახეს, რომელიც პატრიოტული გატაცებითა და მომხიბლავი უშუალოებით უმღეროდა ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, ბრძენ ლენინს, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებს.

ლიტერატურულ ასპარეზზე სევერიან ისიანი ლირიკით გამოვიდა და ზარბაზნების გრილშიც ლექსითვე დაამთავრა, — წერს პროფ. გ. ჯიბლაძე. — მის ლექსებს ახასიათებდა პოეტური გულწრფელობა, ფოლკლორული სისადავე, მგზნებარე ტემპერამენტი, შინაგანი სითბო და მხატვრული სახის უბრალოება. მის პოეზიას სილამაზეს აძლევდნენ მოხდენილი მეტაფორები, შედარებები, პარალელები, კონტრასტები და მშვენიერი ფიგურალური გამოთქმები“. მკვლევარის ამ მოსაზრებას მკაფიოდ ადასტურებს სევერიან ისიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც სულ ორმოცდაოთხ ლირიკულ ლექსს მოიცავს.

პოეტის ნაწარმოებნი მისი ავტორის ბიოგრაფიული ჩანაწერებია, მისი სულის მხილვაა, მისი ცხოვრების ფურცლებია, რაც საშუალებას გვაძლევს სწორად განვსაზღვროთ სევ. ისიანის ლექსების თემები და მოტივები, პოეტის მისწრაფებანი და იდეალები, ხასიათი და ბუნება.



პოეტისათვის სამშობლოს მზე იყო „უდასავლეთო და გაზაფხული დაუჭკნობელი“. ამ ქვეყნის დასაცავად, მისი ბედნიერებისათვის სევ. ისიანი არ იშურებს ნიჭს, სულიერ და მორალურ ენერჯიას, ფიზიკურ ძალასა და თვით სანუკვარ სიცოცხლესაც კი. პოეტი ხოტბა-დიდებას ასხამს თავის სამშობლოს და ამავე დროს აძლევს ერთგულების მოქალაქეობრივ ფიცს-

ეს აზრი ლამაზადაა განსახიერებული შემდეგ სტრიქონებში:

შენს სიღიადეს რომ დაედარონ,
 ცის ქვეშ ნახულა მხარე რომელი?
 შვილებს არგუნეს, დედავ ნეტარო,
 ზღვა სიხარული დაუშრობელი.

სიგიზმუნდ ლევანეცკისადმი მიძღვნილ ლირიკულ ლექსში სევ. ისიანი სახიერად გამოთქვამს თავის თვალსაზრისს გმირის იდეალის შესახებ. აქ კარგად ჩანს ჩვენი ეპოქის ახალგაზრდის ამაღლებული, დამამკვიდრებელი პათოსი.

ჩემი ქვეყანა — შენი მშობელი
 მდინარეები, მთები, ტყე-ველი,
 ჩემი ფიქრები დაუშრობელი
 და სტრიქონებში ჩაუტეველი, —
 შენ მოგძახიან, შენ გეხეიან,
 მოდიან გმირნი დაუშრასველნი,
 მეშვიდე ცაზე მათი ხმებია
 და მსოფლიოზე მათა სახელი.

ზემოთ აღნიშნული ლექსის ლოგიკური დასკვნა ასეთია: „დაე, სამშობლოს მსხვერპლი მიწოდონ, მეტი არ მინდა ქვეყნად სახელი“.

თავისი ვრცელი, მძლავრი და თავისუფლების აკვნის დამრწვევ უძვირფასესი სამშობლოს მოსიყვარულე პოეტის ცნობიერებაში შთამბეჭდავი ფერებით არის წარმოსახული უსაზღვრო ლაყვარდი, ბავერდოვანი შინდორ-ველები, გაზაფხულის სურნელოვანი ვარდ-ყვავილები, მზით გალღებულ დედამიწა, ბარაქიან შრომას დაწაფებული ადამიანები. ყველაფერი ეს გულს უხარებდა და სიმღერისათვის განაწყობდა კაბუკ ხგონანს და ათქმევინებდა სახოტბო სტრიქონებს.

სად იცის მიწამ ასე ხუნთქვა, ცამ — ლაყვარდები
 და გაზაფხულმა ახვერდებ.?
 რომელი მზის ქვეშ იცინიან ასე ვარდები?
 ლაღობს გული და აღარ ბერდება.

„გული და დღეები“ ისეთი ლექსია რომელიც გამოხატავს სევ. ისიანის ლიტერატურულ-ესთეტიკურ მრწამსს, მის შეაედულებას

პოეტის დანიშნულებაა და სოციალურ ამოცანებზე. ნაწარმოებში ნათელი ხილვადობითაა გამოთქმული გატაცებისა და აღმაფრენის საგანი. მისი ესთეტიკური იდეალი, გამოთქმული მგრძობიერ და ხატოვან სტრიქონებაში, იმის დადასტურებაა, რომ მწერლის უპირველესი მოვალეობაა უკვდავი სიმღერები უძღვნას სამშობლოს, მშრომელ ხალხს, მის დღევანდელ ცხოვრებასა და მომავალს. ეს პატარა ზომის ლექსი გასაღებს გვაძლევს სევ. ისიანის შემოქმედების ბუნების, მისი არსის, მხატვრულ მასწრაფებათა მკაფიოდ შეგრძობისა და თავისებურებათა გაგებისათვის. ამიტომ საჭიროდ მივიჩნით იგი მთლიანად მოვატანოთ.

მზე დაიდგრება ველზე უღვევად,

ჩეროს გაიჩენს უოველი ღერო;

დღეებს ჩამოაქვთ მზიარულგზა
და მათ შესახებ მინდა ვიმღერო.

მინდა ვუმღერო ამ მზეს, ამ უოფას,

დილით ყანების ახმინებს,

ერთი სიმღერის მარადსაყოფად
მთელი სიცოცხლე არ მენანება.

ხან გარინდებით შევსცქერი ამ ცაჲს,

ამ მთებს, რომლებმაც ველი მოჩრდილეს,

ვნატრობ არ იყოხ ისეთი განცდა,

რომელსაც სიტყვა ვერ იმოჩინებს.

ასე მალეღვებს დღეთა აღმური,

და, გულო ჩემო, ვერ გაპატიებ, —

ამდენი სითბო და სიყვარული

თუ სტრიქონებში ვერ ჩავატიებ.

სევ. ისიანს, როგორც თვითონ ამბობს, ფსიქოლოგიურად ერთი ძლიერი სიმღერის მარადსაყოფად არაფერი არ ენანებოდა და ნატრობდა, რომ პოეტის მძაფრი განცდა სიტყვას დაეცია და ხალხის გულთან ლალად მიეტანა. შესაძლოა, მის ლექსებში სწორედ ამიტომ გვხვდება ხოლმე ინტენსიური, დაძაბული რიტმი და პაექრობა. პოეტი ზოგჯერ ეტოლება მესაჭეს სისწრაფეში, გაქანებაში, დაუდგრომლობასა და სულის მგზნებარებაში.

ს. ისიანმა ლექსი უძღვნა ნესტორ ალავიძეს —უხუცეს მძლოლს, გარბენის გმირს. ეს აზრი ამ ლექსშია განუენილი.

მეც ხომ სტროფებში ვეღარ ვეპევი,

როცა ღიაა გულის კარები,

მაშ გვახარებდეს ვადამეტებით:

შენ — გარბენილი კოლომეტრები,

მე — სადღეისო ლექსის ბწკარები.



1938 წელს სევერიან ისიანმა გამოაქვეყნა მშვენიერი ლექსი „დაქარგულან...“

ეს ნაწარმოები ისევ და ისევ მიძღვნილია ჩვენი დედასამშობლოსადმი, მიძღვნილია მამაცი ადამიანებისადმი, რომლებიც იბრძოდნენ ნანატრი თავისუფლებისათვის, ქვეყნად მზისა და ადამიანური ღირსების დამკვიდრებისათვის, გაზაფხულისა და სიკაბუკისათვის; მათ ხალხის ქება და პოეტის სტრაქონები დაიმსახურეს; „მათზე შაირებს მთებიც არხევენ, ქარი ამღერებს კალარა ჭადრებს“. ეს ისინი არიან, რომლებიც უკნობი გმირის სახელი საუკუნოდ დიამკვიდრეს, მტერთან მძინე ბოაოლაში მამაცურად დაეცნენ, ვიდრე რიჟრაჟი დადგებოდა.

მაგრამ ისინი არ წაშლილან შთამომავალთა მესსიერებაში.

პოეტი ცდილობს ფაქტი, შემახვევა თუ მოვლენა, გულის ნაკარნახევი თემა თუ ლირიკული განცდა თავისი თვალებით დაინახოს, თავისებურად გაიაზროს და მკითხველის საკუთრებად აქციოს. ეს დიდად საინტერესო თვისებაა სევერიან ისიანის პოეზიისა.

განთიადია, ქარი ხევში ნისლეხს მიდენის
და მოჩანს მხრების მხარგაშლილობა
რა ღიაღია,

რა ძვირფასი,

რა მიმზიდველი

ამ ბუნების და ქვეყნის შვილობა!

ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის გმირული ცხოვრების ერთი სურათი დახატულია ლექსში, რომელიც აქებს თეთნულდის მწვერვალის დამპყრობლებს, სიძნელეთა გადაძლახველ პირში შველა ჭაბუკებს... სულში ჩამწვდომი სილამაზე, ხატოვანი გამოთქმები და ჯავარიან-ძარღვიანი სტრიქონები ამშვენებენ ხალხურ კილოზე აგებულ ნაწარმოებს.

ცაზე ცურავს ტრუბლის ტივი,
ქვევით ბნელი ხევია,
ლაჟვარდების ნეგატივი
ენგურს ჩაუხვევია,
საჯიხვეში ქარის ტირილს
ხენი დაურხვევია.

ამ თემასთან დაკავშირებით პოეტს საშუალება ეძლევა მკვეთრი ფერებით გამოხატოს საქართველოს მთის ბუნება. აქ ვხვდებით ნამდვილი მხატვრის ფუნჯით შესრულებულ ფერმწერლურ სურათებს: ხმაურობს დაუდეგარი ენგური, „ჩქარობს ყოველ მოსახვევში როგორც მგზავრი გვიანი“, ნისლი აშლილა და უგზოუკვლოდ და-



ბორიალობს. მოჩანს „ზხარას თეთრი საფეთქელი, უზბას შუბლზე“
ფრიალო“ კლდე.

ეს ხომ ბასრი ხმლების დარი
თეთრი ჭიუხებია,
არწივების საბუდარი
შორს თეთნულდის მარბია,
ხევში რისხვით ჩამომდგარი
ჩემი ძმების ხმებია.

რიონის ჰიდროელექტროსადგურს ბევრმა პოეტმა უხლენა ლექ-
სი. სევ. ისიანას „რიონი ქუთაისში“ ერთ-ერთი პირველთაგანია.

ლექსში უხვად გვხვდება მხატვრული სახეები („უკან გახედავ,
ნალვლიანი ისევ სვამლია, თავშეხვეული, დახეული ლურჯი ღრუბ-
ლებით“), ხატოვანი გამოთქმები. მშვენიერია თუნდაც ეს სურათი:

ისევ ქარია...
და ქუჩები ხმაურს მოდენის,
დაჭრილ ღამეში
გაწოლილა მიდამო ვრცელი,
ხიდქვეშ ამდგარან
გულმოთხრილი თეთრი ლოდები
და კრილობებში
ჩარჩენიათ მდინარის ცრემლი.

„შეხვედრა ქართან“ სევერიან ისიანმა უძღვნა „მათ, რომლებ-
მაც ნალმის მქუხარება სვანეთის თვალმიუვალ მთებში შეიტანეს“.

ლექსი ლირიკული გულწრფელობითა და ამღერებით ხასიათდება.
ლექსი მძაფრდება დიდად ემოციური სტრიქონებით, ექსპრესია
კულმინაციურ წერტილს აღწევს. პოეტი განცვიფრებულია ქარის,
ძალღონით, მისი დაუდგრომლობითა და უშიშარი თარეშით.

ვის მოუცია ამდენი ღონე,
რომ გზებზე ბული დაატრიალე,
მე ქუთაისის მკვიდრი მეგონე,
უაფილხარ თურჟე მოხეტიალე!

ანალოგიურ კონკრეტულ სიუჟეტს ავითარებენ სევერიან ისიანის
ლექსები—„ბელადის სასლი“, „ამ მიწაზე, ამ ლიანვთან“, „მფრინავ,
გოგონას ფადიკო გოგოტიძეს“, „ცარლა“ და სხვ.

II

სევერიან ისიანის პოეტური მემკვიდრეობის ერთი ნაწილი მიძ-
ღენილია ჩვენი სამშობლოს სახელოვანი წინაპრებისადმი, კლასი-
კური და თანამედროვე ლიტერატურის ამამგოსილი მოღვაწეები-



სადმი. ამ ციკლის ნაწარმოებთა თავისებურებაა თანამედროვე ტექნიკური რეზიზმის ფონზე მათი დამსახურების ჩვენება. აქ ისტორიის მეტრძოლი სული და დღევანდელი შერწყმულია, ჯანსაღადა დანახული და შეფასებული.

ამ თვალსაზრისით შესაძლოა უფრო ტიპურად მივიჩნიოთ „რუსთველი კრემლში“.

პოეტს აუსრულდა „ნატერა გამოუთქმელი“, გენიალური სიტყვის ჯავარი მან იხილა გაჩირალდნებულ კრემლში. მას „შემოჰყვა ტაში, დაუხვდა ტაში. დაუხვდა ხალხი ნათელშიანი“. ავტორი გახარებულია იმით, რომ „კრემლში მღეროდა ხალხთა დიდება და შრიალებდნენ შოთას რითმები“.

„მეინვარის გოდება“ აცოცხლებს იმ მძიმედ მოსაგონარ დროს, როცა „ქართლის მიწაზე დაეცა კაცი, პოეზიაში მზის თანაბარი“. პოეტმა მეინვარი დაგვიბატა საშინელი ტკივილითა და გოდებით, იგი დასტირის გარეწართა ტყვიით გულგანგმირულ ქართველი ხალხის მოჭირნახულე მამას.

დაეცა იგი იღუმალებით,
ნათელჩამქრალი ველარ ვიცანი,
სულ არ მენახა მისი თვალები
და სისხლიანი შუბლის ფიცარი.

ჩემო ნისლებო, გოდებას ამდენს
ვუღარ ავითან მისი მნახველი.
ჩემო ნისლებო, მეშვიდე ცამდე
წაიღეთ ჩემი სევდა-ნაღველი.

„ქართლის ჭარმაგი ლომი, ქართლის ვარამით გაუხარელი“ ილია ჭავჭავაძე წარმოსახულია მთელი სიდიადით, ხალხისა და კულტურის წინაშე უდიდესი დამსახურებით.

ს. ისიანი ორიგინალურად მოხაზავს სურათს: იგი კითხულობს ილიას წიგნს. გულმართალი სტრიქონები იმედიანად მღერიან. თანდათან მძაფრდება სურათი — „ჯმეუხა ბრინჯაოსფერი თითქოს წიგნიდან წამოდგა კაცი“. თანამედროვეობის ფონზე სრულიად შეუმჩნევლად იკვეთება დიდი ილიას სახე და მისი პოეზიის უბერებელი სუნთქვა: „არ შეწყვეტილა ქუხილი მისი, თამათა გიშერში შერთვია ვერცხლი“. მას „თვალში უბრწყინავს ქართლის მაისი და პოეზიის უშრეტე ცეცხლი“. ახალი დროით ფრთაშესმული და მთელი სიდიადით წამომდგარი ილია მქუხარე ხმით ამბობს:

განახლებულმა ქართლის ცხოვრებამ
მომცა სიცოცხლე ჩაუქრობელი.



ვალმოხდილი წინაპრის ნაამაგარის დაფასების საუკეთესო ნიმუშად მიგვაჩნია ლექსი „აკაკისადმი“. პოეტი ცდილობს ორიგინალური მტრისებრით გამოხატოს აკაკი წერეთლის სახე, მისი ლექსის შარბათი და ის განუზომელი როლი, რომელსაც აკაკის პოეზია ასრულებს ხალხის აღზრდასა და სულიერი ცხოვრების გამდიდრებაში. „ხალხის ფიქრისაგან განუყრელი, განუყოფელი“ აკაკი წერეთელი ლექსში წარმოდგენილია თავისი უმაღლესი პოეტური ელვარებით. სახალხო, ეროვნული იდეალებით. აკაკი გმირებს უხმობდა, „როს ქვეყანას სისხლი აწვიმდა“. აკაკი უკვდავია თაობათა ხსოვნაში, იგი ცოცხალია და აქტიურად მონაწილეობს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. კარგად ამბობს ს. ისიანი, როცა ხატოვნად გვისურათებს აკაკის უკვდავებას, მის მარადიულ სიცოცხლეს:

წახველ და ორი აირჩიე შენ სამყოფელი:
ხალხის გული და მშვიდი მთაწმინდა.

ს. ისიანი ხაზს უსვამს იმასაც, რომ აკაკიმ გული ჩაუდგა მოსიმიერე ჩონგურებს, მის სიმებს ახლაც საამოდ აელერებს პოეტი და ხალხს ნეტარებით ალაესებს.

მოვხურავ ფანჯრებს, მოვწყდები ლაქვარდს,
მხოლოდ შრიალი მესმის ვერხვების,
გატაცებული ვკითხოვლობ ვაჟას
და ზვიად მთების სუნთქვას ვებები.

ასეთი ლირიკულა შესავლით გვაცნობს სევ. ისიანი ვაჟა-ფშაველასთან თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას. ეს უფერტიურა ერთგვარად წინასწარ ხსნის ინტიმს, რომლითაც პოეტს სურს ლექსის განვითარება. ს. ისიანი სახიერად წარმოიდგენს ვაჟას და ჩვენც გადაგვდებს ჟრუანტელს, მის მღელვარე სულში ფრთააწყვეტილსა და დაუმცხრალს. თემა ისეა განცდილი, ბუნების სურათები ისეა ამეტყველებული, რომ დიდი ადამიანური მღელვარების გარეშე შეუძლებელია ამ რიტმით აღსავსე ლექსის წაითხვა. ს. ისიანს მშვენიერად აქვს განცდილი ვაჟას პოეზიის კილო, სტროფიკა, ხალხური პოეტიკის ელვარება, მისი მებრძოლური ხასიათი.

ახმიანდება ლექსებში ალი, —
ვაჟას ცრემლები, ვაჟას ოცნება,
ხან არწივები ფრთების შრიალი,
ხან გახელებულ ზღვის მიმოქცევა.
ხან თითქოს რისხვით იქუხა მენმა
და ეხოები გზავნა მთა-ველად,
ხანაც არავის კლდეებთან შეხლას
შეხვებრებია ვაჟა-ფშაველა.

ს. ისიანმა ამ ქარიშხლიან ლექსს შესანიშნავი ლოგიკური წერილი მოუწოდა: აბობოქრებული ნისლები ნელ-ნელა მიიწევენ მაღლა, აგერ მინდია გამოჩნდა, იგი თითქოს მდუმარ ლოდებს ესაუბრება, თემიდან გარისხული აღუდა გამწყრალი სტოვებს სამკვიდრო საჯიხვეებს...

და იხურება ტომი ვრცელი,
აღარც შრიალი მესმის ვერხვების,
მე თვითონ განცდად გადაქცეული
ვაჟას ჭაღარას გადავხვები.

III

სატრფიალო-ინტიმურ ლექსებში სრულყოფილად შეჯანდება პოეტის სულიერი მიდრეკილებანი. ასეა აქაც. სევერიან ისიანის წიგნში არის რამდენიმე ლირიკული ლექსი, რომლებშიც გამოხატულია ავტორის განცდათა სილამაზე, სინატიფე, ჟრუანტელი, შეხვედრის სიხარული და განშორების სიმძიმელი, თავდაპერილობა და მოკრძალება.

გ. ჯიბლაძე წერს: „ისიანის ლირიკა ადამიანურ განცდას ბუნებრივად და სადად გადმოგვცემდა. ამჩნევდა ისეთ მოვლენას, რომელიც ინტიმურ ქვეყანაში მოულოდნელობად იქცეოდა. თავის ლექსებში სიყვარულის თემას მან მოუწოდა ისეთი ნიუანსები, რომლებიც არ შეიძლება მკითხველის გულს არ მოეცდნენ. კითხულობთ ლექსს „საყვედური ჩემს საათს“ და გრძნობთ, თუ რა ღრმა ლირიკული განცდის პოეტთან გვაქვს საქმე. მან ეს თემა განძარცვა ყოველგვარი შაბლონისაგან და მისცა მოკრძალება. ის საყვედურს არ ეუბნება თავის საათს, რომელიც დროის დინებას ატყობინებდა, მაგრამ „ძვირფას ლანდთან“ შეხვედრის მოლოდინში „ბედნიერების ჟამთაღმნიშვნელს“ მიმართავდა: წუთები ნელა გადის, „ხვალამდე მკერდში გულს ვერ დავატევ, უნდა აჩქარდე, უნდა მიშველო“.

საათის მიმართ საყვედური საუკეთესო საშუალება გახდოდა პოეტის ლირიკული სულისკვეთების გამოხატავად.

„ჩემს ფიქრებში“ პოეტი ხედავს, თუ როგორ მიდიან მუქი ღრუბლები ზეცისაკენ, როგორ ეძახის ირემი ირემს, როგორ ეკვრიან ლაყვარდს მერცხლები, ხოლო ამ ფონზე მისი ფიქრები საყვარელი არსებისაკენ ისწრაფიან. მონახულია ფსიქოლოგიური პარალელიზმი განცდის გამხელისათვის. ლექსის რეფრენი — „ჩემი ფიქრები კი შენთან არის“, უწმინდესი ადამიანის სორალის მხატვრულ შიმღერებად ისმის. თავის სატრფოს პოეტი ყოველთვის სპეტაკი გრძნობით პასუხობდა და რატონ?

რადგან უშენოდ არ არის ჩემთვის
არც დახვეწება, არც სიხარული!.

სევერიან ისიანს აქვს სხვა ლექსებიც. რომელთა თემაა აგრეთვე სიყვარული, სატრფოსთან სიახლოვის სიხარული. მისგან განზორებულით გამოწვეული სევდა. მალე შეხვედრის ერუანტელი...

„სიყვარულის შემოპარება“ (1934 წ.) მკითხველს ღრმად განაცდევინებს ამ გრძნობის დაბადებით გამოწვეულ პირველ მოუსვენრობას, მისგან ბოძებულ სიტკბოსა და ოცნებას.

...და მივხვდი, რითაც ვარ დაღალული.
რაც მამღელვარებს, კარგო, ფართულად,
— შენ გაგვიზარავს ეს ჩემი გული
და სიყვარული შემოპარულა!

პოეტის სიყვარული წმინდა და უსაზღვროა. რაინდული მოკრძალება და თავდაპირა მშვენიერად არის გამოხატული პატარა ლირიკულ ნაკვესში.

მინდა ვიყო ბავშვი,
მოვსწყუდე დედის კალთას,
და როცა მზე გაშლის
რძისფერ ნისლის ფარდას:
გადვიპარო ბაღში,
მივირბინო წყალთან...

შემდეგ რაა მოსალოდნელი? რა სურვილი ამოძრავებს ჩვენს ლირიკულ გმირს?

შენი ნახვის მკლავდეს ნდომა,
ვიწყო ყვავილთ კრეფა,
ზოგი გავდეს შემოდგომას,
ზოგი აპრილს მფეთქავს,
თაიგული და ეს გული
შენ მიგიძღვნა ერთად!.

„ექვსი მადონა“ ლამაზ ქალიწვილთა თაიგულია. გაზაფხულის ლამაზი ყვავილებია. ერთი მათგანი პოეტის ხოტბა-დიდების საგანია, მისი პოეზიის ჩანგია, მისი მუზა და შთაგონებაა. ექვსი მადონა ერთად სწავლობს, ისინი ერთად სეირნობენ და პოეტისათვის ექვსი „ვარდია გალიმებული“. ტარიგი ყმაწვილი ოცნებით მუდამ მათ შორის ტრიალებს, ყველას ეფერება; ალბონში ლექსებს უწერს, მუდამ ალერსიანა სიტყვებით მიმართავს.

მკერდში ათასი გული რომ მქონდეს, —
ყველა თქვენს ნახვას მოისურვებდა,
მომიგონებდეთ, დაგშორდეთ ოდეს,
თქვენს ყვავილებთან, ფერად სურბთან;



დებო, ათასი გული რომ მქონდეს,
უველა თქვენს ნახვას მოისურვებდა!

...დალესტინის მთებში უკუნი ღამე ჩამოწვა, დეკემბრის მკაცრი ქარი თან მოსდევს ვაგონებს, თოვლის ფანტელები მოფარფატე თეთრი პეპლებივით აწყდებიან ვაგონის მინებს. მაგრამ ამ ორომ-ტრიალში თითქოს არაფერს არ ხედავს გაოგნებული პოეტი. მისი ოცნება გაუტაცნია სატრფოზე ტკბილ მოგონებას, იგი საამოდ ჩურჩულეს საყვარელ სტრიქონებს: „სადა ხარ, კარგო, მითხარი რამე, სადა ხარ, კარგო, ხმა გაძაგონე!“ მთელმა ღამემ ბორგვასა და ტანჯვასი გაიარა.

ცაში თუ ჩაქრა მზე და ნათელი,
ჩემს გულში მაინც შეინახება,
განთიადს ვხვდები ღამენათევი
და თვალწინ მიდგას შენი სახება!

ღრმა პოეტური განცდითა და შინაგანი ადამიანური სიმარ-თლით არის გამოცემული ს. ისიანის გრძნობები ერთ უსათაურო ლექსში.

პოეტს მარტო სდომებია მდინარის ნახვა, რათა ხალხისაგან მოცილებულმა ჩაიხედოს მისი ტალღების სარკეში, იქნებ იქ მაინც იპოვნოს სანატრელი ასულის ლანდი, დაუსრულებლად ისაუბროს მასთან, გაანდოს ოცნება, მოუთხროს სიყვარულზე, მოახლოებულ ბედნიერებაზე...

შეყვარებულ ჰაბუქს არ უსრულდება სურვილი, რის გამოც გულ-დაწყვეტილია:

მაგრამ სად არი!.. ვეძებ და არ ჩანს...
ქარმა წუხილი გამიზიარა:
„იგი ამ მთების გადაღმა დარჩა
და დაგაჩინა გულზე იარა“.
გამეხმაურა ზვირთების რიგი,
როცა ნაპირზე მოაწყდა ქშენით:
აქ მეგობარო, არ არის იგი
და ამათა ლოდინი შენი“.

პოეტისათვის მეტისმეტად ძნელი აღმოჩნდა სატრფოსაგან დრო-ებით დაშორებაც კი. ამიტომ ცრემლმორეული გააჰყურებს შორეულ დაბინდულ სივრცეს. ეს ცრემლიც ბუნებრივი გამოსხივებაა ნაღ-ველიანი განცდისა.

ვერ ავიტანე წუთები მწველი,
შემოვტრიალდი გულდაწყვეტილი,
წერის დროს ქალღმერთს დაცა ცრემლი
და უნებურად დავსვი წერტილი.

IV

თეთრფინელების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში კაჟკაცურად დაცემულ ქართველ ჭაბუკს სევ. ისიანმა უძღვნა პატრიოტული ლექსი „უკვდავი ნათელი“.

მეომრის საფლავი არ დაუტირებია დედას, მას მხოლოდ „ძეწნა დასდგომია თმებჩამოშლილი“. მდუმარედ განისვენებს ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი გმირი. თუმცა მას „მზის ნათელი აღარ ეღირსა, მაგრამ ნათელი დაცემცინიებს უკვდავებასა“.

ამ რაინდულ ლექსებს მოჰყვა აგრეთვე სამშობლოს უმაღლესი სიყვარულით ანთებული ხობტა „მე და არწივა“. ლექსში გატარებულია ის აზრი, რომ, თუ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ვინმე გაბედავს მახვილის აღმართვას, „მტერს ვეკვეთებით ხმალამოწვდილი მე და არწივა ოქროსფავარა“.

დადგა ამ დაპირების პრაქტიკულად განაღდების დრო; ფაშისტური გერმანია მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს, მშვიდობისა და ხალხთა ძმობის აკვანს.

სვეერიან ისიანი სამამულო ომის დაწყებისთანავე ჩადგა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ძღვევამოსილ მებრძოლთა რიგებში. პოეტმა იმ მძიმე წუთებში განაცხადა:

არა, კალმის და წიგნების კაცად
 მე დღეს დარჩენა არ შემიძლია!

„მართალია ერენბურგი: ახლა სერენადების დრო არ არის, ახლა განგაშის დროა. ყოველთვის ვეცდები არ შევარცხვინო ჩემი თავი, არც მეგობრები. ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სიცოცხლე არასოდეს დამენანება... ჯალათები ვერ შემოლენწავენ კავკასიონის ზღულდეს — ჩვენს გულისფიცარს. ვერ მისწვდეს ჭალარა ყაზბეგს მათი ბილწი მზერა. საკუთარი ძვლებით გადავულობავთ გზას პიტლერელთა ურდოებს“, — წერდა მებრძოლი პოეტი.

ამ პერიოდში სევ. ისიანის განწყობილების გასათვალისწინებლად დიდ ინტერესს იწვევს ლექსი „ნახვამდის“.

ვფიცავ. შავ ხიკვდილს თვალში ჩავხედავ
 საზიზღარ მტერზე ხიშტშემართული,
 მე ასე მზრდიდა სამშობლო-დედა,
 მე ასე მზრდიდა მიწა-ქართული.

ფაშისტური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, — წერს პროფ. გიორგი ჯიბლაძე, — პოეტმა აღმართა მახვილი და ფრონტზე და-

წერა საბრძოლო მოწოდებით აღსავსე ლექსები. მტრისადმი ზღვრო სიძულვილი მან ჩააქსოვა ლექსის ყოველ სტროფში. ისიანმა იცოდა, რომ თუ მტერი, რომელიც ვერაგულად შემოიჭრა ჩვენს აყვავებულ ველ-მინდვრებში, მოსპობილი არ იქნებოდა, ქვეყნად წყვდიადი დაისადგურებდა“. მართლაც, ომის პერიოდის დროს ისიანის პოეტური სიტყვა წარმოადგენს მტრისადმი მიმართულ მომაკვდინებელ რისხვას.

1942 წლის 17 დეკემბერს მიწურში დაწერილი ლექსით „განადგურე!“ ს. ისიანი მოუწოდებდა საბჭოთა მებრძოლებს სამაგიერო მიუზღონ ვერაგ დამპყრობლებს, რომლებიც ანადგურებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ჟღერენ მშვიდობიან მოსახლეობას, ცრემლისა და სისხლის ტბას აყენებდნენ. პოეტი ასეთ ამაზრზენ სურათს გვიხატავს.

გახედე, როგორ იწვის ტყე-ველი,
 ლაუვარდი ჭეცა კვამლით დაბურეს.
 აყვავებული ქვეყნის მწგრეველი, —
 განადგურე!

ბევრი სახლია ჩაბნელებული,
 სისხლი ჩამოსწვეთს დამსკდარ აგურებს,
 ხმალამართული უჩაღის გული, —
 განადგურე!

თუ არ შემუსრე მტერი-მტარვალი,
 ქვეყნად წყვდიადი დაისადგურებს.
 განადგურე ქვეწარმავალი,
 განადგურე!

რაოდენ უსაზღვრო ბოღმა და რისხვია ყოველ სიტყვაში! რაოდენ მძაფრი პათოსი და შურისძიების გრძნობაა ჩაქსოვილი ყოველ სტრიქონში! სიტყვა „განადგურე!“ როგორც სამხედრო ბრძანება, ისე გაისმის ამ პოლიტიკური ლირიკის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშში.

საველე ჩანთაში სევერიან ისიანს ახალი ლექსების რვეულიც ჰქონდა. იქ ჩაწერილი იყო ლექსები, ფრანგმეტები, ცალკეული გამოთქმები... სევ. ისიანის ლექსები, რომლებიც უშუალოდ ფიცხელი ბრძოლის განცდის შედეგად შეიქმნენ, რომლებიც ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილების საფუძველზე დაიბადნენ, მის ავტორს წარმოგვიდგენენ, როგორც პატრიოტ შემოქმედსა და მოქალაქეს, ნათელი იდეებისა და სპეტაკი გრძნობის ადამიანს. იმ სძიმე ბრძოლებში სევერიან ისიანს არ შეეძლო არ ეწერა, რადგან სიტყვაკაზმული ფრაზა მისი სტიქია და მოწოდება იყო.

შეყენულ მიწურში მყოფი, ბრძოლის შემდეგ, მცირე შესვენების დროს სევ. ისიანი შორიდან გულმხურვალედ ეაღერსებოდა მშობლიურ სოფელს, ოჯახს, საქართველოს, მის მთებსა და ველებს, აყვავებულ ბაღებს, ფერდობებსა და ხეობებს, ცოლსა და შვილს, სკოლისა და ინსტიტუტის მეგობრებს...

ადამიანის ოცნებასა და წარმოსახვას საზღვარი არა აქვს! პოეტის გონების თვალი შორით-შორს სწვდებაოდა.

ასეთ ფსიქიკურ გარემოცვაში ამოიზარდა ს. ისიანის გულის სიმღერა „ყველაფერს ვხედავ“. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი ს. ისიანის პოეზიაში ერთ-ერთი ძლიერი ნაწარმოებია.

ვხედავ, ღრუბელმა როგორ შეჭბურა
მთაწმინდის მიწა დასაფიცარი,
ნინას ცრემლებით დახველებულა
გრიბოედოვის კუბოს ფიცარი.

ვხედავ, ნისლები, მტკვარზე გაშლილი,
ნაწვიმარ ბაღებს გადასწვდენია.
საფლავში ბორჯავს ბარათაშვილი,
ციცხლმოდებული ლექსის გენია.

პოეტი ასე მგრძნობიარედ წარმოვეიდგენს ჭალარა თბილისს, მის ისტორიულ ადგილებს, ერის წინაპრებსა და კულტურის მოღვაწეებს. მკითხველისათვის გასაგებია ამ სტრიქონების ქვეტექსტი: მას ენატრება თავისი მშობლიური დედაქალაქი, ამ ლექსით პოეტი დადის მის ქუჩებში, აღერსიანად ხვდება ძველ ნაცნობებს და გულთაღ საუბარშია გართული.

სამამულო ომის პერიოდის ს. ისიანის ლექსებიდან ლირიკული სიტოთი და მეგობრული გულის თრთოლვით გამოირჩევა „ჩემს ლურჯას“.

თავის ერთგულ ცხენთან ერთად, როგორც ჩანს, პოეტმა გაიარა ციციხისმოდებული და კვამლში გართხმული გზები და ბილიკები, ველები და მთები, ფლატეები და ტბები, თხემები და ციცაბო კლდეები.

და აი დადგა ყველაზე მძიმე და საშინელი წუთები—პოეტი უნდა განშორდეს თავის მეგობარს.

„ქაფიან ნაპირს მოადგა ნავი“ და ისინი ერთმანეთს გამოეთხოვენ. ეს მომენტი „ჩემს ლურჯაში“ შეტოლებულია ორი თანშეზრდილი, ჭირსა და ლბინში თანამოზიარე, ადამიანის განშორების შეუმსუბუქებელ სიმძიმითან.

მე განშორებას ბევრს მოვესწარი,
 ასე წავიდა ჩემი ცხოვრება,
 მაგრამ ისეთი ძნელი და მწარე,
 მაინც არ მახსოვს მეც განშორება.

1943 წლის 25 მარტს, გაათვრებული ომის დროს, ს. ისიანმა დაწერა „საბრძოლო ვადაძახილი“, ღრმა პატრიოტული შემართებით ფრთაშესხმული ნაწარმოები. ლექსში გამოყენებულია ილია: ჭავჭავაძის ორი სტრიქონი.

„ველარ განუძღვებს ქვეყნის მძარცველი
 ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას“.

მერე კი საბჭოთა არმიის მებრძოლებს დამაჯერებელი ტონით, მრისხანე შურისძიების აღმძვრელი სტროფებით მიმართავს:

დაჰკარა, მონურად ქედმოხრილობას
 სამომ საფლავში წოლა სჯობია.

ჩვენი ქვეყნის ერთა შვილები გმირული პათოსით უტყვედნენ ვადამთიელებს, სპობდნენ და ანადგურებდნენ ფაშისტ ქვეწარმავალთა ურდოებს, სისწლს ღვრიდნენ თვითეული გოჯა მიწისათვის, აყვავებული სოფლებისა და ქალაქებისათვის.

ხალხთა ძმობის გმირი არმია გამანადგურებელ რისხვას წარმოადგენდა გერმანელი აგრესორებისათვის.

გვეძახის ძმობის გრძნობა ნათელი,
 განუყოფელი მამული ჩვენი, —
 უკრაინისთვის იბრძვის ქართველი,
 საქართველოსთვის — უკრაინელი.

ბრიანსკის ნაძვნართა შორის, სამომ საფლავში განისვენებს აღრიანად ვალმოხდილი ქართველი ჯარისკაცი და მგოსანი. იგი უმღეროდა ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას, მტრის საბოლოო დათრგუნვასა და განადგურებას. ცხრა მაისის ისტორიულ დღესასწაულს ვერ მოესწრო ოცნებებით, ახალი შემოქმედებითი გეგმებით, მოლოდინითა და ჭაბუკური გატაცებით გულანთებული პოეტი.

საოცარ წინათგრძნობად იქცა სიტყვები, რომლებიც ლამაზი ლექსის სტრიქონებად ჩამოქარგა ს. ისიანმა სამამულო ომში წასვლის წინ.

თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
 დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად,
 რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
 მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება...

სამწუხაროდ, ასეც მოხდა. ვერ დაუბრუნდა პოეტი თავის ოჯახს, მშობლიურ სოფელსა და მეზობლებს, ვერ დაუბრუნდა ქუთაისს, — მისი ყმაწვილკაცობისა და პოეზიის აკვანს.

ადრე შეწყდა მისი შესანიშნავი ჩანგის სიმები, მოულოდნელად დამთავრდა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული პოეტის სასიხარულოდ დაწყებული ბიოგრაფია.

ვინ იცის, რაოდენ ბევრის, წარმტაცისა და მშვენიერის გაკეთება შეეძლო მას მშობლიური მხატვრული კულტურისათვის, მაღალი იდეების საბჭოთა პოეზიისათვის.

მაგრამ ს. ისიანის ლამაზ სიცოცხლეს აგრძელებენ მისი ფაქიზი, დახვეწილი, მებრძოლი სულისა და პატრიოტული გზნების გამომხატველი ლირიკული ლექსები.

მ. ს ა ნ ი კ ი ძ ე

სულხან-საბა ორბელიანის ერთი არაკის
„ძალა ერთობისა“ მონღოლური ვარიანტი *

ლიტერატურაში ცნობილია სხვადასხვა ქანრის ნაწარმოებთა ეგრეთწოდებული მოარული სიუჟეტი. მოარული სიუჟეტი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის და ვრცელდება როგორც ზეპირი შეთვისების გზით უშუალო ურთიერთობის პირობებში, ისე თარგმანებისა, ან პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის საფუძველზე. ადგილგადანაცვლებათა გამო ახალ დეტალებს ითვისებს და უცხო სოციალურ გარემოს ეგუება სიუჟეტის ვარიანტული სახეები.

აკად. კ. ქეკელიძე, ჯერ კიდევ, 1945 წელს მიგვიითებდა აღმოსავლური წარმოშობის ზღაპრის „ორაზროვანი ფიცის“ მოხეტიალე სიუჟეტის ინდურ-სპარსულ-ქართულ-მონღოლურ-რომაულ ვარიანტებზე¹. ანალოგიური შემთხვევა გვაქვს სულხან-საბა ორბელიანის ივავ-არაკთა კრებულში „სიბრნენ-სიცრუისაში“ მოთავსებულ ერთ არაკ „ძალა ერთობისას“ და სხვაგვს მონღოლურ ვარიანტს შორის, რომელიც ჩართულია მონღოლურ მატრიანეში, რომელსაც „ალტან-ტომჩი“ ეწოდება.

მონღოლეთი რევოლუციამდე ჩამორჩენილ ფეოდალურ ქვეყანას წარმოადგენდა. ჩანორჩენილი იყო მისი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული დარგები². მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მონღოლებს ადრე არ აქონდათ კულტურული მემკვიდრეობა. ბევრი დაწერილია მონღოლთა ტომობრივ გაერთიანებაზე, მათ პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაზე. ბევრი ლეგენდა და ზღაპარი

* წაკითხულია მოხსენებად ქუთაისის პედინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესიაზე 1959 წელს

¹ კ. ქეკელიძე, ძეგლები, ძველი ქართული ლიტ. ისტორიიდან, ტ. II, გვ. 88—90.

² Михайлов, Г. И., Очерк истории современной монгольской литературы, М. 1965, გვ. 10.



შექმნილა ჩინგის ყაენასა და მისი მემკვიდრეების შესახებ, მათგან წესწყობილებაზე და ზეპირსიტყვაობაზე.

რეეოლუციამდე ძალიან ბუნდოვანი ცნობები მოგვეპოვებოდა ძველი მონღოლური ლიტერატურის შესახებ. საკუთარი ლიტერატურის ცოდნაში თვით წიგნიერი მონღოლებიც უფიცობას ამჟღავნებდნენო — მოგვითხრობს აკად. ბ. ვლადიმირცევი. ამის მიზეზად აკად. ბ. ვლადიმირცევი ისტორიულ-გეოგრაფიულ თავისებურებას თვლის. მონღოლები სხვადასხვა ტომისაგან შემდგარი მომთაბარე ხალხია, ჯგუფ-ჯგუფად გაფანტული უზარმაზარ სივრცეში დონიდან — წყნარ ოკეანემდე, მდ. ლენადან — ტიბეტის დედაქალაქამდე ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულნი, შეშავალნი სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ჯგუფებში¹. დაქსაქსულობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა კი ხელს უწყობდა მათ კულტურულ გადაგვარებასაც.

გარდა ამისა, მონღოლთა უმეტესობა ბუდისტები არიან. დიდი ხანია ბუდიზმი ხელმძღვანელობს მათ კულტურასა და სულიერ სამყაროს. მონღოლებისათვის ბუდიზმი ჩინგის ყაენის დროსაც არ იყო უცხო. მაგრამ განსაკუთრებული გავლენა ამ სარწმუნოებამ XVI საუკუნიდან მოიპოვა, მონღოლთა იმპერიის დაცემის შემდეგ. ამ დროიდან გავრცელდა მონღოლთა ბუდისტური წვრთნა. გაბატონდა ტიბეტური ენა, ლიტერატურა და კულტურა. აკად. ბ. ვლადიმირცევი აღნიშნავეს, რომ ვინც ახლო გაიცნობს მონღოლთა მომთაბარულ ცხოვრებას, ის აღმოაჩენს მომთაბარე ხალხის არა მარტო დამწერლობას, არამედ თავისებურად განვითარებულ წმინდა მონღოლურ ლიტერატურას, რაც უცხოა კულტურული ევროპისა და აზიის პირობებისათვის, და შეიძლება ითქვას, რომ უცხოა თვით კულტურული მონღოლისათვისაც².

ცნობილი არ არის როდის დაეწყოთ მონღოლებს დამწერლობა ან რომელ ტომს ეკუთვნის ამ საქმის პრიორიტეტი. ცნობილია მხოლოდ, რომ ეს მოადა ჩინგის ჩაენის ეპოქაში XII საუკუნის მეორე ნახევარში და XIII საუკუნის დამდეგს. ამ დროიდან დაიწყო მონღოლთა შორის წვიგნობრობა ნასესები უიღურებისაგან³. ამან ხელი შეუწყო აღორძინებას მონღოლთა ლიტერატურული ენისას, რომელიც განსხვავდება ხალხური ცოცხალი სამეტყველო ენისაგან. მწიგნობრობის შექოლებას სარწმუნოებრივ საჭიროებასთან ერთად

¹ Владимирцев, Б., Монгольская литература... П., 1920, გვ. 92.

² იქვე, გვ. 93.

³ ყათაღაღწყოლის მ: ტიანე, გვ 550.

ჩინგის ყაენის იმპერია ც მოითხოვდა. მონღოლთა პოლიტიკური აღმავლობამ, ეროვნული ძალების განვითარებამ, რკინისებურად ორგანიზებული უზარმაზარი იმპერიის შექმნამ და ეკონომიურმა აღმავლობამ სელი სეუსუყო მონღოლთა ლიტერატურაში დამკვიდრებულიყო ბრწყინვალე ნაწარმოებები, რომელთაც ვერ შეედრება ვერცერთი შემდეგი სანის მონღოლური ლიტერატურის ძეგლი¹. მაგალითად, — „საიდუმლო თქმულე-ა“ აკად. ს. კოზინის შეფასებით არის ეპიური გმირ-გოლიათთა ოქმულების სრულყოფილი მხატვრული ძეგლი, მეტწილად პროზა ლექსში შერწყმული, დაწერილი ჩინგის ყაენის ისტორიის შექმნის მიზნით 1240 წელს²; ძეგლის შემოქმედად ველის არისტოკრატია ითვლება. არანაკლები მხატვრული ღირებულებისაა „პოემა ჩინგის ყაენის ორ ბედაურზე“, „მოდღერება ჩინგის ყაენისა“ და სცა.

დრო XII საუკუნიდან XIV საუკუნემდე ეპიური პერიოდი მონღოლთა შემოქმედებისა, რომელიც შორეული წარსულიდან მოსულა უბრალო თქმულებებით, ისტორიული გადმოცემებით, დიდაქტიკურ-ხალხური სიბრძნის გამოძახებული თქმებით. ამ მდიდარი ლიტერატურიდან მხოლოდ ნაწყვეტები შემონახულა. ეპიური თუ ისტორიული ლიტერატურის ნაწყვეტები ახალი დროის იელნაწერებით არის მიღწეული. ამ შეთავსებაში ჩვენთვის საყურადღებოა უცნობი ავტორის ისტორიული ქრონიკა „ალტან-ტობჩი“ („ოქროს ნაკრები“)³. ამ ძეგლის არც თარიღი შემონახულა. მისი დათარიღებისათვის გამოყენებულია შიგ მოხსენებული ისტორიული პირები. მაგალითად: უკანასკნელად მოხსენებულია მეფე მენგდანი-ხუტუხტუ (1604 წ. გარდ.) და იმპერატორი ტიანძი (1621—1627 წ. წ.) აქედან ირკვევა, რომ მატჩიანის უკანასკნელი რედაქცია XVII საუკუნის პირველ მეოთხედში დამთავრებულია. „ალტან-ტობჩის“ მთავარ წყაროდ გამოყენებული აქვს „მონღოლინ ნუსუც ტოფრო“ (საიდუმლო თქმულება“). „ალტან-ტობჩი მცირე რედაქციისაა თავის დროის სხვა მატჩიანებთან შედარებით, მაგრამ ედრება მათ და ზოგჯერ სცილდება კიდევ⁴. „ალტან-ტობჩი“ რუსულად თარ-

¹ Владимирцев, Б., Монгольская литература... П., 1923, გვ. 94

² Козин, С., Эпос монгольских народов. М., 1943, გვ. 35.

³ ალტან-ოქრო, ტობჩი-დილი, შემაჯობება, შეგროვება, შეკრება.

⁴ История монгольской нардной республики, 1954, გვ. 20—22. მაგ. საგან-სეცენას მატჩანე „ერდენინ-ტობჩი“ („ძვიოფასი ნაკრები“) გადაწერილია 1663 წ. და „შარა-ტუჯი“ შედგენილი რანოდენინე ავტორის მიერ საგან-სეცენას მატჩანეს მიხედვით XVII საუკ. ბოლოს.

გმნა ლამა გალსან გამბაევემა 1858 წელს, რომელიც მონღოლურ ტექსტითა და პ. საველიევის წინასიტყვაობით გამოქვეყნდა აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების შრომებში სანკტ-პეტერბურგში 1859 წელს¹.

„ალტან-ტოხი“ მონღოლ მეფეთა წარმოშობის მოკლე ისტორიას შეიცავს, რომელშიც მოხდენილად ჩართულია ლეგენდები, ალეგორიული თქმები, ლექსები, ზღაპრები, ნოველები და არაკები.

ქართული არაკი „ძალა ერთობისა“ და მისი მონღოლური ვარიანტი ლიტერატურაში სხვადასხვა გვარად დამუშავებულა. „სიბრძნე-სიცრუის“ არაკების კრებულის ათავარი გმირი მეფე ფინეზა საგურის რუქასა და ბრძენ ლეონს დამრიგებლობითი ხასიათის არაკს („ძალა ერთობისა“) უამბობს:

„მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყავდა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა ზაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა, მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დაღეწა, უთხრა შეილთა თვისთა:

— თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგებართ, მტერი ვერ ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გაგტეხე: თუ გაიყრები, ისრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა“².

ამ არაკის შესატყვისი მონღოლური ვარიანტი შემდეგ სურათს იძლევა:

„...ერთხელ დუვა-სოხორი, რომელსაც შუბლზე შორსმხედველი თვალი ჰქონდა, ძმით დობო-მერგენით (ჩინგის-ყაენის წინაპარი) წავიდა ბურხან-გალდანის მთაზე. მთის მწვერვალიდან დუვა-სოხორმა წენიწნა მისკენ მიმავალი მომთაბარენი, რომელიც მათ უახლოვდებოდა მდინარე ტენგერიკის მხრიდან. მან უთხრა ძმას დობო-მერგენს:

— მომთაბარეთა შორის, რომელნიც მოჰყვებიან ჩვენკენ თენგერიკის დინებას, ერთ ოთხთვალაში ზის ქალიშვილი, რომლის სილამაზე და ბრწყინვალეობა აქედან მოსჩანს. წადი და ნახე.

დობო-მერგენი წავიდა, დაათვალიერა და გაიგო, რომ ქალიშვილი ჯერ დაუწინდავი იყო. ის შეეკითხა:

— თქვენ რა ხალხი ხართ?

¹ Алтан-Тохчи, монгольская летопись, перевод ламы Галсана Гомбоева, С.-П., 1839.

² სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, 1938, გვ. 47.



— ჩემი სახელია ალან-გუა. უბასუხა ქალმა. — დავიბადე ბარკუჩინ-გუას ცოლის ხორი-ტუმასკას-სურალტაი მერგენისაგან.

დაბო-მერგენმა ის ცოლად წაიყვანა, რომლისაგანაც ორი ვაჟი შეეძინა: ბუგუ-ხატაგი (აქედან წარმოიშენენ ხატაგიდები) და ბუგუჩი-სალჯიგუტი (სალჯიგიტა წინაპარი). დობო-მერგენის სიკვდილის შემდეგ, ქკრივად დარჩენილ ალან-გუას კიდევ შეეძინა სამი ვაჟი: ბექტერა, ბელგეტეი და ბოდონცარი. ბუგუხატაგი და ბუგუჩი-სალჯიგუტი დაეჭვდნენ.

— ჩვენ არ გვეყოლია მოსიარულე ახლობელი კაცი, საიდან არიან ეს ბავშვები?

დედამ შენიშნათ იქვი, [მოიხმო ყველანი] და უთხრათ:

— შეილნო ჩემნო თქვენი აზრი (იქვი) სამართლიანია. [შემდეგ თითოეულს მისცა წყებლა¹ [გადასატეხად]; მათ გადაამტვრიეს ისინი. შემდეგ მან (დედამ) თითოეულს მისცა ხუთ-ხუთი წყებლა, მაგრამ მათ ვერ შესძლეს გადამტვრევა. მაშინ ალან-გუამ უთხრათ: — თქვენი ძალა ხუთივეშია [ერთად] წყებლების მსგავსად, — [და განაგრძო]; — მომხდარა [ზოგჯერ] ბნელ ღამეში მთვარე ბიჭის სახით შემოსულა ჩემს კარავში². და კარავიც ბრწყინავდა ნათელათ; [იგი] ხელს გადამისობდა შუცელზე და ქერა-მელოტ ძაღლად ქცეული, ლოკვით გადიოდა მარჯვენა კართ. ჩემი მოსაზრებით, ვფიქრობ, რომ ჩემი შვილები გაჩნდნენ (დაიბადნენ) ზეცის ბრძანებით.

შვილებმა ირწმუნეს დედის ნათქვამი, შეითვისეს ძმება³.

მონღოლური ვარიანტი უფრო ნოყელაა, რომელსაც პატარა მოთხრობის სახე აქვს და მოხდენილად ჩართულია მატრიანეში ალან-გუას საქციელის დასაფარავად.

ქართული არაკი „ძალა ერთობისა“ და მისი მონღოლური ვარიანტის სიუჟეტური სქემა ერთი და იგივეა. ქართულ არაკში ერთიანობის იდეაა გატარებული. მეფის დარიგება შვილებისადმი გაერთიანებული სახელმწიფოს მთლიანობისაკენ მოუწოდებს მემკვიდრეებს. შედეგ ერთად შეკრული ისრების სიმტკიცის თვალსაჩინოებით ადასტურებს, რომ ერთობლივი ძალა უძლეველია მტერთაგან, დაქსაქსულობა კი გამანადგურებელი. იგივე იდეაა გატარებული

¹ წყებლა — Пручок.

² კარავი — Юрта.

³ „Алтан-тобчи“, გვ. 120—121; ამ მოთხრობის ოდნავ განსხვავებულ ვარიანტს იძლევა „საიდუმლო თქმულების“ ტექსტი. (С. А. Козин, Сокровенное сказание, монгольская хроника, 1240, т. I, перевод текста гв. 79—81, М.-Л., 1941 г.).



მონღოლურ ვარიანტში, მხოლოდ აქ დედა არიგებს შვილებს, თობლივი, ძმური სიმტკიცისათვის. თვალსაჩინოებისათვის გამოყენებული არის ისრების ნაცვლად ერთად შეკრული წვეპლის ძალა. მონღოლურ ვარიანტში მოწოდებაა ოჯახური მთლიანობის სიმტკიცისაქენ. ამდენად, მიზანი ორივე შემთხვევაში ერთია, ძმების მეგობრობის შეთანხმებული ცხოვრების დაცვის შედეგად — ძალა ერთობისა.

ზოგად სიუჟეტურ მსგავსებასთან ერთად მათ შორის არის განსხვავებაც, რის გამოც დეტალებში ისინი ერთმანეთს სცილდებიან. მაგალითად:

1. ქართული არაკით, მთავარი მოქმედი გმირია სახელგანთქმული მეფე, მონღოლური ვარიანტით — ცბიერი დედა, რომელიც ცდილობს ოჯახში უკანონოდ გაჩენილი შვილები უშაღლესი ღვთაების „ზეცის“ მეშვეობით უფლებამოსილად აქციოს.

2. ქართული არაკით, მეფე მოუწოდებს შვილებს სამეფოს მთლიანობის შენარჩუნებისაქენ. მონღოლური ვარიანტით — დედა მოუწოდებს შვილებს ოჯახის მთლიანობის შენარჩუნებისათვის ერთიანობისაქენ. აქ, მართალია, სიუჟეტური დამთხვევაა, მაგრამ იდეური მხარე მეტად ვიწროა, შეზღუდული, იგი ოჯახური მთლიანობის შენარჩუნების ფარგლებს არ სცილდება, რაც პრიმიტიული ყოფის მაჩვენებელია.

3. ქართული არაკის სიუჟეტისათვის საკმარისია მეფის დარღვევა „ძალა ერთობის“ უდრეკელობისათვის, მონღოლურ ვარიანტში კი საჭირო ხდება ზებუნებრივი ძალის მოშველიება დედისაგან შვილების დასარწმუნებლად. ამდენად, ნოველაში ნაჩვენებია სარწმუნოებრივი ფანატიზმის გავლენა, რაც ვარიანტის პრიმიტიულობას კიდევ უფრო ადასტურებს.

4. ქართულ არაკში თვალსაჩინოებისათვის გამოყენებულია საბრძოლო იარაღი — ისრები. მონღოლურ ვარიანტში — უბრალო წვეპლები (ჯოხები).

5. ქართული არაკით მეფე სიკვდილის წინ არიგებს შვილებს სახელმწიფოს ძლიერების შენარჩუნების მიზნით. მონღოლური ვარიანტით კი, ცბიერი დედა მოუწოდებს დაეკვებულ შვილებს ოჯახში „ზეცის“ სურვილით გაჩენილი უშამო ძმების სიყვარულისა და სიმტკიცისაქენ.

ქართული არაკი „ძალა ერთობისა“ და მონღოლური ვარიანტის ზოგად სიუჟეტური ნათესაობა ერთი წყაროს არსებობაზე მიუთითებს. კერძოდ, სოციალური ხასიათის აღმოსავლური წარმოშობის

მოარული სიუჟეტის არსებობაზე, რომლის ფესვები გვაროვნულ წყობილების შორეულ წარსულშია გადგმული. არაკი რომ ქართულში აღმოსავლური არა ქრისტიანული მოარული სიუჟეტიდან შემოსულა, ამას ადასტურებს მეფის 30 ვაჟი, რაც ქრისტიანული წყვილადი შეუღლების საფუძველზე შეუძლებელი იქნებოდა. გვაროვნული წყობილების პრიმიტიული სახე შემონახულია მონღოლურ ვარიანტში. ამიტომ ეს მოარული სიუჟეტი სხვადასხვა დროს, სხვადასხვაგვარი ვარიაციით გადაამუშავებულია ქართულ არაკსა და მონღოლურ ნოველაში.

სულხან-საბა ორბელიანის არაკი „ძალა ერთობისა“ აკად. აღ. ბარამიძის მართებული შენიშვნით აგებულია აბსოლუტური მონარქიის შექმნის პრინციპზე. მასში დაცულია მეფის უზენაესობა, პოლიტიკური ცენტრალიზმის საჭიროება და ბრძოლა გათიშულობისა და დინასტიური კინკლაობის წინააღმდეგ¹. ყოველივე ეს ფეოდალური ეპოქის აღორძინების ხანის გამოძაბილს წარმოადგენს, რომელიც მოთხოვნილების მიხედვით ერთობის ძალაში მდგომარეობს. სულხან-საბა ორბელიანს აღმოსავლური მოარული სიუჟეტი თავისებურად გადაუშუშავებია, გაუმართავს და მაშინდელი მოთხოვნილების პრინციპზე აუგია. დიდმა მეფეებმა მას წმინდა ფეოდალური წყობილების, პოლიტიკურ-კლასობრივი ხასიათი მისცა. არაკით დიდებული მეფე და მეფის შვილები ამოქმედა, მხოლოდ არაკი თვით მეფე ფინიქს წარმოათქმევინა ვეზირთა და სასაბღის დიდგვარიანთა საყურადღებოდ. ამრიგად, მასში ჩააქსოვა ღრმა პოლიტიკური და სოციალური შინაარსი, რის გამოც იგი ორიგინალის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქართული არაკი „ძალა ერთობისა“ ლიტერატურულად გაფორმებული, სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებია. ასე არ ითქმის მონღოლური ვარიანტის შესახებ, რომელიც პრიმიტიული ხასიათის მატარებელია და რჩება გვაროვნული წყობილების რკალში, რელიგიური ფანატიზმით დამძიმებული. მისი ლიტერატურულ-მხატვრული ღირებულებაც ქართულთან შედარებით დაბალია.

¹ ქართული ლიტერატურის ისტ. ტ. I (საქ. მეც. აკადემიის გამოც., 1954), გვ. 396.

დ. შაჰავაჩიანი

გვერდობის სახეობისა და ლექსიკური ურთიერთობის ისტორიიდან ქართულ ენაში *

ჩვენ ამჟერად გვანტერესებს ქართ. ძ-სა და ზან. ჯ-ს შესა-
ტყვისობის გავრცელებულობისა და ისტორიის საკითხი.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ჯ ბგერა ქარ-
თველურ ენებში უმეტესად მეორეული წარმოშობისაა და განვითარ-
ებულია სხვა ბგერათა გარდაქმნის შედეგად გარკვეულ ფონეტი-
კურ პირობებში. პირველადი ჯ უნდა გვექონდეს კოლხურ ფენაში,
ნაწილობრივ სვანურშიც, როცა ქართულში მის შესატყვისად ძ
გვაქვს: ჯა — ძელი... ეს ჯ იმდენად შეიძლება ნიჩნეულ იქნეს პირ-
ველადი, რამდენადაც პირველადია მისი შესატყვისი ძ ქარ-
თულში“¹.

შესატყვის ძ — ჯ-ს შემცველ სიტყვათა რაოდენობა ამჟამად ორ
ათეულს ცოტათი აღემატება.

დღემდე ცნობილი მაგალითებია:

| ქართ. | ზან. | ქართ. | ზან. |
|---------|--------------|-------------|--------|
| ძალღ-ი | ჯოლორ-ი | სიძე | სინჯა |
| ძველ-ი | ჯვეშ-ი | ძირ-ი | ჯინჯ-ი |
| ძმა | ჯუმა ჯიმა | მასპინძელ-ი | მინჯე |
| ძარღვ-ი | ჯერღვ-ი | ძეწკვი | ჯაჭვ-ი |

* წაკითხულია მოხსენებად ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის XXIII
სამეცნიერო სესიოზე 1959 წლის 8 აპრილს.

¹ ა. შანიძე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში: საქ-
მეცნ. აკად. მოამბე, № 2, 1961, გვ. 22ა—233.

შდო. არნ. ჩიქობავა, ტანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსი-
კონი, 1938, გვ. 83 და სხვ.

გ. როგავა, ჯაჭვ ფუძის შეფენილობისათვის: აფხაზეთის ენის, ლიტერ-
ატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIV, 1951, გვ. 9ა—98
და სხვ.

| ქართ. | ზან. | ქართ. | ზან. |
|-------------------------|----------------------|----------|--------------------------|
| ძაგ-ს | ჯოგ | ძენალ-ი | ჯალ-ი (ი. ყიფშიძე) |
| ე-ძახ-ის ¹ . | ჯოხო ¹ . | ძელ-ი | ჯა(ლ) |
| ძუ | ჯუა | იბრძვის | იბურჯანს (არნ. ჩიქობავა) |
| ძღუნ- ² . | ჯღონ- ² . | სპალენძი | ლინჯ-ი და სხვ. |

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავიდანვე ასე მცირე არ უნდა ყოფილიყო შესატყვის ერთეულთა რაოდენობა³.

აწიანდელი სიმცირე უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ

ა) რიგ შემთხვევებში შესატყვის ერთ-ერთ ფუძეში მნიშვნელობის ცვლას, სემასიოლოგიურ გადახრას აქვს ადგილი, რის გამო ზოგჯერ ისე დაშორებულია აბალი მნიშვნელობა ძველს, პირველადს, რომ უკანასკნელის მიგნება ჭირს.

მაგალითად, ქართ. ძილის შესატყვისია ზან. ჯან- || ჯირ- (დინჯირ-უ — დაწვა). ამგვარად, ძილის ახლანდელი მნიშვნელობა მეორეულია. ამოსავალი მნიშვნელობა შემოუნახავს მეგრულს, ნაწილობრივ კანურსაც (კანურში ჯირ- „ძილის“ მნიშვნელობითაც იხზარება)⁴.

უკანასკნელი გარემოება, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ძილის მნიშვნელობის გადმოსაცემად ზანურს შერჩა სხვა საერთო ქართველური ლუღი || რუღი || ლური.

ბ) ზოგი ჯ ბგერიანი სიტყვა ზანურში დაიკარგა და შესატყვისი ქართული გახმარტოვდა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ძუალ- ფუძე. ქართ. ძუალ-ის შესატყვისია სვან. ჯი-ჯვი „ძვალი“, გურ. ჯიჯვი „ძვალმსხვილი“. მეგრულში ახლა ქართულიდან შესული „ძვალი“ იხმარება. მაგრამ შესატყვისი „იჯგვიჯგვინანს“ ზმნაშია შემონახული. მისი მნიშვნელობაა: „უხეზად, ტლანქად განიყურება“⁵.

გ) ნობდა პირიქითაც, ზოგი ძ ბგერიანი სიტყვა ქართულში ხმარებიდან გავიდა და ზანურში ჯ-ს (ძ-ს შესატყვისის) შემცველი განწარტოებით დარჩა.

¹ „მეგრულში ძახ-ის დამკვიდრება მეორეული მოვლენაა“ (არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 438. შდრ. ა. შანიძე, დასახ. შრ., გვ. 225).

² არნ. ჩიქობავა, ხსენებ. შრ., გვ. 439.

³ შდრ. ა. შანიძე, ხსენებ. შრ., გვ. 233.

⁴ არნ. ჩიქობავა, შედარებ. ლექსიკონი, გვ. 434—435.

⁵ არნ. ჩიქობავა, ქართული ძვაღ - ფუძის ზანური შესატყვისისათვის; მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 93—96.

ამის ერთ-ერთ მაგალითს ჩვენ ვპოულობთ ძველ ქართულშბ.

როგორც ცნობილია, ცქერა-ყურების გამომხატველი რამდენიმე ზნა გვაქვს ქართულში. ესენია: უცქერს, უმზერს, უყურებს, უცვრეტს, იხილავს, ნახავს, ხედავს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით:

ცქერა თვალის შეშტერება [ნ. დაცქერა, მზერა, ჩაცქერა].

მზერა კურეტა (13,15 დანიელ) (+ მზერაცა ესრეთ განიყოფებიან: ხედვა — რა თვალთ კეთილად ხედვიდეს;

ჩენა არს, რა აკლდეს და მცირედ ჰხედვიდეს;

მზერა არს, რა შორით ჰხედვიდეს;

კვრეტა არს, რა ხანგრძლივ დაკვრევებით უმზერდეს რასმე;

ცქერა არს გარჩევით ხილვისათვის ახლორე დაცქერით თვალი დააპყრას;

კვირობა არს, რა სარკმლით გარ გამოიხედვიდეს).

ნახვა დანახულობა, შენახვა, მონახვა.

ხედვა არს თვალის ჩენა, გინა საქმე საცნაური.

ხილვა ნახვა (1,1 ესაია).

ყურება ყურთ მიპყრობა¹:

ძველ ქართულში ხმარებულობით ყველაზე ხშირია **ხილვა**. შემდეგ მოდის **ხედვა** (|| მიმოხედვა, მიხედვა, მოხედვა, შთახედვა...). იშვიათია **მზერა** (მაგ., ადიშის ოთხთავში მხოლოდ 4-ჯერ გვხვდება **უმზირდეს** — 'უთვალთვალებდნენ', наплюдали, მზირ-უყვეს — ერთჯერ, მზირი — 'მოთვალთვალე', 'ჯაშუში' — ერთჯერ).

„ვეფხისტყაოსანში“ **ხილვა** არ გვხვდება. გვაქვს მხოლოდ „იხილავს“ ზმნის უარყოფითი მიმღეობა „უხილავი“: ვინ არს ძალი უხილავი 792₂. **ხედვა** აქ ჩვეულებრივია, სამ ათეულს აღწევს მისი რაოდენობა. რამდენჯერმე გვხვდება **მზერა** (უმზერდეს მუნ მკვრეტენია 1622₂; ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა 1406₃; დანხსენ მშვიდობით იმა გველისა მზერასა 1210₂).

შდრ. ძვ. ქართულის **უმზირდეს** და „ვეფხისტყაოსნის“ **უმჟერდეს**.

უმზირდეს ზას, უკუეთუ შაბათს განკურნოს იგი მარკ. 3,2.

უმჟერდეს მუნ მკვრეტენია ვ. ტყ. 1622₂ და სხვ.²

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით.

² ეს ფაქტი საყურადღებო ჩანს ფუძედრეკად ზმნათა ისტორიისათვის.

მზირ-ში მ- ნააფიქსარი ელემენტი ჩანს. თუ ეს ასეა, მაშინ გვჩვენა ზირ-, რომლის დაკავშირება ზან. ძირ-თან (ძირუ — 'ნახა') არ გაჭირდებოდა: ზირ←ძირ-შდრ. ზახ→ძახ და სხვ. თუმცა ამას ადგილი აქვს ქართულში.



ცქერა „ვეფხისტყაოსანში“ (ისე როგორც ძველ ქართულში) ატყუებენ ჩანს.

ყველაზე ხშირია ნახვა.

ზანურშიც ამ ცნების — ყურება-შეხედვის *смотреть* — აღმნიშვნელი რამდენიმე ფუძე დასტურდება.

საერთო ძირები ქართველურ ენებში არ ჩანს ამემამდ. მაგრამ შედარებით-ისტორიული ძიება ავლენს მათ.

ერთი ამათგანია -წ-:

| | |
|---------------|--------------------------------|
| ჭან. წკ- -წ- | ოწკენ 'უყურებს' |
| მეგრ. რ-წყ- | ორწყენ 'ხედავს' |
| ქართ. -წყ- | მ-წყ-ემ-ს 'მაყურებელი' |
| სვან. ლი-წ-ედ | ლი-წ-ედ 'ნახვა' ¹ . |

დადასტურებულია ქართულში ამავე ძირის „უწყის“, რომელსაც სემანტიკური ცვლა განუცდია და დიდად დაჭმორებია პირვანდელ მნიშვნელობას: ორწყენ 'ხედავს' — უწყის 'იცის'. ამოსავალია ზანურის ვითარება².

ეგვე -წ- ძირი დადასტურებული აქვს ილია ცერცვაძეს ანდიურში წ-ინ (წ-ინ-ნუ ← წ-ინ-დუ *знать* — ინფინიტივი), დიბო წინ-ნო 'მე ვიცი'. კარატ. წ-ინ-და, ზუნძ. წ-უნ-იზე... ჭამალ. ენაში ბა-წ-ნა...³

მეორეა -ხ-:

| | | |
|----------------------|---------------|-----------|
| ქართ. ხ-ედ-ავ-ს... | ი-ხ-ილ-ა... | ნა-ხ-ა... |
| სვან. (ეჯას) ხ-ო-ხალ | '(მას) იცის'. | |

ამოსავალია ის მნიშვნელობა, რაც ამ ფუძეს ქართულში აქვს⁴. ზანურში ეს ფუძე არ ჩანს.

ირკვევა, რომ საერთო, შესატყვისის მქონე, ქართველური ძირია -ძინ-.

ამ ძირის შემცველი ზმნის ფორმა გვხვდება აღიშის ოთხთავში, ესაა მოგუძინნეს:

¹ არნ. ჩიჭობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი გვ. 398—399.

² დ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, უწყის ზმნის ეტიმოლოგიისათვის: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. XI, 1952—1953, გვ. 121—127.

³ ილ. ცერცვაძე, „ცოანის“ აღმნიშვნელი ზოგი ფუძე იბერიულ-კავკასიურ ენებში (ეტიმოლოგიური ძიება): თბ. სახელაწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63, 1956, გვ. 229—342.

⁴ იქვე.



...მოწლებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისაჲათა, რომლითა მოგუძინეს ჩუენ ზემან აღმოსავალმან მალლით... ლკ 1₇₈.

ოთხთავის პარალელური (DE) რედაქციის II ხელნაწერში ადი-შის „მოგუძინეს“ ზნის ადგილას ნახმარია „მომხედა“¹.

...მოწყალებითა და წყალობითა ღმრთისა ჩუენისაჲათა, რომელთა მომხედა ჩუენ აღმოსავალმან მალლით...

ასევეა ტბეთის ოთხთავში:

...მოწყალებითა და წყალობითა ღმრთისა ჩუენისაჲათა, რომელთა მომხედა ჩუენ აღმოსავალმან მალლით...².

შდრ. აგრეთვე ბრიტანიისა და უცხო-ქვეყნის ბიბლიური საზოგადოების გამოცემაში (ტფილისი, 1915):

...მოწყალებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისაჲათა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მალლით...

-ძინ- ძირი გამოყოფილი აქვს და მისი შემცველი მოგუძინეს (ლკ 1₇₈ C) განმარტებული, როგორც „მოხედვა“ ივ. იმნაიშვილს თავის „ქართული ოთხთავის სინფონია-ლექსიკონში“ (1948).

ხოლო ივ. ქავთარაძე „ე-ძ-ი-ებ-ს“ ზნის ანალიზთან დაკავშირებით შენიშნავს: „განაილულ ზმნასთან საზიარო ძირს უნდა შეიცავდეს ი-ძ-ინ-ს (შე-ი-ძ-ინ-ა), რომელიც ზნისწინებით სხვადასხვა წინაშენელობისაა: მოსძინა 'მოხედა'; მოგუძინეს (|| DE მომხედა) ზემან ჩუენ: C ლკ 1₇₈; ამავე წინაშენელობისაა მისი მეგრული ვარიანტი ქო-ძირ-უ 'ნახა, resp. იპოვა'; შესძინა 'დაუმატა'; შესძინა ძკრი ძკრსა ზედა: ხანძთ. ნგ 9“³.

ე-ძ-ი-ებ-ს, ძ-ებ-ნ-ი-ს ზმნათა დაკავშირება *მო-ს-ძინ-ა 'მოხედა' ზმნასთან სარწმუნო ჩანს.

ასევე სწორი ჩანს უკანასკნელის ვარიანტად მეგრ. ქო-ძირ-უ 'ნახა, იპოვა' ზნის ფუძის გამოცხადება.

ქართ. -ძინ- ფუძის შესატყვისი უნდა გვეტონდეს ზანურ ჯინ-ა-ში, რაც 'ყურება-შესედევა'-ს ნიშნავს.

ამგვარად: ქართ. მო-გუ-ძინ-ნ-ა — მეგრ. მუკმო-ჯინ-უ 'მომხედა'.

ჯინ- ფუძის შემცველი ზმნა ზანურში მხოლოდ „შეხედვა-ყურების“ წინაშენელობისა და ერთ-ერთი ხშირად ხმარებული ზმნათაგანია.

¹ E ხელნაწერში ასე ყოფილა: ...რომელთა გუეჩუენა ჩუენ მბმ...

² ქართული ვაის ისტორიული კრესტომათია, გამოსცა ი. იმნაიშვილი - მა ა. შანიძის რედაქციით, 1953, გვ. 68.

³ ივ. ქავთარაძე, ზნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 326.



ქართული ძინ- ფუძის „შეხედვა“ მნიშვნელობიდან განვითარებულია „ძიება, ძებნა“ წნიშვნელობა და ეს სემანტიკური ევოლუცია დამთავრებული ჩანს ძველ ქართულში. აქ პირვანდელი მნიშვნელობით მისი გამოყენება მეტად იშვიათი გადმონაშთის შთაბეჭდილებას ტოვებს.

უკანასკნელი გარემოება მხარს უნდა უჭერდეს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა ფაქტების საფუძველზე მიღებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ ქართული ძ-ს შესატყვისად ზანური ჯ-ს წარმოქმნა ძალიან შორეულ წარსულს უნდა ეკუთვნოდეს. ყოველ შემთხვევაში იგი დიდად სცილდება ქართული ენის წერილობითი ისტორიის დასაწყის ხანას.

კ. კუბლაშვილი

დიფთონგიზაცია აჭარულში

დიფთონგიზაციისადმი ტენდენცია აჭარულში ცხადად შესამჩნევი ფაქტია. სტატიკური ანალიზის შედეგად მოპოვებული დასკვნები ი და უ ხმოვნებს დიფთონგის სუსტ ნაწილად წარმოგვიდგენს თითქმის ყველა იმ შემთხვევაში, რაც ძველი ქართულითაა მოსალოდნელი.

გარდა ამისა, შეინიშნება რიგი თავისებურება, რომლებიც აჭარულს ამ მხრივ ძველი ქართულისაგანაც განასხვავებს და ქართული ენის სხვა დასავლურ კილოებს შორისაც საკუთარ ადგილს აკუთვნებს.

აღნიშნავთ ხმოვანფუძიანი სახელების სახელობითის, ნათესაობითისა და მოქმედებითის გარდა ა-ს ხმარების ხშირ შემთხვევებს აგრეთვე სიტყვის ფუძეშიც როგორც ხმოვნის წინ, ისე ხმოვნის შემდეგ: რო ა ხ ს, სა ა თ ა ა, ხ ე ა ბ ა რ ი, წ ო ლ ა რ ე...

შ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე ა-ს ხმარების სხვა შემთხვევებსაც ასახელებს აჭარულში:

ა გვხვდება რუსული და უცხო ენებიდან შემოსულ სიტყვათა დასაწყისსა და ფუძეში: კ ა ა მ ა ლ ი, ა ა შ ი კ ი...

ა გვხვდება აგრეთვე ზმნისართული წარმოშობის რამდენიმე სახელთან, რომელთაც დაკისრებული აქვთ ვითარების გამოების გადმოცემა: ჩ უ მ ა თ ა ლ ა ა, გ ზ ი ს პ ი რ ა ა...

ა მოსალოდნელია გაჩნდეს მაშინაც, როცა მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი და ხმოვანფუძიან სახელებს უსუსტდებათ და დასუსტებით მიღებული ყრუ თ ზოგჯერ სრულიად გამქრალა და რჩება სუფთა ფუძე, რომელიც ბოლოხმოვნიანი უკვეცილი სახელების მსგავსად იჩენს ა-ს. ფონეტიკურ-მორფოლოგიური პროცესის აღდგენით ასეთ სურათს მივიღებთ: ჩ ა მ ო ვ ლ ა დ → ჩ ა მ ო ვ ლ ა თ



→ ჩამოვლამ; შეშაქმელამ, მოსაკლავამ, ადრე¹ დასრულდა¹,...

ამ საკითხის ავტორისეული კვალიფიკაცია, როგორც ის დასახელებულ ნაშრომში გვაძლევს, მთლად სარწმუნო ვერ ჩანს². აჭარულში შენიშნული ეს მოვლენა სხვაგვარ შეფასებას ელის.

მაგრამ როგორადაც არ უნდა შეფასდეს მოცემულ შემთხვევაში ამ ბერის ცკლილება, ერთი მაინც ცხადი რჩება: დიფთონგიზაციის პროცესის მოქმედება აჭარულში შორს წასული დეჰქტია და ზოგჯერ ისე შორსაც, რომ იგი აბრკოლებს ასიმილაციის პროცესის დასრულებას ხმოვანთა უშუალო მეზობლობაში: წეჟლო, წეჟცა, მეჟტანა... რომ დიფთონგიზაციის პროცესის ჩარევა ამ შემთხვევაში ერთადერთი დამაბრკოლებელ მიზეზად იქცა ასიმილაციის პროცესის დასრულებისათვის, ამას ეპყვიუტანელს ხდის ის გარემოება, რომ სათანადო ფონეტიკურ პროცესს ყოველთვის ურჩება ადგილი არაუშუალო მეზობლობაში: გიგიკეთე, დიმიწერე, დიგიშავე³...

აჭარულში ი დასუსტების და ა-ად ქცევის კანონზონიერებას ემორჩილება როგორც ხმოვნის წინ, ისე ხმოვნის შემდეგ: დჟეძინა, წჟეყვანა, წჟეყვანა, მჟეყვანა, საქმჟები, ლელჟები, შჟაგინა, შჟატყო, როჟს, ხეჟბარი, კჟამალი... მათსადაჟე, იგი გვხვდება როგორც აღმავალი, ისე დამავალი დიფთონგის ელემენტად. აღმავალი დიფთონგის გაჩენა აჭარულში არაა თურქულის გავლენის შედეგი, როგორც ამის შესახებ სანართლიანად შენიშნავს შ. ნიჭარაძე: აღმავალი დიფთონგის განვითარების საფუძველი ქართულ დიალექტებშივე დასტურდება. ამ შემთხვევაში სხვა რომელიმე ენის გავლენის საკითხი უნდა მოიხსნას. უფრო ბუნებრივი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ის უცხო წარმოშობის სიტყვები, სადაც აღმავალი დიფთონგი გვხვდება, ემორჩილება აჭარულისათვის დამახასიათებელ წესს⁴.

კიდევ უფრო ხშირია აჭარულში ისეთი დიფთონგები, რომლებიც წარმოდგებიან უმარცვლო უ-ს შეერთებით მომდენო ან წინმდგომ ხმოვანთან.

¹ შ. ნიჭარაძე, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1954, გვ. 126.

² იქვე.

³ კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIX, 1959, გვ. 243.

⁴ შ. ნიჭარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, 1961, გვ. 20.

როგორც ცნობილია, აპარულში ეს ბგერა დიფთონგის სუსტ ნაწილად გვევლინება თითქმის ყველა იმ შემთხვევაში, რა შემთხვევებშიც ეს ძველი ქართულითაა მოსალოდნელი: სხუა*, სიტყუა, თუალი. თქუა, ზღუა.

გარდა ამისა, აპარულში უმარცვლო უ მიიღება:

1. უ-ს სრულხმოვნების დაკარგვით
2. თანხმოვან ვ-ს გაწყვილბაგისმიერებით.

უ-ს სრულხმოვნობის დაკარგვის შედეგად დიფთონგის წარმოქმნის პროცესი სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული. ასე ზეგალითად, მა და იე კომპლექსთა ფონეტიკური განვითარება საბოლოოდ დიფთონგის წარმოქმნას ვარაუდობს: ვამუა, ვაძუე, მუახერხა, ვათხუე, ვადმუატანია, ჩამუაღებეის... ასევე, აუ და ეუ კომპლექსია აპარულში აუ-სა და ეუ-ს გვაძლევს ამავე პროცესის მოქმედების შედეგად.

საგულისხმო მოვლენად ითვლება ის ფაქტი, რომ აპარულში ამ ორ უკანასკნელ კომპლექსში სავსებით საწინააღმდეგო პროცესიცაა დაწყებული: უ-ს ვ თანხმოვანში გადაზრდით დიფთონგის დაშლის პროცესი, ოღონდ ვარკვეულ ფონეტიკურ გარემოში. სახელდობრ მაშინ, როცა უ სმოვანსა და თანხმოვანს შორისაა მოქცეული. საანალიზო ფაქტებზე დაადსტურა ამ შემთხვევაში ხმოვანთაგან ა და ე; ხოლო თანხმოვანთაგან რ და ლ: დანაშავლი ← დანაშაული ← დანაშაული; იქავრობა ← იქაურობა ← იქაურობა; დამწყვდევილი ← დამწყვდეული ← დამწყვდეული.

უმარცვლო უ-ს ვ-ში გადაზრდით გამოწვეული დიფთონგის დაშლის ეს პროცესი აპარულში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, რასაც ადასტურებს ამავე პოზიციაში უ-ს ხწარების არც ისე იშვიათი შემთხვევები: არჩეული, დეკეული, იქაურები, დასეული...

დიფთონგის წარმოქმნის მეორე გზად აპარულში ჩვენ მივიჩინეთ პირიქითა პროცესიც ვ-ს გაწყვილბაგისმიერება და მისი უ-დ ქცევა: შიშუელი, ბეური, ქუა, ქუაზი, რუა...

შენიშნულია ვ-ს გაწყვილბაგისმიერება ნაშინაც, როცა ის პირველი სუბიექტური პირის ნიშანია.

* სასტანბო ნიშნის უქონლობის გამო უმარცვლო უ ყველგან ჩვეულებრივ უ-თია აღნიშნული.



სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა ის ფაქტი, რომ აჭარულში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის შემდეგ ხშირად იკარგება ფუძისეული ი: მოვდა, დევნახე, დევბარე... ერთი შეედეგით, თითქოს გაუგებარია, რატომ უნდა დაკარგულიყო აქ ი. როცა მისი დაკარგვა თითქმის ძნელად გამოსათქმელსაც კი ხდის სიტყვას?

საქმე იმაშია, რომ აქ ვ უმარცვლო უ-სკენ არის გადახრილი. ეს უკანასკნელი კი მის წინ მდგომ ხმოვანთან ერთად ქმნის დამავალ დიფთონგს. ასეთ პირობებში ფუძისეული ი ზედნეტიც კი ჩანს:

უნდა დეუწყოთ ახლა ლოცულობა...

(შ. ძიძიგური, ქართ. დიალექტ. კრესტ. გვ. 366)

ან მოუკლავ თავსაო...

(იქვე, გვ. 368)

დეუხოცებით და გავნადგურდებით...

(იქვე, გვ. 367)

აალა ნე გლახობას არ ჩეუდენ...

(იქვე, გვ. 268)

ვფიქრობთ, ანით უნდა აიხსნას წსგავს შემთხვევებში ფუძისეული ი-ს დაკარგვა.



მ. თ. ღვიწკაძე

გვარის სწავლება საშუალო სკოლის VI კლასში

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოში შეტანილ იქნეს გვარის განსაზღვრება.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებული განსაზღვრებანი, თავიანთი სირთულის გამო, არ განოდგება გრამატიკის სასკოლო კურსისათვის.

ჩვენი აზრით, ქართული ენის პროგრამიდან, შესაბამისად სახელმძღვანელოდან მთლიანად უნდა იქნეს ამოღებული საშუალო გვარი (ე. ი. უნდა იხწავლებოდეს მხოლოდ მოქმედებითი და ვნებითი).

პრაქტიკული მიზნებით გამართლებული იქნებოდა, თუ დგას, ცხოვრობს... უყვარს... თესია... ტიპის ზნებს (ე. ი. ისეთებს, რომლებიც არაა მოქმედებითი ან ვნებითი გვარისა) ზოგადად გავაცნობდით, როგორც უგვარო ზმნებს.

ყოველივე ამის შემდეგ შეექმნე კლასის მოსწავლეს შესაძლებელია მივაწოდოთ გვარის ასეთი, შეტად მარტივი სახის, განმარტება: გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, სუბიექტი მოქმედია თუ მოქმედების საგანი: ვანო აშენებს სახლს; სახლი შენდება.

აქედან:

1) მოქმედებითა ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედია და მისი მოქმედება გადადის ობიექტზე.

2) ვნებითა ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი თვითონვეა მოქმედების საგანი¹.

როგორც ვხედავთ, ქართულში ერთი და იმავე ზმნის თვისება არის, ერთი და იგივე სახელი ხან პირდა-

¹ მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდთა, თბილისი, 1959, გვ. 15.



პირ ობიექტად წარმოგვიდგინოს (ოქმედები გვარი), ხან — სუბიექტად (ვნებითი გვარი).

* * *

პროგრამით¹ გვარის სწავლებას დათმობილი აქვს 10 საათი, რომლებსაც გაკვეთილებად ასე ვანაწილებთ:

პირველი გაკვეთილი

თემა: გვარის რაობა

ამ გაკვეთილზე დავახასიათებთ ოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს ფუნქციის თვალსაზრისით:

1. ვანო სახლს აშენებს.
2. სახლი შენდება.

გაირკვევა, რომ

ა) „აშენებს“ ზმნასთან შეწყობილი სუბიექტური პირი მოქმედია და მისი მოქმედება გადადის პირდაპირ ობიექტზე.

ბ) „შენდება“ ზმნასთან შეწყობილი სუბიექტური პირი თვითონვეა მოქმედების საგანი.

მსგავსადვე გაანალიზდება მაგალითები:

- | | |
|--------------------|------------------------|
| 1) პეტრე ხეს ჭრის. | 3) მერი სურათს ხატავს. |
| 2) ხე იჭრება. | 4) სურათი იხატება. |

გამოვიტანთ დასკვნებს:

ა) ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, სუბიექტი მოქმედია თუ მოქმედების საგანი, გვარი ეწოდება.

ბ) იგი, ძირითადად, ორი სახისაა: მოქმედებითი და ვნებითი.

გ) მოქმედებითია გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედია და მისი მოქმედება გადადის პირდაპირ ობიექტზე (აშენებს ვანო სახლს).

დ) ვნებითია გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი თვითონვეა მოქმედების საგანი (სახლი შენდება).

ვნებითი გვარის ზმნის პირთან არ არის შეწყობილი ნამდვილად მოქმედი: სახლი შენდება (ვანოს მიერ); იგი თანდებულთან სახელადაა ქცეული და ზმნის ფორმით იგულისხმება (აუცილებელი არ არის მისი შეწყობა ზმნასთან).

გადაცემული მასალის განმტკიცების მიზნით ჩატარდება ვარ-

¹ რვაწლიანი სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1961, გვ. 15.

ჯიში: გავაანალიზებთ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს. შინაარსის მისეღვით.

მაგალითები:

1. ამ აზბავნა მონადირე შეაწუხა.
2. მონადირე შეწუხდა.
1. თანარი იატაკს წმენდს.
2. იატაკი იწმინდება.
1. ეთერი ქათანს ხარშავს.
2. ქათანი იხარშება.
1. თოვლმა არემარე გადაათეთრა.
2. არემარე გადათეთრდა.

გარჯიშის დროს მოსწავლეთა ყურადღებას გავაძახებთ შემდეგ ფაქტზე:

ქართულში ერთი და იმავე ზმნის თვისებაა, წარმოგვიდგინოს ერთი და იგივე საეული ხან პირდაპირ ობიექტად (მოქმედებითი გვარი), ხან კიდევ-სუბიექტად (ვნებითი გვარი)¹:

1. ვანო ჳრის ^{p. o} ხეს.

2. იჭრება ^s ხე.

ახალი ნასალის შეთვისების შემოწმების მიზნით კლასის წინაშე დაესვამთ კითხვებს:

1. რას ეწოდება გვარი?
2. რას გვიჩვენებს მოქმედებითი გვარი?
3. რას აღნიშნავს ვნებითი გვარი?

მიეცემა კლასის საშინაო დავალება: შეუწყონ სათანადო სახელები და გაარჩიონ გვარის მიხედვით ზმნები: გააკეთა, გაკეთდა, ბარავს, იბარება, წაიქცია, წაიქცა... გაშავდა, იწერება, ჩერდება.

მეორე გაკვეთილი

თემა: გარდაწვლობა და გვარი; ჳმნის პირთა რაოდენობა გვარის ფორმებში

საშინაო დავალების (წერთი, ჳებირი) შემოწმების შემდეგ მოვავონებთ კლასს, რომ ქართულში, როგორც მათ უკვე იციან, არის გარდაწვალი და გარდაუწვალი ჳმნები: ერთპირიანი ჳმნები გარდა-

¹ ყველა წესს შესაბამისი მაგალითებითურთ ჩაიწერენ მოსწავლეები საშინაო დავალების ოვეულგებში.

უვალია, სამპირიანები — გარდამავალი, ხოლო ორპირიანთაგან ზოგი გარდამავალი არის, ზოგიც — გარდაუვალი.

ფუხსნით კლასს, რომ ქართულში გარდამავალი ზმნები მოქმედებითი გვარისაა¹, გარდაუვალი კი — ვნებითისა. მოგვაქვს ჯერ ორპირიანი, ხოლო შემდეგ სამპირიანი მოქმედებითი გვარის ზნათა ნიმუშები და ვაანალიზებთ მათ პირთა რაოდენობისა და გარდამავლობის მიხედვით:

1. თინა სურათს ხ ა ტ ა ვ ს.

2. მამა მუხას კ რ ი ს.

ხ ა ტ ა ვ ს (ის მას): ორპირიანი ზმნაა, გარდამავალი (ეცვლება სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები ზმნის გადაყვანისას I სერიიდან მეორეში), მოქმედებითი გვარისა (სუბიექტური პირი მოქმედია და მისი მოქმედება გადადის პირდაპირ ობიექტზე).

ასევე გაირჩევა მეორე ზმნაც („ჭრის“).

3. ვანო ანხანავს სურათს უ ხ ა ტ ა ვ ს.

4. მამა მეზობელს მუხას უ ჭ რ ი ს.

უ ხ ა ტ ა ვ ს (ის მას მას): სამპირიანი ზმნაა, გარდამავალი, მოქმედებითი გვარისა (სუბიექტური პირი მოქმედია და ეს მოქმედება გადადის პირდაპირ ობიექტზე).

მსგავსადვე ვაანალიზდება „უჭრის“ ზმნაც.

გამოგვაქვს სათანადო დასკვნები (რომლებსაც ჩაიწერენ მოსწავლეები):

ა) გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა (ხ ა ტ ა ვ ს ის მას).

ბ) მოქმედებითი გვარის ზმნა შეიძლება იყოს ორპირიანი ან სამპირიანი (ა უ ე ნ ე ბ ს ის მას, უ უ ე ნ ე ბ ს ის მას მას).

გარჩევთ, პირიანობისა და გარდამავლობის მიხედვით, ვნებითი გვარის ზმნებსაც:

1. აჩერებს მძლოლი მანქანას — ჩერდება მანქანა.

2. ლებავს ნიკო სახლს — იღებება სახლი.

3. უშენებს მამა შვილს სახლს — უშენდება სახლი შვილს.

4. უხატავს მერი თინას სურათს — ეხატება სურათი თინას.

ჩერდება (ის): ერთპირიანი ზმნაა, გარდაუვალი (შეეწყობა მხოლოდ სუბიექტური პირი, რომელიც არ იცვლის ბრუნვას პირველი სერიიდან მეორეში გადაყვანისას), ვნებითი გვარისა (სუბიექტური პირი თვითონვეა მოქმედების საგანი).

¹ არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 277.

ასევე გაანალიზდება „იღებება“ ზმნაც.

უშენდება (ის წას): ორპირიანი ზმნაა, გარდაუვალი (არ ეცვლება სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები ზმნის გადაყვანისას პირველი სერიიდან მეორეში), ვნებითი გვარისა (სუბიექტური პირი მოქმედების საგანია).

მსგავსად გაირჩევა „ეხატება“ ზმნაც.

გამოიტანება სათანადო დასკვნები:

ა) **გარდაუვალი ზმნა ვნებითი გვარისაა** (იხატება ის, ეხატება ის მას).

ბ) **ვნებითი გვარის ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი ან ორპირიანი** (უშენდება ის, უშენდება ის მას).

ზმნის გვარზე გარდამავლობის მიხედვით შეიძლება შევადგინოთ ასეთი ტაბულა:

| გ ვ ა რ ი | გარდამავალი ზმნები | გარდაუვალი ზმნები |
|-------------------|---|--|
| მოქმედებითი გვარი | აშენებს ის მას ხატავს ის მას უხატავს ის მას მას | — — — |
| ვნებითი გვარი | — — — | იმალება ის შენდება ის ფეხდება ის მას |

გადაცემული მასალის განმტკიცების მიზნით ვატარებთ ვარჯიშს: ვაანალიზებთ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს გარდამავლობისა თუ პირიანობის მიხედვით.

მაგალითები:

1. ამირანმა დევი დაამარცხა.
2. მონადირემ ქალს მუცელი გაუჭრა.
3. მკვდარი დამარხეს, კოშკის კარი გამოხურეს და უკან დაბრუნდნენ.

4. ვეშაპი ბოძს შემოეხვია.

5. ამირანს გონება დაეკარგა.

6. აიშალა ჭურჭელი და ცისკენ გაფრინდა.

ახალი მასალის შეთვისების შემოწმების მიზნით კლასის წინაშე დავსვამთ კითხვებს:

მეოთხე გაკვეთილი

თემა: ნიქმედებითი გვარის ზნის გადაყვანა ვნებითში

საშინაო დავალების გამოკითხვის შემდეგ ვუბნით კლასს, რომ შესაძლებელია, ნიქმედებითი გვარის ზნა გადაყვანათ ვნებითში.

მაგ.: 1. ვანო ა^sშენებს სა^{p. o}ხლს.

2. შენდება სა^sხლი.

ვანალიზებთ „აშენებს“ და „შენდება“ ზნებს მათთან შეწყობილი სახელებითურთ. რაც ცხადყოფს, რომ ნიქმედებითიდან ვნებითში გადაყვანისას დაიკარგა სუბიექტური პირი, ხოლო ნიქმედებითის პარდაპირა ობიექტი ვნებითში სუბიექტად იქცა.

3. ვანო უ^sშენებს ამხანაგს სა^{u. o}ხლს ^{p. o}.

4. უ^{u. o}შენდება ამხანაგს სა^sხლი.

აქ ნიქმედებითი გვარის ზნა სამპირიანია: ვნებითში გადაყვანისას ორპირიანა გაადა (დაიკარგა ნიქმედებითის სუბიექტური პირი, პარდაპირი ობიექტი იქცა სუბიექტად, ხოლო ირიბი ირიბადვე დარჩა).

მსგავსი ორი-სამი მაგალითის გარჩევის შემდეგ გამოიტანება დასკვნები:

ა) ნიქმედებითი გვარის ზნის გადაყვანისას ვნებითში დაიკარგება ნიქმედებითის სუბიექტური პირი, ხოლო პარდაპირი ობიექტი იქცევა სუბიექტად:

1. აშენებს ის მას — შენდება ის.

2. აუშენა მან მას ის — აუშენდა ის მას.

ბ) ნიქმედებითის ირიბი ობიექტი (როცა ზნა სამპირიანია) ირიბადვე რჩება ვნებითში:

აუშენა მან მას ის — აუშენდა მას ის.

გ) პირთა რაოდენობა ნულად ერთით ნაკლებია ვნებითში, ვიდრე სათანადო ნიქმედებითში: სამპირიანი ზნა ორპირიანად იქცევა, ორპირიანი კი — ერთპირიანად¹:

1. ხატავს ის მას — იხატება ის.

2. უხატავს ის მას მას — ეხატება ის მას.

¹ სათანადოდ შერჩეული მაგალითების ანალიზით უნდა განვეუარტოთ კლასს, რომ ყოველთვის ვერ ხერხდება ზნის გადაყვანა ნიქმედებითიდან ვნებითში.



მოსწავლეთა ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ მომენტზე (მომენტებიდან ვნებითში გადაყვანისას):

ა) არ უნდა შეეცვალოთ მწკრივი (ე. ი. რომელ მწკრივშიცაა მოქმედებითი გვარის ზმნა, იმავე მწკრივში უნდა დავტოვოთ იგი ვნებითში გადაყვანისას):

აწყო: აშენებს ის მას — შენდება ის.

უსყვეტილი: აშენებდა ის მას — შენდებოდა ის.

მყოფადი: ააშენებს ის მას — ააშენდება ის.

წყვეტილი: ააშენა მან ის — ააშენდა ის.

ბ) არ უნდა შეეცვალოთ ზმნის პირიც (ე. ი. რომელ პირშიცაა მოქმედებითი გვარის ზმნის პირ-დაპირი ობიექტი, იმავე პირში უნდა დავტოვოთ იგი სუბიექტად ქცევისას ვნებითში):

I პირი: მხატავს ის მე — ვიხატები მე.

II პირი: გხატავს ის შენ — იხატება შენ.

III პირი: ხატავს ის მას — იხატება ის.

მოქმედებითიდან ვნებითში გადაყვანაზე შეიძლება შევადგინოთ ასეთი ტაბულა:

| მოქმედებითი | საპირისპირო ვნებითი |
|-----------------------------|------------------------|
| დამალა პეტრემ პავლე. | დაიმალა პავლე. |
| შელება ვანომ სახლი. | შეილება სახლი. |
| უშენებს მამა შვილს სახლს. | უშენდება შვილს სახლი. |
| უხატავს მერი თამარს სურათს. | ეხატება თამარს სურათი. |

ახალი მასალის განმტკიცების მიზნით ჩატარდება ვარჯიში: მოწაფეები მოქმედებითიდან ვნებითში გადაიყვანენ ზმნებს.

მაგალითები:

1. ძმებმა მკვდარი დამარხეს და კოშკის კარი გამოხურეს.
2. მოხუცმა ლამე მშვიდობიანად გაათენა.
3. მონადირე შეაწუხა ამ ამბავმა.
4. სულკალმახი კლდეზე სატებით აკეთებდა საფეხურებს.
5. დარეჯანი კარგად ზრდიდა ბავშვს.
6. დევებმა ობლების სახლკარს ცეცხლის ალი აადინეს, ააოხრეს და გადაბუგეს.



7. ამ გარემოებამ ისინი სულ გადაკარგა და სადღაც ჩაბაღუნებულნი ზეთში ჩახვეწა.

8. გაჭირვებამ დაავადებაცა ამირანი.

ახალი მასალის შეთვისების შემოწმების მიზნით კლასის წინაშე დაესვამთ კითხვებს:

1. როგორ გადავიყვანთ ზმნას მოქმედებითიდან ვნებითში?

2. როგორია პირთა რაოდენობა ვნებითში გადაყვანისას.

3. რა წესები უნდა დავიცვათ მოქმედებითიდან ვნებითში გადაყვანის დროს?

მიეცემა კლასს საშინაო დავალება: გადაიყვანონ ვნებითში შემდეგი მოქმედებითი გვარის ზმნები (სიზუსტით დაიცვან ყოველგვარი წესი): დამაბერა, გხატავდა, მოგქანცავს, ათეთრებდა, გააშავა.

მეხუთე გაკვეთილი

თემა: გამამთლიანებელი ვარჯიში გვარის რაობასა და მოქმედებითი გვარის ზმნებზე

შესწავლილი მასალის სისტემაში მოყვანის მიზნით გაანალიზდება მოქმედებითი გვარის ზმნები, რომლებსაც გადავიყვანთ სათანადო ვნებითში (შინაარსობლივი თვალსაზრისით გავარჩევთ ვნებითი გვარის ზმნებსაც).

მაგალითები:

1. მურმანმა ეთერს ტანზე ერთი მუტა ფეტვი შეაყარა.

2. მურმანის ხელის შეხებამ ეთერს მკბენარები მოაშორა.

3. ამ ამბავმა იგი შეაფიქრიანა.

4. ტირილმა დაღალა მარები.

5. დავხვეტავ გზასა, ხვინჭასა, ზედ მარმარილოს დავიფენ: ფეხი არ დასცე ქვიშასა, ისეთ სასახლეს ავიგებ, სულ მარმარილოს ქვისასა; შიგაშიგ ფიცარს ჩავუყრი აბანოურის ხისასა.

6. აბესალომის სიკვდილმა ააქეთინა ეთერი.

ზმნათა ანალიზი დაახლოებით ასე წარიმართება:

დავხვეტავ (მე მას): ორპირიანი ზმნაა; შეეწყობა I სუბიექტური და III პირდაპირობიექტური პირი; დგას აწმყოს მწკრივში (I სერია); თემის ნიშნად მოუღის „ავ“. ზმნა გარდამავალია, მოქმედებითი გვარისა (სუბიექტი მოქმედია და მისი მოქმედება გადადის ობიექტზე); საპირისპირო ვნებითია დაიხვეტება ის (აქ სუბიექტი თვითონვეა მოქმედების საგანი).



მელ მწკრივშიცაა მოქმედებითი გვარის ზმნა, იმავე მწკრივში უნდა დაეტოვოს ის ვნებითში გადაყვანისას).

2. უცვლელად უნდა დაეტოვოს ზმნის პირიც (ე. ი. რომელ პირშიცაა მოქმედებითი გვარის პირდაპირი ობიექტი, იმავე პირში უნდა დაეტოვოს იგი სუბიექტად ქცევისას ვნებითში).

ზეცემა კლასს საშინაო დავალება: გაანალიზონ ზემომოცემული ნიმუშის მიხედვით ზმნები: ბარავს, გაშალა, გააპობს, დგამს.

მ ე ე ქ ე ს ე გ ა კ ვ ე თ ი ლ ი

თემა: თავსართიანი (ინ-ენიანი ვნებითი)

შევანოწმებთ რა საშინაო დავალებას, მოვაგონებთ კლასს შემდეგს: როგორც უკვე ვიცით, ვნებითი გვარი გვიჩვენებს, რომ სუბიექტი თვითონვე არის მოქმედების საგანი:

აშენებს ვანო სახლს — შენდება სახლი.

ვნებითი გვარის ზმნა გარდაუვალა. იგი შეიძლება იყოს ერთპირიანიცა და ორპირიანიც: შენდება ის, უშენდება ის მას.

ამის შემდეგ ვაცნობთ მოსწავლეებს თავსართიან ვნებითებს. ამ მიზნით ვაანალიზებთ ზმნებს:

1. ხატავს ბავშვი სურათს — იხატება სურათი.

2. უხატავს ბავშვი ამხანაგს სურათს — ეხატება სურათი ამხანაგს.

იხატება (ის): ერთპირიანი ზმნაა; მასთან შეწყობილია III სუბიექტური პირი; ზმნა დგას აწმყოს მწკრივში; არის გარდაუვალა, ვნებითი გვარისა (სუბიექტი თვითონვეა მოქმედების საგანი).

ეხატება (ის მას): ორპირიანი ზმნაა; მასთან შეწყობილია III სუბიექტური და III ირიბობიექტური პირი; ზმნა აწმყოს მწკრივში დგას; არის გარდაუვალა, ვნებითი გვარისა (აქაც მოქმედების საგანი სუბიექტია).

ამ ორი ფორმის (იხატება — ეხატება) შედარება-შეპირისპირებით პირველში გამოიყოფა თავსართი „ი“ (ი-ხატება), მეორეში — „ე“ (ე-ხატება), რომლებიც გვარის ნიშანია.

გაირჩევა კიდევ რამდენიმე ზმნა:

1. ი-წერება — ე-წერება.

2. ი-ნგრევა — ე-ნგრევა.

3. ი-ღალბა — ე-ღალბა.

გამოიტანება დასკვნები:

ა) ვნებითს, რომელსაც „ი“ თავსართი აწარმოებს, ინიანი ჰქვია. ინიანი ვნებითი ერთპირიანი გარდაუვალა ზმნაა.



ბ) ვნებიტს, რომელსაც „ე“ თავსართი აწარმოებს, ენიანი ეწოდება. ენიანი ვნებიტი ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა. მაგრამ არის რამდენიმე ენიანი ვნებიტი, რომლებიც დღეს ერთპირიანია: ე-მზადება (ის), ე-თრევა (ის), ე-ხეტება (ის), მი-ე-მგზავრება (ის) და სხვ.

ვ-ი-მალები, და-ვ-ი-მალები ფორმებზე დაკვირვებით მოსწავლეთათვის ცხადი გახდება, რომ ვნებიტის ნიშნებს შეიძლება უსწრებდეს ან მხოლოდ პირის ნიშანი (ვ-ი-მალები); ანდა პირის ნიშანი და ზმნისწინი (და-ვ-ი-მალები).

გადაცემული მასალის განმტკიცების მიზნით ჩატარდება ვარჯიში; გაანალიზდება ზმნები:

1. გადაბრუნდა აბესლომი და იმ წამსვე სული დალია. ეთერი დაეკონა მკვდარს და აქვითინდა.

2. ეთერი მკბენარებით აივსო. აცილიან, მაგრამ უფრო მეტი ეხვევა.

3. ეთერს მალე მამაც გარდაეცვალა.

4. ძმები ერთ ირენს დაედევნენ.

5. ამირანი და დევი ეძგერნენ ერთმანეთს.

6. დევები უქმად ეყარნენ.

7. აიშალა ჭურჭელი და ცისაკენ გაემართა.

8. ხომალდებით გაივსო ზღვის მიდამო.

9. გლეხი დარიგებისამებრ მოიქცა.

10. ქალი დღეობით იზრდებოდა.

ვარჯიშის დროს მოსწავლეთა ყურადღებას გავამახვილებთ თავსართიან ვნებიტთან დაკავშირებულ მართლწერის საკითხებზე და გამოვიტანთ დასკვნებს:

ა) ენიან ვნებიტზე „მი“ ზმნისწინის დართვისას ორი „ი“ გამოითქმის და იწერება: ი-პარება — მიიპარება, ი-წურება — მიიწურება, იმალება — მიიმალება...

ბ) ენიან ვნებიტზე „შე“ ზმნისწინის დართვისას ორი „ე“ გამოითქმის და იწერება: ე-მჩნევა — შეემჩნევა, ე-კედლება — შეეკედლება, ე-ზიზლება — შეეზიზლება...

ახალი მასალის შეთვისების შემოწმების მიზნით კლასის წინაშე დავსვამთ კითხვებს:

1. რას გვიჩვენებს ვნებიტი გვარის ზმნა?

2. როგორ ვნებიტს ჰქვია ენიანი?

3. რამდენპირიანია იგი?

4. როგორ ვნებიტს ეწოდება ენიანი?

5. რამდენბირიანია ენიანი ვნებიით?

6. რა წართლწერის საკითხები უკავშირდება თავსართიან ვნ-ბითებს?

მიეცემა კლასს საშინაო დავალება: გადაიყვანონ სათანადო ვნ-ბითში ზმნები: ბარავს, კერავს, უბნევს, უწერს — და გაარჩიონ ქვემომოცემული ნიმუშის მიხედვით:

ი - ლესება (ის): ერთბირიანი ზმნაა; შეეწყობა III სუბიექტური პირი; დგას აწმყოს მწკრივში (I სერია); არის გარდაუვალი, ვნ-ბითი გვარისა, ინიანი.

მეშვიდე გაკვეთილი

თემა: ბოლოსართიანი (დონიანი) ვნებითი

საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ ვუხსნით კლასს, რომ ქართულში არსებობს ისეთი ვნებითიც, რომელსაც „დ“ აწარმოებს. ასეთ ვნებითს დონიანი ეწოდება (ე. ი. დონიანი ჰქვია ვნებითს, რომელსაც „დ“ აწარმოებს). ეს ნიშანი ზმნას ბოლოში მოუდის (თემის ნიშნის წინ):

1. თინა სახლს ათეთრებს — სახლი თეთრ-დ-ება.

2. ვანო სახლს აშენებს — სახლი შენ-დ-ება.

3. გივი მანქანას აჩერებს — მანქანა ჩერ-დ-ება.

დონიანი ვნებითიც, ინ-ენიანთა მსგავსად, გარდაუვალია. იგი, ძირითადად, სახელისაგან იწარმოება (ე. ი. ნასახელარია); „დ“ ერთვის სახელის ფუძეს:

1. სახლ-ი — სახლ-დ-ება.

2. შავ-ი — შავ-დ-ება.

3. ათას-ი — ათას-დ-ება.

დონიანი ვნებითი შეიძლება იყოს ერთბირიანიცა და ორბირიანიც:

1. ბერ-დ-ება (ის) — უბერ-დ-ება (ის მას).

2. შენ-დ-ება (ის) — უშენ-დ-ება (ის მას).

3. თეთრ-დ-ება (ის) — უთეთრ-დ-ება (ის მას).

არის რამდენიმე ზმნა, რომლებსაც ბოლოში „დ“ მოუდის, მაგრამ იგი არაა გვარის ნიშანი, ძირის კუთვნილებაა. ამის გამოსარკვევად (ე. ი. ზმნაში არსებული „დ“ გვარის ნიშანია, თუ ძირის კუთვნილება) მოსწავლეებს შეიძლება მივაწოდოთ ასეთი ხერხი:

თუ მოცემულ ზმნას III სერიის რომელიმე მწკრივში გადაჰყვა „დ“, მაშინ იგი ძირის კუთვნილება იქნება და არა გვარის ნიშანი: კვდება — მომკვდარა (I თურმ.), გასკდა — გამსკდარიყო (II თურმ.), ტყდება — გამტყდარიყოს (III კავშ.).



მაშასადამე, ამ ზნებში „დ“ ძირის კუთვნილებაა (გვარის ნიშანი არ არის). გვარის ნიშანი ზმნებს III სერიაში არ გადაჰყვება:

ი-მალება — დამალულა (I თურმ.).

ე-მალება — დამალოდა (II თურმ.).

ბერ-დ-ება — დაბერებულა (I თურმ.).

ხშირად მოსწავლეებს ერთმანეთში ერევათ ვნებითის „დ“ და უწყვეტლის საერცობი თუ საერცობისეული „დ“. ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შეიძლება მივმართოთ ასეთ ხერხს:

ა) თუ საანალიზო ზმნის „დ“ თემის ნიშნის წინაა, იგი გვარის ნიშანი იქნება (ან ძირის კუთვნილება).

1. დაბერ-დ-ება, აშენ-დ-ება, გაწითლ-დ-ება-ა...

2. გასკ-დ-ება, გატყ-დ-ება, მოკვ-დ-ება-ა...

პირველი რიგის „დ“ ვნებითის ნიშანია, მეორე რიგისა — ძირის კუთვნილება.

ბ) თუ საანალიზო ზმნის „დ“ თემის ნიშნის შემდეგაა ან უთემისნიშნო ზმნის მოუდის, ის უწყვეტლის საერცობი (ანდა საერცობისეული თანხმოვანი) იქნება:

1. ტრიალ-ებ-დ-ა, სრიალ-ებ-დ-ა, გრიალ-ებ-დ-ა-ა...

2. კვდ-ებ-ო-დ-ა, სკდ-ებ-ო-დ-ა, ტყდ-ებ-ო-დ-ა-ა...

3. დულ-დ-ა, წუხ-დ-ა, ქუხ-დ-ა, სურ-დ-ა-ა...

„ტ რ ი ა ლ ე ბ დ ა“ და „დ უ ლ დ ა“ რიგის ზმნებში „დ“ უწყვეტლის საერცობაა, ხოლო „კ ვ დ ე ბ ო დ ა“ რიგისაში — საერცობისეული თანხმოვანი.

გადაცემული მასალის განმტკიცების მიზნით ჩავატარებთ ვარჯიშს; გაანალიზდება ზმნები:

1. შეწუხდა მონადირე, გაკრაზე უარი თქვა.

2. იქიდან მზის მსგავსი ვაჟი გამოვარდა.

3. მონადირე სახლში დაბრუნდა.

4. კუდი პირში აღარ მოსწვდა.

5. ამირანი გაცოცხლდა.

6. ამის შემდეგ მას ბევრი რამ გადახდა.

7. მაგრამ დატრიალდა უბედურება: ეთერს დედა მო-

უკვდა.

8. აუსრულდა მურმანს გულის წადილი.

ხაზგასმულ ზმნათა ანალიზიდან გაიკვევა, რომელშია „დ“ ვნებითის ნიშანი და რომელში — ძირის კუთვნილება.

ვარჯიშის დროს მოსწავლეთა ყურადღებას გავამახვილებთ დონიან ვნებითთან დაკავშირებულ მართლწერის საკითხზე და გამოვიტანთ დასკვნას:



თუ სახელის ფუძე დ-ზე მთავრდება (დიდ-ი, ბინდ-ი და მისგან ვნებითი დონითაა ნაწარმოები, მაშინ ორი „დ“ გამოითქმის და იწერება: დიდ-ი — დიდდება, ბინდ-ი — ბინდება, მშვიდ-ი — მშვიდება, ცუდ-ი — ცუდება.

კლასის წინაშე ესვამთ კითხვებს:

1. რას ეწოდება დონიანი ვნებითი?
2. საიდან იწარმოება, ძირითადად, ის?
3. რამდენპირიანი შეიძლება იყოს დონიანი ვნებითი?
4. როგორ გამოვარკვევთ, საანალიზო ზნაში „დ“ გვარის ნიშანია, თუ ძირის კუთვნილება?
5. რა მართლწერის საკითხი უკავშირდება დონიანი ვნებითის წარმოებას?..

მიეცემა კლასს საშინაო დავალება: გადაიყვანონ შესაბამის ვნებითში ზმნები: აფერხებს, ალურჯებს, ამშვიდებს, უწითლებს, უკეთებს — და გარჩიონ.

მერვე გაკვეთილი

თემა: უნიშნო ვნებითი; თემის ნიშანი ვნებითი გვარის ზნებში; საკლასო-საფარჯიშო წერის ჩატარება

შესაძებ ტიპის ვნებითის სპეციფიკის გასათვალისწინებლად ნიშნიან ვნებითებს ვაუღლებთ აწმყოს მწკრივში:

| | | |
|------------------------|------------------------|------------------------|
| ვ-ი-მალ-ები | ვ-ე-მალ-ები | ვ-ბერ-დ-ები |
| ი-მალ-ები | ე-მალ-ები | ბერ-დ-ები |
| ი-მალ-ება ¹ | ე-მალ-ება ¹ | ბერ-დ-ება ¹ |

ამ ფორმათა შედარება-შეპირისპირება ცხადყოფს, რომ მათ აწმყოს მწკრივის I და II პირში ები დაბოლოება აქვთ.

აზავე პირებში ვაუღლებთ ფორმებს:

| | | |
|---------|-----------|-----------|
| ვ-მ-ები | ვ-ჰენ-ები | ვ-შრ-ები |
| მ-ები | ს-ჰენ-ები | შრ-ები |
| მ-ება | ჰენ-ება | შრ-ება... |

გაირკვევა, რომ ამათაც ები დაბოლოება აქვთ აწმყოს მწკრივის I და II პირში. ამ ფორმათა შედარება-შეპირისპირებით ნიშნიან ვნებითებთან ნათელი გახდება, რომ ფორმით (ები დაბოლოებით) ისინი პრეფიქს-სუფიქსიან ვნებითებს უდგანან გვერდში, ოლონდ

¹ ძველად აქაც ები დაბოლოება გვქონდა: ი-მალ-ები-ს, ე-მალ-ები-ს, ბერ-დ-ები-ს.



სათანადო ნიშანი არ გააჩნიათ; ამიტომ უწოდებენ მათ უნიშნო ვნებითებს.

ვასკნით: უნიშნო ეწოდება ვნებითს, რომელსაც გვარის რაიმე მაწარმოებელი არ გააჩნია და ები დაბოლოება მოუღის აწმყოს მწკრივის I და II პირში.

უნიშნო ვნებითი შეიძლება იყოს ერთპირიანი (ის ჰკნება, ჰრება, ღნება...) ან ორპირიანი (ის მას უჰკნება, უჰრება, უღნება...).

თემის ნიშნის გამოკვეთის მიზნით ვნებითი გვარის ზმნებში ვა-ულლებთ პირველ სერიაში ინიან, ენიან, ღონიან და უნიშნო ვნებითებს:

აწმყო: ი-მალ-ებ-ა (ის), ე-მალ-ებ-ა (ის მას), შენ-დ-ებ-ა (ის), უშენ-დ-ებ-ა (ის მას), შრ-ებ-ა (ის), უშრ-ებ-ა (ის მას).

უწყვეტ.: ი-მალ-ებ-ოდა, ე-მალ-ებ-ოდა, შენ-დ-ებ-ოდა, უშენ-დ-ებ-ოდა, შრ-ებ-ოდა, უშრ-ებ-ოდა.

აწყ. კავშ.: ი-მალ-ებ-ოდეს, ე-მალ-ებ-ოდეს, შენ-დ-ებ-ოდეს, უშენ-დ-ებ-ოდეს, შრ-ებ-ოდეს, უშრ-ებ-ოდეს.

მყოფადი: და-ი-მალ-ებ-ა, და-ე-მალ-ებ-ა, აშენ-დ-ებ-ა, აუშენ-დ-ებ-ა, გაშრ-ებ-ა, გაუშრ-ებ-ა.

I ხოლმ.: და-ი-მალ-ებ-ოდა, და-ე-მალ-ებ-ოდა, აშენ-დ-ებ-ოდა, აუშენ-დ-ებ-ოდა, გაშრ-ებ-ოდა, გაუშრ-ებ-ოდა.

მყოფ. კავშ.: და-ი-მალ-ებ-ოდეს, და-ე-მალ-ებ-ოდეს, აშენ-დ-ებ-ოდეს, აუშენ-დ-ებ-ოდეს, გაშრ-ებ-ოდეს, გაუშრ-ებ-ოდეს.

გაირკვევა, რომ ინ-ენიან, ღონიან და უნიშნო ვნებითებს I სერიაში -ებ- თემის ნიშანი აწარმოებს.

თვალსაჩინოების მიზნით შეიძლება შევადგინოთ ტაბულა თითოეული თემისნიშნიანი მოქმედებითიდან ვნებითის წარმოებაზე, რაც ნათელყოფს, რომ, რა თემისნიშნიანიც არ უნდა იყოს მოქმედებითი გვარის ზნა, სათანადო ვნებითს მაინც „ებ“ ექნება.

| მოქმედებითი | სათანადო ვნებითი |
|------------------------|---------------------|
| ჰრ-ი-ს (ის მას) | ი-ჰრ-ებ-ა (ის) |
| ხატ-ავ-ს (ის მას) | ი-ხატ-ებ-ა (ის) |
| უხატ-ავ-ს (ის მას მას) | ე-ხატ-ებ-ა (ის მას) |
| ასხ ამ-ს (ის მას) | ი-სამ-ებ-ა (ის) |



| მოკმელებითი | სათანადო თნებითი |
|---|---|
| <p>უსხ-ამ-ს (ის მას მას)</p> <p>აკეთ-ებ-ს (ის მას)</p> <p>უკეთ-ებ-ს (ის მას მას)</p> <p>აქრ-ობ-ს (ის მას)</p> | <p>ე-სხმ-ებ-ა (ის მას)</p> <p>კეთ-დ ებ-ა (ის)</p> <p>უკეთ-დ-ებ-ა (ის მას)</p> <p>ქრ-ებ-ა (ის)¹</p> |

აქვე შეიძლება გავაცნოთ მოსწავლეებს, რომ ქართულში არის ენებითი გვარის რამდენიმე ზნა, რომელთაც დღეს თემის ნიშანი არა აქვთ: ესენია: ი-წვის (ის), ე-წვის (ის მას), ი-ძვის (ის), ე-რთვის (ის მას)...

ამავე გაკვეთილზე ჩავატარებთ საკლასო-საეარჯიშო ხასიათის წერას, რომელსაც, დაახლოებით, ასე წარმართავთ:

ვაძლევთ კლასს მცირე ზოცულობის ტექსტს, ენებითი და მოკმელებითი გვარის ზნათა შემცველს, და ვავალებთ, გააანალიზონ ისინი. აი, საორიენტაციო ტექსტიც:

„ჯვარი რომ დაიწერეს ეთერმა და აბესალომმა, მურმანმა ჩუმად ეთერს ტანზე ერთი მუჭა ფეტვი შეეყარა და ქალიც მკბენარებით აივსო. აცლიან, ზაგრამ ურფო მეტი ეხვევა. შეწუხდა აბესალომი“ („ეთერი“).

ტექსტში მოცემული ზნები, დაახლოებით, ასე გაირჩევა:

ე-ხვევა (ის მას): ორპირიანი ზნა; შეეწყობა III სუბიექტური და III ირიბობიექტური პირი; დგას აწმყოს მწკრივში (I სერია); არის გარდაუვალი, ენებითი გვარისა, ენიანი.

წერის დამთავრების შემდეგ თითოეულ ზნას ვაანალიზებთ დათაზე და მოსწავლეები შესაბამის ცვლილებებს შეიტანენ რვეულებში.

მიეცემა კლასს საშინაო დავალება: ქვემოთ მოტანილი ტექსტიდან ამოიწერონ ზნები და გაარჩიონ ზემომოცემული ნიშნების მიხედვით:

დაინახა თუ არა ეთერი, გადამბრუნდა აბესალომი და იმ წამსვე სული დალია. ეთერი დაეკონა მკვდარს და მწარედ აქეთინდა.

¹ ტაბულაზე ერთნაირი ფერით გამოიკვეთება ორივე გვარის მაწარმოებელი თემის ნიშნები.

შეცხრე გაკვეთილი

თემა: გამამთლიანებელი ვარჯიში გვარზე

შესწავლილი მასალის სისტემაში მოყვანის მიზნით გავაანალიზებინებთ მოსწავლეებს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს, ვავარჯიშებთ მათ მოქმედებითიდან ვნებითში გადაყვანაზე.

გასარჩევ ზმნათა შემცველი ტექსტი:

დაერია დევებს ამირანი და სულ ერთიან ამოყლიტა. დევთა სისხლით სახლი თავამდი აივსო. სისხლის გუბე ყელამდის მისწვდა ამირანს, შეიკრა, შეკუთდა და დახრჩობას უპირებდა. ბედად სისხლში ერთი დაჭრილი დევი აფართხალდა ამირანის ახლოს. ამირანი დასწვდა დევს, შესტყორცნა სასახლის კარებს და გაამტვრია.

კლასის წინაშე დაესვამთ კითხვებს:

1. რას ეწოდება გვარი?
2. რამდენი სახისაა იგი?
3. რას აღნიშნავს მოქმედებითი გვარი?
4. რას გვიჩვენებს ვნებითი გვარი?
5. რამდენპირიანი შეიძლება იყოს მოქმედებითი გვარის ზმნა?
6. — ვნებითისა?
7. როგორ გადავიყვანთ ზმნას მოქმედებითიდან ვნებითში?
8. რა აწარმოებს ვნებითს?
9. მიამბეთ მართლწერის საკითხების შესახებ გვართან დაკავშირებით!
10. დაასახელეთ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა მაწარმოებელი თემის ნიშნები!

საბოლოოდ ვაულებინებთ მოსწავლეებს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს (აშენებს, იმალება, ემალება, შენდება, დნება) სამივე სერიაში, რითაც ცხადი გახდება, რომ

ა) ვნებითის მაწარმოებელი ნიშნები ზმნებს ეხოლოდ I და II სერიაში გააჩნია.

ბ) მოქმედებითი და ვნებითი კარგად უპირისპირდება ერთმანეთს ამ ორ სერიაში.

მიეცემა კლასს საშინაო დავალება: მოქმედებითიდან ვნებითში გადაიყვანონ ზმნები: დარეცხა, დაალაგა, დაამტვრია, დაალაპარაკა, გაანახევრა, ჩააქრო — და გაარჩიონ.

მეათე გაკვეთილი

თემა: უგვარო ზმნები

გავიანალიზებთ ზმნებს: დგას, წუხს, უყვარს, თესია.

1. დგას (ის): ერთპირიანი ზმნაა; შეეწყობა III სუბიექტური პირი; აწმყოს მწკრივშია (საკუთარი ფუძით არ გააჩნია დანარჩენი მწკრივები; სხვა.ფუძით კი ასეთ შეფარდებას გვაძლევს აწმყოსა და წყვეტილში: დგას ის — იღვა ის; ეწყობა ბრუნვაუცვლელი სუბიექტური პირი); ზნა გარდაუვალია; არც მოქმედებითი გვარისაა და არც ვნებითისა.

2. წუხს (ის): ერთპირიანი ზმნაა; შეეწყობა III სუბიექტური პირი; დგას აწმყოს მწკრივში; საკუთარი ფუძით გააჩნია მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები (წუხს, წუხდა, წუხდეს, მაგრამ მყოფადში — იწუხებს); არის გარდაუვალი; არ არის არც მოქმედებითი და არც ვნებითი გვარისა.

3. უყვარს (მას ის): ორპირიანი ზმნაა; შეეწყობა III სუბიექტური და III ობიექტური პირი (ინვერსიული წყობისა); დგას აწმყოს მწკრივში; საკუთარი ფუძით გააჩნია მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები (უყვარს, უყვარდა, უყვარდეს, მაგრამ მყოფადში — შეუყვარდება); გარდაუვალია; არც მოქმედებითი გვარისაა და არც ვნებითისა.

4. თესია (ის): ერთპირიანი ზმნაა; შეეწყობა III სუბიექტური პირი; დგას აწმყოს მწკრივში; თავისი ფუძით სხვა მწკრივები არ გააჩნია, არის გარდაუვალი. ამდენად, არაა მოქმედებითი გვარისა, მაგრამ არც ვნებითი გვარისაა.

როგორც ვხედავთ, ოთხივე ზმნა: დგას, წუხს, უყვარს, თესია — გარდაუვალია და, ამდენად, მოქმედებითი გვარის არ არის. მაგრამ არც ვნებითი გვარისაა ისინი, რადგანაც ვნებითობის რაიმე მაწარმოებელი ნიშანი არ გააჩნიათ (უნიშნო ვნებითობიდან არ არიან: არ მოეპოვებათ ები დაბოლოება აწმყოს მწკრივის I და II პირში).

ესენი არიან ე. წ. უგვარო ზმნები.

ამგვარად, უგვარო ჰქვია ზმნას, რომელიც არც მოქმედებითი გვარისაა და არც ვნებითისა.

ახალი მასალის განმტკიცების მიზნით ვატარებთ ვარჯიშს; ვაანალიზებთ რამდენიმე უგვარო ზმნას.

მაგალითები:

1. ზის და ტირის ყაპარი.



2. მისი ცოდვით ხეებს ფოფლები სცვივა.

3. წავიდა მარეხი ეთერის მოსაყვანად...

მოსწავლეთა წინაშე დავსვამთ კითხვებს:

1. რას ეწოდება უგვარო ზმნა?

2. დაასახელეთ ასეთი ზმნები!

მიეცემა კლასს საშინაო დავალება: მშობლიუი ლიტერატურის სახელმძღვანელოში მოცემული „ამირანის“ V თავიდან ამოიწერონ 8 უგვარო ზმნა და გაარჩიონ.

* * *

გვარის შესწავლის შემდეგ შესაძლოა ჩავატაროთ საკონტროლო წერა, რომელსაც, დაახლოებით, ასე წარვმართავთ: კლასს ჩავაწერინებთ მოქმედებითი, ვნებითი და ე.წ. უგვარო ზმნების შემცველ ტექსტს (მასში იქნება 10-მდე საანალიზო ზმნა); მაგ., ასეთს:

„მერე შეჯდა ამირანი და ჩავიდა ჯარის დასათვალიერებლად. დაარტო ისარი და გააფრინა თეთრონი. მოცვივდნენ ეშმაკები, დაებლაუჭნენ ისარს, მაგრამ ვერ ამოაძრეს... მერე ჩავიდა უსუბი, ჩაზომა სალაშქრო გზები, შეებრძოლა და გაანახევრა ჯარი, მაგრამ თვითონაც იქ დავა ვაეკაცურად თავი“ („ამირანი“).

მოსწავლეები ტექსტიდან ამოიწერენ ზმნებს და გაარჩევენ პირთა რაოდენობის, მწკრივის, გარდამავლობისა და გვარის მიხედვით; მაგალითად ასე:

მოცვივ-დ-ნენ (ისინი): ერთპირიანი ზმნა; შეეწყობა III სუბიექტური პირი; დგას წყვეტილის წყვილში (II სერია); არის გარდაუვალი, ვნებითი გვარისა, დონიანი.

მოქმედებითი გვარის ზმნის გაანალიზებისას გადაიყვანენ მას შესაბამის ვნებითში; მაგ.:

გაანახევრა (მან ის): ორპირიანი ზმნა; შეეწყობა III სუბიექტური და III პირდაპირობიექტური პირი; დგას წყვეტილში (II სერია); არის გარდამავალი, მოქმედებითი გვარისა; სათანადო ვნებითი იქნება გაანახევრა (ის).



К. КИЛАСОНИЯ

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ЛИТЕРАТУРНОГО НАСЛЕДСТВА
А. И. ПОЛЕЖАЕВА

Исследователи издавна прибегали к периодизации творческого пути писателя. Удачное разделение литературного наследства писателя на определенные этапы облегчает понимание сложного процесса его творческого развития и способствует правильному раскрытию идейного содержания его художественного наследства.

Вопросы периодизации русской литературы XIX века до сих пор вызывают разногласия среди ученых¹ и хотя основания для подобных разногласий в вопросах периодизации творчества отдельных писателей несравненно меньше, они все же имеют место.

С определенными неточностями сталкиваемся в научней литературе в вопросах периодизации творческого наследия А. И. Полежаева.

В дореволюционной литературе о поэте мы не встречаемся с попыткой разделить творчество Полежаева на определенные этапы. У представителей русской классической литературной критики, в частности, у Белинского и Добролюбова, это объясняется тем, что поэзия „бурного Полежаева“ была слишком современной для них, еще не успевшей занять место в истории. Как известно, оно не безболезненно предоставлялось замученному поэту. Поэтому, сначала надо было определить, отстоять, закрепить это место за ним и именно это было сделано статьями Белинского и Добролюбова².

¹ А. Н. Соколов, История русской литературы XIX века, том I, Изд. Мос. ун-та, 1960 г., стр. 5.

² В данный момент нас не интересуют противоречия Белинского в высказываниях о Полежаеве, которые носили вполне закономерный характер, были обусловлены т. н. периодом примирения в развитии мировоззрения великого критика.



Белинский и Добролюбов в условиях николаевской цензуры достигают того, что подчеркивают революционное содержание поэзии Полежаева, проводят грань между основным, характерным, определяющим, и, следовательно, имеющим значение для потомства, и случайным и незначительным в творчестве поэта.

¹ ჩვენის აზრით მოქმედება ასრულებს შუამავლის როლს სუბიექტსა და ობიექტურად არსებულ სინამდვილეს შორის, ე. ი. მოლაპარაკე შუალაობითი გზით (მოქმედებით ანუ გამონათქვამით) უკავშირდება სინამდვილეს (რ. ბ.).

თუ არა მოდალობის გამომხატველი გრამატიკული საშუალება. ნარჩენი გერმანისტების აზრიც ამ საკითხზე იმავეს ადასტურებს: „Категория наклонения выражает устанавливаемое говорящим отношение действия к действительности... В различных языках количество наклонений может быть различным, так как разные модальные значения могут выражаться не только грамматическими средствами при помощи наклонения, но и лексическими — посредством разных модальных слов: модальных наречий, модальных глаголов“¹.

ცალკეულ ენებში მოდალობის შრავალფეროვანი ნიუანსების სხვადასხვა საშუალებით გადმოცემა უდავოა, მაგრამ მოდალობის გამოხატვის ამ საშუალებათა რიცხვის გაზრდით კილოს რაოდენობის ზრდა — სიეჭვო². ლ. რ. ზინდერი და ტ. ვ. სტროევა თავიანთ ახალ შრომაში „Современный немецкий язык“ — გამოთქვამენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კილოს ცნობილი სამი ფორმის გარდა (Indikativ, Imperativ, Konjunktiv), არსებობს კიდევ კილოს სხვა სახეები: „Кроме рассмотренных в предыдущем параграфе (Indikativ, Imperativ, Konjunktiv — რ. ბ.), в немецком языке имеется еще несколько других, относительно новых наклонений, которые еще не так прочно вошли в морфологическую систему как старые наклонения, но которые находятся на пути к этому“³.

ეს ავტორები კილოს ახალ სახეებად მიიჩნევენ: კონსტრუქციას haben, sein + Infinitiv mit „zu“, მოდალურ ზმნებს — sollen, wollen + Infinitiv II და სხვა⁴. იმავე შრომაში ისინი კილოს განსაზ-

¹ К. А. Левковская — Немецкий язык, часть I, М., 1960, стр. 166.

² საბჭოთა ენათმეცნიერები სამართლიანად არ იზიარებენ ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლის — დოიზბაინის აზრს იმის შესახებ, რომ მან მოდალობის გამოხატვის საშუალებათა რაოდენობაზე დაყრდნობით თექვსმეტი კილო აღიარა ინგლისურ ენაში; ვფიქრობთ ვ. ა. ლევკოვსკაიასაც ანალოგიური შეცდომა მოსდის (რ. ბ.).

³ Л. Р. Зиндер, Т. В. Строева — Современный немецкий язык, М., 1957, стр. 148.

⁴ საბჭოთა გერმანისტიკაში ცნობილია, რომ მოდალური კონსტრუქციები — sein, haben + Infinitiv mit „zu“, Modalverben + Infinitiv II, Futurum II და სხვა მსგავსი კონსტრუქციები წარმოადგენენ თოდლობის გამოხატვის სხვადასხვა საშუალებას და არა კილოს სახეებს; თუ გავიხსენებთ ამ ავტორების აზრს, მაშინ, „ა თქმა უნდა, გაიზრდება კილოს სახეთა რიცხვი (ანალოგიური შეკითხვის შესახებ ჩვენ ნიუთონთუთ ამავე გვერდზე; იხ. სტოლია — 2 (რ. ბ.)“.



ღერის დროს სიტყვას „მოდლობა“ სცვლიან სიტყვებით „გრამატიკული მნიშვნელობა“; — „Эта категория (грамматическая категория наклонения — **რ. ბ.**) служит в немецком языке для выражения нескольких различных грамматических значений. Во первых, она выражает связь действия (или признака) с действительностью устанавливаемую говорящим“¹.

ზოგიერთი საბჭოთა გერმანისტის მიერ გამოთქმულია ასრი კილოსა და მოდალობის კატეგორიების „თითქმის“ იგივეობის შესახებ: „Примечание: термин „модальность“ происходит от лат. modus способ. Отсюда также название наклонений в немецкой грамматике — der Modus“². ამ შენიშვნაში ხაზგასმულია მხოლოდ ის, რომ ორივე ტერმინი — „მოდальность“ და „Modus“ — ლათინური სიტყვიდან — „modus“ მომდინარეობს. ჩვენ ცხადია, არ შევეძლია დავასკვნათ ამ შენიშვნის შენაარსიდან ის, რომ მოდალობა და კილო ერთი და იგივეა, რადგან ერთი საწყისიდან შეიძლება განვითარდეს ორი ან მეტი განსხვავებული გრამატიკული მოვლენა, მაგრამ საინტერესოა, მოცემული შრომის ავტორი რატომ სმარობს ერთ შემთხვევაში „модальность“ და მეორე შემთხვევაში „der Modus“, მაშინ როცა გერმანული ენის გრამატიკებში „модальность“ — თარგმნილია სიტყვით — „die Modalität“. აქ საჭიროა გაიარკვეს, რა საერთოა ამ ორ გრამატიკულ მოვლენას შორის (der Modus და die Modalität) რაკი ისანი ერთი სიტყვიდან „modus“ მომდინარეობენ, ან რა ახალი, განსხვავებული ნიშანი ვანვათარდა ტერმინში „die Modalität“, რადგან ტერმინში „der Modus“ თითქმის იგივე შენაარსია ნაგულისხმები (საშუალება, ხერხი — die Aussageweise — **რ. ბ.**), როგორც ლათინურ ტერმინში — „modus“ (საშუალება)³.

¹ მოცემულ განმარტებაში ხსენებული ავტორები idem. გვ. 147) სხვა განმარტებების სხვაგვად, ხაზს უსვამენ მოქმედების კავშირს სინამდვილესთან, რომელიც დგინდება მოლაპარაკის მიერ. თავ შეეხება გამოთქმა „грамматическое значение“ იგი თითქმის იგივე ყოფილა, რაც „отношение или связь с действительностью устанавливаемую говорящим“.

² О. И. Москальская — Грамматика немецкого языка, теоретический курс, М, 1936. გვ 281.

³ თუმცა საბჭოთა ენციკლოპედიაში ლათინური სიტყვა — „modus“ — თარგმნილია როგორც — „мера“ და არა „способ“, რომელიც გვძლევს გრამატიკულ ტერმინს — „наклонение“. „Модальность (от лат. modus — мера, как грамматический термин: наклонение)...“ Большая Советская Энциклопедия, 28).



მოდალობის და კილოს „თითქმის“ იგივეობაზე მაუთითებს ქვემოთ მოყვანილი მოსაზრება: „Необходимо отметить, что понятие модальности не исчерпывается наклонением...“¹ როგორც ჩანს, ამ გამონათქვამით მოდალობის ცნება მოიცავს კილოს და კიდევ რალაც მეტსაც, რადგან ეს უკანასკნელი (კილო) ვერ ამოსწურავს მოდალობის ცნებას².

3. მოდლობის კატეგორია

საბჭოთა ენათმეცნიერები და გერმანისტები მოდალობის შესახებ

მოდალობის კატეგორიას იკვლევდა და იკვლევს ბევრი საბჭოთა ენათმეცნიერი (აკადემიკოსი ვ. ვ. ვინოგრადოვი, ე. მ. გალკინა-ფედორუკი, ვ. გ. აღმონი, ე. ა. კრაშენინიკოვა და სტვა). საბჭოთა ენათმეცნიერები მოდალობის საკითხს სწავლობენ წინადადებასთან კავშირში. აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვმა მოდალობის საკითხი დააყენა ახლებურად, ვიდრე ესა აქვთ საზღვარგარეთის ლინგვისტებს. „Грамматические отношения могут быть двоякого рода: либо объективно-синтаксические отношения между словами в словосочетании, в предложении, либо отношения всего высказывания или предложения к реальности, называемые субъективно-объективными или модальными“³.

ამემაღ მოდალობის აღიარებულ განმარტებად ითვლება გამონათქვამის შინაარსის დამოკიდებულება სინამდვილისადმი: „Модальность (от лат. modus—мерта, как грамматический термин: наклонение) — одна из основных категорий, выражающая разнообразными средствами — морфологическими, синтаксическими, лексико-грамматическими — отношение содержания речи к объективной действительности“⁴.

¹ Л. Ц. Зиндер, Т. В. Строева — Современный немецкий язык, М., 1957, გვ. 147, სქოლიო 1.

² ჩვენ ვერ დავეთაშვებთ ზინდერისა და სტროევას ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, რადგან, მიუხედავად მოდალობის მრავალფეროვანი ნიუანსებისა შესაძლებელია ამ ნიუანსების განოცემა მოდალობის გამონათქვამის სხვადასხვა საშუალებით, რომელიც კილოს რომელიმე ფორმაში ვლინდება; წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი რჩება... Что понятие модальности не исчерпывается наклонением; кавდე მეტი: იგივე ავტორები ზომ არ აღიარებენ კილოს სახეების ზრდას, რომლის შესახებაც აღნიშნულია ზემოთ? (გვ. 312, სქოლიო: 2, 4).

³ В. В. Виноградов, Русский язык, грамматическое учение о слове, М., 1947, გვ. 725.

⁴ Большая Советская Энциклопедия, 28



მოდლობის კატეგორიასთან დაკავშირებულ პრობლემას ეხება აკად. ვინოგრადოვის შრომა (Русский язык, грамматическое учение о слове, М., 1947, გვ. 581—604, 725—743). ამ შრომაში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოდალობის კატეგორიას. ვინოგრადოვის შეხედულებით მოდალობის საკითხი წარმოადგენს სინტაქსის ერთ-ერთ ძირითად საკითხთაგანს. მას განსაკუთრებით აინტერესებს მოდალური სიტყვების, მოდალური ნაწილაკების და მოდალური სიტყვათშეკავშირების საკითხი. ასევე ყურადღებით ეპყრობა იგი კილოსა და მოდალური სიტყვების ურთიერთკავშირს.

ზოგაერთი საბჭოთა გერმანისტი მოდალობას ასე განმარტავს: „Nach der Stellungnahme des Sprechenden zur Aussage (Modalität des Satzes) unterscheidet man zwei Satzarten: 1) Sätze, in denen etwas als Tatsache hingestellt wird, und 2) Sätze, in denen etwas als wünschenswert, unreal, möglich bzw. unmöglich usw. bezeichnet wird. Die wichtigsten Mittel, die Modalität des Satzes auszudrücken, sind die Modi, einige Zeitformen (das Futur I und II), die Modalverben und einige andere Verben mit modaler Bedeutung sowie Modalwörter“¹.

წინადადების მოცემული განმარტება ძირითადად მიუთითებს მოლაპარაკის დამოკიდებულებაზე გამონათქვამისადმი (die Stellungnahme des Sprechenden zur Aussage — რ. ბ.), რომლის შედეგად გვეძლევა წინადადების ორი სახე, წინადადების მოდალობის გამოსახატავად კი ამ განმარტების ავტორები, სხვების მსგავსად, აღიარებენ პირველ რიგში, კილოებს (Modi), შემდეგ კი — მოდალურ ზმნებს, მოდალურ სიტყვებს და ა. შ. კიდევ: „Под модальностью предложения (die Modalität des Satzes) понимается соотношение высказывания с действительностью, выражаемая в предложении различными средствами...“²

ამ განმარტებაში ხაზგასმულია გამონათქვამის (ე. ი. მოქმედების) დამოკიდებულება სინამდვილისადმი, რაც გამოიხატება წინადადებაში სხვადასხვა საშუალებით. შემდეგ: „Таким образом, категория модальности — это система грамматических значе-

¹ М. Г. Арсенъева, Е. В. Гассилевитш и др. — Грамматик der deutschen Sprache, М., 1960, გვ. 230.

² Е. В. Гулыга, М. Д. Натанзон — Грамматика немецкого языка, М., 1957, გვ. 214.



ний, указывающих на отношение содержания речи к действительности, а иногда и волеизъявление говорящего¹.

აქ ე. ა. კრაშენინიკოვა ხაზს უსვამს როგორც გამონათქვამის შინაარსის ასევე ზოლაპარაკის ნება—გამომკლავნების დამოკიდებულებას ობიექტურად არსებული სინამდვილისადმი².

4. ფორმისა და შინაარსის საკითხი კილოსა და მოდალობის კატეგორიების ურთიერთმიმართებაში

მარქსაზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ენას განსაზღვრავენ როგორც ურთიერთ გაგებინების უმნიშვნელოვანეს საშუალებას. დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ ჩვენი აზრები წარმოადგენენ ასახვას გარესამყაროსას. რომელიც არსებობს ჩვენს გაჩეხე, ჩვენგან დამოუკიდებლად: „ჩვენი შეგრძნებანი, ჩვენი ცნობიერება მხოლოდ საეა გარეგანი სამყაროსი, და თავისთავად ეასაგებია, რომ ასახვას არ შეუძლია ასახულის დამოუკიდებლად იარსებოს, მაგრამ ასახული არსებობს ამსახველის დამოუკიდებლად³.

ამგვარად, ჩვენ ყოველი გამონათქვამის შინაარსში გვეძლევა გარესამყაროს მოვლენა ან პროცესი; ჩვენი გამონათქვამი კი—სპეციალურ ენობრივ გარსში, გრამატიკულ ფორმაში ანუ წინადადებაში; წინადადება კი კილოს რომელიმე ფორმაში ელინდება. ზეტყველების პროცესში ენის საშუალებით ადამიანს შეუძლია გადმოგვეცეს არა მარტო ისეთი მოვლენები და პროცესები, რომლებიც სინამდვილეში მიმდინარეობენ (ე. ი. რეალურია), არამედ — ისეთებიც, რომლებიც, მასი შეხედულებით, გაჩვეულ შემთხვევებში მხოლოდ შესაძლებელია. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი მოვლენა, რომელიც ხდება, მოხდა, ან მოხდება; ან კიდევ ისეთიც, რომელიც ჩვენი შეხედულებით, ალბათ, მოხდა, ხდება ან მოხდება. ყოველ წინადადებაში, გარდა გარესამყაროს რომელიმე მოვლენისა, გვეძლევა ზოლაპარაკის თვალსაზრისიც, კერძოდ: რა დამოკიდებულებაშია მისი გამონათქვამი სინამდვილისადმი. ზოლაპარაკის თვალსაზრისის გადმოცემის აუცილებლობამ მოითხოვა საამისოდ სპეციალური გრამატიკული საშუალებები და ამ საშუ-

¹ Е. А. Крашениникова — модальные глаголы в немецком языке. М., 1954. გვ. 6.

² განსხვავებით სხვებისაგან ე. ა. კრაშენინიკოვა მოდალობის კატეგორიას გრამატიკულ მარშველობათა სისტემასაც უწოდებს (რ. ბ.).

³ ე. ი. ლენინი — მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხუხულებანი, ტ. 14, 1950 წ., გვ. 75.

აღებების განოცალკავება ენაში. ასეთ სპეციალურ ენობრივ საშუალებას წარმოადგენს. ერთის მხრივ, გრამატიკული კატეგორია (კილო) და, მეორე მხრივ, მოდალობის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება (ლექსიკური, მოდალური კონსტრუქციები და სხვა).

მოდლობა, როგორც წინადადების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. შეიცავს შეფასებას, რომელსაც სუბიექტი აძლევს გამონათქვამს. წინადადებას შინაარსის სინამდვილის შეფასების დროს შეიძლება დავადგინოთ მოდალობის ძირითადი სახეები: მოლაპარაკის ნიერ მოქმედებას, მვგომარეობის მიჩნევა რეალურად ან არარეალურად. ამ ორ პოზიციას შორის — რეალობასა და არარეალობას შორის — განლაგდება მოდალური მნიშვნელობათა შუალედური ნიუანსები. ამგვარად, წინადადების მოდალური ხასიათის საერთო სურათი რთულია. თუ მოლაპარაკე თავის გამონათქვამს სინამდვილის უშუალო ასახვის შეფასებას აძლევს ე. ი. თუ წინადადების შინაარსში რეალობაა, მაშინ ასეთი მოდალობის გამომატველ ენობრივ ფორმად — თხრობითი კილო (ინდიკატივი) გამოდის. თუ მოლაპარაკე თავის გამონათქვამს არ აძლევს სინამდვილის უშუალო ასახვის შეფასებას, მაშინ წინადადების შინაარსი არარეალურია; ასეთი შინაარსის გამომატველ ენობრივ საშუალებად — კავშირებითი (კონიუნქტივი) გამოდის. რამდენადაც სუბიექტი თავის გამონათქვამში უშუალოდ ასახავს ობიექტურად არსებულ სინამდვილეს და იძლევა მის რეალურ შეფასებას, ამდენად თხრობითი კალოს (ინდიკატივი) მოდალობა ობიექტურ ხასიათს ატარებს. მაშასადამე, ინდიკატივი, როგორც ენობრივი ფორმა, გადმოსცემს ობიექტურ ხასიათის მატარებელ მოდალობას; კილოს ეს ფორმა გამოირიცხავს სინამდვილასადმი გამონათქვამის არაპირდაპირ დამოკიდებულებას. რაც შეეება კონიუნქტივის, კილოს ამ ფორმაში გამონათქვამის დამოკიდებულება სინამდვილისადმი არაპირდაპირია. არარეალურია: წინადადების მოდალობა ატარებს სუბიექტურ ხასიათს.

კითხვა ისეა: — კილოს სამავე ფორმა ერთსადაიმავე მოდალობას გადმოსცემს ყოველთვის, თუ არის შემთავეები, როცა ინდიკატივის მოდალობა უალოედება კონიუნქტივის ან იმპერატივის მნიშვნელობას? ამ კითხვაზე შევეიძლა დადებითად ვუპასუხოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მტედველობაში უნდა მივილოთ მოდალობის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება. რომლებაც გამოდიან რა მოდალობის გამოატვის გრამატიკულ საშუალებასთან ერთად (კი-



ლოს სამივე ფორმა), შეაქვთ მასში მოდალობის თავისებური ფერი¹.

„Однако изъявительное наклонение обозначает не только реальность того или иного действия... некоторые формы изъявительного наклонения (в частности, формы будущего времени) могут иметь и значения, близкие к значениям косвенных (сослагательное, повелительное — რ. ბ.) наклонений“².

ზმნის კილოს ფორმები არ შეიძლება არსებობდნენ მოდალობის გარეშე; არც მოდალობას შეუძლია იარსებოს კილოს რწმენლიმე ფორმის გარეშე; კილო ფორმაა, მოდალობა კი წინაარსი³. თუ კილოს ერთი ფორმის მნიშვნელობა უახლოვდება კილოს მეორე ან მესამე ფორმის მნიშვნელობას, ეს იწას ნიშნავს, რომ ისინი ერთ-მანეთს უახლოვდებიან მოდალობის რომელიმე ნიუანსით. კილოს ფორმების მნიშვნელობათა დაახლოვება ნათი მოდალობების დაახლოვებას უდრის. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ კილოს ფორმების მოდალობის (მნიშვნელობების) მხრივ ურთიერთდაახლოვება არ უდრის არც კილოს სახეების იგივეობას და არც მათი მნიშვნელობათა აბსოლუტურ მსგავსებას.

¹ მოდალობის გამოხატვის გრამატიკულ საშუალებას საქუთარი მოდალობა აქვს, მაგრამ თუ მის პარალელურად მოდალობის გამოხატვის სხვა რაცილიმე საშუალება გამოდის, მაშინ შეიძლება მოდალობის გამოხატვის გრამატიკული საშუალება იგივე დარჩეს, მაგრამ მოდალობა მისი შესატყვისი არ იქნეს; დაირღვეს ტოლობა კილოსა და მოდალობას შორის; მაგალითად: *Erist gekommen* აქ ინდიკატივი = თბიქტურ მოდალობას; *Er ist vielleicht gekommen* აქ კილო იგივე დარჩა, მაგრამ მისი შესატყვისი მოდალობა შეიცვალა მოდალური სიტყვით *vielleicht* და მოცემული მოდალობა დაუახლოვდა კონიუნქტივის მნიშვნელობას. მაშასადამე, წინადადების მოდალობა ზოგჯერ არ შეესატყვისება კილოს ფორმას: „...В первом случае (он пришел — რ. ბ.) изъявительное наклонение, как ему свойственно, выражает реальный факт... Во втором случае (может быть, он пришел — რ. ბ.) эта функция индикатива порализуется модальным словом — может быть, так что предложение в целом выражает не реальный факт, а предположение. Таким образом, модальность предложения не соответствует наклонению глагола и определяется не им“. (Б. А. Ильинш — Современный английский язык, теоретический курс, М., 1948, გვ. 190).

² К. А. Левковская — Немецкий язык, часть I, М., 1960, გვ. 167.

³ ზოგიერთი საბჭოთა გერმანისტი მოდალობას გრამატიკულ მნიშვნელობასაც კი უწოდებს (ზინდერი, სტროვა); ზოგი კილოს მნიშვნელობას (ლევკოვსკაია) (რ. ბ.).

სააქოთა გერმანისტების განმარტებებიდან ნათელია, რომ მოდალობა არა მარტო მოქმედების სინამდვილისადმი დამოკიდებულებაა, არამედ — მოქმედი პირისაც მოქმედებისადმი (გამონათქვამისადმი). როგორც პირველ შემთხვევაში (მოქმედების დამოკიდებულება ობიექტურად არსებული სინამდვილისადმი), ისე მეორე შემთხვევაში (მოლაპარაკის დამოკიდებულება მოქმედებისადმი) ცენტრალური ადგილი უჭირავს სუბიექტს, რადგან იგი იძლევა შეფასებას იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაშია მოქმედება სინამდვილისადმი და რა დამოკიდებულებაშია თვითონ სუბიექტი მოქმედებისადმი. ორივე შემთხვევაში შეფასების შედეგი აისახება გამონათქვამში. დაშვებით, პირველ შემთხვევაში სუბიექტი ობიექტურად არსებულ სინამდვილეს უკავშირდება შუალობის გზით — გამონათქვამით, რომელშიც მოქმედება ან მდგომარეობა გვეძლევა; მეორე შემთხვევაშიც ანალოგიური მდგომარეობა გვეძლევა; სუბიექტი უკავშირდება გამონათქვამს შუალობის გზით¹. მოდალობის ეს ორი მხარე ერთანეთს ავსებს და ერთმანეთს განაპირობებს; ისინი კილოს კატეგორიის შინაარსს ქმნიან და მასში ვლინდებიან, საინტერესოა — მოდალობის როგორ მხარეს გადმოსცემს კილო? პირველ რიგში კილომ უნდა გადმოსცეს მოდალობის პირველი მხარე (დამოკიდებულება მოქმედების სინამდვილისადმი); მოდალობის მეორე მხარეს კი (სუბიექტის დამოკიდებულება გამონათქვამისადმი) კილოს კატეგორია უკავშირდება შუალობით — მოდალობის გამომსატველი საშუალებებით; ეს უკანასკნელი კი თვით კილოს რომელიმე ფორმაში გვეძლევიან. მოდალობის კატეგორიის გამომსატველი საშუალებანი ხშირად გამოდიან რა კილოს ფორმების პარალელურად, შეაქვთ მასში შესატყვისი ცვლილებანი მოდალობის წსრივ, იმ დროს როცა კილოს ესა თუ ის ფორმა იგივე რჩება. ამგვარად, კილო, როგორც მოდალობის გამომსატვის გრამატიკული ფორმა უფრო აბსტრაქტიულია, ვიდრე მოდალობის გამომსატვის საშუალებანი.

ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება ვადაკეთოთ რამოდენიმე დასკვნა:

ა) კილო, როგორც მოდალობის გამომსატვის გრამატიკული საშუალება, წარმოადგენს იმ ენობრივ ჩარჩოს, იმ ენობრივ ფორმას, რომლის შეცვლასთან ერთად იცვლება მისი შინაარსიც,

¹ სუბიექტსა და მოქმედებას შორის შუამავლის როლს ასრულებენ მოდალობის გამომსატველი საშუალებანი; პირველ რიგში მოდალური წინები; ამ უკანასკნელთან კი მოლაპარაკე (სუბიექტი) უშუალოდაა დაკავშირებული (რ. ზ.).

ბ) მოდალობა, როგორც მოქმედების დამოკიდებულება ობიექტურად არსებული სინამდვილისადმი ან სუბიექტისა გამონათქვამისადმი, წარმოადგენს კილოს შინაარსს, მის მნიშვნელობას, რომლის შეცვლასთან ერთად ცვლილება ხდება თვით კილოში¹.

გ) მოდალობის გამოხატვის გრამატიკული საშუალება დამოუკიდებელია მოდალობის გამოხატვის დანარჩენი საშუალებებისაგან; ეს უკანასკნელნი კი პირველის გარეშე (კილოს გარეშე) არ არსებობენ.

დ) მოდალობა, როგორც კილოს შინაარსი და მნიშვნელობა, განიცდის განვითარებას ადანიანის აზროვნების პარალელურად; შესაბამისად ამისა ვითარდებიან ამ კატეგორიის გამომხატველი ფორმები.

ე) კილოს შინაარსობრივი ზრდა არ იწვევს კილოს ფორმების რაოდენობრივ ზრდას მისი აბსტრაქტულობის გამო; ამიტომ თქმა იმისა, რომ სხვადასხვა ენაში კილოს რაოდენობა სხვადასხვაა, დაზუსტებას მოითხოვს.

¹ კილოში ცვლილება უნდა გავიგოთ როგორც მოდალობის გამომხატველ საშუალებათა რომელიმე ფორმის შეტანა კილოში, ე. ი. მოდალობის გამომხატველ გრამატიკულ საშუალებაში.

ი. ჯ ლ ა რ კ ა ვ ა

სათნოების აღზრდის საკითხები XVII, XVIII საუკუნეების
ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში

განახლების ხანის ქართული პედაგოგიური აზროვნება, რომელიც ლატერატურული ფორმის საბურველით გვევლინება, არჩილიდან მოყოლებული გურამიშვილამდე ზნეობისა და ზნეობრივი აღზრდის საკითხებს საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა. საკითხთა ამ წრისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამო ბევრი ქართველი მკვლევარი მათ მორალისტ მოაზროვნებადაც კი თვლის. ეს არცაა გასაკვირი. განმანათლებლებს აინტერესებთ ზნეობის არსის, წარმოშობის, მიზან ამოცანის ყველა საკვანძო საკითხი, და ორიგინალურადაც სწევეტენ მათ. ჩვენ ქვემოთ განმანათლებელთა ზნეობრივი იდეალისა და მათ მიერ დასახული სათნო ადამიანის აღზრდის გზებზე ვისაუბრებთ. ძველი ბერძნებისა და ქრისტიან მორალისტებისაგან განსხვავებით ქართველ განმანათლებლებს ეთიკის თეორიები არ შეუქმნიათ; მაგრამ შეგონებებითა და დარიგებებით, რასაც თავიანთ შრომებში იძლევიან, უთუოდ, ეთიკის მონაპოვარსა და ქართულ ყოფას ეკრძნობიან. ზნეობისა და ზნეობრივ აღზრდაზე ქართული რენესანსისა და უკვდავი რუსთაველის შემდეგ საგანგებოდ დიდია მათი ღვაწლი და ამაგი. განმანათლებლებმა იციან რომ ადამიანობა ქცევაში მელაენდება, მორალით გამოიხატება, საზოგადოებრივი ცხოვრების, რწმენის, აღზრდის და სხვა ფაქტორთა წყალობით ადამიანი ასე და არა სხვაგვარად იქცევა, რომ ადამიანთა ცალკეულ ქცევაში ჩანს მათი ცხოვრების მთელი ჩვევები, ხასიათი და მრწამსი. მორალი წმინდა ადამიანური მოვლენაა, ის ადამიანის შრომისადმი, სოციალური სინამდვილისადმი, საზოგადოებისადმი დამოკიდებულებაში ყალიბდება და მასშივე მელაენდება. ყოველი დროის ადამიანი ცხოვრების აზრს, მიზან-ამოცანასა და დანიშნულებას ეძებდა და მას თავისებურად წყვეტდა. ზნეობრივი ცხოვრების მაღალი იდეალი ამალლებდა, მდაბალი კი ამდაბლებდა მას. წოდებრივად დაყოვილ ფეოდალურ საქართველოში ადამიანის ზნეობ-

რივი იდეალი დიფერენცირებული გვევლინებოდა: რაც ზნეობრივ სი-
 მალღედ მიაჩნდა ერთ წოდებას, მეორეს შეიძლებოდა იგი უზნეობა-
 დაც ეჩვენებოდა. სიკეთე არსებითად მშრომელებშია, სიახე ფეოდა-
 ლთა ზედა ფენებში. იცვლება ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვ-
 რების ფორმები, იცვლება მორალიც. მოწინავე ადამიანებს ევალებ-
 ბათ ადამიანთა საზოგადოებას ნათლად დაანახოს ის, თუ რა უნდა
 აკეთოს მან და რისთვის; უჩვენოს სიცოცხლის აზრი, მიზან-ამო-
 ცანა და დანიშნულება; სიკეთის ზნეობრივი იდეალი, სიკეთისათვის
 ბრძოლა ბედნიერებისათვის ბრძოლაა. ბედნიერება ფეოდალურ
 ანგორცობაში როდია, არამედ სულიერ ნეტარებასა და ტკობაში,
 სიბრძნის დაუფლებაში, სიმამაცის, სივაჟაკის, სიფაქიზე-სიკოხტა-
 ვის მიღწევაში. გაკეთილშობილებული ქართველი ვიტალურ მოთხო-
 ვნილებაზე უფრო საქვეყნო, საკაცობრიო სიკეთის, სიმშვენიერის
 და ჭეშმარიტებისადმი სამსახურის იდეით სულდგმულობს. „არჩი-
 ლიანი“, ვახტანგის თხზულებანი, „დავითიანი“ და აღორძინების
 ხანის სხვა ძეგლები ამის დამადასტურებელ არა ერთ საბუთს იძ-
 ლევიან. პირადი ბედნიერებისათვის ბრძოლა განმანათლებლებთათ-
 ვის საზოგადოებრივი ბედნიერებისათვის ბრძოლაა და პირიქით,
 საზოგადოებრივი ბედნიერება პირადი ბედნიერებაცაა. ბედნიერება
 თავისთავად არც უტილიტარისტულ და არც მიღმურ კატეგორი-
 ებშია საძებარი, არამედ პირად მოთხოვნილებასა და საზოგადო-
 ებრივ მოვალეობას შორის შინაგან პარმონიაში. პრინციპულად
 სწორი ეს აზრი რელიგიისა და ზოგი სხვა შეზღუდვათა შემოტანით
 მათ ბოლომდე არ განუვითარებიათ. სუბიექტურ მოთხოვნილებათა
 დაკმაყოფილების ფეოდალური თავაშვებულობა, ისე მშრომელებში
 ზედა წოდებათა სასარგებლოდ მათი დაოკება, სოციალურად საზი-
 ანოა და გასაკიცხი. ადამიანი იდეალური უნარ-თვისებით იზადება.
 მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად
 მას თანყვება მრავალი სახის მისწრაფება-მიდრეკილება. მათი მე-
 შვეობით ის თავდაცვასა, გვარის გაგრძელებასა და სიკეთეთა სხვა
 სახესაც აღწევს. ფეოდალურ საქართველოში ადამიანური მოთხოვ-
 ნები საზოგადოებრივ მოვალეობას ეწინააღმდეგება. შეცვლილ ვი-
 თარებაში კი-საზოგადოებრივი მოვალეობა და ადამიანის შინაგანი
 მოთხოვნილება გაერთმთლიანდება ხალხში, ხოლო თავიდანვე აღ-
 ზრდით დაინერგება ბავშვში. ჩვენთვის ცნობილია: ადამიანის ქცევა
 ზნეობრივია მაშინ, თუ ის გაპირობებულია სიკეთის სუბიექტური
 მოთხოვნილებით და არა რაიმე გარეგანი და შინაგანი იძულებით
 (ჯილდო, დასჯა და ა. შ.).



უკვე ჰუმანური და ადამიანური დანიშნულება მიიღო. განმანათლებლებს საკითხის ამ მხარეზე უფრო სტუმართმოყვარეობის თვითწესი და ხალხში, კერძოდ, ახალგაზრდობაში, მისი დანერგვის საქმე აინტერესებთ, მაგრამ ამაზე ქვემოთ. ისინი ხელებიან, რომ მოვალეობის ზნეობრივი გრძნობით ხელმძღვანელობას ყოველთვის თან ახლავს შინაგანი სისწრაფი, თვითკმაყოფილება და სიამოვნების განცდა. მათი სწორი აზრით საზოგადოებაში არის, თუ შეიძლება ითქვას, ზნეობრივი ქცევის საშუალო, რაზედაც დაბალი უზნეობაა, მაღალი კი-იდეალი. ზნეობრივი იდეალი გვახალისებს ჩვენ ცხოვრებაში, შრომასა და ბრძოლაში. მათ იციან, რომ ის, ვინც ზნეობრივ იდეალს საზოგადოებაში შიშით, ან ანგარებით ასრულებს, მორალური აზრით ჯერ კიდევ ბავშვია. აღსაზრდელი. მას ჯერ კიდევ არ შეიძლება ზნესრული ვუწოდოთ. როცა ზნეობრივი იდეალი რიგი კონკრეტული სახით სულხორციულად დაეუფლება პიროვნებას, მისთვის მეორე ბუნებად, ჩვეულებად იქცევა, მაშინაა ის აღზრდილი და ჩამოყალიბებული. ზნესრული ქართველი სიკეთისადმი სიყვარულით იზრდება და ვითარდება. ზნეობრივი იდეალი, ბავშვში თავიდანვე ადვილად ინერგება. ანისათვის მას შესაფერი უნარიც ჰყვება. აღზრდით შეიძლება მისი გონიერული ამოქმედება; ბავშვის სურვილებისა და საზოგადოებრივ მოვალეობათა შინაგანი შეხამებით ზნეობრივ გრძნობამდე ამაღლება. სიკეთის ზნეობრივი იდეალი ბავშვში სიბრძნის, სიმაჰაცის, სიმშვენეირის, სიმედგრის და ბევრ სხვა თვისებათა მიხედვით აღზრდას მოითხოვს.

თვისებათა ამ ჯამით ბავშვის შეიარაღება დედის პირველი აღზრდიდან იწყება, შემდეგ კი მას დაჯილდოების იმედითა და დასჯის შიშით მასწავლებელი, სკოლა, ეკლესია და სახელმწიფო აგრძელებს და ასრულებს. მომავალი მამულიშვილის აღზრდა, პირველყოვლისა აღზრდელ-აღსაზრდელის ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე იგება. დასაწყისში ეს სიყვარული დედა-შვილური სიყვარულია, შემდეგ კი თანდათან მშობლიური კერის, კუთხის, სამშობლო ქვეყნის, ახლობლის, ნათესავის, ნაცნობისა და ადამიანთა სიყვარულზე გადადის. თავის თავზე ზრუნვისა და სიყვარულის შედეგად სხვისადმი ზრუნვასა და სიყვარულსაც ეწყვევა. ყოველი უმნიშვნელო საგანი თუ მოვლენა, რაც კი ხელს გვიშლის ამ გზაზე, უნდა ავლევკვეთოთ აღზრდაში. ყოველი გრძნობა, მათ შორის ზნეობრივი გრძნობაც, სიამოვნება ან უსიამოვნებას იწვევს პიროვნებაში. ადამიანი, მით უფრო ბავშვი,



სიამოვნებას ელტვის და უსიამოვნებას გაუბრის. საზემოქმედო რეზონანსობათა შერჩევაში, მათი აზრით, ესაა მთავარი. შინაგანად ბავშვი სიამოვნებს, და ამდენად, თავისუფლებას ელტვის; თამაშობს, ერთობა, მაგრამ ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაში წინააღმდეგობებს ხვდება, ავალებენ მოიქცეს ასე და არა ისე, როგორც იქცევა. მას გარკვეულ მოვალეობას უყენებენ და ამის შესრულებასაც ავალებენ. ეს კი ყოველთვის სიამოვნებას როდი ანიჭებს ბავშვს, არამედ შესაძლოა სამძიმო, ან მტკივნეულიც იყოს. მეთოდთა მრავალგვარობა აღზრდაში მოზარდისადმი წაყენებული მოვალეობის მოთხოვნილებათ, ამდენად, სიამოვნებად ქცევის ინტერესით აიხსნება. ზნეობრივი მოვალეობა საზოგადოებრივად დამუშავებულ და ღირებულად მიჩნეულ ადათ-წესთა კრებადობას გულისხმობს. ფეოდალური ადათ-წესები, რათქმუნდა, განმანათლებლებს არ მოსწონდათ. ნაშრომში „საქართველოს ზნეობანი“ არჩილი, მეტ-ნაკლებად სხვებიც, ზნესრული ქართველის მისაღებად წესთა ახალ ნორმებს გეთავაზობს; პროგრესულ საწყისებზე „ქცევის წესები“ დასავლეთში უკვე დამუშავებული იყო კომენსკის მიერ, ყურადღებას იქცევდა „დომოსტროიც“ და ზოგა სხვაც. ჩვენ დაბეჯითებით არ ვიცით იცნობდნენ თუ არა მათ განმანათლებლები, თუმც სულიერი სიბალოცე და ურთიერთნათესაობა კომენსკის „ქცევის წესებსა“ და არჩილის დასახელებულ „ზნეობათა“ შორის დაქტია. ქცევის ყოველი წესი ამა თუ იმ სახის პიროვნების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. ის შინაარსს აძლევს მოზარდის ზნეობრივ ფორმირებას. „საქართველოს ზნეობანიც“ განაწლებულ საქართველოში გაკეთილშობილებული მასულიშვილის აღზრდას ისახავს მიზნად. ყოველ წესს, მით უფრო ხოსწავლის „ქცევის წესს“, დაცვა უყვარს. „საქართველოს ზნეობანას“ სოთხოვნილებათა დანერგვა, ბავშვისათვის მის მეორე ბუნებად ქცევა, ზნეობრივი აღზრდის ძირითადი ამოცანაა. ამ გზაზე, საჭიროა პირველყოვლისა, ბავშვმა იცოდეს ის, რაც უნდა აკეთოს, ე. ი. ქცევის წესი და შეჰდევ მის მიტღვით იმოქმედოს.

ბავშვის მიერ წესის დასწავლის გზაზე დიდ როლს ითამაშებს მასალის განმეორება, ვარჯიში, ყოველი წესის გააზრებითა და შინაგანი დარწმუნებით მიღება, როგორც საკუთარი, ისე სავისი ქცევისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შემუშავება. ძვირფასია ასევე უფროსთა პირადი მაგალითი. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენი განსჯისა და ქცევის თანმოსტევის ჩვენებით ბავშვში შეკრული მთლიანა პიროვნების აღზრდა.



განმანათლებლები კარგი ქცევისათვის ბავშვის დაჯილდოებას ცუდისათვის—დასჯასაც და, სულხან-საბას გამოკლებით, სამწუხაროდ, ფიზიკურ დასჯასაც მოითხოვენ. მაგრამ დასჯა თუ წაბლისება საჭაროა ბავშვში ზნეობრივი გრძობის განმტკიცებამდე შემდეგ ეს ხელოვნური სამკაული ზედმეტად უნდა ვაქციოთ. სწავლასა და შრომაში ანგარებითა და შიშით კი არ უნდა ვამოქმედოთ ბავშვი, არამედ საქმისადმი სიყვარულით. ზოგად ბავშვში სათნოებისა და სათნო ადამიანის აღზრდის საკითხებზე განმანათლებელთა ნააზრევით, რამდენად სრულად არ იყოს წარმოდგენილ შრომაში, ბევრად მას მაინც ეპოქის ცალკეულ მოღვაწეთა ნააზრევის თანამდევრული მიმოხილვა შეავსებდა.

არჩილი (1647—1713 წ.წ.)

განახლების ხანის ქართულ პედაგოგიურ აზრს სათავეში არჩილი უდგას, ღლო მის მიერ გაკაფულ გზას სულხან ორბელიანი, ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი აგრძელებენ. ჩვენც მათ შეხედულებებს ამავდენ თანამდევრობით წარმოვადგენთ.

მოცემულ ეპოქაში სათნობისა და სათნო ადამიანის აღზრდის საკითხებზე არჩილი სწორუმოკარი ფალავანია.

არჩილი პრაქტიკული ეთიკისა და პედაგოგიკის ბევრი საკვანძო საკითხებითაა დაინტერესებული. გულმოდგინედ ქადაგებს თუ რა უნდა აკეთოს და რისთვის უნდა იბრძოდოს ცხოვრებაში ზრდილმა ქართველმა. სათნოების იდეალს ეძებს და მას ძველი ბერძენების მსგავსად, სიკეთეში ხედავს. სიკეთე ადამიანურ ბედნიერებაშია, ბედნიერება მოთაფნილებათა დაკმაყოფილებაში, თავგამოდებით კიცხავს ფეოდალურ ღორმუცელობასა და აღვირახსნილობით მოთხოვნილებას. იგი ბედნიერებას უთუოდ გულით, გრძნობით და გონებით განსჯილ ადამიანურ კარგ ქცევაში ხედავს.

მისი აზრით ფეოდალური საქართველო ავშარახველებს ამზადებს. ასეთებს თავგამოდებით აძაგებს.

„ვინ უძღებება შეიტკბოს, მას ნივთი არა ეყოს რა, სრულ ტახტად ჰქონდეს ქვეყანა, არცა არა ის რა თუ ეყოს რა“ (არჩილიანი“ ტ. I, გვ. 37).

ენამლიქვნელი მოძვეთა შორის „ანაზღათ აღძრავს რისხვასა, შეიქს ცეცხლ მოკიდებულსა“. („არჩილიანი“ ტ. II, გვ. 83). „არჩილიანიში“ არანაკლებ გაკილულია ქურდბაცაცა-ავაზაკი, ამპარტავან-თავცედი და კითავაზე—თანამედროვე საქართველოში „რანი ვართ კაცნი?“—პასუაიღს—



„ცუნდრუენი, არა თუ საწყალობელნი, წუწენი მიმდონი სოფელნი, თვისის სჯულისა მგმობელნი, მოთნენი, თავთა ვერ მებდნი, მეგობართ მაგიობელნი, უნდოთა ყოვლთა ბრძენთასა ან ქვე რას გეშობენ შობებლნი?“ (ტ. I, გვ. 119).

ფეოდალური ავზნობანი, იცის მან, რიგი არხებით ვრცელდება საზოგადოებაში და სულიერად ამდაბლებს მას.

„ვერ ზედავა, მარტო ჩვენს ეაშვი, რამდენი ავი რამ იქნა? რა ცრუ ფიცობა, რა ზაკვა, უნამუსობა, რა ლიქნა?“ (ტ. I, გვ. 12)— აცხადებს არჩილი. წოდებრივ საქართველოში მორალის წოდებრივია, ფეოდალის, გლეხის, ვაჭრის, ხელოსნის და სხვა საზოგადოებრივ ფენათა შესატყვისი; ერთად აღებული კი არსებული ყოფისა და წყობის განკამტყიცებელი. განაალებული საქართველოსა და ზნესრული ქართველის აღზრდის აზრით ყველაფერი ეს უარსაყოფი და შესაცვლელია. სოციალურად ღირებული ზნეობრივი იდეალი პროგრესული აზრის საქმეა— მისი დამკვიდრება და ხალხში განმტყიცება აღზრდისა და კანონის. არჩილმა ადამიანობა სიკეთეში ნახა, ხოლო მის ქვეშ სიბრძნე, სიმაჟაცე, ზომიერება, სამართლიანობა, რწმენა და სიყვარული იქადაგა. „საქართველოს ზნეობანი“ თავისი დროისათვის მოწინავე მორალის ქადაგება იყო საზოგადოებაში. ადამიანობა კაცთმოყვარეობაშია, სავისადმი შეგნებულ ზრუნვაში. „კაცი უნდა ვით თავისა სხვათაც აგრეთვე მოყვარე“ (ტ. I, გვ. 100)— აცხადებს იგი. ზნესრული ქართველი არჩილისათვის, უთუოდ, თანამომდისადმი გულთბილი და გულუაფვი ადამიანია, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი მაღალი მორალური იდეით გატაცებული. შემცველი მომავალი თაობა ამ გრძნობით უნდა აღეზარდოთ. ყველასათვის, მით უფრო ახალგაზრდისათვის, ადამიანური იდეალი მან ასე დაგვისურათხატა:

„კაცი უნდა პირველ იყოს მართალი და ღვთის მოშიში, სჯულმტკიცე და მოსამართლე, ნათლისღების ედვას ნიში, მამაცი და თავმდაბალი, ამხანაგის არ მოიში, და პურადი კაცის გამწყო, ნუ მარტო ზის ვითა ქვიში“ (იქვე, გვ. 68).

არსებითად დგას რა, „მწარე თუ გესმის სხვისაგან, შენ სიტყბოებით შენელოს“ (იქვე, 119 გვ.) ქრისტიანულ ეთიკაზე, მაინც იგი სამშობლო ქვეყნის სანუკვარ მერმისისათვის მებრძოლ მორალსა და მოზარდის მით ფორმირებას უმღერის. რაც აღნიშვნის ღირსია, სათნოებისა და სათნო ადამიანის აღზრდაზე არჩილის სწავლება ისტორიული კონკრეტულობითაა გაპირობებული და აპოლიტიკურობას და აკლასიურობას არ ეგუება. იმაზედაც უნდა მიკუთითოთ, რომ



არჩილს კაცთმოყვარეობის უნატიფესი გრძნობა ნაციონალური ნაქვეყნის კუთხის დაძლევიტ ადამიანთმოყვარეობამდე აყავს. იგი დგას შეხედულებაზე: „კაცს უყვარს ღვრთის მოყვარესა ყოველი კაცი სრულობით“.—(იქვე, გვ. 74). დედისა და მამის, ახლობელისა და ნათესავის, ტოლისა და ამხანაგის სიყვარული და სითბო თავიდანვე ადამიანთმოყვარეობის გრძნობით ზრდის ბავშვს. მართლაცდა თუ ისინი გონიერულად და გულწრფელად ეყვარება, სავსაც მსგავსადვე შეიყვარებს. კაცთმოყვარე სინდისნამუსიანია, მთლიანი პიროვნებაა. მოქმელიცაა და მკეთებელიც. „თქმა და არა ქნა—სარცხვენელ ჰყოფს კაცსა გათავებულსა“ (ტ. I, გვ. 75)—წერდა იგი. სინდისი ადამიანის სწორი მოქმედების შინაგანად განმსაზღვრელი ძალაა. ასე, მაგ., ჯანსაღ საზოგადოებრივ ადამიანს თუ ვარღვევ და ცუდად ვიქცევი, მაგრამ შინაგანად რალაც მაწუხებს, ეს სინდისის ხმაა. ცუდ მოქცევამდე, და თუ ასეთი შესრულდა,—მის შემდეგაც, სინდისის შინაგანი ხმა გვაფრთხილებს და კურსს ყოველთვის უკეთესისაკენ გვალეზინებს. სინდისი სწორი ქცევის განმსაზღვრელი შინაგანი ძალაა, ადამიანის ზნეობრივი მომწიფების საზომი.

არჩილი სინდისის არსის გარკვევაზე სპეციალურად არ შეჩერებულა. მაგრამ რაც ამ ფონზე უთქვამს თავის დროისათვის, უთუოდ, მოწინავე აზრია. ზნესრული ქართველი, არჩილის რწმენით, გარეგანი თუ შინაგანი იძულებს გარეშე სინდისის ხმით მოქმედებს. თავის მარცხ სინდისი ადამიანურ სამართლიანობაზე იგება. ალაღმართალი, სინდის-ნამუსიანი ქართველი და მისი აღზრდა ძირითადი საზრუნავია არჩილისათვის „კიბედ მოიგე სიმართლე ყოვლისა კარგკაცობისა“ (ტ. I, გვ. 120)—აგონებს ახალგაზრდას და იქვე გულდაჯერებით აცხადებს: „მართალს—მოქმედსა ბოლოყამ ავი არ დაემართება“. (იქვე გვ. 157). ადგილ-მამული, სიმდიდრე, მეფობაც კი „უფრო ღვით და სიმართლით იშოება ეგებები (იქვე, გვ. 47). აქედან შეგონება: „სჯობს სიგლახაკე სიმართლით, ცრუს დიდსა გამდიდრებასა“ (იქვე, გვ. 78). სამართლიანობა, „არჩილიანის“ მიხედვით „მე“-სა და „არა მე“-ს ინტერესთა თანმთხვევაშია, პრინციპით—„ნურვის მოსტაცებ, თვისას დასჯერდი“ (იქვე, გვ. 40), პატიოსნება სამართლიანობის სასწორის სხვის სასარგებლოდ გადასრის შინაგან განწყობაშია. პრინციპათ „ცოტა რამ საკმარისია“ (იქვე გვ. 41). კეთილკაცობის აღზრდის არჩილისებური იდეალი ასევე ადამიანური ღირსების, დიდების, სიტყვის კაცობის ეთიკურ ნორმებსაც მოიცავს. „უმჯობეს არს სახელი კეთილი განძსა მრავალსა“.



ვალსა“ (იქვე, გვ. 52), — აცხადებს იგი და „საქართველოს ზნეობანი“ ახალგაზრდებს თავმოყვარეობისა და თავნებადობის უკეთილშობილესი გრძნობით ზრდის. „ოქროსა ცეცხლით გამოცდის, კაცსა სინებალის ალიო“ (იქვე, გვ. 56) — აგონებს ახალგაზრდას და თან „ცრუ სიტყვას ყურსა ნუ ასენ, ნურცა ენასა გასდისა“ (იქვე, გვ. 7). — ასწავლის მათ. ზნესრულება, „არჩილიანის“ მიხედვით, პირველყოელისა, აღაზიანური პიროვნების შინაგან მოწესრიგებაშია, საზოგადოებრივი მოვალეობის ნებისმიერ შესრულებაში. მოვალეობის შესრულების მოთხოვნილებად ქცევა ბავშვისათვის ხანგრძლივი და რთული საქნა. მას აღზრდით მივალწევთ. ღირებული საზოგადოებრივი მოვალეობანი ბევრგვარია. მაგრამ ბავშვნა, რომ ისინი გაიგოს, და შინაგანად მიიღოს, ამისათვის მათ შერჩევა და პედაგოგიურად გახედვა სჭირდება. ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში ეს უკეთილშობილესი საქმე პირველად არჩილნა შესრულა. „საქართველოს ზნეობანი“ — თ მან ფაქტიურად მოსწავლეთა ქცევის წესები შექნა. მსგავსი დოკუმენტი საქართველოში მანამდე არ ყოფილა და ბადალი მას არც მომდევნო საუკუნეში ყოლია. აზრთა პროგრესულობითა და საკითხთა დალაგებით მას იან ამოს კომენტის „მოსწავლეთა ქცევის წესებიც“ კი შეუძლია დაამშვენოს „დონოისტროიზე“ კი, უთუოდ, ბევრად ზალა დგას. „საქართველოს ზნეობანი“ გაბუჯის სულიერი მოწესრიგების შინაარსი და წყაროა, დისციპლინირებული ქართველის ღონებადების სახელმძღვანელო. თუ როგორ ესმის „საქართველოს ზნეობათა“ ავტორს მოზარდის გონებრივი და ფიზიკური განვითარების საკითხები, ეს ნაწილობრივ ჩვენ სხვაგან განვიხილეთ. ახლა მხოლოდ ქცევის ზნებრივ წესებზე ვისაუბრებთ.

„საქართველოს ზნეობანი“ ითვალისწინებს „გამწყო ხასიათის, უფროს-უმცროსულ, ტოლ ამბანავურ, ობოლ-გაპირებულთა, მეფე ბატონთა“ და სხვ. სოციალური დამოკიდებულების ქცევის ნორმებს და თან მოზარდში მისა დანერგვის გზებსაც სახანს. ჩვენც ასეთივე თანმიმდევრობით წარმოვადგენთ მას. აღამიანთმოყვარეობა, არჩილის თქმით. „გამწყო ხასიათშია“, „შესაყრელობა ალერსში“ (ტ. I, გვ. 3). თავიდანვე სწორი აღზრდით გვევლება მოზარდი ამ დიდი გრძნობით ვაყალიბოთ; სხვისადმი უსულგულო დამოკიდებულების გამომვლენი კი ხელახლა ვზარდოთ. ცხოვრებაში, აგონებს მოზარდთ, დაგვირდება:

„თავის-გუნების კაცს გარდა სხვისაც ბევრისა გაწყობა, ის ვერ მოყვების, ზენ მიპყვე, მობრიყვობს, რეეს ამაცობა“ (იქვე; გვ. 6).



ადამიანებთან ჯანსაღი დამოკიდებულების გრძნობის აღზრდას
 ბავშვში მოითხოვს ქცევის ისეთ წესთა შესრულებას, როგორცაა:

„ზმა და ხუმრობა, სიცილი სხვის ხმისაც მალ გაცივება“ (იქვე-
 გვ. 4.), „...გარდმოვლით ხუმრობის ადვილ შეტყობა, კარგად
 წარმოთქმა სიტყვისა, წყენისა არას დატყობა“ (იქვე, გვ. 6).

საერთოდ კი პიროვნებისათვის სავალდებულოა: „წასვლა, წა-
 მოსვლა, ზედგომა, ჯდომა, ადგომა მოხდენით“ (იქვე, გვ. 7).

„სანდომშიცედეა, ზოხედეა, თვალთ მახვილად ზოიაროს“ (იქვე,
 გვ. 4). „ჯდომაში ფერხი გარეთი, ზეთ არ უნდა დაიდო, პირში
 რა გედვას, ნუ უზნობ, სიტყვის ალვირი აიდო; მეორემ სიტყვა
 აცალე, თუ არ გთნდეს ლუკმა წაიგდო, ხელს ნუ დაიბჯენ; ადგე
 რა, იქ ჯოხი მხარს არ გაიდო“ (იქვე, გვ. 8) „წინ ჯდომით, უკან
 უკუხრით ზურგს ნუ მიჰყუდებ კედელსა, ნურც თავს დაჰკიდებ...
 ცალს თედოხედან არ დასჯდე... ცხვირის განოკრკნა არ წავცდეს,
 ნუ ეძებ კბილის საჩრჩნელსა“ (იქვე, ტ. I, გვ. 8).

ნურც „ავად გადუფეა, ცხვირის ხოცაა“, „ესეც ავია, ვინც
 მუდამ უღვაწს იკეთებს, იგრესა“ (იქვე, გვ. 8). ნუ ცეტია-
 ნობ, სხვას თვალში ნუ ეჩხირება „უცხო მდიდარი მისს სადგომს
 მალ-მალე არ ნახოცაა“ (იქვე, გვ. 9). საწიროა სიფრთხილით სია-
 რული, რათა წინა მავალს უკან მიჰყვე, ტალახი არ მოსცხოცაა“
 (იქვე, გვ. 9), „ტანსა და ღეხსა გაწყობა“. სივადგარი დამოკიდებუ-
 ლებაა საჭირო მამა-ბატონისადმი: „ბატონ-ყწური ლაპარაკი სხვა
 არის და სხვისი სხვაა“ (იქვე, გვ. 9).

„ოდეს ბატონი ბრძანებდეს სიტყვასა რასმე ქართულსა, მოკ-
 ლეს თუ გრძელსა, ამბავსა, ერთმანეთზედან წართულსა, ნუ ლაპა-
 რაკობ, გაჩუმდი, ნუ ჰგევენარ კაცსა ქართულსა“ (იქვე). ყმა ბატო-
 ნისადმი „ნართალ მთქმელი“, ტკბილად, მოლიბრად, „ხელქვე-მო-
 კდობით“ მოუბარი უნდა იყოს, მაგრამ

„ბატონი თუ ჯდეს მოწყენით, უთქმელად დასულღებული ნურც
 შენ იცინი, მასთანა დუმენი სულდაღებული“ (იქვე).

ბატონთან ყმის საუბრის წესთან ერთად არჩილი ქცევის სავა
 მხარესაც ეძება.

„თუ რამ ბატონმა გიბოძოს ორის ხელით ჩამოართვი, აგრევე
 შენგან ნისართმევი ორითავე მას მიართვი“ (იქვე, გვ. 8).

უმცროსი.— „ბატონის დარბაზის კარი რა გინდ, რომ მალალი
 იყოს, თავმოხრით უნდა შევიდეს, არც ლაჯში თავი გაიყოს“ (იქვე,
 გვ. 7).

ბატონთან ყოფნისას დაუშვებელია სასმელის „წრუწუნი“, კბი-
 ლით თხილის ლაწენი

„ბატონთან და უფროს კაცთან მჯდომი არას გარდეყუდო, ზეზე მდგომი ფეხს ნუ იკრავ, ნურც ბოძს ხელს ხვევ... არც ვინჯოას ჩამოეყუდო (იქვე). „...ნუ ათამაშებ ხელ-ფეხასა“ (იქვე).

„ბატონს ზურგი, ანუ გვერდი ვინ გინდა, ვინ შეაქციო“ (იქვე)-თანალებისას „მეფეს ცხენით სერნობაზედ მარტო იქით ნუ მოუვლი, საითაც რომ კარგი რამ ჩნდეს, და ნურც წინა გარდაუვლი, ნურც ცხენის თავს დაუსწორებ, ნურც ხელს სწორად წინათ უვლი“ (ტ. I, გვ. 9).

დიდი სიზუსტით ქცევის ამ წესს „საქართველოს ზნეობანში“ მოსდევს ბატონისადმი ყმის „სამსააური“. რაც გინდ ჰუმანური მიზნებიდან არ გამოდიოდნენ, ისინი შუასაუკუნეობრივია და გადასაგდები, თუმც აქაც უფროსს-უმცროსული დამოკიდებულების აზრით ზოგი რამ გადასაადედი და გასაზრიფტია. თავის მარგი უფროს-უმცროსული დამოკიდებულების საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია „საქართველოს ზნეობანში“. მასში ვკითხულობთ: „უმცროსმან კაცმან უფროსი არ უნდა დაიწვიოსო, ადგეს სჯობს ისრე მჯდომელმან ქვემორე დაიწვიოსო, საჩოქეთ რა შეიყარნენ, უწინ მან წაიწვიოსო, არცა უბამსად დამდაბლდეს, არც ბეწვად აიწვიოსო“ (იქვე, გვ. 8).

უმცროს-უფროსული ქცევის წესები „საქართველოს ზნეობანში“ უთუოდ, ბატონყმურ ძალადობას გამორიცხავს და თავაზიანობის ადამიანურ ეტიკეტს ეყრდნობა. მასში დაბეჯითებით ცაადდება: „სწორ, უფროსულ-უმცროსულსა ქართულსაც აქვს დასაზავა“ (იქვე, გვ. 9). ტოლ-ამხანაგთან დამოკიდებულებითი ქცევის წესები კი უფრო თანასწორული და თავისუფალია.

ეთიკურად ბევრი იქედან ანგარიშგასაწევია დღესაც.

„საქართველოს ზნეობანი“ გვასწავლის:

„ამხანაგსა მარჯვნით მჯდომსა, მარცხენათი გამოართვი, მარცხენასა მონაცემი კვლავ აქათით წამოართვი“ (ტ. I, გვ. 8).

განმარტოებით მოსაუბრესთან მიუწვევლად ნუ მიხვალ, უზრდელობაა; მათ კი მოეთხოვებათ მიგიწვიონ და საუბარში გაგრიონ. და თუ „ორნან ტოლმან ამხანაგმან დაიწვიოს რა მესამე, ორთავ თავს არ გარდუარო და ჩაუჯდე შუა სამე, ეს წენ კარგად ჩამოგართონ და იმათაც ორთავ ამე“ (იქვე).

რაც შეეხება სტუმართმოყვარეობას, „საქართველოს ზნეობანი“ მის წესებს ფართოდ წარმოდგვიდგენს. არჩილს აქეთვენ, უთუოდ, უბიძგებდა სტუმართმოყვარეობის ქართული ტრადიცია და ცხოვრების პირადი გაკვეთილი: თანამოძმეთა „წყალობით“ მას ხშირად

სხვის კარზე უნდებოდა ხეტიალი. სტუმართმოყვარეობა მას თუ რიულად არ განუხვია, მაგრამ ამ საკითხზე მისი „წესები“ მეტად ძვირფასი და საგულისხმოა. იგი წერს:

„სხვის რასა იქს კაცი უფროს სახელს და სულთ მისაგებსა ვინ მშიერსა პურს აჴმევედეს, მუდამ სტუმართ დასაგებსა. მწყურვალთ სასმელს მიაძღვედეს, ყოვლთ კეთილად გასაგებსა. შვიკნებულთ თბილს სახლსა და მერმე ქვეშ რასმ დასაგებსა?“ (ტ. I, გვ. 106).

„საქართველოს წნეობანსი“ იმ თავში, სადაც ლტინსა და განა-სმანზეა საუბარი, ნათქვამია, ყოველი ქართველი „პურადობა და გაცემით“ (იქვე, გვ. 10) უნდა ხასიათდებოდესო. მასპინძელს ეკისრება: „გარიგება მარაქისა, მის მის ალავს კაცის დასმა“ (იქვე, გვ. 4). „სუფრის ბარაქიანობა“ (იქვე). სტუმართ კი „სამაშონო განა და სმა“ (იქვე). „...პირით აღარ წავაგდოთ, და კარგია ვინც კი შეირგებს, ვინც არწყევს, კარში გავაგდოთ“. (იქვე). სუფრაზე „მეგრგვარ უნდა ხილის დაჭრა, ზეჴის გათლა, დანის მოსმა“ (იქვე). ქართულ სუფრას, არჩილის აპრით, მოხდენილი სიტყვა-პასუხით და მაღალი სულიერი განწყობით სუფრის წევრი აწვევენებს. „საქართველოს წნეობანსი“ ქვრივ-ობოლთა და ღარიბ-ღატაკთა დახმარებაზედაცაა საუბარი. „არჩილიანში“ ვკითხულობთ: „ნუ გააბრუნებ უჭმელსა კარით შენითა მშიერსა“. (ტ. I, გვ. 53) კეთილი კაცი, წერს სხვაგან არჩილი, „სიმდიდრესა არ დამონდეს. გლავაკთ მისცეს, ან საპყაროს“ (ტ. II, გვ. 2). თვით „შემოსე და შემოსე, ვინ სწუხდეს სიშიწვლისადა“ (ტ. I, გვ. 53). ჰუმანური გულთბილობით არჩილი ჩაგრულისადმი ერთგულებასა და დანაშარებას ქადაგებს საზოგადოებაში და მოზარდის ამ გრძნობით აღზრდას მოითხოვს. „საქართველოს წნეობანსი“ ჩუქების წესების ცოდნაზედაცაა საუბარი. წნეობრივი იდეალი არჩილისათვის აღზრდის იდეალიცაა. „საქართველოს წნეობათა“ მიხედვით, სათნო, ქველმოქმედი, მამაცი, მართალი, სპეტაკი ადამიანი უნდა აღიზარდეს: პირად ქცევაში სიტყვის კაცი, დინჯი, გამგონე, ავ-კარგიანი, სანდო ამხანაგი და მეგობარი. არაერთგან აგონებს მოზარდს: „სიჩქარესა სჯოცს სიწყნარე, უსმენსა გაგონებულს“ (ტ. II, გვ. 16). აღარდაში მიზანი ბავშვია, წამყვანი მშობელი, აღმზრდელი მასწავლებელი, მისი პირადი მაგალითი, სიტყვა-პასუხი, დარიგება-წვეონება. ბრძანება და დასჯაც.

საქართველოს დიდებისათვის მებრძოლის აღზრდის აპრითაც „არჩილიანში“ არა თუ სხვა, მაკედონელის, ერისთავის, გ. სააკაძის პირადი პატრიოტული მაგალითებიცაა მოტანილი. ერისთავმა ცო-

ლი, სააკაძემ წვილი შესწორეს სანშობლოს. აღმზრდელის სიტყვა-საგანგებოდ ძვირფასია იმ შემთხვევაში, თუ ის ქმედებით მტკიცდება. აღმზრდელის ნათქვამი და ნაქნარი ერთიმეორეს უნდა ემთხვეოდეს: „თქმა და არა ქმნა წერს იგი. — სარცხვენელ ჰყოფს კაცსა გათავებულსა“ (ტ. I, გვ. 75.) სიტყვის კაცი იყავ და ბავშვსაც ეს მოსთხოვე, ნურადერს შებირდები, და თუ დაპირდი, შეუსრულე; იცოდე „სჯომს არ ქადება არასა. ქადებულს მიუცემელსა“. (იქვე). აღზარდე ისე, რომ ბავშვი „საქნელი და კვლავ უქნელი გაარჩიოს, კარგა გაყოს“ (ტ. I, გვ. 142). ავ-კარგის გარჩევით დადებითზე დაამყარე და ცუდისაკენ კრიტიკული დამოკიდებულების უნარი შეუქმენ! — გვაგონებს ყველას და, რათქმა უნდა, მოზარდსაც: „ორია კაცთა საქმენი: ხედვა და განჩიეულება, ხილვა კარგის და ავისა სიცრუვის არ ჩემულება, არ ყოფა ავად კეთილთა, სულისა დასნეულება“ (იქვე, გვ. 120).

უშეცდომო მოზარდი კი არა, მოზრდილიც არაა, მაგრამ საქმე შეცდომის გაცნობიერებაშია, და შემდეგ კურსის უკეთესისკენ აღებით მის შეგნებულ უარყოფაში. აღზრდის სირთულეც ამაშია. ქცევის ცუდი შედეგი ზოგჯერ გაცნობიერებულია (მოვიგონოთ ლუარსაბ მეფის ქცევა), მაგრამ მაინც ასრულებენ მას, ჯიუტობენ; ასეთს არჩილი კიცხავს და მისი თავიდან აცილების გზას აღზრდაში ხედავს. აღზრდა აღმზრდელი მასწავლებლის საქმეა, შენ კი მოზარდო, უსმინე და მოთხოვნები შეუსრულე მას. იცოდე უმჯობესია „მას ენდო ვინ რომ მართალ გერწვთნის“ (ტ. I, გვ. 46). უგუნური უსმენი, თვარა „გონაერი ერთი წერთნითაც შეიგონებს“ (ტ. II, გვ. 60). არჩილის თქმით, ბავშვს ტოლ-ამხანაგი, ნაცნობ-მეგობარიც ზრდის, რაც აღნიშვნოს ღირსია, სწავლისა და აღზრდის თეორია არჩილმა ზომის პედაგოგიკაზე აავო.

„ზომით უნდა ყოვლი საქმე“ (ტ. I, გვ. 86). არჩილი სხვაგანაც აცხადებს: „არ ვარგა არას საქმისა საზომის გადაცილება“ (ტ. I, გვ. 107). „ნან დუმილია კეთილი, ხან თქმა სჯობს უთქმელობასა“. (ტ. I, გვ. 221)¹.

¹ არჩილის შემოქმედებიდან სათნოების აღზრდით შემოფარგელის გამო საკითხთა ჩამოთვლილ წრეს გვერდს ვუვლით; აღბრუნლ საკითხზე ეპოქის მომდევნო მოღვაწეებზე სხვა დროს ვისაუბრებთ.

მ. კოკოჩაშვილი

ტერმინოლოგიური ეტიუდები

1. ათფხიანი კიბოების ქვერიგების ქართული სახელწოდების შესახებ

ქართულ ზოოლოგიურ ტერმინოლოგიაში, გარკვეული ისტორიული მიზეზების გამო, ნათარგნი საელწოდებები სჭარბობს. შეიძლება ითქვას, რომ ზოოლოგიის ზოგიერთ დარგში ძირითადად ნათარგმნი ტერმინებია გაბატონებული. სხვებშიც დაახლოებით მსგავსი მდგონარეობაა. არსებითად ეს ცუდი როდია, რადგან ნასესხები და ნათარგმნი სიტყვები ჩვენს მრავალსმოვან ლექსიკას კიდევ უფრო ამდიდრებს, საგნების აღწერისა და ახალი ცნებების ათვისება-გადმოცემის საშუალებას ბევრად ადიდებს.

მაგრამ რა გვეთქმის იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო სიტყვები, ხალხური თუ წვიგნობრული, ისედაც გვექონია ჩვენი ენის საგანძურებში, ნაოლოდ უნებლიეთ გვერდი კი ავვივლია მათთვის? ასეთ ვითარებაში ჩხრეკა-ძიება იქნებ უნაყოფოდ არ დარჩეს და შესაძლებელი გახდეს, რომ ნათარგმნი ან მიბაძვით აღებული სიტყვების ნაცვლად, ზოგიერთ ხატოვან სიტყვას სპეციალურ ენაშიც კუთვნილი ადგილი დაეთმოს.

ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან.

ზოოლოგიური სისტემატიკის მიხედვით, ათფხიანი კიბოების რიგში განოყოფილია სამი ქვერივი: *Macrura*, *Anomura* და *Brachiura*. ეს ქვერიგები ჩვეთრად განსხვავებული ნიშანთა კომპლექსით განიორჩევიან ერთ-ანეთისაგან. ერთ ერთ მთავარ საკლასიფიკაციო ნიშნად ან კიბოებისათვის მიღებულია აგებულება მათი სხეულის უკანა ნაწილისა, რიგელსაც ძველთაგანვე „კუდი“ ეწოდა.

პირველი რიგის კიბოებს „კუდი“ გრძელი და დანაწევრებული აქვთ. მეორე რიგის კიბოებს იგი უფრო მოკლე (დეგრადირებული) და რბილი აქვთ, ქიტინოვანი საფარის გათხლეების გამო. ხოლო მესამე რიგის კიბოებს „კუდი“ ძლიერ მოკლე და აშკარად სეგმე-



ნტირებული აქვთ. ამ ნიშნების მიხედვით მაკრურებს გრძელკუდიანები, ანოზურებს—რბილკუდიანები და ბრაზიურებს—მოკლკუდიანები დაერქვათ.

მაგრამ ანატომიური თვალთახედვით კიბოების სხეულის ეს ნაწილი კუდი როდია. კუდი ეწოდება იმ ნაწილს, რომელიც ანალური ხვრელის იქეთ გრძელდება. კიბოებს კი ანალური ხვრელი ტანის უკანასკნელ სეგმენტზე აქვთ და მის იქით არავითარი დანამატი არ გააჩნიათ. ამიტომ კიბოს სხეულის ის ნაწილი, რომელსაც აქამდე „კუდად“ ვიხსენიებდით, სინამდვილეში მუცელია. აქედან ბუნებრივად უფრო სწორი იქნებოდა, რომ ზემოხსენებული რიგების სახელწოდებად მიღებული ყოფილიყო: გრძელმუცლიანები, რბილმუცლიანები და მოკლემუცლიანები.

მაგრამ ძველი ტერმინოლოგია კონსერვატულია. არისტოტელეს მიერ მიღებულ ხალაურ სიტყვას ტერმინის წნიშვნელობა შეინიჭა და ზოოლოგიას დღემდე შერჩა იგი ნომენკლატურული მანიპულაციებისათვის. შთაბეჭდილება იქნება ისეთი, თითქოს „კუდის“ შემცველ კომპოზიტ ტერმინებს (აღებულ მაგალითში) შეცვლა ქართულში აღარ უნდა სჭიროდეს, მით უმეტეს, რომ „კუდი“ ქართულ სიტყვად ითვლება.

მოინახება ასეთივე წარმოშობის სხვა სიტყვაც, რომელიც, შესაძლოა, უფრო ნატოვანად ასურათებდეს კიბოების ზემოთ მოხსენებულ განმასხვავებელ თავისებურებებს. და რომელიც წინეთ კიბოს „კუდის“, „მუცლის“ აღმნიშვნელიც ყოფილა, ეს სიტყვაა დუმა. იგი აქვს მოხსენებული სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში.

დუმაც კუდია, მაგრამ არა ყველა კუდი. უფრო ხშირად ამ სიტყვით ჩვენი ლექსიკონები ცხვრის კუდს აღნიშნავენ.

ს.-ს. ორბელიანიც ასეთ განმარტებას იძლევა: „დუმა ცხვრის კუდი“. მაგრამ სხვა ადგილას (იხ. კუდა), სადაც ორბელიანი კუდის ცნების დიფერენციაციას ახდენს, შემდეგს შენიშნავს:

„ხოლო კუდბრტყელთა ვითარ ცხოვართა და თავუთა და ნასნასთა, ასთაკვა¹ და ეგვეითართა დუმა ეწოდებიან“.

ამ სიტყვას (დუმას) ორბელიანი, ლექსიკონის სხვა ადგილას, განსხვავებული აგებულების კიბოთა დაასაათებასათვის, განსაზღვრისათვის, „განწვალებისათვის“ იყენებს კიდევ. ორბელიანი კიბო-

¹ ასთაკვი დუმაწი დიდი კიბო (იხ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961 წ., გვ. 140).

ებს არჩევს დუმის მიხედვით: „დუმიან“ კიბოებს და „პატარადუმიან“ კიბოებს, აი. ზაგალითები:

„კარავნი ბერძულად დუმიანს კიბორჩხალს ჰქვან (იხ. კარავნი).

კრავიდი ბერძულია, პატარადუმიანს კიბორჩხალს ჰქვან“ (იხ. კრავიდი).

ეს მაგალითები, ჩენი აზრით, საკმარისაა იმისათვის, რომ გართლებულ იქნეს საბასმიერი ტერმინის აღდგენის ცდა ზოოლოგიურ ტერმინოლოგიასა და ნომენკლატურაში, ნით უმეტეს, რომ აქ ხდება ერთი ქართული სიტყვის ნეორე ქართულივე სიტყვით შეცვლა. და სავა არაფერი. მაშინ კიბოების არისტოტელესმიერი სახელწოდებანი ასეთ ფორმას მიიღებს: გრძელდუმიანი, რბილდუმიანი და მოკლედუმიანი კიბოები.

მაგრამ აქ შეიძლება დაბრკოლება შეიქნეს თვით ბერძნული სიტყვების ზნიშვნელობის გაგებაში. სამივე ქვერიგის სახელწოდებაში (Macrura, Anomura, Brachiura) მოსალოდნელია კითხვათსხვაობა, რაც უფრო ნეტად ამ სახელწოდებების პირველ ნაწილებს ეხება. მაგალითად, მაკრურა შედგება „მაკროს“ და „ურა“-საგან, ბრახიურა-„ბრაჩის“ და „ურა“-საგან (ძაჟ ურა—კუღია). მაკროსს (μακρος) რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონია, ამათგან, გრძელიც და დიდიც. ასევე ბრაჩისს (βραχίς)¹—მოკლე, არამალალი, ვაწრო, პატარა, არადიდი და სავ.

ამ ვითარებაში სჯობია არისტოტელეს დავეყრდნოთ (აგრეთვე რუსულ. ქართულ ტრადიციას) და ხსენებული კიბოების მიმართ ამ სიტყვებისათვის ასეთი გაგება დავტოვოთ: მაკროს=გრძელი, ბრაჩის=მოკლე (და არა საბასმიერი „პატარა“).

ამრიგად ათფენიანი კიბოების ქვერიგებს შეიძლება ეწოდოს:

Macrura — გრძელდუმიანები

Anomura — რბილდუმიანები

Brachiura — მოკლედუმიანები

2. ბაყაყის მეტამორფოზის ფაზები

ბაყაყის ინდივიდური განვითარება მეტამორფოზით ხდება. მეტამორფოზი აქ მიმდინარეობს როგორც უწყვეტი პროცესი, უღიაბაუზოდ, ერთი ფაზიდან მეორე ფაზაში თანდათან გადასვლით, ე. ი. ევოლუტურად.

¹ სათანადო ნიშნების უქონლობის გამო გამოვიყენეთ ახალი ბერძნული-



მიუხედავად ამისა, პრაქტიკული მოსაზრებით მაინც გამოყოფენ ამ მთლიან პროცესში რამდენიმე ფაზას ანუ საფეხურს მორფოლოგიურ-ანატომიური ნიშნების მიხედვით. ასეთი ფაზა ხუთია. აქედან პირველი ოთხი ფაზა ბაყაყის ლარვეული მდგომარეობის განმობატველია, და მხოლოდ ჩეხუთე ფაზა ზრდადასრულებულ ბაყაყს ჰგულისხმობს.

ამ ხუთი ფაზიდან ქართულ ზოოლოგიურ ტერმინოლოგიაში მხოლოდ ორი ფაზის საეღწოდება იხსენიება: პირველისა და მეხუთისა. პირველ ფაზაში მყოფ ფორმას თავკომბალა ჰქვია, ხოლო მეხუთე (ბოლო) ფაზაში მყოფი ფორმა ცნობილია ბაყაყის სახელწოდებით. მგონი ურიგო არ იქნებოდა, რომ სხვა ფაზებისათვისაც საკუთარი და მეტყველი სახელწოდებები არსებულყო.

ხალაურ მეტყველებაში კი შესაფერისი სიტყვები მოინახება. სათითაოდ გავარჩიოთ ეს ფაზები,

პირველ ფაზაში მყოფი ნორჩი არსება ბაყაყს არც კი ჰგავს, ბაყაყსაც არაფერ უწოდებს. მისი საეღლია თავკომბალა. მის წსხვილ თავსა და ტანს გაბრტყელებული კუდი აბია. თავის ბოლოში გარეგანი ლაყუჩები აქვს სასუნთქავ ორგანოდ. სახელწოდება „თავკომბალა“ შესანიშნავად შეესაბამება მის გარეგან მოყვანილობას. ასეთივე ფრთოსანი საეღლია რუსულშიც — ГОЛОВАСТИК, ფრანგულსა და გერმანულშიც თავკომბალასათვის საკუთარი სახელები არსებობს: le têtard, Kaulquappe, Froschwurm.

მეორე ფაზაში ამ თავკომბალას კუდი უფრო ძრძელი და განიერი აქვს და, დამატებით, კიდევ ერთი წყვილი უკანა კიდურები აქვს გამოზრდილი. უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს იგი მნახველზე: თავკომბალაცაა და, ამასთან ერთად, არც სავსებით თავკომბალაა, ძველ ნიშნებს ახალი ნიშანი შემატება. ამ ფაზაში მყოფ ლარვისათვის შესატყვისი ქართული საეღწოდება ლიტერატურაში არ ხსენებულა. მაგრამ ძალში არის.

თავს ნებას მივცემ პირადი გამოცდილებიდან ერთი ეპიზოდი გადმოვცე.

იმერეთში საველე ლეშაობის დროს, ქილაში ჩქონე ახლადდაპერილ თავკომბალესსა და ნათ შორის ასენებულ ფაზაში მყოფსაც რომ ერთმა კოლმეურნემ დახედა, წამოიძაა: „ეს, ბიძიკო, ფეხურა თავკომბალეია“. უფრო დაწვრილებით რომ განოკიოთხე, დავრწმუნდი იმაში, რომ კოლმეურნე კარგად ასტავებდა ლარვეების ამ ორ ფორმას, ე. ი. ფეხურას ჩვეულებრივი თავკომბალასაგან.

ფეიქრობ, რომ ეს ხატოვანი სიტყვა ფეხურა შეიძლება

სახელწოდებად გამოგვეყენებია ბაყაყის მეტამორფოზის მეორე ფაზისათვის.

მესამე ფაზაში ლარვა უფრო კომიკური გარეგნობისაა. ოთხივე კიდური აქვს, ტანიც ბაყაყისას მიუგავს, მაგრამ ბოლოში კუდი უხეირად აქვს გამოჩხერილი. დაბირისპირებულთა ბრძოლაში განვითარებად (ბაყაყის) ნიშნები იმარჯვებს დრომოჭმულ (თავკომბალისებურ) ნიშნებზე, მაგრამ ჯერ კიდევ არა სავსებით. ასეთი ლარვა წყალში იწყფეხება ისე, როგორც წინა ორი ფაზის ლარვები, რადგან ფილტვები ჯერ კიდევ კარგად განვითარებული არ აქვს.

ამ ფაზის სახელწოდებაც სპეციალურ ლიტერატურაში არ იხსენიება, თუნცა არსებობს. ფშაურ დიალექტში არის სიტყვა კუდურა. ილ. ჭყონიას თავის „სიტყვის-კონაში“ (1910 წ.) მოჰყავს ეს სიტყვა, თ. რაზიკაშვილის დამოწმებით:

„კუდურა (ფშ., რაზიკ.) პატარა ბაყაყს ჰქვია, ვიდრე წყალშია და კუდი აბია“ (იბ. გვ. 28).

ესევე სიტყვა მოყვანილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის IV ტომში. ისევე ილ. ჭყონიას მიხედვით (იბ. გვ. 1407).

გფიქრობ, რომ ეს სიტყვაც შესატანია ზოოლოგიურ ტერმინოლოგიაში ბაყაყის მეტამორფოზის ამ ფაზის აღსანიშნავად.

მეოთხე ფაზის ბაყაყი გარეგნული ნიშნებით უკვე მშობლის მსგავსია. კუდი აღარ აქვს, ფილტვებით სუნთქავს, მძელეთზეც რჩება. მაგრამ ძლიერ პატარაა, ნორჩია, აბალგაზრდა. სქესობრივადაც მოუწიფებელია, ერთგვარი ბაყაყუნაა. რუსულად лягушонок ეწოდება.

ამ ფაზისათვისაც ზოოლოგიას არ მიუყენებია ქართული შესაბამისი სიტყვა. შეიძლება გამოდგეს ყვაჭიჭა (ღვაჭიჭა). ამ სიტყვებს ილ. ჭყონიას იმავე ლექსიკონში ენახავთ:

„ყვაჭიჭა (იზერ., გურ.) [< ღვაჭიჭა] (ბაყაყი წყლისა)“ (იბ. გვ. 59).

იზერეთში ახლაც ხშირად გაიგონებთ, რომ ყვაჭიჭას ან ღვაჭიჭას უფრო ახალგაზრდა ბაყაყზე იტყვიან.

რომ „ყვაჭიჭა“ ნიშნავს პატარა ბაყაყს, და არა ბაყაყს საერთოდ, ან „წყლის ბაყაყს“, ამას გვიჩვენებს აღნიშნული სიტყვის ეტიმოლოგია¹.

¹ იბ. გ. როგავა. ფარინგალურ ხშულთა რივისათვის ქართველურსა და ადიღურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. 1, 1946 წ. გვ. 7—8.



მგონია, რომ ეს სიტყვა (ერთი რომელიმე ფორმით) შეიძლება გამოდგეს ბაყაყის მეტამორფოზის მეოთხე ფაზის აღსანიშნავად.

დაბოლოს, მეხუთე ფაზა მეტამორფოზდამთავრებული და ზრდადასრულებული ბაყაყით წარმოგვიდგება.

ამრიგად, ბაყაყის მეტამორფოზის ფაზების სახელწოდებები შეიძლება გადმოიცეს ამგვარად:

I ფაზა. ლარვა კუდიანი და უკიდუროა. მას ჰქვია თავკომბალა.

II ფაზა. ლარვა ორფეხიანი და კუდიანია. მას ეწოდება ფეხურა.

III ფაზა. ლარვა ოთხკიდურიანია და კუდიანია. მისი სახელია კუდურა.

IV ფაზა. ახალგაზრდა ბაყაყია. მას შეიძლება ეწოდოს ყვაჭიჭა ან ღვაჭიჭა.

V ფაზა. მეტამორფოზდამთავრებული, ზრდადასრულებული ბაყაყი.

Г. КОКОЧАШВИЛИ

ТЕРМИНОЛОГИЧЕСКИЕ ЭТЮДЫ

Резюме

1. О грузинских наименованиях подотрядов десятиногих раков

Автор в порядке обсуждения предлагает заменить переводные наименования подотрядов исконно-грузинскими наименованиями, основываясь на терминах, применяемых лексикографом Сулхан-ош-Саба Орбелиани.

2. О фазах метаморфоза лягушки

Автор предлагает применить для обозначения некоторых фаз метаморфоза лягушки слова, имеющие хождение в грузинской разговорной речи, но не использованные в зоологической терминологии.

6. მ ა ნ გ ა ლ ა ქ ი

**მიკროელემენტების გავლენის ზოგადი მონაცემი
ბოლოქსა და ქინძეში**

მიკროელემენტებს ეკუთვნის ქიმიურ ელემენტთა დიდი ჯგუფი, რომლებიც მცენარეებს უმნიშვნელო მცირე რაოდენობით სჭირდებათ. ამათგან უმთავრესია ბორი, მანგანუმი, თუთია, ალუმინი, მოლიბდენი და სპილენძი.

მიკროელემენტების ნაწილი უჯრედში მიმდინარე ქიმიური რეაქციების კატალიზატორებს წარმოადგენენ. მათი მოქმედება შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი, უშუალო, ასევე ფერმენტთა აქტივირების გზით, არა პირდაპირი.

ბიოქიმიკოსთა გამოკვლევებით დადგენილია, რომ მცენარეული და ცხოველური უჯრედებს უმნიშვნელოვანესი ფერმენტული პროცესები ჩქარდება მიკროელემენტების მონაწილეობით. ვლასიუკის მიხედვით მანგანუმის მოქმედებით დამუხარებულ ფერმენტის პეროქსიდაზის მოქმედება 3—7,5 ჯერ ჩქარდება, ხოლო მანგანუმი თუთია და რკინა უშუალოდ შედიან ფერმენტთა ქიმიურ შემადგენლობაში. დადგენილია, რომ რიგი მიკროელემენტებისა (ბორი, თუთია, მანგანუმი) მასტიმულირებელ გავლენას ახდენს ვიტამინების სინთეზზე და ვიტამინების მოქმედების გააქტიურებაზე.

მიკროელემენტები გავლენას ახდენს სასისამილიაციო ქსოვილის ფორმირებაზე. მაგ, თუთიის ნაკლებობისას მეზოფილას უჯრედები არანორმალურად ვითარდება. ქლოროპლასტების განვითარება ფერხდება ან შეიძლება ქლოროპლასტი სრულიად დაიშალოს.

ვ. ს. მოროზოვის, ა. ა. რიხტერის და სხვათა ცდებით დადგენილია, რომ ფოტოსინთეზის ინტენსიურობა მნიშვნელოვნად დიდდება ბორის, მანგანუმის, სპილენძის, ალუმინის და თუთიის გავლენით.

ბორის ნაკლებობით შაქრის ჭარხალში პირველად ჩერდება ფესვებისა და ფოთლების ზრდა, კვდება ზრდის კონუსი, პირველ რიგში შიწის სედა ორგანოებში. მერისტემაში უჯრედთა დაყოფა

ჩერდება, ირლვევა ქსილემისა და ფლაემის ელემენტების ნორმალური განლაგება.

შკოლნიკისა და სტეკლოვას მიერ დადგენილია, რომ ბორი დადებით გაველენას ნავთიერებათა ცვლაზე ახდენს, იმიტ, რომ ბორი არსებითად აუმჯობესებს ფესვთა სისტემის განვადით მომარაგებას.

ბორი ხელს უწყობს მცენარეში, ზოგი კათიონის შესვლას. ბორის ნაკლებობისას მცენარე ვერ ღებულობს სათანადო რაოდენობით კალციუმს.

შკოლნიკისა და აბდურაშატოვის მიერ 1955 წელს ჩატარებული ცდებიდან სიმინდის ფოთლებში (საანალიზოდ აღებულია ცალკეული ფოთოლი) ექვსი ფოთლის გამოღების ფაზაში, ბორის მკვდის გაველენით სახამებლის დაგროვება 2,5-ს უდრიადა, თუთიის სულფატის მოქმედებით კა 2,4, საკონტროლოში 2, 1. ამავე ელემენტების გაველენით სიმინდის ღეროშიც სახამებლის მეტა დაგროვება აღინიშნა, ვიდრე საკონტროლოში.

პომიდორში და სალათაში ბორის ნაკლებობისას პირველად აღინიშნება ზრდის წერტილის გაშვება და შემდეგ სიკვდილი. პირველი სიმპტომი ბორის ნაკლებობისას არის ზრდის შეჩერება. ბორის ნაკლებობის ნიშნები უფრო ახალგაზრდა ფოთლებზე გამოხატული ვიდრე ხნირ ფოთლებზე.

სპილენძი სტიმულს აძლევს მცენარის ზრდას. სპილენძის ნაკლებობისას მცენარეებში ვლინდება ქლოროზი. ფოთლები კარგავენ ტურგორს და იწყება კვნობა. ჩერდება დატოტიანება ან სრულიად წყდება. პომიდორში სპილენძის ნაკლებობისას ფესვთა სისტემა სუსტად ვითარდება, ფოთლებზე მუქი მოლურჯო—მომწვანო შეფერვა ჩნდება. ფოთლები იკრუნჩხება, ყვავილები არ უნვითარდება, ფოთლები და ღერო კარგავს სიმკვრივეს. თუთიის ნაკლებობისას ფოთლებზე ჩნდება ლაქიანობა, ვითარდება ქლოროზი და წვრილფოთლიანობა.

მანგანუმის ნაკლებობისას პომიდორის ფოთლები ღებულობს ნათელ წვანე ფერს, შემდეგ თანდათან ყვითლდება, გაყვითლება იწყება ფოთლის ფირფიტის მთავარი ძარღვის დაცილებით. ფოთლებს ემჩნევა ლაქიანობა და შეიძლება მიწასზედა ნაწილები მთლიანად გაყვითლდეს.

შაქრის ჭარხალში მანგანუმის ნაკლებობისას ნელდება ჭარხლის ფესვებისა და ფოთლების ზრდა. მანგანუმი ადიდებს შაქრის ჭარხლის ნოსავალს და შაქრიანობას.



ექსპერიმენტული ნაწილი

ცდის ობიექტურად აღებული იყო ბოსტნეული მცენარეები: თვის ბოლოკი—*Raphanus sativus v. radicola*, ჩინური ბოლოკი და ქინძი—*Coriandrum sativum*

სათესლე მასალა თესვის წინ 24 საათის განმავლობაში მოთავსებული იყო მიკროელემენტების მარილების: $KMnO_4$, $CuSO_4 \cdot SH_2O$, $ZnSO_4$, $CoCl_2$ და H_3BO_3 -ის 0,02%-იან ხსნარებში. შემრობის შემდეგ თესლების ნაწილს ვათავსებდით პეტრის ჯამებზე, რომლის ძირი დაფარული იყო გამოზდილ წყალში დასველებული ფილტრის ქაღალდით. დატული იყო სათანადო ტენიანობა. თესლები ფესვაკების გამოზრდის შემდეგ გადაგვქონდა კნობის სუსტ ხსნარში, ხოლო პირველი ფოთლის გამოღებისას—კნობის ხსნარში, ერთი ლიტრის მოკულონის ქილბში. თითოეულ ვარიანტში გვქონდა 5-6 მცენარე. მიკროელემენტების მარილების ხსნარში დამუშავებული თესლების ნაწილს ვთესავდით ნიადაგში—ინსტიტუტის საცდელი ბაღის ნაკვეთზე.

საანალიზო მასალის აღებას ვახდენდით ვეგეტაციის სხვადასხვა ვადაში დღის 12—14 საათამდე. მასალის ფიქსირება წარმოებდა სპირტით. ანატომიურ პრეპარატებს ვამზადებდით სანარტებლით, ჩახატვას ვახდენდით სახატავი პრიზმით.

ჩატარებული იყო მიკროქიმიური რეაქციები სახამებელზე J + JK-ით და ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებზე სუდან III-ით.

ვაწარმოებდით ფენოლოგიურ დაკვირვებას, რომლის შედეგები მოცემული გვაქვს შესაბამის ცხრილებში.

ცხრილი 1

| | ფოთოლთა რაოდენობა | | ფოთლების საერთო ფართობი | | ფესვნა-ყოფების სოცემულობა სმ ² -ში |
|----------------------|----------------------------|---------------------------|----------------------------|---------------------------|---|
| | ფესვნა-ყოფების გამოღებისას | ფესვნა-ყოფების სიმწიფისას | ფესვნა-ყოფების გამოღებისას | ფესვნა-ყოფების სიმწიფისას | |
| თვის ბოლოკი | | | | | |
| საკონტროლო | 6,0 | 9 | 53,8 | 65,8 | 20,7 |
| H_3BO_3 | 7,0 | 10 | 99,1 | 109,1 | 35,8 |
| $ZnSO_4$ | 8,0 | 11 | 102,48 | 115,1 | 31,1 |

როგორც 1 ცხრილიდან ჩანს ბორი და თუთია გავლენას ახდენს თვის ბოლოკის ზრდაზე, ამ ელემენტების მოქმედებით მოკულონის ფოთოლთა რაოდენობა და ფოთლის ფართობი. 1960

წლის ცდებში უფრო ეფექტური თუთიის მოქმედება აღმოჩნდა და თუთიანი ვარიანტის მცენარეები როგორც ფოთოლთა რიცხვით ისე ფართობით სჯობნის ბორიანი ვარიანტის მცენარეებს. ბორისა და თუთიის მოქმედებით თვის ბოლოკის ფესვნაყოფები უფრო დიდი ზომისაა, ამ შემთხვევაში ბორის მოქმედება უფრო ძლიერია და უფრო მეტი ზომის ფესვნაყოფები იზრდება ვიდრე თუთიის მოქმედებით. (ვაზოზილი იქნა 30 მცენარის ფესვნაყოფები და შემდეგ გამოყვანილი იქნა საშუალო რიცხვი).

წყლის კულტურებში გაზრდილ თვის ბოლოკებშიც ბორისა და თუთიის მოქმედებით ვეგეტაციურა ნ წილების უკეთესი ზრდა აღინიშნა, ვიდრე საკონტროლო მცენარეებისა.

ქინძი გაზრდილი იყო წყლის კულტურებში. (სურ. № 1). საკვებ ხსნარად გამოყენებული გექონდა კნობის ხსნარი. დაკვირვებათა შედეგები მოცემულია № 2 ცხრილში

ცხრილი 2


| | ღეროს სიმაღლე | ფოთოლ- თა რაო- დენობა | ფოთლის ფართობი სმ ² -ში | ფესვების სიგრძე | ფესვთა სისტემის მოცულობა სმ ³ -ში |
|--|------------------|-----------------------------|--|--------------------|---|
| ქინძი | | | | | |
| საკონტროლო | 6,0 | 4,5 | 18 | 18,0 | 0,8 |
| H ₃ BO ₃ | 7,0 | 7,0 | 31 | 18,5 | 1,9 |
| ZnSO ₄ | 15,3 | 7,0 | 77 | 29,0 | 1,6 |
| CoCl ₂ | 7,0 | 5,5 | 13 | 12,0 | 0,3 |
| KMnO ₄ | 12,0 | 6,3 | 46 | 31,7 | 1,6 |
| CuSO ₄ | 6,0 | 9,0 | 14,5 | 29,0 | 0,6 |

როგორც ირკვევა მიკროელემენტები ქინძზეც ახდენენ გავლენას. თუთიისა და მანგანუმის მოქმედებით საცდელი მცენარეები მეტი სიმაღლისაა. მანგანუმი მცენარის სიმაღლეზე ზრდას იწვევს ე. ი. ზრდის კონუსის მოქმედებას ააქტიურებს. ბორიანი ვარიანტის მცენარეებთან შედარებით ფოთოლთა რაოდენობა ნაკლებია, ხოლო მცენარის სიმაღლე მეტი.

სპილენძისა და კობალტის გავლენით ფოთოლთა რაოდენობა მატულობს შედარებით საკონტროლო მცენარეებთან, ხოლო ფოთლის ფართობით ამ უკანასკნელს ჩამორჩებიან ე. ი. ფოთლები უფრო მცირე ზომისაა.

ამავე ცხრილიდან ჩანს, რომ თუთია ფესვთა სისტემის სიგრძეზე ზრდას იწვევს, მსგავსია მანგანუმისა და სპილენძის მოქმედება.

ვლინდება, რომ ბორი ხელს უწყობს გვერდითი ფესვების წარმოქმნას, ამას გამო ფესვთა სისტემის მოცულობა სხვა ვარიანტებთან შედარებით მეტია. (1,8 სმ³). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბორი ხელს უწყობს პერიციკლის უჯრედების აქტიურ მდგომარეობაში მოყვანას, ხოლო თუთია და მანგანუმი ფესვის ზრდის კონუსის მოქმედებას ააქტიურებს.



სურ. № 1

ჩინური ბოლოკის თესვები დამუშავებული იქნა მიკროელემენტების მარილების— Na_3AsO_4 -ის და KJ -ის 0,02%-იან ხსნარებში. მცენარეები გაზრდილი იყო წყლის კულტურებში. დაკვირვებათა შედეგები მოცემულია 3 ცხრილში.

ცხრილი 3

| | 2/VII-ს | | 15/VII | | გვერდითი ფესვების რაოდენობა |
|-------------------------------------|------------------|-----------------|------------------|-----------------|-----------------------------|
| | მცენარის სიმაღლე | ფესვების სიგრძე | მცენარის სიმაღლე | ფესვების სიგრძე | |
| ჩინური ბოლოკი | | | | | |
| საკონტროლო | 3,7 | 4,02 | 10,8 | 12,1 | 10,5 |
| Na_3AsO_4 | 3,4 | 2,7 | 8,5 | 10,8 | 4,3 |
| KJ | 2,9 | 1,9 | 9,4 | 13,1 | 4,5 |



წინასწარი მონაცემებით Na_3AsO_4 -ის და KJ -ის დასახელებული დოზა ჩინური ბოლოკის ზრდაზე დამჩავერელად მოქმედებს და საკონტროლო მცენარეები სჯობნის როგორც მიწისზედა ნაწილების ისე მიწისქვედა ნაწილების განვითარებით. შემდეგი ცდები წარმოებული იქნება დასახელებული მიკროელემენტების ზარილების შემცირებული დოზებით.

შეგერდეთ თვის ბოლოკის ფოთლის ანატომიური შესწავლის შედეგებზე ირკვევა, რომ ფოთლის როგორც ზედა ისე ქვედა მხარე დაფარულია ეპიდერმისით. ეპიდერმისის უჯრედები კლანკილ გარსიანია და ერთმანეთთან მჭიდროდაა განწყობილი. ქვედა ეპიდერმისი შედარებით ზედა ეპიდერმისთან უფრო მცირე ზომის უჯრედებისგან შედგება მათი კედლები კლანკილია, მთავარი ძარღვის ზევით მდებარე უჯრედები სწორკედლიანია, ქვედა ეპიდერმისში ბაგეთა მგტი რიცხვია ვიდრე ზედა ეპიდერმისში.

თვის ბოლოკის ფოთლის მეზოფილი დიფერენცირებულია მესრისებურ და ღრუბლისებურ პარენქიმად. მესრისებური პარენქიმა ერთწყებად მჭიდროდ განწყობილი უჯრედებიდან შედგება, ხოლო ღრუბლისებური პირენქიმის უჯრედთა განწყობა ფაშარია.

სახაზებელი მთელი მეზოფილში თითქმის თანაბრადაა განაწილებული.

მიკროელემენტები გავლენას ახდენენ თვის ბოლოკის ფოთლის ანატომიურ სტრუქტურაზე. იცვლება ეპიდერმისის უჯრედთა ფორმა და ზომაც. ბორის გავლენით ეპიდერმისის უჯრედების კედლის კლანკილობა მეტადაა გამოხატული (ნახ. № 1 და 2). მატულობს ბაგეთა რიცხვი და სუდან III-ის მოქმედებისას ცხიმის წვეთების მეტი რაოდენობაც იქნა შენიშნული. შედარებით საკონტროლო და კობალტის ვარიანტის მცენარეებთან. ეპიდერმისის უჯრედები ზომაში მატულობს კობალტის გავლენითაც, ხოლო სპილენძის მოქმედებისას უფრო მოგრძო ფორმის ეპიდერმისის უჯრედები შეინჩნევა. ეფექტურია თუთიის მოქმედება. ამ ელემენტის მოქმედებისას ეპიდერმისის უჯრედთა ზომა მატულობს და აგრეთვე ყურადღებას იპყრობს ბაგეთა განლაგებაც. არის ტენდენცია ბაგეთა ჯკუფური განლაგებისა და გვხვდება ორგვარი ზომის ბაგეები: დიდი და მცირე ზომის. მატულობს ბაგეთა რიცხვიც.

(ბაგეები ათვლილა იყო მხედველობის არეში ოკ. 8. ობ. 40 - 30 განსხვავებული ადგილიდან შემდეგ გამოყვანილი იქნა საშუალო).



ბაგეთა რიცხვი თვის ბოლოკის ეპიდერმისში

ცხრილი 4

| | ზედა ეპირდემისი | ქვედა ეპირდემისი |
|--|-----------------|------------------|
| საკონტროლო | 11,4 | 13 |
| H ₃ B ₀ ₃ | 11,3 | 16,5 |
| ZnSO ₄ | 13,4 | 17,6 |
| KMnO ₄ | 14.4 | 17,0 |

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს ბორის, თუთიისა და მანგანუმის გავლენით ბაგეთა რიცხვი მატულობს.

ბაგეთა რიცხვის გადიდება და უჯრედის კედლის კლაკნილოზის ხარისხის მატება დაკავშირებულია მცენარის წყლით მომარაგებით გაუმჯობესებასთან.

სერებრიაკოვის (1) ცდების მიხედვით ბაგისა და ფოთლის დაძარღვის სიძლიერეს განსაზღვრავს წყლის რეჟიმის პირობები. ლიტერატურული მონაცემებით (6,8) და ჩვენს მიერ წლების მანძილზე ჩატარებული ექსპერიმენტით მტკიცდება, რომ თუთია და ბორი დიდად უწყობს ხელს ფესვთა სისტემის განვითარებას, ამით ცხადია უმჯობესდება მცენარის წყლის მომარაგების პირობები, რამაც ასაფა აპოვა ეპიდერმისის სტრუქტურაში: გადიდება ბაგეთა რიცხვი და უჯრედის კედლის კლაკნალობა,

თვის ბოლოკში ბორის გავლენით მატულობს საბამებლის დაგროვება, როგორც მესრისებურ ისე ღრუბლისებურ პარენქიმაში. ამ უკანასკნელში შედარებით მესრისებურ პარენქიმასთან საბამებელი მეტი რაოდენობითაა და J+KJ-ის მოქმედებისას ზოგი უჯრედი მთლიანად ლურჯი მასითაა ამოვსებული. (ნაბ. № 3).


ფესვნაყოლების გამოღებისას თვის ბოლოკის ფოთლებში მუაუნ-მუავა კალციუმის კრისტალების რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს ბორის მოქმედებისას, რაც ადასტურებს მკვლევართა მონაცემებს, რომ ბორი აუმჯობესებს მცენარეში კალციუმის შეთვისებას [9].

საბამებლის მეტი შემცველობა ფესვნაყოლების გამოღებისას თუთიის გავლენითაც გამოვლინდა. უჯრედის პერიფერიულ ნაწილში მდებარე ქლოროპლასტები მეტადაა მდიდარი საბამებლის მარცვლებით.



ნაბ. № 1.


თუთიის, ბორისა და ნაწილობრივ სპილენძის გავლენით მატულობს ქლოროპლასტების ზომაც. უფრო ეფექტურია თუთიის მო-



ნაბ. № 2

ქმედება. ქლოროპლასტები დიდი ზომისაა და უფრო მკვეთრადც არის გამოსახული.


ქინძის ფოთოლი ღორსოვენტრალური აგებულებისაა. ზედა და ქვედა ეპიდერმისი განივ განაკვეთზე დაახლოებით სწორკუთხედის ფორმის უჯრედების სახითაა (ნაბ. 4). ქვედა ეპიდერმისი შედარე-



ნახ. № 3

ბით ზედა ეპიდერმისთან უფრო მცირე ზომის უჯრედებისაგან შედგება, სიბრტყიდან ანათალში კარგად ჩანს, რომ ქინძის ეპიდერმისის უჯრედების კედლები კლაკნილია, რაც ქვედა ეპიდერმისში უფრო მეტი ხარისხითაა წარმოდგენილი, ქვედა ეპიდერმისში ბაგეები მეტი რაოდენობითაა, ვიდრე ზედა ეპიდერმისში.

ზედა და ქვედა ეპიდერმისებს შორის მოთავსებულია მკვეთრად დიფერენცირებული მეზოფილი. ნესრისებრი პარენქიმა სიგრძივი მიმართულებით გაგრძელებული ერთწყებად მკიდროდ განწყობილი უჯრედებისაგან შედგება, ხოლო ღრუბლისებური პარენქიმა 4-5 წყება უჯრედებითაა წარმოდგენილი. სახამებელი მთელ მეზოფილშია, ხოლო მესრისებური პარენქიმას უჯრედებში სახამებელი წვრილი მარცვლების სახითაა. უფრო დიდი ზომის გამტარ კონებთან მოთავსებულია ეთერზეთების სათავსები, რომელიც შემოფენილია პარენქიმული ტიპის უჯრედებით.



ნახ. № 4

საანალიზოდ აღებულ ბორიანი ვარიანტის ქინძის ფოთლებში სახამებლის მეტი რაოდენობა შეინიშნება. ბავის მკეტავ უჯრედებში ქლოროპლასტები დიდი ზომისაა და $K+KJ$ -ს მოქმედებით იისფერ შეფერვას იძლევა, რაც მიუთითებს აღნიშნულ უჯრედებში ფარინოზის არსებობაზე.

ქინძის ფოთლების გამტარ კონებთან მდებარე ეთერ ზეთების სათავსებში ბორის გავლენით ეთერზეთების შემცველობის გადიდების ტენდენციაა, ასევე მატულობს ბავეთა რიცხვიც.



სურ. № 2

ბორმა დიდად შეუწყობ ხელი წყალ-კულტურებში გაზრდილი სალათის ნაყოფიერებას. საცდელი მცენარის სიმაღლემ 1 მ და 30 სმ. სიმაღლეს მიაღწია (სურ 2). კარგად განივითარა ყვავილები და ნაყოფები, ხოლო საკონტროლო მცენარეები ყვავილობის წინ დაიღუპნენ.

დასკვნები

1. ბოსტნული მცენარეების (თვის ბოლოკი, ქინძი, ჩინური ბოლოკი) თესვების თესვის წინ მიკროელემენტების მარილების 0.02%-იან ხსნარებში დამუშავება 24 საათის განმავლობაში, გავლენას ახდენს მცენარის როგორც მიწისზედა ისე მიწისქვედა ნაწილებს ზრდაზე.
2. ბორი და თუთია აძლიერებს ფესვთა სისტემის ზრდას. ბორის გავლენით გვერდითი ფესვები მეტი რაოდენობით იზრდება, ჩანს ბორი ხელს უწყობს პერიციკლის უჯრედების აქტიურ მდგომარეობაში მოყვანას, თუთია ფესვის საგრძნევ ზრდას უწყობს ხელს. დასახელებული ელემენტები დადებითად მოქმედებენ ფოთოლთა სისტემის განვითარებაზეც.
3. კობალტისა და სპილენძის გავლენა საცდელ მცენარეებზე მორფოლოგიურად დიდად არ შელენდება. საცდელი მცენარეები ზოგჯერ ჩამორჩებიან საკონტროლო მცენარეებს, ზოგჯერ კი უსწრებენ.
4. მიკროელემენტები (Mn, B, Zn, Cu), გავლენას ახდენენ ანატომიურ სტრუქტურაზე. იცვლება ეპიდერმისის უჯრედთა ზონა უჯრედის კედლის კლაკნილობა, ბაგეთა რაცხვი და ქლოროპლასტების ზომა. თუთიას გავლენით ბაგეთა მეტი რიცხვი და ჯგუფური განლაგება გამოხატული.

3. პანთეონიზმი

მასალები ქათმის ბროლის თვალის უჯრედული სუბსტრატულან განვითარების შესახებ

ქათმის ჩანასახის თვალის ბუშტის ექტოდერმასთან შეხების
არეში ვითარდება ბროლი. ითვლება, რომ საწყისს მას საფარველის
უჯრედები აძლევენ: ამ უნარს კი მათ თვალის ბუშტი ინდუქციის
გზით გადასცენს. ამბობენ, რომ ინდუქციის დროს საფარველად
განვითარებისათვის დეტერმინირებულ უჯრედებში ხდება უცნობი
და უჩინარი ცვლილებები, რომლებიც ამ უჯრედებს ბროლის მო-
ცემისაკენ წარმართავენ.

გვინტერესებდა გავვეგო: თავის ტვინის ოპტიკური გამობურ-
ცულობის ექტოდერმით დაფარვის პროცესში, თუ შენარჩუნდება
მათი გამყოფი და ერთმანეთში შეზრდის ხელის შემშლელი ბაზა-
ლური მემბრანა?

ვისარგებლეთ საქართველოს სასწავლო-საგამოკვლევო ზოოვეტ-
ინსტიტუტის ფრინველთა დაავადებების განყოფილების მიერ შე-
მოთავაზებული ქათმის 50 ჩანასახით (8, 9, 10, 11, 12 წყვილი
სომიტის სტადია). მასალა დავაფიქსირეთ 10 პროცენტიანი ფორ-
მალინით; გავატარეთ სპირტებსა, ქსილოლსა და პარაფინში; დავ-
ჭერით 4 მმ სისქის განივ და ფრონტალურ ანათლებად; შევლებეთ
ტოტალურად ბორის კარმინით, ჰემატოქსილინით დელაფილდის
მიხედვით, და, პარაფინის ანათლებში — კრისტალ-ვიოლეტით, ზოი-
ზოიდინით, ორანჟ დ-ით.

გამოიჩვენა, რომ ოპტიკური გამობურცულობის ექტოდერმით
დაფარვის წესელობაში ბაზალური მემბრანა ადგილ-ადგილ არ
შენარჩუნდება: ღებულობს, ასე ვთქვათ, ფანჯრებიანი მემბრანის
სახეს. ამ „ფანჯრებში“ ნეირალურ და ექტოდერმულ ქსოვილებს
შორის სხვადასხვა პოზიციებში მყოფი ნეირალური უჯრედები ჩა-
ნან. საფიქრებელია, რომ ჩანასახის ექტოდერმა ამ დროს ასრუ-
ლებს იმ სუბსტრატის როლს, რომლის მიმართულებით ოპტიკურ

ჩერგის უჯრედების ფორმატული მოძრაობა სრულდება. ასეთ ფორმატული მოძრაობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინება ბროლის წარმოქმნა უნდა იყოს. გაკეთებული დასკვნის მართებულობას შემდეგი ექსპერიმენტული მონაცემებიც ადასტურებენ: ქსენოპლასტიკური ოპერაციებით კანის ექტოდერმისა და ოპტიკური ჩერგის შეკავშირების შემთხვევაში განვითარებულ ბროლში თვალის ბუშტის უჯრედებს ენახულობთ; ქათმის ჩანასახის ამოკვეთილი ბროლის სანაცვლოდ ახალი ბროლი ისევ თვალის უჯრედული მასალიდან ვითარდება. ფილოგენტური მონაცემებიც საინტერესოა: რეპტილიების პარიეტული თვალის ბროლი თვალის ბუშტის უჯრედებიდან ვითარდება.

ყოველივე თქმული ქათმის ბროლის თვალის ბუშტის უჯრედული მასალიდან განვითარების დებულებას ეხმაურება და კითხვის ქვეშ აყენებს ბროლის ექტიდერმისაგან განვითარების არსებულ პიპოთეზას.

П. С. ЧАНТУРИШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ О РАЗВИТИИ ХРУСТАЛИКА ГЛАЗА КУРИЦЫ ИЗ КЛЕТОЧНОГО СУБСТРАТА ГЛАЗА

Материал на стадии 8, 9, 10, 11, 12 пар сомитов фиксировался 10 процентным формалином, окрашивался in toto борным-кармином, гематоксилином по Делафильду, также в парафиновых срезах — кристал-виолетом, хризондином, оранжем Д.

На стадии 10—11 пар сомитов между глазным пузырем и эктодермой базальной мембраны местами не обнаружено. Клетки глазного пузыря, оказавшиеся в просветах глазной мембраны, занимают различные позиции между ням и эктодермой и оседают на последней. Из этого следует, что глазной пузырь куриного зародыша служит источником клеточного материала, для линзы также как при ее вольфовском образовании.

Эктодерма служит субстратом на который оседают клетки, отделившиеся от глазного зачатка.

P. S. CHANTURISHVILI

MATERIAL CONCERNING THE DEVELOPMENT OF THE
 CRYSTALLINE LENS OF THE CHICK FROM THE
 CELLULAR SUBSTRATUM OF THE EYE

Material at stages 8, 9, 10, 11, 12 pairs of somites was fixed with 10 per cent formalin, was stained in toto with borax carmine. Delafields hematoxylin, also in parafin slides with crystal-violet, chrysoïdin, orange D.

At the stage of 10—11 somites membrane basilar was not found in same places between the eye vesicle and the ectoderm. Cells of the eye vesicle in the gaps of the basal membrane occupy various positions between it and the ectoderm and settle on the latter. Hence it follows that the eye vesicle of the chick embryo serves as the source of the cell material for the lens just as in Wolffian formation.

The ectoderm serves as a substratum on which the cells settle after separating off from the eye rudiment.

ლ. ჰელიძე, ვ. ბაშვავაძე

ბენეფიციური თიხებით ღვინის გაფინების საკითხისათვის

ღვინის სიჯანსაღისა და ხარისხის ერთ-ერთი მაჩვენებელია მისი გამჭვირვალობა და სტაბილობა. ამ მიზანს რეგენერაციაში აღწევენ ზოგიერთი კლასიკური სერაების გამოყენებით და ხანგრძლივი დროის მანძილზე მის კასრებში ღვინის დაძველებით, რომლის დროსაც ღვინოში მიმდინარეობს ბიოქიმიური გარდაქმნები და ნალექს გამოყოფა.

ზაგრამ ასეთი წესით მიღებული ღვინოები იძლევიან ნალექს, გარდა ამისა კასრებში ღვინის დატოვება 3—4 წელს იწვევს დიდ დანაკარგებს და ხარჯებს. ზოგჯერ ღვინოები კარგავენ სიალისეს, ააღგაზრდობას და ნაყოფის არომატს, რაზედაც ერთობლივად მოქმედებს აორთქლება, ჟანგვითი პროცესები და ნივთიერებანი, რომლებიც ღვინოში გადადიან ხის კასრის ტყეჩიდან. წინათ ღვინის ანღვრევ მიზეზად თვლიდნენ ალკოჰოლის სიმცირეს ან ექსტრაქტულ ნივთიერებათა დიდი რაოდენობით შემცველობას და სავა. ამჟამად ეს საკითაი საკმაოდ შესწავლილია, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ ღვინის სიმღვრივის გამომწვევ მიზეზებზე, რომლის შეზღუდვა შესაძლებელი ხდება მოკლე დროში შესაფერ ღონისძიებათა გატარებით. არსებითად ღვინის ანღვრევის მექანიზმი შეიძლება გავყოთ ორ სტადიად: 1) ღვინოში სიმღვრივე იწყება ქიმიური რეაქციებით, (რკინის დაჟანგვა, სპილენძის აღდგენა, ტანინის მოქმედება საღებავ ნივთიერებებზე და სავა...). ის ნივთიერებანი, რომლებიც ამ დროს წარმოიშობიან წარმოადგენენ კოლოიდებს, რომლებიც პირველ სტადიაში გამჭვირვალე ღვინოში იწყობებიან ზოლის სახით, მეორე სტადიაში სავადასხვა ფაქტორების ზეგავლენით ისინი იჭრებიან და გადადიან გელის მდგომარეობაში, რაც ღვინოში წარმოშობს სიმღვრივეს.

ნაშასადამე, მიზეზი, რომელიც გავლენას ახდენს კოლოიდების



გამოლექვაზე ლვინოში, საბოლოო ანგარიშში განაპირობებს სიმწვანის რივის გაჩენას და მის ხარისხს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ლვინოების მეორადი დამუშავების დროს აუცილებლობას წარმოადგენს სპეციფიურ ღონისძიებათა გატარება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ლვინის გამძლეობა, სიწმინდის სტაბილობა და სავა ორგანოლექტიური თვისებების გაუმჯობესება.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა წინამდებარე შრომა და ცდები ჩატარებულ იქნა ზოგიერთ ბენტონიტური თიხის მიერ ლვინის გამწმენდ თვისებების შესასწავლად.

ცდები ამ მიმართულებით ჩატარდა 1958 - 1959 წლების მოსავლის ლვინოებზე. საცდელად ავიღეთ ცოლიკოურას ჯიშის ყურძნიდან მიღებული ლვინოება, როგორც წარმოების, ისე ლაბორატორიულ პირობებში.

თითოეულ განცხორებაში აღებული გვექონდა 7-ვარიანტი:

- I. ვარიანტი — ლვინო გაიწება ეელატინით (კონტროლი)
- II. ვარიანტი — ლვინო გაიწება თევზის წებოთი.
- III. ვარიანტი — ლვინის დამუშავება სისალის ყვითელი მარილით, ეელატინისა და ტანინის ხსნართან ერთად.
- IV. ვარიანტი — ლვინის დამუშავება ასკანგელით (გააქტივებული)
- V. ვარიანტი — ლვინო დამუშავდება ბუნებრივი გუმბრინით.
- VI. ვარიანტი — ლვინო დამუშავდა ბუნებრივი ჩუნუშის ბენტონიტური თიხით.
- VII. ვარიანტი — ლვინის დამუშავება გააქტივებული ჩუნუშის ბენტონიტური თიხით.

ნივთიერებები, რომლებიც გამოყენებულია ლვინის გაწმენდისათვის იყოფა ორ ჯგუფად:

ორგანული და არაორგანულ ნივთიერებებად.

პრაქტიკულ საქმიანობაში დიდი გამოყენებით ხასიათდება ორგანული ნივთიერებები: (ეელატინი, თევზის წებო, კაზეინი და სხვ.), რაც შეეხება დღემდე გამოყენებულ არაორგანულ გამწმენდებს, ყველაზე ნეტი ეფექტური თვისებებით ხასიათდება ბენტონიტური თიხები.

ბენტონიტური თიხის მთავარ მასას აქვს უარყოფითი ელექტრული ზედატი. ლვინის, ხილის წვენის ცილას ნაწილაკები კი 4,5 PH-ის დროს ხასიათდება დადებითი მუხტით. ამ პირობებში ორთავე ნივთიერების თანაყოფლობისას მიმდინარეობს კოაგულიაცია,

რის შედეგად ლენისა და ხილის წყენის კოლოიდები გამოილექებიან. ვ. მ. ლოზამ და ა. ს. ვეჩერა (1) არა მარტო შეისწავლეს ამ მიმართულებით ბენტონეტური თიხების თვისებები, არამედ შეიმუშავეს მეთოდიკა თიხის სუსპენზიის მომზადებისა. მათ გვიჩვენეს, რომ ბენტონიტები არა მარტო წმენდენ ლენის, არამედ, აუმჯობესებენ ლენის ხარისას. მათვე დაადგინეს, რომ ბენტონიტების გამწმენდი აქტივობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია მასში არსებულ მონტმორილონიტის ჯგუფზე. დადგინდა ისიც, რომ მონტმორილონიტის რაოდენობის ზრდა იწვევს გაჯირჯეების ხარისას ზრდას.

ბენტონიტურ თიხაში მონტმორილონიტის რაოდენობის განსაზღვრა ხდება $4\frac{1}{n}$ -ან ბენზიდინის ხსნარით, როელიც მონტმორილონიტის რაოდენობის ზრდის მიხედვით იძლევა სილურჯის ინტენსიობის ზრდას. ეს მაჩვენებელი ჩუნეშის ბენტონიტურ თიხაში გაცილებით მეტია, ვიდრე იმერეთის საბაღოების სავა ბენტონიტურ თიხებში. მონტმორილონიტი გაიანგარიშება სილიციუმის ორჟანგის ფარდობით სანვალენტოვან შეტალების წანგეულებთან.

$\frac{\text{Si O}_2}{\text{R}_2 \text{O}_3}$, რაც გუმბრინისათვის არის 6,66, ჩუნეშის თიხისათვის — 7,93, ასკანგელისათვის — 6,98.

ა. კ. როდოპულო, ვ. პ. გველესიანი (2) თავიანთ გამოკვლევებში ადგენენ, რომ ბენტონიტების უმრავლესობას ახასიათებს ლენოში არსებული რკინის იონის შთანქმეითი უნარი. ამ ფაქტს ადასტურებს ჩვენ მიერ მიღებული შედეგები (ცხ. № 2). თუ საკონტროლო ცდაში რკინის რაოდენობა მგრანებში იყო 22,2, გააქტივებულ ჩუნეშით გაწმენდის შედეგ მასში დარჩა 16,2 მგრანი. მხოლოდ ბუნებრივი ჩუნეშის თიხის ნიმუშის გაწმენდისას, მისი რაოდენობა აღწევს 16,4 მგრ. იმავე პირობებში გუმბრინით გაწმენდილი ლენის ნიმუში შეიცავს 17,4 მგრ.

დადგინდა აგრეთვე ისიც, რომ რაც უფრო მეტე ბუნებისაა ლენი, მით უფრო მეტი რაოდენობით შთანქმეება რკინის იონი.

რკინის იონის არსებობა ლენოში უარყოფითად მოქმედებს ლენის აქვს უხეში გეო და ხანგრძლივ შენაავას ვერ უძლებს.

ამის განო ბენტონიტებით ლენოში რკინის ზარილის შემციობება ჩაითვლება ერთ-ერთ დაღებით თვსებად, რითაც ორგანული გამწმენდები არ ხასიათდებიან. ამასვე ადასტურებს ს. ს. ფილატოვის გამოკვლევები.

დღემდე ჩატარებულა განოკვლევება გვიჩვენეს, რომ ჩვენ მიერ



გამოყენებული ბენტონიტური თიხებით (ასკანგელი, გუმბრინი, ჩუნეში) არსებითად შემცირდა ლეინოში რკინის წარილები, და ცილოვანი ნივთიერებები, რაც ნათლად ჩანს № 2 და № 3 ცხრილში.

ეს იმაზე მიგვიჩივებს, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული ბენტონიტები: (ჩუნეში, გუმბრინი) თავისი გამწმენდი თვისებებით არ ჩამორჩება ორგანულ განწმენავ ნივთიერებებს.

ბენტონიტური თიხების ანალიზი მოგვყავს № 1 ცხრილში.

ბენტონიტური თიხების ანალიზი.

| ქიმ. ანალიზი | გუმბრინი | ჩუნეში | ასკანგელი |
|--------------------------------|-----------|-----------|-----------|
| ბუნებრივი | ბუნებრივი | ბუნებრივი | ბუნებრივი |
| SiO ₂ | 58,14 | 61,80 | 62,58 |
| TiO ₂ | 0,25 | 0,20 | |
| Al ₂ O ₃ | 13,23 | 13,04 | 20,29 |
| Fe ₂ O ₃ | 2,58 | 3,24 | 3,73 |
| FoO | 0,28 | 1,03 | |
| MnO | კვალი | 0,0075 | |
| CaO | 2,44 | 2,07 | 1,00 |
| MgO | 2,44 | 3,19 | 2,69 |
| K ₂ O | 0,78 | 0,22 | 1,02 |
| Na ₂ O | 1,73 | 0,21 | 2,32 |
| SO ₃ | 0,35 | 0,89 | |
| H ₂ O — 100 | | | |
| + 100 | 4,71 | 10,26 | 5,9 |
| დ. გ. შ. | 3,61 | 5,05 | |
| ჯ ა მ ი | 100,34 | 100,4 | 99,53 |
| SiO ₂ | | | |
| R ₂ O ₃ | 6,66 | 7,93 | 6,98 |



ლვინოების გასაწმენდად ვიყენებთ 5%-იან სუსპენზიას. სუსპენზიის დამზადების მეთოდის ასეთია: თიხებს საწყისში ვახურებდით 400°-ზე 2-საათის განმავლობაში, რის შემდეგ დავაწმენდით 5%-იანი წყლიანი სუსპენზია, რომელიც შემდეგ გამთბარი იქნება 65—70°-ზე, ეს ტემპერატურა შენარჩუნებული იქნა ერთ საათს. ამის შემდეგ გავაცივებთ და ერთ დღეს იქნა დატოვებული მოსვენებულ მდგომარეობაში, რათა დამთავრებულიყო თიხის სრული გაჯირჯება. ამის შემდეგ შეგვექონდა ლვინოში.

საწარმოო პირობებში ლვინის დიდი რაოდენობის გაწმენდისას შეჩინებულია უმნიშვნელო რაოდენობით სპირტის და შაქრიანობის შემცირება, ეს ჩვენი აზრით გამოწვეულია ბენტონიტური თიხის არა შერჩევითი ადსორბციით, არამედ თიხის სუსპენზიის დალეკვით, რომელსაც თან ზიპქვს ლვინის კოლოიდური მინარევეები და მასთან ერთად ილეკება ფსკერზე. ამდენად ბუნებრივია, რომ რაც უფრო მეტ თიხის სუსპენზიას დავუმატებთ ლვინოს, მით მეტი იქნება ეს დაწაკლისი.

დანაკარგის შემცირების მიზნით ჩვენ მივმართეთ ბენტონიტის გააქტივებას სხვადასხვა კონცენტრაციის გოგირდმჟავით, თიხების გააქტივების მეთოდისა ჩვენ მოყვანილი გვაქვს (3) აღრიზდელ შრომაში.

ბენტონიტური თიხების გააქტივებისას კათიონები იცვლება წყალბადის იონით, იგი შედის თიხის დიფუზიურ ფენაში და ამ გზით მიღებული თიხის გაწმენდის უნარიანობა მეტია.

1959—60 წლებში ჩვენ შევისწავლეთ საცდელი ლვინის ბიოქიმიური შედგენილობა და ორგანოლექტიკური თვისებები, როგორც ლვინოების გაწმენდამდე, ასევე გაწმენდის შემდეგ. შევისწავლეთ საცდელი ლვინოების სიწმინდე და მდგრადობა, რათა დაგვედგინა ბენტონიტების გავლენა ლვინის ქიმიურ და ორგანოლექტიკურ თვისებებზე. შედეგები მოცემულია 2 და 3 ცხრილში.

როგორც ცხრილებიდან ჩანს, სხვადასხვა გაწმენდ ნივთიერებათა გამოყენებით შესამჩნევად იცვლება როგორც ლვინის ქიმიური, ისე ორგანოლექტიკური თვისებები. ასე მაგალითად, საკონტროლო ვარიანტი, რომელსაც არ განუცდია გამწმენდ ნივთიერებათა გავლენა, მეტს ალკოჰოლს შეიცავს, საერთო მჟავიანობა, ტანინი და ლვინის მჟავაც მასში მეტია.

2 წლის გამოკვლევებმა ნათლად დაგვანახა, რომ ყველა ვარიანტებს შორის ლვინის ჩამოყალიბების, განვითარების, სიწმინდის მდგრადობის, მათთვის შესაფერი ფერისა და ხარისხის გაუმჯობე-

| ვარიანტების დასაზღვრება | მოქალაქის წელი | ხედილობითი წინა | აღკვეთილი მოც. %/წ-ში | 100 მილილიტრ. ღვინოში | | | | | |
|--|----------------|-----------------|--------------------------|-----------------------|------------------|-------------------|---------------------|----------|--------|
| | | | | ალკოჰოლი | ტიტრული მე-ბა | მჭობლავი მე-ბა | არა მჭობლ. მე-ბა | მსტრატბი | ნაბარი |
| კონტროლი | 1958 | 0,9936 | 12,37 | 9,79 | 0,57 | 0,083 | 0,466 | 1,91 | 0,134 |
| ღვინო, დამუშავებული ასკანდელით | " | 0,9910 | 12,36 | 9,78 | 0,52 | 0,082 | 0,418 | 1,90 | 0,152 |
| ღვინო, დამუშავებ. ჟელატინით | " | 0,9904 | 12,02 | 9,56 | 0,52 | 0,072 | 0,43 | 1,61 | 0,158 |
| ღვინო, დამუშ. თევზის წებოთი | " | 0,9911 | 11,77 | 9,34 | 0,52 | 0,073 | 0,429 | 1,71 | 0,128 |
| ღვინო, დამუშ. სისხ. ყვ წარ. | " | 0,9912 | 11,68 | 9,27 | 0,50 | 0,063 | 0,421 | 1,71 | 0,249 |
| ღვინო, დამუშავ. ბუნებ. გუნებრინით | " | 0,9917 | 11,79 | 9,36 | 0,51 | 0,083 | 0,406 | 1,79 | 0,131 |
| ღვინო, დამუშავებ- ული ბუნებრ. ჩუნეშის თინით | " | 0,9921 | 11,94 | 9,43 | 0,52 | 0,072 | 0,43 | 1,76 | 0,145 |
| ღვინო, დამუშავებ- ული გააქტივებული ჩუნეშის თინით | " | 0,9923 | 11,78 | 9,35 | 0,53 | 0,064 | 0,45 | 1,97 | 0,1390 |

| არის გრამი | | | | | რკინა მლ/გრ. ლიტრში | სადეკუსტაციო შეფასება | ორგანოლექტიური დახასიათება |
|---------------------|----------------------|-----------|--------|-----------------|------------------------|--------------------------|--|
| ნაცრის ტუტიაწილი | ინვერსიული შაქარი | გლიცერინი | ტანინი | ღვინის მჟავა | | | |
| 0,158 | 0,086 | 0,652 | 0,046 | 0,180 | 22,2 | 8,8 | მოყვითალო ფერის, შინააოსიანი სურნელებით. საკმაოდ სხეულოანი, კარგი სუფრის ღვინო |
| 0,280 | 0,081 | 0,689 | 0,042 | 0,167 | 16,0 | 9,2 | ქარვის ფერი, სასიამოვნო სურნელებით და მწკობრი გემოთი |
| 0,203 | 0,086 | 0,633 | 0,038 | 0,167 | 20,0 | 9,4 | ქარვის ფერი, კარგად დაწმენდილი მდიდარი ბუკეთითა და ხავერდოვანი გემოთი |
| 0,210 | 0,081 | 0,692 | 0,038 | 0,192 | 18,6 | 9,3 | ყვითელი ფერი, მდიდარი შინაოსიანი სურნელებით და ხავერდოვანი გემოთი |
| 0,188 | 0,081 | 0,654 | 0,044 | 0,157 | 6,3 | 9,5 | ქარვის ფერი, კრისტალური სიწმინდით მდიდარი ბუკეთით და განვითარებული სიძველის გემოთი |
| 0,193 | 0,086 | 0,653 | 0,046 | 0,142 | 17,4 | 8,2 | ყვითელი ფერის, შესამჩნევად ჰარმონიას მოკლებული შედარებით წინა ვარიანტებთან |
| 0,193 | 0,091 | 0,661 | 0,039 | 0,153 | 16,4 | 8,8 | ყვითელი ფერის, კარგად დაწმენდილი სასიამოვნო სურნელებით და გემოთი |
| 0,186 | 0,084 | 0,653 | 0,036 | 0,165 | 16,2 | 9,3 | ქარვის ფერი, გამჭვირვალე მდგრადი სიწმინდით და მწკობრი გემოთი |

| ვარიანტების დასახელება | მოსავლის წელი | ხეივანი წონა | ალუკოლონი მოც. % ში | 100 მილილიტრ. ღვინოში | | | | | |
|--|---------------|-----------------|------------------------|-----------------------|----------------------|-------------------|----------------------|-----------|--------|
| | | | | ალუკოლონი | ტიტრული მჟავანობა | მქოლავი რეზინა | არა მქოლავი მჟავა | ექსტრაქტი | ნაცარი |
| კონტროლი | 1959 | 0,9928 | 11,34 | 9,13 | 0,79 | 0,076 | 0,700 | 2,2 | 0,179 |
| ღვინო დამუშავებულია ასკანგელით | " | 0,9929 | 11,34 | 9,13 | 0,76 | 0,077 | 0,664 | 2,01 | 0,172 |
| ღვინო დამუშავებულია ქვლაცხით | " | 0,9930 | 11,09 | 8,91 | 0,76 | 0,072 | 0,671 | 2,01 | 0,164 |
| ღვინო დამუშავებულია თევზის წებოთი | " | 0,9931 | 11,26 | 9,06 | 0,77 | 0,074 | 0,68 | 2,1 | 0,168 |
| ღვინო დამუშავებულია სისხ. ყვ. მარადით | " | 0,9937 | 11,00 | 8,91 | 0,77 | 0,072 | 0,62 | 2,01 | 0,211 |
| ღვინო დამუშავებულია ბუნებრივი გუმბრინით | " | 0,9936 | 11,17 | 8,98 | 0,75 | 0,085 | 0,65 | 2,11 | 0,160 |
| ღვინო დამუშავებულია ბუნ. ჩუნ. თიხით | " | 0,9932 | 11,34 | 9,13 | 0,75 | 0,072 | 0,67 | 2,11 | 0,190 |
| ღვინო დამუშავებულია გაქტივ. ჩუნგეშის თიხით | " | 0,9931 | 11,17 | 8,98 | 0,76 | 0,084 | 0,60 | 2,01 | 0,172 |

არის გრამი

| ბატონის ტუ- ტიანობა | ინფერს, შპკბრი | გლუცერინი | ტანნი | ლაინის ბევა | რკინა მ. ლეგრამ. ლიტრში | საღებულტაცია შუქსება | ორგანოლეპტიური დაზისათება |
|------------------------|-------------------|-----------|-------|----------------|----------------------------|-------------------------|---|
| 0,173 | 0,140 | 0,527 | 0,037 | 0,297 | 23,4 | 7,3 | ღია ზალის ფერი, სიწმინდე სხივით, სასიამოვნო სურნელებით და ზალისიანი გემოთი |
| 0,171 | 0,086 | 0,52 | 0,037 | 0,283 | 19,7 | 7,2 | ღია ყვითელი ფერის, სასიამოვნო სურნელებით, კონტროლთან შედარებით აკლია ჰარმონია |
| 0,180 | 0,100 | 0,487 | 0,027 | 0,277 | 21,6 | 7,4 | ზალის ფერი, სიწმინდე სხივიანი სასიამოვნო სურნელებით, ზარისბოვანი სურნის ლეინი |
| 0,180 | 0,100 | 0,492 | 0,034 | 0,287 | 19,1 | 7,4 | მთვრითალო ფერის, სიწმინდე სხივით, მზაოსიანი სურნელებით და ზანი გემოთი |
| 0,188 | 0,135 | 0,474 | 0,031 | 0,263 | 5,8 | 7,5 | ღია ყვითელი ფერის, სიწმინდე სხივით, გავითარებული ბუკეტი და შინაოსიანი გემო |
| 0,218 | 0,090 | 0,461 | 0,033 | 0,218 | 20,9 | 6,9 | ზალის ფერი, საკმაოდ დაწმენდილი, სურნელებასა და გემოში აკლია ჰარმონია. |
| 0,195 | 0,120 | 0,452 | 0,032 | 0,261 | 21,5 | 7,1 | ზალის ფერი, სიწმინდე სხივით სურნელებასა და გემოში აკლია ჰარმონია |
| 0,218 | 0,105 | 0,472 | 0,038 | 0,292 | 21,1 | 7,4 | ზალის ფერი, ჯიშური ზალისიანი სურნელებით და მწკობრი გემოთი |

სებისათვის გამწმენდ ნივთიერებათა შორის უპირატესობა ეკუთვნის სისხლის ყვითელ მარილს. ეულატინისა და ტანინის სსნარის წინასწარი შეტანით. (ღვინო ქარვის ფერია, კრისტალური სიწმინდით, შინაარსიანი ბუკეტითა და განვითარებული სიძველის გემოთი. სავა გამწმენდ ნივთიერებებთან შედარებით ღვინო სიწმინდეს ინარჩუნებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იზერეთში ღვინოები დიდი რაოდენობით შეიცავენ მძიმე მეტალებს: (16—23 მილ.ლ-ზე) ეულატინი და თევზის წებო ტანინთან ერთად იძლევა კარგ გამწმენდ უნარს. ღვინო ჩალისფერია, კრისტალური სიწმინდით და რბილი ხავერდოვანი გემოთი; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის სიწმინდის (დეგომარეობით ჩანორჩება სისხლის ყვითელ მარილს. ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევებიდან ბენტონიტური თიხების შესასწავლად, ყურადღებას იპყრობს ჩუნეშის ბენტონიტური თიხა და ასკანგელი (გააქტივებული). ჩუნეშის ბენტონიტური თიხის გამწმენდი უნარი კარგია და ღვინის სიწმინდესთან ერთად ღვინის ფერი, სურნელება და გემოც უზღობესდება. ასკანგელი ღვინოს კარგად წმენდს. მაგრამ ჩუნეშის ბენტონიტურ თიხასთან შედარებით ღვინის დაწინება უფრო ნელა მიმდინარეობს. ამასთანავე ღვინის ფერი უფრო ნუქია, ვიდრე სავა გაწმენდ ნივთიერებათა შემთხვევაში. რაც შეეხება ბუნებრივი ჩუნეშისა და გუმბრინის ბენტონიტურ თიხებს, მართალია, გაფილტვრის შემდეგ სიწმინდის მარივ აკმაყოფილებს ზოთხოვნილებას, მაგრამ სურნელებასა და გემოზე ესენი ახდენენ უარყოფით გავლენას. განსაკუთრებით ამას ადგილი აქვს გუმბრინით გაწმენდის შემთხვევაში: ღვინო იძენს მიწის გემოსა და სუნს. ამრიგად, ჩვენ მიერ გამოცდილ გამწმენდ ნივთიერებათა შორის უპირატესობა ეკუთვნის სისხლის ყვითელ მარილს, ბენტონიტებიდან — გააქტივებულ ჩუნეშსა და ასკანგელს.

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს გამწმენდის კარგი უნარით ხასიათდება: სისხლის ყვითელი მარილით ეულატინის და ტანინის ხსნართან ერთად გამოყენებული გამწმენდი ნივთიერება, რომელიც მიეკუთვნება ქიმიურ გამწმენდს. მან ღვინოში არსებული სამეალენტოვანი რკინის რაოდენობა 22,2 მგ/რამიდან დაიყვანა 6,3 მგ/რამამდე, რაც წმინდა ქიმიურა რეაქციის შედეგად მოხდა. ამიტომ მომავალში უნდა ჩატარდეს ცდები ბენტონიტებთან ერთად სისხლის ყვითელი მარილის გამწმენდ უნარიანობაზე და ასევე საჭიროა დადგინდეს დოზები სხვადასხვა ტიპის ღვინოებში საჭირო ბენტონიტების რაოდენობისა, რომელთა შესრულება ჩვენი სამუშაო გეგმის მიხედვით განხორციელდება.



Л. ЧЕЛИДЗЕ, В. БРЕГВАДЗЕ

К ВОПРОСУ ОСВЕЩЕНИЯ ВИНА БЕНТОНИТОВЫМИ ГЛИНАМИ

Резюме

Бентонитовые глины находят применение в разных отраслях народного хозяйства. Нами были исследованы некоторые бентонитовые глины (аскангель, гүмбрин, чушеши) для осветления вин. Выяснилось, что некоторые глины по своим качествам не уступают известным органическим осветлителям.

Установлено, что лучший осветляющий эффект дают глины, активированные 25-процентным раствором серной кислоты.

Среди взятых бентонитовых глин хорошим осветляющим эффектом характеризуется чушевская бентонитовая глина и аскангель.

Применение бентонитовых глин для осветления вин позволит значительно снизить потери вина и улучшить его качество. В этом направлении надо вести систематические и всесторонние исследования.

ЛИТЕРАТУРА

1. Лоза В. М. и Вечер А. С., Осветление вин бентонитами. Виноделие и виноградарство. СССР, 1948 г., стр. 8.
2. Родопуло А. К. и Гвелеснани В. П., Сравнительное изучение бентонитов как осветлителей вина. Виноделие и виноградарство. СССР, 1950 г., стр. 4.
3. ლ. ა. ქელიძე, ვ. ა. ბრეგვაძე, ჩუწეშის ბენტონიტური თიხის მგაური და თერმოული აქტივაციის საკითხისათვის, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. 15. 1956 წ.

დ. გ ა გ რ ი ა ძ ე

დიპროპილციკლოპენტილკარბინოლის სინთეზი

ალიციკლური რიგის სპირტების იზომერული გარდაქმნები შესწავლილია წრავალი მკვლევარის მიერ. ამ მიზართულებით წარმოებული გამოკვლევების შედეგად მტკიცდება, რომ ხსენებული სპირტების ზოგიერთი წარმომადგენელი მჟავე რეაგენტების (ბრომწყალბადმჟავა, ქლორწყალბადმჟავა, მჟაუნმჟავა და სხვ.) გავლენით განიცდის იზომერიზაციას რგოლის გაფართოების მიზართულებით. ასე, მაგალითად, კიჟნერის [1] მიერ შესწავლილ იქნა ბრომწყალბადმჟავის, მჟაუნმჟავის და ზოგიერთი სხვა მჟავების მოქმედება დიმიტილციკლოპენტილკარბინოლსა და დიეთილციკლოპენტილკარბინოლზე, რის შედეგადაც იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ დროს ადგილი აქვს აღნიშნული კარბინოლების რგოლის გაფართოებას ერთი ატომი ნახშირბადით.

ნამიოტკინისა და გაბრიაცის [2] მიერ დადგენილ იქნა, რომ დიმიტილციკლოპენტილკარბინოლი ბრომწყალბადმჟავისა და მჟაუნმჟავის მოქმედებით განიცდის იზომერიზაციას ხუთწევრიანი რგოლის გაფართოების მხრივ.

გაბრიაცემ, კიკაჩეიშვილმა და დვალმა [3] შეისწავლეს დიეთილციკლოპენტილკარბინოლზე კრისტალური მჟაუნმჟავის მოქმედება და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ დროს რეაქცია ძირითადად მიმდინარეობს ხუთწევრიანი რგოლის გაფართოებლად.

ჩვენ მიზნად დავისახეთ გამოგვეჩვენოთ, ანალოგიურ პირობებში (მჟავე რეაგენტების გარემოში) ციკლოპენტინკარბინოლის სხვა ჩანაცვლებულები განიცდის თუ არა იზომერიზაციას. ამ საკითხის შესწავლისათვის ჩვენ განვიზრახეთ მოგვეხდინა ჯერ კიდევ უცნობი ალიციკლური სპირტის — დიპროპილციკლოპენტილკარბინოლის სინთეზი.

ექსპერიმენტული ნაწილი

დიბროპალციკლოპენტელკარბინოლის მიღებისათვის გამოსავალ მასალად ავიღეთ ადიპინის მჟავა. ადამიანის მჟავიდან ჯერ მივიღეთ ციკლოპენტანონი [4], რომელიც აღვადგინეთ წყლიან ეთერში ვისლიცენუსის [5] მეთოდით. ამ მეთოდით ციკლოპენტანონიდან ციკლოპენტანოლის გამოსავალი მეტად მცირეა ციკლოპენტანონის კონდენსაციის გამო. აღნიშნულ მეთოდში ჩვენს მიერ შეტანილ იქნა ცვლილებები, რითაც სპირტის გამოსავალმა საგრძნობლად მოიმატა. აღმოჩნდა, რომ კეტონი, რაც უფრო განხვევულია ეთერით, მით უფრო ნაკლებია მისი (კეტონის) კონდენსაციის პროდუქტი და მეტია სპირტის გამოსავალი.


ციკლოპენტანოლზე კონცენტრული მარილმჟავის მოქმედებით მიღებული იქნა ქლორციკლოპენტანი. ამ უკანასკნელიდან მივიღეთ ციკლოპენტანკარბონმჟავა ზელინსკის მეთოდის [6] მიხედვით. ამ მეთოდში ჩვენს მიერ შეტანილ იქნა მცირეოდენი ცვლილება, რითაც ციკლოპენტანკარბონმჟავის გამოსავალი მკვეთრად გაიზარდა. ციკლოპენტანკარბონმჟავიდან მივიღეთ მისი ეთილის ეთერი იმ მეთოდის მიხედვით, რომელიც მოცემული აქვს კიენერს [7].

დიბროპალციკლოპენტელკარბინოლა სინთეზირებულ იქნა ციკლოპენტანკარბონმჟავის ეთილის ეთერიდან მასონის მეთოდით [8]. ერთი ლიტრი მოცულობის საიკელიან კოლბში, რომელსაც ვაკუუმული ჰქონდა მგქანიკური სარევი ვერცხლისწყლის საკეტიო, მოვათავსეთ 13 გ მაგნიუმის თხვნილი, ეს უკანასკნელი დაეფარეთ აბსოლუტური ეთერით და საწვეთი ძაბრიდან წვეთობით დაუმატეთ 70 გ ბრომპროპილი, რომელიც გახსნილი გვქონდა თანაბარი მოცულობის აბსოლუტურ ეთერში. ბრომპროპილის ეთერხსნარის მთლიანად დამატების შემდეგ რეაქციის პროდუქტი ვაცხელეთ წყლის აბაზანაზე ნახევარი საათის განმავლობაში.

ამნიარად მომზადებულ გრინიარის რეაქტივს წვეთობით დაუმატეთ 24 გ ციკლოპენტანკარბონმჟავის ეთილის ეთერი, რომელიც წინასწარ გახსნილი გვქონდა თანაბარი მოცულობის აბსოლუტურ ეთერში, დაახლოებით ციკლოპენტანკარბონმჟავის ეთილის ეთერის ეთერხსნარის მეოთხედი მოცულობითი ნაწილის დამატების შემდეგ შესაჩნევი გახდა რეაქციის დაწყება. აღნიშნული ეთერხსნარის მთლიანი ოდენობით დამატების შემდეგ რეაქციას ნარევი ვაცხელეთ წყლის აბაზანაზე სამი საათის განმავლობაში და ამის შემდეგ იგი დაეტოვეთ ერთი ღამით ოთახის ტემპერატურაზე.

მეორე დღეს რეაქციის პროდუქტს ჯერ დაუმატეთ წყალი, შემდეგ განზავებული ძმარმეცა. რეაქციის ნარევის მოლიანად გახსნისათვის საჭირო შეიქნა კონცენტრული ძმარმეცას დამატება. ზედა ფენა გამოვყავით ქვედა ფენისაგან. ქვედა ფენა სამჯერ დავამუშავეთ ეთერით. ეთერხსნარი ძმარმეცას მოცილების მიზნით დავამუშავეთ ნატრიუმის ბიკარბონატით. ეთერის მოშორების შემდეგ, ნარჩენს დაუმატეთ 5% -ანი კალიუმის ტუტის სპირტიანი ხსნარი და ვაცხელებთ იგი წყლის აბაზანაზე ერთი საათის განმავლობაში რეაქტორში შეუსვლელი ციკლოპენტანკარბონმეცავის ეთილის ეთერის გასაპნისათვის. სპირტი გადავდენეთ მდულარე წყლის აბაზანიდან, ხოლო ნარჩენს დაუმატეთ წყალი და რეაქციის პროდუქტი გამოვხსენით ეთერით. ეთერხსნარი გავაშვრეთ პოტაშით. გამხსნელი გადავდენეთ წყლის აბაზანიდან, ხოლო ნარჩენი კი გამოვხადეთ შემციობებული წნევის გარემოში. მივიღეთ 15 გ დიბრობილიციკლოპენტილკარბინოლი. იგი წარმოადგენს სიროფისებურ უფერო სითხეს მესამეული სპირტების დამახასიათებელი სუნით. დუღილის ტემპერატურა 134—136° (40 მმ); n_D^{20} 1,4649; d_4^{20} 0,9004; MR_D მიღებულია 56, 48; გამოთვლილია $C_{12}H_{23}OH$ MR_D 56, 93.

ჩატარებული ქიმიური რეაქციების მიხედვით შეიძლება მივიღოთ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს მიერ. სინთეზირებულ კარბინოლს აქვს შემდეგი აგებულება:



ჩვენს მიერ სინთეზირებული კარბინოლი განიცდის თუ არა იზომერიზაციას მთავე რეაგენტების გავლენას შესწავლილ იქნება პირველი შესაძლებლობისთანვე.

- [1] Н. М. Кижнере, ЖРХО 43, 1149 (1911)
- [2] С. С. Наметкин и Д. М. Габриадзе ЖОХ 13,560 (1943)
- [3] Д. М. Габриадзе, К. П. Кикачейшвили и Т. А. Двали. Труды Грузинского института субтропического хозяйства 3-4, 273 (1959)
- [4] Синтезы органических препаратов Т. I, 241, (1931)
- [5] Вислиценус, Lieb Ann., 275, 322 (1893)
- [6] Н. Д. Зелинский, Веч. 41, 2627 (1908)
- [7] Н. М. Кижнер, ЖРХО 37, 509 (1905)
-

რედაქტორი დოც. ი. ვოუხატიანი
РЕДАКТОР ДОЦ. И. С. ГОШХЕТЕЛИАНИ

გამოცემის ხელმძღვანელი პ. ქაშიბაძე
Руководитель издания П. Кашибадзе

ტექნოდაქტორი გ. სოფროშაძე
Техредактор Г. Сопроматзе

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31 VII 1962 წ.; ანაწყოების ზომა 6×10;
საავტორო თაბახის რაოდენობა 15; ტირაჟი 500; შეკვეთის № 2006
უგ 07164.

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტამბა,
კიროვის ქუჩა, № 55.

ფ. 103

ფანი 80 კვ.



